საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.net
№12 (55)
31 მარტი – 6 აპრილი, 2010
# საქართველო და მსოფლიო
ფასი 1 ლარი
info@geworld.net

# საქართველო თუ ზომბილენდი?

გაეროს ცნობით, საქართველოდან თავშესაფრის მაძიებელთა რაოდენობა 2008 წელთან შედარებით 102 პროცენტით გაიზარდა. ეს გაცილებით მეტია მავრიტანიის (+57%), ზიმბაბვეს (+54%) და ავღანეთის (+45%) მაჩვენებლებზე, სომხეთსა და აზერბაიჯანზე რომ არაფერი ვთქვათ.

ბელორუსის ტყეებში (65-წლიანი პაუზის შემდეგ) კვლავ ძაღლების ყეფა, გამაფრთხილებელი გასროლები და ჯარისკაცების მხიარული გინება ისმის. ქართველები კი გარბიან, შემდეგ იმალებიან, შემდეგ ისევ გარბიან... პატარა სილუეტები ევრაზიის უკიდეგანო დათოვლილ რუკაზე.




თავშესაფრის მიღებაზე შეტანილი განაცხადების საერთო რაოდენობის მიხედვით საქართველო მეათე ადგილზეა, იგი პაკისტანსა და ერითრეას შორის მოექცა. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ტოპ-ათეულში მოხვედრილი ქვეყნების მოსახლეობა (ჩინეთი, ირანი, ნიგერია და ა.შ.) ჩვენსას ბევრად აღემატება.

„ამერიკული ფული იხარჯება რეჟიმზე და არა — ხალხზე. სააკაშვილმა და მისმა რეჟიმმა უბრალო ქართველები ომში ჩაითრია. ჩვენ არ გვინდა ომი. სააკაშვილი არბევს მშვიდობიან საპროტესტო დემონსტრაციებზე გასულ ხალხს. განა ეს დემოკრატიაა, განა ამას გვპირდებოდნენ 2004 წელს?“

## როცა ადამიანის ყველა უფლება ირღვევა

16



პოლიტპატიმარ-აკადემიკოს
ვლადიმერ ვახანიას
ვერაფერი დაუმტკიცეს, მაგრამ საპყრობილეში მაინც ჩასვეს!

«VINCIT OMNIA VERITAS»
«ჭეშმარიტება ყველაფერზე იმარჯვებს»

## «ქართული კვალი» და ლატინინას უგუნური დაცვა 6

მოსკოვის 29 მარტის ტერაქტებმა კიდევ ერთხელ ცხადყო, თუ რა საფრთხეს წარმოადგენს ტერორიზმი მსოფლიოსთვის, მშვიდობიანი მოქალაქეებისთვის.

გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“ გმობს მშვიდობიანი მოქალაქეების უმოწყალოდ ხოცვა-ჟლეტას და უერთდება სამძიმარს, რომელიც მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ხელისუფლებამ და უბრალო ადამიანებმა გამოუცხადეს რუსეთის ხელმძღვანელობასა და რუს ხალხს.

## რისთვის ჩადის ვაშინგტონში საქართველოს პრეზიდენტი? 2

## რატომ უწოდა ლინკოლნ მიტჩელმა საქართველოს მთავრობას მეშუარა, ხოლო პრეზიდენტს - აბეზარი? 4

ჯიმი ჯალიაშვილი:
## ყოველ წუთს უნდა ველოდოთ ტერორისტულ აქტებს 6

## მოკლა თუ არა გიორგი არველაძემ ილია ეპიტაშვილი?! 8

## ვინ დაქოქა ტანკი?! 12

## ხელისუფლებამ პატიმრების საწამებელი სპეც-ინვენტარი ჩეხეთში შეიძინა 14

## «მოვალეთა რეესტრი» 200 ათასამდე მოქალაქეს ღია ცის ქვეშ დატოვებს 20

31 მარტი – 6 აპრილი, 2010 წელი. №12 (55)
www.geworld.net

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ეროვნება არ აქვს ცხოველს

**1991 წლის 31 მარტი ზვიად გამსახურდიასთვის, ალბათ, ყველაზე ბედნიერი დღე იყო. ამ დღეს თითქმის მთელი საქართველო საერთო-სახალხო რეფერენდუმზე გამოვიდა და ერთხმად გამოხატა დამოუკიდებლობის სურვილი.**



**ზვიად გამსახურდიამ თავისი ცხოვრების ოცდათხუთმეტი წელიწადი შეალია ამ ნანატრი დღის დადგომას. მან პირველი პატიმრობა თექვსმეტი წლისამ იწვნია; მრავალი განსაცდელი, დევნა და დაუმსახურებელი შეურაცხყოფა გადაიტანა, მაგრამ დაწყებული საქმე მაინც ბოლომდე მიიყვანა და ქართველი ხალხი თავისუფლებას აზიარა.**

სხვა რომ არაფერი გაეკეთებინა, თვითდამშვიდებისთვის ესეც საკმარისი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ზვიადმა უკანასკნელ ამოსუნთქვამდე ბრძოლა გადაწყვიტა, რადგან კარგად ხედავდა, თუ რა გლობალური მასშტაბის საფრთხე ემუქრებოდა პატარა საქართველოს. თავის უკანასკნელ ჩანაწერებში ის სულ უფრო ხშირად და დაჟინებით მიუთითებდა ამ საფრთხის რეალურ შინაარსზე. აი, რას წერდა დევნილობაში მყოფი პრეზიდენტი: „ჩვენ მივესწრაფოდით დამოუკიდებელი პოლიტიკის გატარებას, არ დავემორჩილეთ დასავლური სახელმწიფოების დიქტატს, არ ვიქეცით მათი ინტერესების მსახურად, უფრო მარტივად რომ ვთქვათ, ჩვენ არ დავუშვით, რომ საქართველო დასავლეთის კოლონიად ქცეულიყო. დასავლეთს კი მხოლოდ ისეთი ხელისუფლება აძლევდა ხელს, რომელიც უსიტყვოდ აღასრულებდა მის ნებას... ძალები, რომელთაც ეკისრებათ მსოფლიო ხელისუფლების შემზადება, სხვა ქვეყნებს განიხილავენ მხოლოდ რესურსების თვალსაზრისით. მათი მიზანია, ეს ქვეყნები თავიანთი ხალხებით, მთავრობებით, კულტურებითურთ აქციონ უბრალო ტერიტორიებად, სადაც მოსახლეობას დატოვებენ მხოლოდ მსოფლიო ელიტისთვის საჭირო რაოდენობით; ამასთან, სრულიად დემორალიზებულს, მზადმყოფს მისი ინტერესების სამსახურისთვის“.

სადავო არ უნდა იყოს, რომ ეს საფრთხე დღესაც ისევე რეალურია და ისეთივე სიმწვავით დგას ჩვენ წინაშე, როგორც 1991 წელს იდგა.

ამის თაობაზე ზვიად გამსახურდია უკვე წარსულიდან გვაფრთხილებს და ჩვენ ეს გაფრთხილება უნდა შევისმინოთ!

2001 წელს, როდესაც ზუგდიდში მისი ქანდაკება დაიდგა, ამ იდეის ავტორი და სულისჩამდგმელი ბატონი ალექსანდრე ჭაჭია სწორედ გლობალური პოლიტიკის ზვიად გამსახურდიასეული ანალიზის სიღრმესა და სიზუსტეზე ამახვილებდა ყურადღებას. მაშინ ზვიად გამსახურდიას ძეგლის აგება და მისთვის ქალაქის ცენტრში ადგილის მიჩენა არც ისე იოლი საქმე იყო. ბატონმა ალექსანდრე ჭაჭიამ უხმაუროდ, დაუყვედრებლად და ყოველგვარი აჟიოტაჟის გარეშე მიაგო პატივი დამაშვრალი მამულიშვილის ხსოვნას, რისთვისაც ქართველი საზოგადოების სახელით მას მადლობა უნდა გადავუხადოთ.

**მადლობა, ბატონო ალექსანდრე!**

**როგორ არ ჰგავს თქვენი ეს გულწრფელი ნაბიჯი ზოგიერთი მედროვის ამაზრზენ მცდელობას, — საარჩევნო ხმების დაგროვების მიზნით იქვე, ზუგდიდში, ახლა უკვე მერაბ კოსტავას ძეგლის აღმართვით თავიანთ „ღრმა ეროვნულობაში“ დაარწმუნონ საზოგადოება; მიუხედავად იმისა, რომ ამ ადამიანებს არც ხუთი-ექვსი წლის წინათ და არც სულ ახლახან, მთავრობის რბილ სავარძლებში ნებივრად მოკალათებულთ, ერთხელაც არ გასჩენიათ ზვიადისა და მერაბის საფლავების მონახულების სურვილი. აღარაფერს ვამბობ მათი აზროვნებისთვის დამახასიათებელი „ლიბერალური და გლობალური ღირებულებების“ მეტად საეჭვო ხასიათზე.**

31 მარტი ცოცხალი თარიღია. ჩვენ ის მხოლოდ წარსულის კუთვნილებად არ უნდა ვაქციოთ!

**ილია მეზონია**

# რისთვის ჩადის ვაშინგტონში მიხეილ სააკაშვილი?

**12-13 აპრილს ვაშინგტონში ბირთვული უსაფრთხოების სამიტი გაიმართება. მასზე დასასწრებად მიხეილ სააკაშვილი, მისი პრესსპიკერის განცხადების თანახმად, ,,პირადად შეერთებული შტატების პრეზიდენტის მიწვევით მიემგზავრება“. გაუგებარია, რა კავშირი აქვს სააკაშვილს ბირთვულ უსაფრთხოებასთან, თუ, რა თქმა უნდა, მას მწყობრიდან გამოსულ წყალბადის ბომბად არ განვიხილავთ. ხელისუფლება, პრინციპში, არც მალავს, რომ მისთვის მთავარია სააკაშვილის შეხვედრა ობამასთან, რომელიც შეიძლება სამიტის კულუარებში შედგეს. ვის და რისთვის სჭირდება ეს შეხვედრა?**




## რა საერთო აქვთ იავლინსკისა და ალასანიას?!

### შეხვედრის ადგილი უცვლელია

შარშან ბარაკ ობამას გარემოცვა ოსტატურად ბლოკავდა მიხეილ სააკაშვილის ლობისტების მცდელობებს, მსგავსი შეხვედრის ორგანიზება მოეხდინათ. მაქსიმუმ, რის მიღწევაც მათ მოახერხეს, კოპენჰაგენის სამიტზე (დეკემბერში) ხელის ჩამორთმევა და მოკლე ურთიერთმოკითხვა იყო.

**ეს პროცესი მოგაგონებდათ საშინელებათა (“Survival Horror-ის) ჟანრის კომპიუტერულ თამაშს: მთავარი გმირი, აფრო-ამერიკელი მამაკაცი გაუბედავი ნაბიჯით ლაბირინთს რომ მიუყვება და არავინ იცის, ამოხტება თუ არა მოსახვევიდან ის, რასთან შეხვედრაც ძალიან არ უნდა. რა მნიშვნელობა აქვს, კბილებალესილი მონსტრი იქნება თუ უცნაურად მომღიმარი ადამიანი დაჭმუჭნილი წითელი ჰალსტუხით?! მთავარ ეფექტს დაძაბული მოლოდინი ახდენს.**

„სამიტზე ობამამ უნდა მიაღწიოს საერთაშორისო კონსენსს ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის საკითხზე“, — წერს New York Times და ამ საქმეში წარმატების მნიშვნელოვან წინაპირობად რუსეთთან სტრატეგიული შეიარაღებების შეზღუდვის ხელშეკრულების ხელმოწერას ასახელებს, რომელიც 8 აპრილისთვის იგეგმება და Financial Times-ის შეფასებით, ობამასთვის „საგარეო პოლიტიკაში დღეისთვის მიღწეული წარმატებების მწვერვალი გახდება“.

ამ ხელშეკრულებას მოწინააღმდეგეები როგორც რუსეთში, ისე შეერთებულ შტატებშიც ჰყავს, რადგან ორივე მხარე გარკვეულ დათმობებზე მიდის, რომელიც ოპონენტებმა ქვეყნის შიგნით შეიძლება სისუსტედ წარმოაჩინონ. **შესაბამისად, თეთრი სახლი იძულებული ხდება გააძლიეროს ანტი-მოსკოვური რიტორიკა სწორედ იმ მომენტში, როდესაც „გადატვირთვის“ პოლიტიკამ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაყოფი უნდა გამოიღოს.** ეს ტენდენცია მხოლოდ „სტარტის“ ხელშეკრულებას როდი ეხება, ასეთივე ტალღას ადგილი უკრაინის საპრეზიდენტო არჩევნების, ამერიკის პოზიციების ფაქტობრივი დათმობის დროსაც ჰქონდა. **ამ დროს მნიშვნელოვანია, ვაშინგტონის რეალური ქმედებები სიტყვებისა და სიმბოლური ჟესტებისაგან განვაცალკევოთ.**

მიხეილ სააკაშვილის მიწვევა ბირთვული უსაფრთხოების სამიტზე შეიძლება ამ ჭრილშიც განვიხილოთ. **რუსეთის დელეგაციისთვის სააკაშვილთან ერთ დარბაზში ჯდომა, მისდამი დეკლარირებული დამოკიდებულებიდან გამომდინარე, გარკვეულ უხერხულობას უკავშირდება.** თუმცა არანაირ ფატალურ ძვრებს მსგავსი ინციდენტი არ მოასწავებს, ისევე, როგორც სააკაშვილის არაოფიციალური შეხვედრა ობამასთან, თუ მას ადგილი ექნება.

გამარტივებულ სქემამდე თუ დავიყვანთ, აშშ-ის საგარეო პოლიტიკის მიღმა ორი მიდგომის გამოკვეთა შეგვეძლება. ერთი „ნეოკონების“ სტილში ყველა მიმართულებით წინსვლის გაგრძელებას გულისხმობს, რაც მზარდი წინააღმდეგობიდან და შემცირებული შესაძლებლობებიდან გამომდინარე სულ უფრო სათუო ხდება. **მეორე სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან მონაკვეთებზე კონცენტრირებას მოითხოვს, რამაც სხვა ფრონტებზე შეჩერება და, შესაძლოა, უკანდახევაც გამოიწვიოს. საგარეო პოლიტიკის ფორმირება ამ ორი მიდგომის და შესაბამისი გავლენიანი ჯგუფების ინტერესების გათვალისწინებით ხდება.** დღეს ფრანკლინ დელანო რუზველტის მმართველობის ბოლო წლები არაა, როდესაც საგარეო პოლიტიკაზე ადმინისტრაციის ოპონენტებს ნაკლები გავლენა ჰქონდათ. ობამას მდგომარეობა გაცილებით მყიფე და არამდგრადია.

სააკაშვილის ხელისუფლება ამ ვიზიტის მიღმა, როგორც ჩანს, ახალი ადმინისტრაციის მხრიდან მის სიმბოლურ ლეგიტიმაციას ხედავს, რაც (მისი აზრით) ფაქტობრივი საერთაშორისო იზოლაციის გარღვევასა და ქვეყნის შიგნით ხელისუფლების შერყეული პოზიციების გამყარებას ხელს შეუწყობს. **თუმცა მთავარი პრობლემა ეს არაა; რეალური საფრთხე, ალბათ, ისაა, რომ სააკაშვილმა შეიძლება კვლავ არასწორად (ან საქართველოს ინტერესების გათვალისწინების გარეშე) გაშიფროს ამერიკის ხელისუფლებიდან წამოსული სიგნალები, რაც უკვე არაერთგზის, მათ შორის აგვისტოს ომის წინ, მომხდარა.**

24 მარტს, აშშ-ის „დაზვერვის ეროვნული საბჭოს“ ანალიტიკური განყოფილების უფროსმა მეთიუ ბეროუზმა „მოდელირებულ ქრონიკასთან“ დაკავშირებით კომენტარი გააკეთა: **„ვშიშობთ, რომ რაღაც ამდაგვარმა შეიძლება კონფლიქტის ამოფრქვევა გამოიწვიოს“.** უნდა აღინიშნოს, რომ იმ დაწესებულების კომპეტენციაში, რომელსაც იგი წარმოადგენს, მსოფლიოში მომხდარი ყველა იდიოტური გამოხდომის კომენტირება სულაც არ შედის, ამისთვის სახელმწიფო დეპარტამენტი არსებობს. დაზვერვის ფუნქცია კი საფრთხეების შესახებ ხელისუფლების ინფორმირებაა; იმ პრობლემური კერის მონიშვნა, სადაც „რაღაც ამდაგვარი“ წარმოიქმნება. განხილულ კონტექსტში ბეროუზის გამოსვლა ავისმომასწავებელი თუ არა, საკმაოდ საგულისხმო იყო.

▶

## მოკლედ



### აშშ-ს მუშტებს უბრახუნებენ

**ტელეარხ „ალ-ჯაზირას“ ეთერით აშშ-ს თავად უსამა ბენ ლადენმა შეატყობინა მოვლენათა შესაძლო განვითარების სცენარი.**

თუ თქვენ 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტში დამნაშავე ხალედ შეიხ მუჰამედსა და მის თანამზრახველებს სიკვდილით დასჯით, ზუსტად იმავე ბედს გაიზიარებს ჩვენს ხელში მყოფი ყველა ამერიკელი ტყვეო. ახლა ამერიკამ აღარ იცის, რა ქნას, ეს ტერორისტები ჯერ რამდენი ეძება, რამდენი ომი დაიწყო ამათ გამო და ახლა ესღა უნდოდა?



### უკრაინა დარჩენილ მილიარდებს ითხოვს

**უკრაინის მთავრობამ საერთაშორისო სავალუტო ფონდს 16,4 მილიარდიანი ტრანშიდან მორიგ 5 მილიარდს სთხოვს.** მაგრამ მსოფლიო სავალუტო ფონდი მოითხოვს, რომ უკრაინის ბიუჯეტის დეფიციტი საერთო შიდა პროდუქტის 12%-დან 8%-მდე შემცირდეს. თუ ტრანშის მიღებას მოახერხებს, უკრაინას სხვა დამატებითი სახსრების მოპოვების შესაძლებლობაც მიეცემა. საუბარია მსოფლიო ბანკსა და განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკზე, რომლებიც ორ მილიარდ დოლარს გასცემენ.



### ბავარია უარზეა

**გერმანიის ხელისუფლებამ თანხმობა განაცხადა, ტერორიზმში ეჭვმიტანილი სამი პატიმრის გუანტანამოს ამერიკული ციხიდან ბავარიაში გადმოყვანაზე.** სპეციალურმა დელეგაციამ ეს სამეული უკვე მოინახულა კიდეც გუანტანამოში, რათა მათზე პირადი აზრი შექმნოდათ. ალბათ, გარკვეული შეხედულება ჩამოუყალიბდათ კიდეც, მაგრამ ბავარიის შინაგან საქმეთა მინისტრი იოაჰიმ ჰერმანი ამბობს, რომ ბავარია ამ პატიმრებს თავის ტერიტორიაზე არ მიიღებს, ყოველ შემთხვევაში მანამ, სანამ აშშ არ განუმარტავს, რატომ არ მიჰყავს ისინი თავისთან.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

## პატრიოტთა თამაშები

**„მოდელირებული ქრონიკის“ მსგავს, ცალკეული ფსიქოპატური აქტების მომწიფებას წინასწარ, ამერიკის დაზვერვა კი არა, ცხონებული ავლიპ ზურაბიშვილიც ვერ ამოიცნობდა. ჰქონდა თუ არა აშშ-ის დაზვერვას წინმსწრები ინფორმაცია გადაცემის მომზადებაზე და რა უქნეს მას, სხვა საკითხია; ისე, ბეროუზმა თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ მისი უწყება თავის შეშფოთებას უცხო ქვეყნების ხელისუფლებებს კი არა, სახელმწიფო დეპარტამენტს უზიარებს და „ისრებიც“ ჰილარი კლინტონის ხელქვეითებზე გადაიყვანა.**

უცნაური ვითარება შეიქმნა: ერთის მხრივ, გახურებული „გადატვირთვა“ მიდის, აშშ-რუსეთის კონფრონტაცია მხოლოდ მეორეხარისხოვან მიმართულებებზე ვლინდება და სულ უფრო სიმბოლურ ხასიათს იძენს, **ხოლო იქ, სადაც საქმე საქმეზე მიდგება (უკრაინა, ავღანეთი, „სტარტის“ ხელშეკრულება) მხარეები კონსენსუსს აღწევენ. მეორეს მხრივ, შტატების მოკავშირე საქართველოს ხელისუფლება თითქოსდა აგრძელებს პოლიტიკას, რომელიც რუსეთთან მწვავე კონფრონტაციის იდეებს ეფუძნება.** შესაბამისად, საფუძველი ესკალაციისთვის სულ უფრო სერიოზული ხდება, რამაც შეიძლება „გადატვირთვის“, ტორპედირება თუ არა, დისკრედიტაცია მოახდინოს.

კრიზისის პიკთან მიახლოებულ აშშ-ში, ხელისუფლებისთვის არცთუ სახუმარო ბრძოლა მიდის; მასში სულ უფრო მეტი მიუღებელი მეთოდი გამოიყენება. **აგვისტოს ომმა ბარაკ ობამას საპრეზიდენტო არჩევნები კინაღამ წააგებინა. წამით წარმოვიდგინოთ, რომ იგი მიიღებს სარწმუნო სიგნალს, იმის შესახებ, რომ საქართველოს ხელისუფლების მომავალმა მკვეთრმა ქმედებებმა შეიძლება მისი საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ მთავარ ბურჯს — „გადატვირთვას“ ძირი გამოუთხარონ. ყოველივე ამის უკან კი ის ადამიანები დგანან, რომლებსაც სააკაშვილზე გადამწყვეტი გავლენის მოხდენა ძალუძთ.**

მოდით, ამ წერტილიდან მცირე „მოდელირება“ ჩვენც მოვახდინოთ, რადგან ეს საყოველთაოდ გავრცელებული პრაქტიკა გახდა. ქართული პოლიტიკური რეალობის გადამკიდე, შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ ობამა ამ შემთხვევაში ფეხების ბაკუნს დაიწყებს და მოითხოვს, სააკაშვილი სათოფეზე არ გააკარონ. მაგრამ არა, პირიქით; **ალბათ, სწორედ ამ შემთხვევაში შეხვედება, ხელსაც ჩამოართმევს, გაუღიმებს, თბილად მოიკითხავს, დაგეგმილზე მეტხანს გაესაუბრება და გასასვლელისკენაც გააცილებს კიდეც. ოღონდ ამის შემდეგ ოთახში მობრუნებული ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ხელში ტელეფონის ყურმილს აიღებს (კინემატოგრაფიული ეფექტისთვის ნელა აიღებს) და ჩვენთვის ამოუცნობ თანამოსაუბრეს სულ რამდენიმე სიტყვას ეტყვის. ამის შედეგად, ალბათ, მალევე განვითარდება მოვლენები, რომელთა კვალობაზე რიგ პიროვნებებს, როგორც ამერიკის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ, სამუდამოდ ამოუვარდებათ თავიდან იდეა, დააშანტაჟონ ადამიანი, რომელიც ჯორჯ ვაშინგტონის სავარძელში ზის.**

ვინაიდან ჩვენი მიზანი ხელისუფლების ზედა ეშელონებში ინფარქტების სერიის გამოწვევა სულაც არ არის, ჯობს ჩვენი „მოდელირება“ აქვე შევწყვიტოთ. **სააკაშვილის ლობისტების ერთ-ერთი მთავარი არგუმენტი ისაა, რომ საქართველოში არ არსებობს სხვა „პროამერიკული ძალა“, რომელიც ქვეყანაზე კონტროლის შენარჩუნებას შეძლებს. ამ პოსტულატში გარკვეული ლოგიკა არის, თუმცა როდესაც „პროამერიკული ძალა“ დღიდან დღემდე აშშ-ის ეროვნულ ინტერესებთან (შესაძლოა) და რეალობასთანაც სულ უფრო ღრმა კონფლიქტში შედის, ასეთ „პროამერიკულობას“ ამონაგებზე გაცილებით მეტი ზარალი მოაქვს.** მსგავსი სიტუაცია „მესამე სამყაროს“ ქვეყნებში არაერთგზის შექმნილა. ჰყავს თუ არა ვაშინგტონს კარგი მოთამაშეები სათადარიგოთა სკამზე? გამოიყვანს თუ არა მათ მოედანზე, თუ სატურნირო მდგომარეობიდან გამომდინარე, ურჩევნია, ასპარეზი (უკრაინა, საქართველო, სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნები) ამჯერად მოსკოვს დაუთმოს?

### ვნებები სათადარიგოთა სკამზე

„Как причудливо тасуется колода“, — ბულგაკოვის ვოლანდი რომ იტყოდა, სხვა სიტყვების მოძებნა ქართულ პოლიტიკაში მიმდინარე ცვილებების დაკვირვებისას ერთობ გაძნელდება. იმის ძიებას, „ვინ ვისთან ჯგუფდება“, არ დავიწყებთ, რადგან ქართველი პოლიტიკოსების უმრავლესობა სათანადო შეთავაზების შემთხვევაში ალიანსზე წინა ფრაზაში მოხსენიებულ პერსონაჟთანაც წავა. საუბარი სხვა ფენომენზეა: **სულ უფრო მეტი ლიდერის ლექსიკონიდან ნელ-ნელა ქრება ფრაზები ნატოში გაწევრიანებისა და აშშ-ის (ყურმოჭრილი?) მოკავშირეობის აუცილებლობის შესახებ და მათ ადგილს სხვა ფრაზები იკავებენ, რომელშიც რუსეთთან დარეგულირების, მისი ინტერესების გათვალისწინების აუცილებლობა ფიგურირებს (ისე, ჯერ სად ვართ).**

ანგარიშგასაწევი ოპოზიციური ძალებიდან კლასიკური „ჩრდილო-ატლანტიკური რიტორიკის“ ერთგული მხოლოდ **„ალიანსი საქართველოსთვის“** რჩება. მისი ერთ-ერთი ლიდერი **ირაკლი ალასანია,** გარკვეული პერიოდის წინ აქტიურად განიხილებოდა, როგორც ვაშინგტონის **„სათადარიგო მოთამაშე“,** რომელმაც (საფეხბურთო მეტაფორას ბოლომდე თუ მივიყვანთ) ბოლოს და ბოლოს უნდა ჩაანაცვლოს ცენტრფორვარდი, რომელიც იმდენად ალეგზნო, რომ გოლები საკუთარ კარში გააქვს.

თავიდან ყველაფერი თითქოსდა ნორმალურად მიდიოდა, შემდეგ კი რიგი დეტალები გამოიკვეთა და გარკვეული ეჭვებიც გაჩნდა. ძალიან ლოკალური, კონკრეტული ეპიზოდით დავიწყოთ; **თუნდაც, ირაკლი ალასანიას გლდანის ამომრჩევლებთან შეხვედრა განვიხილოთ. საწყენად არ ვამბობ, მაგრამ „მეპონჩიკეთა“ გაერთიანებული (გნებავთ დაქსაქსული) ასოციაცია, უბანში, სადაც ასობით ათასი მოსახლეა, მერობის კანდიდატთან შესახვედრად გაცილებით მეტი ადამიანის გამოყვანას შეძლებდა.** ძნელი დასაჯერებელია, რომ „ალიანსის“ ორი, მეტ-ნაკლებად განვითარებული სტრუქტურის მქონე პარტიის („რესპუბლიკელებისა“ და „მემარჯვენეების“) გაერთიანებულმა ძალისხმევამ ასეთი მცირე ნაყოფი გამოიღო. საბოტაჟი თუ უთავბოლობა? იქნებ, ამ შეხვედრის ორგანიზებაში მონაწილეობას საერთოდ არ იღებდნენ? თუ ეს ასეა, რატომ? თვალშისაცემი, კიდევ ერთი მომენტი იყო, მის გარშემო შეკრებილ თითო-ოროლა უბრალო გლდანელს ირაკლი ალასანია ისეთ სტილში ესაუბრებოდა, რომელიც გაეროში გაბონის ელჩთან გლობალური დათბობის პრობლემებზე მაღალფარდოვან საუბარში თუ გამოდგებოდა. ვინ მუშაობს კანდიდატთან? უფრო სწორად, ვინ მუშაობს კანდიდატთან ასე?!

უფრო სერიოზული თემა ავიღოთ. „ალიანსმა“ ნელ-ნელა ზურაბ ნოღაიდელთან და „ეროვნულ საბჭოსთან“ პოლემიკაში (თუ კინკლაობაში?) ისე ღრმად შეტოპა, რომ ფრიად პარადოქსული ვითარება მივიღეთ: იმის ნაცვლად, რომ ალასანიას პოზიციონირება ხელისუფლების კანდიდატთან (ან სულაც თავკაცთან) მიმართებაში მოეხდინათ, „ალიანსის” მესვეურებმა იგი, ფაქტობრივად, ნოღაიდელს „გაუყადრეს“, რასაც სარგებლის მოტანა მხოლოდ მესამე მხარისათვის შეუძლია. ხოლო გამუდმებული საუბარი „ალასანიას ულტერნატივობაზე“ და „პრინციპების ერთგულებაზე“, რაღაც მომენტში შეიძლება იზოლაციონიზმის გამართლებად იქცეს (თუ უკვე არ იქცა). ეს ძალზე მნიშვნელოვანი თემაა, რომელზეც, ალბათ, უნდა შევჩერდეთ.

**არის რუსეთში ასეთი პოლიტიკოსი, გრიგორი იავლინსკი, რომელიც თავისი პრინციპების (ნათელი, ლიბერალური, პროდასავლური — ნებისმიერი ტერმინი ვიხმაროთ), ასე თუ ისე, ერთგულია. ამ პრინციპების ერთგულება, მას პოლიტიკური მანევრის, ამომრჩეველთა ფართო ფენების მოზიდვისა და, აქედან გამდინარე, ხელისუფლებაში მოსვლის შანსს არ აძლევს. შესაბამისად, გრიშა იავლინსკი ხსენებულ პრინციპებზე დაფუძნებული პოლიტიკური იდეების ხორცშესხმას (დიდი ალბათობით) ვერასდროს შეძლებს; ეს არის და ეს.**

ირაკლი ალასანიას (ჯერ კიდევ) ორი გზა აქვს: ან **„ქართველი იავლინსკი“** გახდეს და 3-7%-იან (კი ბატონო, 8-10%-იან) ნიშაში ჩაიკეტოს, ან სცადოს სრულიად საპროტესტო ელექტორატის, მართლაც რომ ვულკანური ენერგიის, მობილიზება მოახდინოს. ეს კი **„ულტერნატივო პრინციპული კანდიდატის“** გადაბმულ ძახილზე გაცილებით დიდ მოქნილობას მოითხოვს. საინტერესოა, რა ნაბიჯების გადადგმას ურჩევენ მას პარტნიორი პარტიები და **„დასავლელი მეგობრები“.**

**დიმიტრი მონიავა**

## ზვიად გამსახურდიას მომხრეები სახელმწიფოსგან დახმარებას მოითხოვენ

**ხობის რაიონის სოფ. ახალხიბულაში, ღურწკაიების ოჯახი, სადაც სიცოცხლის ბოლო დღეები გაატარა და შემდეგ სიცოცხლე დაასრულა საქართველოს პირველმა პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ, გაძარცვული და გაჩანაგებულია. როგორც ოჯახის დიასახლისმა ლუდმილა აბშილავა-ღურწკაიამ განაცხადა, გარკვეული მიზეზების გამო ისინი იძულებული გახდნენ, ოჯახი დაეტოვებინათ და თავშესაფარი სხვაგან მოეძებნათ.**



მათ არყოფნაში გაძარცვეს და დაარბიეს ის ოთახიც, სადაც სიცოცხლე დაასრულა ზვიად გამსახურდიამ. მათ სახლში ამჟამად თხები და ღორები ბინადრობენ. 6 წელზე მეტია, ეს სახლი ამ მდგომარეობაშია. ზუგდიდელები, ზვიად გამსახურდიას თაყვანისმცემლები სახელმწიფოსგან დახმარებას ითხოვენ. ამ საკითხთან დაკავშირებით თავის მოსაზრებას გვიზიარებს იბერიულ-კავკასიური და ეროვნული მოძრაობის აქტიური წევრი **გია შონია**: **„ჩვენი სამეგობრო ყოველთვის განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდა ღურწკაიების ოჯახის მიმართ, რომელმაც დიდი რისკის ფასად შეიფარა საქართველოს პირველი პრეზიდენტი. ეს ამბავი დიდხანს იყო გასაიდუმლოებული. ყველას ეგონა, რომ ზვიად გამსახურდიამ სიცოცხლე დაასრულა სოფელ ჯიხაშკარში, ზარანდიების ოჯახში. გიორგი გამსახურდიამ 5 დღის შემდეგ გაიგო, რომ მამამისმა სიცოცხლე არა ზარანდიების, არამედ ღურწკაიების ოჯახში დაასრულა. მან განსაკუთრებული პატივი მიაგო ღურწკაიებს თანადგომისათვის. დაახლოებით 6 წლის წინათ ამ ოჯახს გარკვეული პრობლემები შეექმნა. გაუგებარი კონფლიქტის გამო მოხდა მკვლელობა, რის გამოც ოჯახი იძულებული შეიქნა, ზუგდიდში გადმოსახლებულიყო. კეთილი ადამიანების დახმარებით მათ შეიძინეს თავშესაფარი. ახალხიბულაში კი მათი მიტოვებული სახლი გაჩანაგდა; არადა, ეს ის ისტორიული სახლია, რომელსაც მოვლა და პატრონობა სჭირდება“.**

ერისთვის წამებული პრეზიდენტის — ზვიად გამსახურდიას თაყვანისმცემლები სახელმწიფოსგან დახმარებას ითხოვენ. მათ რამდენჯერმე მიმართეს ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობას, რომელიც სხვადასხვა მოტივით თავს არიდებს დახმარებას, თუმცა შეპირებები არის. თავდაპირველად აცხადებდნენ, რომ ეს სახლი კერძო საკუთრებაა და თანხის გამოყოფის უფლება არ გვაქვს. თუ კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო ამ სახლს კულტურული და ისტორიული მემკვიდრეობის ნუსხაში შეიტანს, შესაძლებელი გახდება მისი მოვლა-პატრონობაო. „კულტურის სამინისტრომ უარი განაცხადა ამ სახლის მოვლა-პატრონობაზე და საკითხის მოგვარება ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობას დააკისრა. ჩვენ მივმართეთ გამგებელ იგორ ტყებუჩავას, მოსახლეობის მოთხოვნები და ხელმოწერები წარვუდგინეთ, მათ განგვიცხადეს, რომ სახლის აღდგენისთვის საჭირო თანხას ბიუჯეტში ჩასვამდნენ. ნახევარ წელზე მეტია, ამაოდ ველოდებით ხობის რაიონის გამგეობიდან დანაპირების შესრულებას“, — დასძინა გია შონიამ.

**ლადო ქირია**, ზუგდიდი

**P.S.** „საქართველო და მსოფლიოს“ მკითხველს მინ**და შევახსენო, რომ პირველად საქართველოში, ზუგდიდში საზოგადოებრივი მოძრაობა ,,სამეგრელოს“ თავმჯდომარის — ალექსანდრე ჭაჭიას ინიციატივითა და ძალისხმევით დაიდგა საქარველოს პირველი პრეზიდენტის — ზვიად გამსახურდიას ბიუსტი. ამ საჭირო და დროული იდეის ინიციატორსა და ორგანიზატორს არც მაშინ და არც შემდეგ ეს მამულიშვილური საქმე პოლიტიკური ქულების დასაწერად არ გამოუყენებია. ამ დეტალის ხაზგასმა იმისთვისაც გახდა საჭირო, რომ არჩევნები კარს არის მომდგარი და საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ასევე, მისი თანამებრძოლების ხსოვნით სპეკულირების სურვილი უკვე არაერთ პოლიტსუბიექტს გაუჩნდა.**

## მოკლედ



### მერკელმა ერდოგანი გაანაწყენა

**თურქეთის პრემიერ-მინისტრმა რეჯეპ ტაიპ ერდოგანმა თურქეთში ვიზიტად მყოფი ანგელა მერკელი სტუმარმასპინძლობის ხათრითაც კი არ დაინდო.** მას შემდეგ, რაც მერკელმა განაცხადა, გერმანიაში თურქული სკოლების გახსნის კატეგორიული წინააღმდეგი ვართო, აღშფოთებულმა ერდოგანმა შეიცხადა: „ვერ გამიგია, საიდან ამხელა სიძულვილი თურქეთის მიმართ? კანცლერ მერკელისგან ამას არ მოველოდი!“ მაგრამ მერკელს თურქეთის სიძულვილი რატომღაც ვერ გამოუვიდა და ბოლოს ამ სკოლების გახსნას დათანხმდა.




### დახმარება პენტაგონურად

**სააკაშვილმა გვითხრა, თქვენ კარგად ვერ გაიგეთ, აშშ საქართველოში სამხედრო ბაზების მშენებლობას კი არა, ქვეყნის „სოლიდურ დახმარებას“ გეგმავსო.** „სოლიდური დახმარება“ ავღანეთის ოპერაციაში მონაწილე ქართული კონტინგენტის სამხედრო აღჭურვას გულისხმობს. საქართველოში სამხედრო კონტინგენტის განთავსებას რომ აპირებენ, ამითაც ჩვენ გვეხმარებიან, „ავღანეთში მიმდინარე სამხედრო ოპერაციების დროს სტაბილურობის უზრუნველყოფისთვისაა აუცილებელი“ და გეხმარებითო.



### აშშ-ს მიწებს ართმევენ

**იუტას შტატის გუბერნატორმა გერი ჰერბერტმა ხელი მოაწერა ორ კანონს, რომელთა თანახმადაც აშშ-ის ფედერალურ მმართველობას წიაღისეულით მდიდარი მიწები ჩამოერთმევა.** უკვე ცხადი გახდა, რომ მსგავსი ზომების მიღებას ქვეყნის დასავლეთში მდებარე სხვა შტატებიც აპირებენ. თავად იუტა კი ასე მარტივად ვერ გადარჩება, ამ საქმის ბოლომდე მიყვანისათვის მას მრავალი სასამართლო პროცესი ელის და საბოლოოდ შტატების მიერ მიწების დასაკუთრების საკითხს უზენაესი სასამართლო გადაწყვეტს.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

## ლინკოლნ მიტჩელი:

# თევზი, სახელად საქართველო

**ბოლოდროინდელი მოვლენები საქართველოში მოგაგონებთ სცენას 1980-იანი წლების კლასიკური, კომედიური ჟანრის ფილმიდან „თევზი, სახელად ვანდა“, სადაც ოტო (კევინ კლაინის პერსონაჟი) დაიჭერს ქურდს, რომელიც არჩის (ჯონ კლიზის პერსონაჟის) სახლს ძარცვავს, მაგრამ მას შემდეგ, რაც აღმოჩნდება, რომ ქურდი თავად არჩია, ოტო ბოდიშის მოხდას ცდილობს, თუმცა თავს ვერ იკავებს და ბუნებრივ კითხვას სვამს: „არა, ვერ გავიგე, და რატომ ძარცვავდი საკუთარ სახლს?“**

საქართველოს მთავრობასთან ძალიან დაახლოებული ტელეარხ „იმედის“ მცდელობის შემდეგ — ქართველი ხალხისთვის რუსეთისგან მოსალოდნელი საფრთხე შეეხსენებინა ეთერში რუსეთის ინტერვენციაზე ყალბი „ახალი ამბების“ გადაცემით, რასაც პანიკა და ამ სიცრუის გამო მთავრობის მიმართ ბრაზი მოჰყვა, ყველას უჩნდება სურვილი, საქართველოს მთავრობას ანალოგიური კითხვით მიმართოს: **„გაუგებარია, საკუთარ ქვეყანაში რატომ ქმნით ყალბი ინტერვენციის სურათს?“**

საფრანგეთის, აშშ-ისა და დიდი ბრიტანეთის ელჩებმა გაოცება და შეშფოთება გამოხატეს იმის გამო, რომ ამ გადაცემაში მათი კადრებიც გამოიყენეს დუბლირებული ხმით, თითქოს კრიზისი რეალური იყო. „იმედსა“ და საქართველოს მთავრობას თავდაპირველად ისეთი რეაქცია ჰქონდათ, რომ თითქოს არც კი ესმოდათ, რამდენად უცნაური და აღმაშფოთებელი რამ ჩაიდინეს.

**გადაცემის გარშემო დაწყებული დავა იმთავითვე გადაიზარდა იმაზე კამათში, თუ იცოდა ან როდის გაიგო ამ რეპორტაჟის თაობაზე პრეზიდენტმა. საქართველოში მედიასაშუალებების მდგომარეობისა და ამასთან, პრეზიდენტ სააკაშვილისა და „იმედის“ დირექტორ გიორგი არველაძის ურთიერთობის გათვალისწინებით, ბევრს ეჭვი არ შეჰპარვია, რომ სააკაშვილმა გადაცემის შესახებ იცოდა და ის წინასწარ მოიწონა...**

**მნიშვნელოვანია, რომ გადაცემაში საქართველოს ჯარის მარცხია ნაჩვენები, რაც ააშკარავებს იმ შიშსა და მსხვერპლად ყოფნის განცდას, რაც საქართველოს მთავრობის მახასიათებლად იქცა და გაჩნდა საფრთხე, რომ ის ამავე დროს ქართველი ერის მახასიათებლადაც იქცეს.**

„იმედის“ გადაცემა მისმა ავტორებმა ცუდ დროს დაგეგმეს, რადგან რეპორტაჟი ეთერში იმ დროს გავიდა, როდესაც შიდა ოპოზიცია მისთვის ჩვეული მასობრივი თვითმკვლელობის მორიგ აქტს ჩადიოდა. პროგრამამ ოპოზიცია ყურადღების მიღმა იმ დროს დატოვა, როცა მედია ყურადღებას ოპოზიციის თვითნგრევაზე ამახვილებდა და სააკაშვილზე, უგულავასა და მათ პარტიაზე „ნაციონალურ მოძრაობა“ პოზიტიურად მუშაობდა.

**„იმედის“ გადაცემის სხვა ნეგატიური შედეგები ჯერ ცხადი არ არის. დღესაც არ არის გამორიცხული, რომ სააკაშვილის ახლობელსა და მის მხარდამჭერ არველაძეს საკუთარი მახვილი განგმირავს, მაგრამ ეს არ იქნება სამართლიანი არველაძის მიმართ და ვერც პრობლემას გადაწყვეტს, თუმცა ის გარკვეულ შვებას მოჰგვრიდა მათ, ვინც ამ ფაქტზე პასუხისმგებელთა დასჯას ითხოვს.**

**რეაქცია ნატოსა და სხვა დიპლომატების მხრიდან იმაზე მიუთითებს, რომ ამ გადაცემამ კიდევ უფრო დააშორა საქართველო მის მიზანს — გახდეს ნატოს ნაწილი. ისეთი აბეზარი ქმედება, როგორიცაა ინტერვენციის იმიტაცია საკუთარ ქვეყანაში მკვეთრად პროსახელისუფლო სატელევიზიო არხზე, საქართველოს ისეთ მდგომარეობაში აყენებს, რომ აშშ და ევროპა სიხარულით მიესალმებიან საქართველოს წვლილს ავღანეთის ოპერაციებსა და გუანტანამოს პატიმრების მიღებაში, მაგრამ ვერ შეძლებს, დაეხმაროს მას მთავარი მიზნის მიღწევაში — გახდეს ღირებული მოკავშირე და არ დარჩეს ექსცენტრულ, დასავლეთის კმაყოფაზე მყოფ ქვეყნად.**

THE FASTER TIMES



# თბილისის «არჩეულ მერს» მერაბიშვილი დანიშნავს

**თბილისში დღეს, 31 მარტს, საბოლოოდ გვეცოდინება, თუ პირდაპირი წესით ასარჩევ თბილისის მერის პოსტზე რამდენ ამბიციურ პიროვნებას აქვს წამოყენებული თავისი კანდიდატურა. და ეს საპირველაპრილო ხუმრობა არ იქნება და აჟიოტაჟი თავის ფინალურ სტადიაში გადავა.**

საქართველოს დამოუკიდებლობის თითქმის 20-წლიანი პერიოდის განმავლობაში ქვეყანას არავითარი თვითმმართველობა არ აქვს. აქ იყო და არის ქვეყნის მართვის ძველი „უნიტარული“, ანუ უფრო ზუსტად, ავტორიტარული მოდელი, სადაც ყველა ჩინოვნიკსა თუ პოლიტიკოსს ერთი კაცი, ანუ პრეზიდენტი ნიშნავს მმართველი პარტიის ორიოდე ბოსთან კონსულტაციების შემდეგ. აქ **უმეტეს შემთხვევაში ერთადერთი განმსაზღვრელი კრიტერიუმი პირადი ერთგულებაა და არა — პროფესიონალიზმი; ადგილებზე ხშირად იგზავნებიან ადამიანები, რომელთაც არა მარტო არავითარი გამოცდილება არ აქვთ, არამედ იმ რეგიონზე ბევრი არაფერი იციან.** ეს, შეიძლება ითქვას, არის გაუარესებული საბჭოური მოდელი, სადაც რაღაც მინიმალური შერჩევის მექანიზმი მაინც არსებობდა. **ამ სისტემას, ბუნებრივია, არაფერი საერთო არ აქვს მმართველი პარტიის მიერ ყბადაღებულ ტერმინ „დემოკრატიასთან“, რაც ბერძნულად „ხალხის მმართველობას“, ანუ თვითმმართველობას ნიშნავს.**

ლათინურად თვითმმართველობა ითარგმნება როგორც „ავტონომია“. დამოუკიდებლობის გარიჟრაჟზე საქართველოს რღვევა სწორედ ეროვნული უმცირესებისთვის სრულ თვითმმართველობაზე უარის თქმით დაიწყო და არა უსუსური თავის მართლებით რაღაც „ნელი მოქმედების ნაღმების“ შესახებ. შედეგად სისხლიანი ეთნოკონფლიქტების შემდეგ ჩვენ სამიდან ორი ავტონომია ჯერ დე ფაქტო, ხოლო სააკაშვილის დახმარებით თითქმის დე იურე დავკარგეთ, ყოველ შემთხვევაში, დიდი ხნით მაინც. მესამე ავტონომიაში სისხლისღვრა რომ არ მოხდა, ამაში, პირველ ყოვლისა, მისი მაშინდელი ერთპიროვნული ლიდერის დამსახურებაა, რომელმაც ჩოლოქზე საიმედოდ გადაკეტა აჭარის კარები, თუმცა პიროვნულად ბოლოს ამან მაინც არ უშველა.

პირდაპირი წესით ქალაქის მერის არჩევა მთელი ამ ხნის განმავლობაში ტაბუდადებული თემა იყო. მარტო აჭარაში ასლან აბაშიძემ (უნდოდა რა თავისი ვაჟი როგორმე პოლიტიკით დაინტერესებინა) შემოიღო ბათუმის მერის „პირდაპირი წესით არჩევა“ და გიორგი აბაშიძეც პირველი „არჩეული“ ქალაქის მერი გახდა საქართველოში. ევროსაბჭოს თვალში კი, სადაც აჭარა რეგიონთა ასამბლეაში იყო გაწევრიანებული, ეს ავტონომია „დემოკრატიის ოაზისად“ იქცა უნიტარულ საქართველოში, რამაც არა მარტო ქვეყნის მაშინდელი მმართველი გააღიზიანა, არამედ — მისი მომავალი მემკვიდრე და პოლიტიკური შვილობილიც.

სააკაშვილის ხელისუფლებაში „დემოკრატიული“ ლოზუნგებით მოსვლის შემდეგ ბევრი ელოდა, რომ მოხდებოდა თვითმმართველობის ელემენტარული პრინციპების დამკვიდრება მაინც, მაგრამ მან, პირველი რაც გააკეთა, აჭარას ავტონომია დე ფაქტო წაართვა (რაც ყარსის 1922 წლის ხელშეკრულების დარღვევა იყო) და ბათუმის მერის პირდაპირი წესით არჩევა გააუქმა. ამის შემდეგ პარლამენტი იღებს კანონს „თვითმმართველობისა და მმართველობის“ შესახებ, სადაც ტერმინი თვითმმართველობა სრულიად უადგილოა, ვინაიდან მისი ის მინიმუმიც, რაც მანამდე არსებობდა, გაუქმდა. ხოლო ბოლო თვითმმართველობის ფიქტიური არჩევნების დროს სააკაშვილმა ცინიკურად განაცხადა, რომ **„რად გინდათ თბილისის არჩეული მერი; ვთქვათ, ოპოზიციის წარმომადგენელმა გაიმარჯვა. ბიუჯეტი ხომ ჩემს ხელშია** (და არა პარლამენტის და ფინანსთა სამინისტროს! — **რ.კ.**)?! **თბილისს ფულს არ მივცემ და იჯდეს მერი უფულოდ, თუ მე არ დამემორჩილება!“**

**სიტუაცია ოპოზიციის შარშანდელი ასდღიანი საპროტესტო აქციების შემდეგ შეიცვალა, როდესაც სააკაშვილი თბილისში ფეხის დადგმას ვერ ბედავდა და არც პარლამენტი და არც მთავრობა არ ფუნქციონირებდნენ.** ჯერ სააკაშვილმა ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი ლევან გაჩეჩილაძე დაიბარა შავნაბადაზე (უფრო ახლოს თბილისში ვერ შემოდიოდა) და მას პირდაპირ შესთავაზა თბილისის მერობა. ამის მიზეზი იყო ის ფაქტი, რომ **2008 წლის 5 იანვრის არჩევნებში პრაქტიკულად მთელმა თბილისმა უარყო სააკაშვილი და გაჩეჩილაძეს მისცა საპროტესტო ხმა. „გრეჩიხამ“ ამ შეხვედრის შემდეგ „მაესტროს“ ღია ეთერში გაახმიანა ეს შეთავაზება და სააკაშვილი იძულებული გახდა, რაღაც ახალი მოეგონა.** და მართლაც, მან ოპოზიციას სატყუარა შეუგდო თბილისის მერის პირდაპირი და, ასევე, ვადამდელი თვითმმართველობის არჩევნების შესახებ. თუმცა სახელისუფლო ტელევიზიებში მისმა ხელდასმულმა ე.წ. ექსპერტებმა ვერ ახსნეს, თუ რატომ უნდა იყოს მარტო თბილისში პირდაპირი არჩევნები და არა სხვა ქალაქებში. ამავე დროს სააკშვილმა გასცა ბრძანება მისგან მოძულებული დედაქალაქიდან (ეს გრძნობა ორმხრივია) პარლამენტის ქუთაისში გადატანის შესახებ, თვითონ კი, როდესაც საზღვარგარეთ არ არის, სულ უფრო მეტ დროს ატარებს ასლან აბაშიძისთვის წართმეულ ბათუმში. იქ ის თავს დაცულად გრძნობს, ვინაიდან იქ, პრაქტიკულად, ყველა ბიზნესი თურქების ხელშია, როგორც ეს იყო საუკუნეების განმავლობაში, ვიდრე 1878 წელს რუსეთმა არ წაართვა ის ოსმალეთის იმპერიას; ხოლო ბათუმის აეროპორტი პირდაპირ შიდა თურქულ აეროპორტად არის ოფიციალურად დაფიქსირებული.

სამწუხაროდ, ოპოზიციის ერთი ნაწილი წამოეგო ამ სატყუარას და მთელი თეორიაც ჩამოყალიბდა, რომ სწორედ ამ არჩევნებით მოხდებოდა სააკაშვილის ავტორიტარული, ანტი-დემოკრატიული რეჟიმის დემონტაჟი. თითქოს ეს სატყუარა საკმარისი არ იყოს, **სააკაშვილმა ოპოზიციას ოსტატურად შეუგდო კიდევ ერთი სატყუარა – „პრაიმერის“ იდეა ერთიანი ლიდერის გამოსავლენად. ეს ამერიკული ინსტიტუტი კარგად მუშაობს იმ ქვეყანაში, სადაც ორპარტიული სისტემაა და ამომრჩევლები დაფიქსირებული არიან ამ ორიდან ერთ-ერთის მხარდამჭერად. ამიტომ ადვილია, თითოეულმა პარტიამ თავის ოფიციალურ ამომრჩევლებში ჩაატაროს შიდაპარტიული „კონკურსი“ და აირჩიოს პრეზიდენტობისა და ვიცე-პრეზიდენტობის ყველაზე ძლიერი კანდიდატები. მაგრამ ჩვენთან ეს სრული აბსურდია – ვინაიდან იურიდიულად არ არიან დაფიქსირებული ამა თუ იმ ოპოზიციური პარტიის ამომრჩევლები და უმეტესობა ვერც არჩევს ამ პარტიებს, ამ შემთხვევაში როგორ გაარჩევენ, თუ ვინ მივიდა ამ პრაიმერზე.** ხომ ადვილად შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ იქ, ძირითადად, მივლენ მმართველი პარტიის აქტივისტები, რომლებიც შეგნებულად შეეცდებიან, გაამარჯვებინონ ყველაზე სუსტ და არა „ქარიზმატულ“ კანდიდატს – ჩვენი ამომრჩეველი ხომ სწორედ „ქარიზმაზეა“ ორიენტირებული, თუმცა ეს ტერმინი ყველას სხვადასხვანაირად ესმის.

მაგრამ პრაიმერის იდეას მხოლოდ რამდენიმე ძალიან პატარა პარტია გამოეხმაურა, თუმცა **ხელისუფლებას მეტიც არ უნდოდა – მან მოსახლეობას თავში ჩაუნერგა, რომ ოპოზიცია ერთიან ლიდერზე ვერ თანხმდება და ამიტომ მიდის ამ პრაიმერზე და სოციოლოგიურ გამოკითხვაზე.** ეს უკანასკნელი კი ისევე არასაიმედო და უაზროა, ვინაიდან შემკვეთის მითითებით მისი „მზელავი“ ქოთანს ყურს საითაც უნდა, იქ მოაბამს. თანაც **ანტირუსული ისტერიის ფონზე მოსახლეობის თვალში პრაიმერის იდეის ავტორად სწორედ ნოღაიდელი გამოიყვანეს და მთელი ოპოზიციაც პრომოსკოვურად მონათლეს. ეს კი სწორედ იმ ხაზის გაგრძელებაა, რაც უნიჭო სცენარით 13 მარტს „იმედის“ ეთერში ვიხილეთ, რომ ქართული არმიის ხუთი ბრიგადიდან ორი პრორუსული „სახალხო მთავრობის“ მხარეს გადავიდა!**

თუ გავითვალისწინებთ, რომ 5 იანვრის ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნების დროს 22 პრეზიდენტობის მოსურნე კანდიდატი გვყავდა, მერობის მოსურნე ამ მომენტისათვის ჯერჯერობით მხოლოდ 8 დაფიქსირდა. ეს, ალბათ, იმიტომ, რომ ყველა ელოდა დღევანდელი დანიშნული მერის, გიგი უგულავას სახელისუფლო რესურსის გამოყენებით უპირობო გამარჯვებას. მაგრამ სიტუაცია ბოლო მომენტში სრულიად რადიკალურად შეიცვალა (ამაზე ქვემოთ). ასე რომ, ამ მომენტისათვის გვაქვს ან ველოდებით ასეთ სურათს:

**ნაცმოძრაობის — ? (სამშაბათს უნდა დასახელდეს. — რ.კ.);**

**ქრისტიან დემოკრატების – გია ჭანტურია;**

**„ალიანსის“ – ირაკლი ალასანია;**

**„პრაიმერისტების“ — ? (9 აპრილს დასახელდება);**

**„მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ — გოგი თოფაძე;**

**„მწვანეების“ — გია გაჩეჩილაძე;**

**„სახალხო-დემოკრატების“ – ივანიშვილი;**

**თორთლაძის „პარტიის“ – დავით იაკობიძე.**

არ არის გამორიცხული, ეს სია გაიზარდოს, თუმცა უნდა გავითვალისწინოთ, რომ **მერის არჩევნებში მონაწილეობაზე უარი თქვეს ყველაზე ცნობილმა ოპოზიციურმა პარტიებმა და პირ-** ▶

◀ **ოვნებებმა, რომელთათვის მთავარია ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნები, ხოლო ამ არჩევნებს წინასწარ გაყალბებულს უწოდებენ, ანუ (ანბანის მიხედვით): ბურჯანაძის პარტია, „ეროვნული ფორუმი“, ლეიბორისტები, სალომე ზურაბიშვილი და ა.შ. მათ მიაჩნიათ, რომ ამ არჩევნებში მონაწილეები ხელისუფლების წისქვილზე ასხამენ წყალს.**

ანუ მივედით ახალ რეალობამდე – როგორც ვთქვით, 5 იანვრის არჩევნებში ლევან გაჩეჩილაძე („გრეჩიხა“) საპროტესტო ხმებით პირწმინდად ნოკაუტით უგებს სააკაშვილს თბილისში, ხოლო 9 ივნისს შინაგან საქმეთა სამინისტროს გარშემო ოპოზიციონერთა მხარდამჭერი მოსახლეობის მიერ გაკეთებული „ჯაჭვის“ დროს სააკაშვილი ეძახის მას და თბილისის მერის პოსტს სთავაზობს, რაზეც ის მაშინ უარს ეუბნება. შემოდგომიდან კი ნათელი ხდება, რომ გიგი უგულავა იწყებს უპრეცედენტო და ეფექტურ საარჩევნო კამპანიას, რის შედეგადაც სააკაშვილის წინააღმდეგ მიცემული საპროტესტო ხმების დიდი ნაწილი, რომლებიც გაჩეჩილაძემ წაიღო, მან გაანეიტრალა. და მერობის კანდიდატების დასახელებისთვის დადგენილ თარიღთან მივედით, არაორდინალურ სიტუაციამდე – **შარშან ყველასთვის ნათელი იყო, რომ თბილისის მერობას ორი მთავარი კანდიდატი შეეჭიდებოდა: ხელისუფლებიდან — გიგი უგულავა, ხოლო ოპოზიციიდან – ლევან გაჩეჩილაძე, მაგრამ ქართული პოლიტიკა ისევე ცვალებადია, როგორც მარტის ამინდი. და მარტის ბოლო დღისთვის, როდესაც, წესით, ყველაფერი უნდა ვიცოდეთ — თუ მართლა მივდივართ ამ არჩევნებზე, არც ერთი ამ ფავორიტის კანდიდატურა ჯერ არ დასახელებულა!**

ყველაზე დიდი ინტრიგა სულ ბოლო დღემდე იყო თბილისის ამჟამინდელი მერი გიგი უგულავა. საქმე ისაა, რომ თავიდან, „ალიანსის“ გარდა, არავის არ ეპარებოდა ეჭვი მის გამარჯვებაში. ის კი, უკვე ექვსი თვეა, ეწევა საარჩევნო კამპანიას, მაგრამ აქ იყო დიდი „მაგრამ“ — **მისი კამპანია სულ უფრო ჰგავდა საპრეზიდენტოს და, ვინაიდან ის თბილისის მერობის კანდიდატად არავის დაუსახელებია, ხოლო ყველა სახელისუფლო ტელეარხი მას ყოველდღე თავის ყველა საინფორმაციო გამოშვებაში აჩვენებს, ყველგან — თბილისიდან შორს მას სწორედ მომავალ პრეზიდენტად აღიქვამენ. ეს კი სულ უფრო აღიზიანებს სააკაშვილს, რომელსაც ასევე წინ უდევს მისივე პარტიის მიერ ჩატარებული საიდუმლო გამოკითხვის მასალები, რომელშიც აშკარად ჩანს, რომ „წყნარ და საქმიან“ უგულავას გაცილებით უფრო მაღალი რეიტინგი აქვს, ვიდრე „აჟიტირებულ და არაადეკვატურ“ სააკაშვილს. და ამან გამოიწვია ნაცმოძრაობის თითქოს ერთიანი გუნდის ორ ბანაკად გახლეჩა.**

უგულავას წყალივით სჭირდება ხალხის მიერ პირდაპირი წესით არჩეული თბილისის მერის სტატუსი – ეს მისთვის იქნებოდა ტრამპლინი ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნების საშუალებით ქვეყნის პრეზიდენტობამდე. მაგრამ ეს კარგად ესმით სააკაშვილის სულ უფრო შეთხელებულ გუნდშიც და უგულავაზე კომპრომატების შეგროვებაზე არიან გადასულნი, რასაც შემდეგ ოპოზიციას შეუგდებენ გამოსაქვეყნებლად. მაგრამ არც უგულავა არის გაჩერებული – ბოლო დრომდე თუ ის ტელეარხებს აკონტროლებდა (ამას მისივე ნაცებმა მოუღეს ბოლო), ახლა მან საკუთარი სტამბა გახსნა, ხოლო სხვა სტამბებში საგადასახადო შევიდა. ამით უგულავა ცდილობს, ბეჭდვით მედიაზე დააწესოს მონოპოლია და აკონტროლოს იგი.

**უგულავას ზურგს უკან ბოლო დროს იყო კომპრომისის ძებნის მცდელობა და ნაცმოძრაობის ყველასათვის მისაღები კანდიდატის ძებნა. მაგრამ ნაცმოძრაობას რეიტინგური კანდიდატი რომ არ ჰყავს, ეს მათ გარდა ყველამ იცის.** არის იდეა, თბილისის ერთ-ერთ ახალგაზრდა მაჟორიტარზე და წარმატებულ ბიზნესმენზე დაედოთ ფსონი. მაგრამ ნაცების მიერ წინა საპარლამენტო არჩევნების დროს გადაბირებულმა არც ერთმა ბიზნესმენმა პოლიტიკაში არ გაამართლა – პარლამენტარის მანდატის სანაცვლოდ მათ ჯერ დიდი ფული დაადებინეს, შემდეგ ბიზნესებიც დაატოვებინეს (მათ ის თავიანთ ახლობლებზე გადააფორმეს), მაგრამ მაინც დაკარგეს (ყველაზე საუკეთესო მაგალითია „სახალხო ბანკის“ ყოფილი პრეზიდენტი, ერთ-ერთი ყველაზე საუკეთესო ახალგაზრდა ფინანსისტი გოგუაძე, რომელიც დღეს რიგითი პარლამენტარია, მისი ბანკი კი ლადო გურგენიძემ მიისაკუთრა!). **მაგრამ, თუ ვინ იქნება ნაცმოძრაობის მერობის კანდიდატი, ბუნებრივია, ვხვდებით, რომ საბოლოო სიტყვა ვანო მერაბიშვილს ეკუთვნის.**

აქ შეიქმნა საინტერესო სიტუაცია – სააკაშვილი მიხვდა, რომ, უგულავას საპრეზიდენტო ამბიციების მოთოკვის შემთხვევაში, ნაცმოძრაობას რეიტინგული მერობის კანდიდატი არ ჰყავს. აქ მან ახალი, თავისი აზრით, ეშმაკური კომბინაცია მოიფიქრა – ყველას უთხრა, რომ საჭირო იყო ალასანიას ჩაძირვა, რომ მას მეორე ადგილიც კი ვერ მიეღო და მმართველი გუნდი დაითანხმა, მეორე ადგილი ქრისტიან-დემოკრატების კანდიდატს რომ აეღო. ამავე დროს **სააკაშვილს გაახსენდა, რომ აზერბაიჯანის პრეზიდენტმა თავის დროზე მას სთხოვა, რომ საქართველოში დაბრუნების ნებართვა მიეცა ალიევის მეგობრის — გია ჭანტურიასთვის, რომელიც ინტერპოლის წითელი ცირკულარით იყო ძებნილი და რომელსაც სააკაშვილის ახალგაზრდა ნაცებმა თავის დროზე მთელი ქონება წაართვეს. სააკაშვილს ჭკუაში დაუჯდა ეს იდეა და მყარი პერსონალური გარანტიების მიცემით ჭანტურია საქართველოში ჩამოიყვანეს და თბილისის მერობას თუ არა, მეორე ადგილზე გასვლის შემთხვევაში პრემიერ-მინისტრობას შეჰპირდნენ. სააკაშვილი მიხვდა, რომ ამით ორ კურდღელს დაიჭერდა (მიუხედავად იმისა, რომ ორ კურდღელს ვერავინ ვერ იჭერს) – უგულავას მერობას წაართმევდა, ხოლო მერე ევროსაბჭოსა და სახელმწიფო დეპარტამენტს წაეტრაბახებოდა – დედაქალაქის მერი ოპოზიციური პარტიიდან არის და ეს, მიუხედავად იმისა, რომ ჭანტურია უპარტიოა და პოლიტიკური ამბიციები არ აქვსო!** არადა, სწორედ ეს უკანასკნელი ფაქტორია სააკაშვილისათვის ყველაზე მიმზიდველი. და გაჩნდა ჭანტურიას უზარმაზარი ბანერები, სადაც ვითომ ფასების სახით სულ სამი ციფრია მოყვანილი – 10, 5 და 0. 10 ხომ ქრისტიან-დემოკრატების სარეგისტრაციო ნომერია, 5 – ნაცების, ხოლო ყველა დანარჩენებისათვის — ლამაზი ნული, ანუ არაფერი!

**ის რომ ხელისუფლება ღელავს ამ არჩევნების გამო, გამოჩნდა „რუსთავი 2“-ზე გასული სიუჟეტით, თითქოს საქართველოში ამერიკელთა სამხედრო ბაზა უნდა განთავსდეს! რა უნდათ მათ ამითი თქვან? ის, რომ საქართველოს რუსეთთან კიდევ ერთი ომის შემთხვევაში ამერიკა ჩვენ დაგვეხმარება? ამერიკელებმა უკვე მეათეჯერ თუ მეასეჯერ უარყვეს ასეთი იდიოტური ვარიანტი.** მათ არავითარი სურვილი არ აქვთ, მონაწილეობა მიიღონ ასეთ ავანტურაში, რასაც ეწოდება საქართველოს ტერიტორიაზე სამხედრო ბაზების განთავსება. ჩვენს ტერიტორიაზე არის უკვე სამი რუსული ბაზა, რომლებიც ფაქტობრივად სააკაშვილმა შემოაყვანინა. **ამერიკელებს უკვე იმდენი თავის ტკივილი აქვთ შუა აღმოსავლეთში (ერაყი, ავღანეთი, ირანი და ა.შ.) სააკაშვილი კი მათ სთავაზობს წამალს ძველი ცინიკური გამოთქმის მიხედვით: თავის ტკივილის ყველაზე კარგი წამალია გილიოტინა! რას იზამთ, ავადმყოფი სააკაშვილი მაინც აგრძელებს 13 მარტის სცენარის ცხოვრებაში დანერგვას!** მან იცის, რომ დასავლეთში ის უკვე ჩამოწერეს და ახლა, ცოტა ხნით მაინც, რაღაც „პატარა ჭუჭყიანი ომი“ თუ გადაარჩენს. მაგრამ იმედი მაქვს, რომ მის ახლოს აღმოჩნდება ერთი-ორი ადამიანი, რომლებიც მას გრძელსახელოებიან, უკან შესაკვრელ თეთრ პერანგს გადააცვამენ, ხოლო მის პალატას მიაკრავს მსოფლიოში ცნობილ ფოტოს, რომელზეც მიშიკომ სტალინის მშობლიურ მიწას აკოცა!

მაგრამ დავუბრუნდეთ „ჩვენს მამიდას“. თუ ზემოთ ნახსენები სცენარი არ განვითარდა, მაშინ იწყება ყველაზე საინტერესო პერიოდი – უხვი დაპირებებისა და ჭუჭყიანი კომპრომატების დრო.

გავიხსენე, რომ ახალგაზრდობაში სოციოლოგი ვიყავი და თბილისის ქუჩებში ოპოზიციის მერობის კანდიდატებზე მოვაწყე მინი-გამოკითხვა. ამ (არა შერჩევითმა) გამოკითხვამ ასეთი შედეგი მომცა: **უფრო ახალგაზრდები და ასევე ინტელიგენტი ქალბატონები – ალასანიას ამჯობინებენ; ძირითადად, საშუალო და უფროსი თაობის მამაკაცები – გოგი თოფაძეს, ღიად და დაუფარავად პრორუსული – ნოღაიდელის „პრაიმერისტებს“.**

**რამაზ კლიმიაშვილი**

# რა უნდათ «ნაცებს» ბიბლიოთეკაში?

**ხელისუფლება ისე შევიდა წინასაარჩევნო კამპანიის ეშხში, რომ აღარაფერს თაკილობს. „ნაციონალური მოძრაობა“ და მისი მერობის მოსალოდნელი კანდიდატი ყველა რესურსს იყენებს იმისთვის, რომ უგულავას წინასაარჩევნო კამპანია მაქსიმალურად ეფექტური გახადოს.**




უგულავას მისამართით სულ უფრო ხშირად ისმის ბრალდებები საზოგადოების მხრიდან. თითქმის ყველა სატელევიზიო პროექტსა და თბილისში გამართულ კონცერტს დედაქალაქის ბიუჯეტი აფინანსებს.

როგორც აღმოჩნდა, ხელისუფლება ცდილობს, სხვა რესურსებიც ჩართოს უგულავას გაპიარებაში.

ამ დღეებში ჭავჭავაძის ქ. №24-ში მდებარე აკაკი წერეთლის სახელობის ბიბლიოთეკას მივაკითხე პრესის არქივისთვის გადასახედად. სამკითხველო დარბაზში შესულს უჩვეულო სიტუაცია დამხვდა.

კომპიუტერებით, პრინტერებით, ფაქსისა და ტელეფონის აპარატებით სავსე იყო იქაურობა. ვიფიქრე, უგულავამ წინასაარჩევნოდ ბიბლიოთეკას ტექნიკა უსახსოვრა-მეთქი, მაგრამ შევცდი.

ბიბლიოთეკის ამგვარი სახეცვლილება სინამდვილეში გიგი უგულავას კი უკავშირდებოდა, მაგრამ ა. წერეთლის სახელობის სამკითხველო დარბაზში „ნაციონალური მოძრაობის“ საარჩევნო შტაბი ყოფილა გახსნილი. ამიტომ მისვლისთანავე განმიმარტეს, რომ ვერ ვისარგებლებდი სამკითხველო დარბაზით.

ბიბლიოთეკის ადმინისტრაცია ვერ ხსნის სამკითხველოს სამი თვით გაუქმების მიზეზს. თუმცა ფაქტია, რომ აქ უგულავას მხარდამჭერთა რეგისტრაცია მიმდინარეობს. უგულავასთვის არ არის მნიშვნელოვანი, რომ ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კორპუსებს შუა მოქცეული ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზით ყოველდღიურად ასობით სტუდენტი სარგებლობს.

„ახლა აქტიური სწავლის პერიოდია. ზუსტად იმ დროს არის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები, როდესაც ჩვენ უნივერსიტეტში წინასაგამოცდო მოსამზადებელი პერიოდი გვეწყება. იძულებულები ვართ, წიგნების ქსეროასლები გავაკეთოთ და ისე ვიმეცადინოთ“. სტუდენტების ამ წუხილს აინუნში არავინ აგდებს.

დედაქალაქის ბიუჯეტს მილიონობით ლარი უჯდება წინასაარჩევნო კამპანიის ერთი ნაწილის დაფინანსება, რომელიც თბილისელებისთვის კომპიუტერისა და ინგლისური ენის შესწავლას ითვალისწინებს. სხვადასხვა შენობებში განთავსებული დროებითი საწავლო ცენტრები მთელ ქალაქსაა მოდებული, სადაც ახალგაზრდობა განათლების მიღებას ცდილობს, „ნაციონალური მოძრაობის“ შტაბი კი რატომღაც ბიბლიოთეკაშია გახსნილი.

ნათელია, თუ რაზე ზრუნავს უგულავა და „ნაციონალური მოძრაობა“ — ახალგაზრდების განათლებაზე თუ საკუთარი სავარძლის შენარჩუნება-გამყარებაზე.

**შორენა გოგოლაძე**

## მოკლედ



### გასეირნება ავღანეთში

**ავღანეთში დაუგეგმავი ვიზიტები ბოლო დროს კარგ ტონად ითვლება.** ჯერ ბრიტანეთის პრემიერი ჩავიდა, თალიბებს რაღაც აერიათ და სხვას ესროლეს, თორემ ან გამოასწრებდა ცოცხალი, ან ვერა.

ახლა ობამამ მოინდომა, ჩაჯდა თვითმფრინავში და პირდაპირ ჰამიდ ყარზაის მიადგა რეზიდენციაში. დიდი გზა კი გაიარა, მაგრამ ხელს შევუწყობ ორი ქვეყნის ურთიერთობასო. ამის სათქმელად ნამდვილად ღირდა ჩასვლა. მაისში ყარზაის აშშ-ში ელიან.



### სარკოზი აშშ-ს უტევს

**საფრანგეთის პრეზიდენტი ნიკოლა სარკოზი აშშ-ში იმისთვის ჩავიდა, რომ მასპინძლებისთვის პირისპირ ეთქვა, XXI საუკუნეა და როგორი ძლიერებიც არ უნდა იყოთ, უფლება არ გაქვთ, თქვენი შეხედულებები მთელ მსოფლიოს თავს მოახვიოთო.** მერე კი მოუწოდა, ცოტა ხშირად და მეტი ყურადღებით მოესმინათ ევროპელი პარტნიორებისათვის. იგი იმ „რამდენიმე ასეულ უპასუხისმგებლო ადამიანსაც“ გადასწვდა, სხვის ფულს სურვილისამებრ რომ ექცეოდა და მსოფლიო კრიზისამდე მიიყვანა.



### რუმინეთი აღვაფრთოვანეთ

**რუმინეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა თეოდორ ბაკოვსკიმ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრ გრიგოლ ვაშაძესთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა, რომ აღფრთოვანებულია ჩვენი მიღწევებით,** წარმატებული რეფორმებით და, თუ ასე გავაგრძელებთ, ევროკავშირის ქვეყნებთან ვიზების გამარტივებასაც მივაღწევთ და რუმინეთთან ახალ პროექტებსაც განვახორციელებთ. უახლოეს მომავალში სააკაშვილი რუმინეთში წასვლას გეგმავს, იმედია, ისიც აღფრთოვანდება და მერე იტყვიან, მხარეებს შორის ორმხრივი აღფრთოვანება მიღწეულიაო.



### ორდენოსანი სოლანა

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა საგარეო პოლიტიკისა და უსაფრთხოების საკითხებში ევროკავშირის ყოფილი უმაღლესი წარმომადგენელი ჰავიერ სოლანა საქართველოს სუვერენიტეტისა და სახელმწიფოებრიობის განმტკიცების საქმეში შეტანილი დიდი პირადი წვლილისთვის, ასევე, საერთაშორისო ასპარეზზე საქართველოს ეროვნული ინტერესების მტკიცე მხარდაჭერისთვის „ოქროს საწმისის“ ორდენით დააჯილდოვა. სოლანამ თქვა, მომავალშიც ვიმეგობრებო. ჯერ იმეგობროს და ორდენების მეტი რა გვაქვს.



### ალ-აქსა მიუწვდომელია

ისრაელის ხელისუფლებამ ალ-აქსას მეჩეთთან მისვლა შეზღუდა. ტერორიზმის გააქტიურების შიშით მეჩეთში არ დაიშვებიან 50 წლამდე ასაკის მუსლიმანი მამაკაცები და სხვა კონფესიების არც ერთი წარმომადგენელი. როდის მოიხსნება შეზღუდვები, ჯერ უცნობია. დაიკეტება მდინარე იორდანის დასავლეთ სანაპიროც. ებრაელთა დღესასწაულების დროს ამგვარი ბლოკადა ადრეც განხორციელებულა, მაგრამ ამჯერად გამკაცრებული ზომები ალ-აქსას გამო მომხდარ ბოლოდროინდელ შეტაკებებს უკავშირდება.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო



საავტორო სვეტი

# «ქართული კვალი» და ლატინინას უგუნური დაცვა

**მოსკოვის მეტროს სადგურებში მომხდარ აფეთქებებს თითქოს ლოგიკურად უნდა შეეშფოთებინა წინასაარჩევნო ციებცხელებაშეყრილი ქართული პოლიტიკური სპექტრი, თუმცა მათი ინდიფერენტულობა სიბრიყვის იმ ამპლიტუდაზე მეტყველებს, მუდმივ საფრთხედ რომ იქცა საქართველოს სახელმწიფოებრიობისთვის.**

გულუბრყვილობაა, რიგით ტერორისტულ აქტებად აღიქვა მეტროსადგურებში — „ლუბიანკასა“ და „კულტურის პარკში“ მშვიდობიანი მოქალაქეების უმოწყალოდ ჩახოცვა. ეს უფრო გამოწვევაა, რაც მიზანმიმართულ ხასიათს იძენს. ყურადღება მიაქციეთ „ინტერფაქსის“ დაკვირვებას: ორივე აფეთქება მოსკოვის მეტროს ყველაზე ძველ პირველ ხაზზე მოხდა; ორივე შემთხვევაში მატარებლები ჩრდილოეთისკენ მიდიოდნენ და, რაც კიდევ უფრო ნიშანდობლივია, — მეტროსადგური „ლუბიანკა“ სწორედ იმ ქუჩაზეა, რომელზეც რუსეთის უშიშროების მთავარი უწყებაა განთავსებული.

**„ლუბიანკა“ მხოლოდ უშიშროებასთან ასოცირდება და ტერორისტებმა ამ აფეთქებებით სპეცსამსახურები გამოიწვიეს.** ვისაც ახსოვს მოსკოვში აფეთქებული საცხოვრებელი სახლები, „ნორდ-ოსტი“ და ბესლანის ერთ-ერთი სკოლა, ისიც ემახსოვრება, როგორ პასუხობენ ასეთ გამოწვევებს...

ახლაც ასე მოხდება. **რფ-ის პრეზიდენტმა მედვედევმა განაცხადა, რომ ტერორისტების წინააღმდეგ ოპერაციას უყოყმანოდ და ბოლომდე გააგრძელებენ, პრემიერ-მინისტრი პუტინი კი კატეგორიულია — „ტერორისტები განადგურდებიან!“**

**ძნელი წარმოსადგენი არ არის, სად და როგორ გაანადგურებენ ტერორისტებს. ერთხელ უკვე ითქვა და შესრულდა — В сортире.** ახლაც ასე მოხდება...

ჩვენთვის კი მთავარია, რუსეთის სპეცსამსახურებმა საქართველოსკენ არ გამოიხედონ ეჭვიანი მზერით. არც არავის უხსენებია ჩვენი ქვეყანა, სანამ ჟურნალისტი იულია ლატინინა რუსეთის ხელისუფლებას გააფრთხილებდა — ეს ტერაქტებიც საქართველოს არ დააბრალოთო, რაც ქართველ ექსპერტებს ცუდად ენიშნათ.

**ლატინინას ეს „მეგობრული გამოქომაგება“ ასეც შეიძლება გავიგოთ — ამ ტერაქტებსაც საქართველოს ხომ არ დააბრალებდითო?**

ამის შემდეგ, რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივანმა **ნიკოლაი პატრუშევმა** განაცხადა, რომ შესაძლოა ამ ტერაქტებში „ქართული კვალი“ გამოჩნდეს.

უფრო მეტიც, მისი თქმით, არსებობს ინფორმაცია, რომ ქართული სპეცსამსახურების ცალკეულ თანამშრომლებს კონტაქტი აქვთ ჩრდილოეთ კავკასიის ტერორისტულ ორგანიზაციებთან. — **გამოძიება ამ ვერსიაზეც მუშაობს, რადგან საქართველოს პრეზიდენტისგან ყველაფერია მოსალოდნელი. მან ერთხელ უკვე წამოიწყო ომი და გამორიცხული არ არის, ასეთი რამ კვლავ გაიმეოროს,** — დასძინა პატრუშევმა.

**ამ ფონზე სინანულით უნდა გავუსვა ხაზი იმ ნიშნის მოგებას, რომელიც წითელ ზოლად გასდევს ქართულ სახელისუფლო ტელეარხებზე გასულ სიუჟეტებს – ტერაქტებს კი ვგმობთ, მაგრამ ეს ყველაფერი მოსკოვის მიერ წარმოებული ანტიტერორისტული კამპანიის შედეგია და შაჰიდებმა სპეცოპერაციებისას ლიკვიდირებული მეთაურებისათვის შური იძიესო... მესმის, რომ ეს „შეფარული ქირქილი“ ნაცპროპაგანდის ნაწილია, მაგრამ ასეთი პროპაგანდა, სულ მცირე, უგუნურებაა და, ამასთან — სახიფათო ფარისევლობაც.**

რუსეთის ფედერალური უშიშროების სამსახურშიც კარგად იციან, რომ, თუ მოსკოვის ტერაქტები ბოევიკების ლიდერების ლიკვიდაციის გამო შურისძიებაა, შესაძლოა, 29 მარტის ტერაქტი გამოცხადებული ომის დასაწყისი გახდეს.

ასეთ დროს სიფრთხილე ყველაზე მეტად ჩვენ გვმართებს, რადგან, მიუხედავად პრეზიდენტ სააკაშვილის სამძიმრისა, თუკი დადგინდა, რომ სხვადასხვა ქვეყანაში მომზადებული შაჰიდები ტრანზიტად საქართველოს ტერიტორიას იყენებენ, ქართული სპეცსამსახურები კი ლოგიკით — „ჩრდილოეთისკენ ნებისმიერს გზას დავულოცავთ“ — ხელმძღვანელობენ, მაშინ...

ნუ წარმოვიდგენთ, რა მოხდება მაშინ, რადგან **ჯერ კიდევ არ გაფანტულა ჰექსოგენისა და ტროტილის სუნი მოსკოვის მეტროსადგურებში და ძალიან გამაღიზიანებელია, როცა რუსეთის კავკასიურ პოლიტიკას აკრიტიკებ.** ამით უნებლიეთ ამართლებ იმ ტერორისტებს, ვისაც მშვიდობიანი ადამიანების სისხლითა და თვითმკვლელობით სამოთხეში მოხვედრისა სჯერათ.

ეს არის სამოთხე მკვლელებისთვის.

**ბონდო მძინარაშვილი**

ჯიმი ჯალიაშვილი:

# ყოველ წუთს უნდა ველოდოთ ტერორისტულ აქტებს

**გუანტანამოს პატიმრების საქართველოში ჩამოყვანასთან დაკავშირებით გვესაუბრება პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ჯიმი ჯალიაშვილი.**



**— ბატონო ჯიმი, გასულ კვირას გუანტანამოს ტყვეების საქართველოში ჩამოყვანასთან დაკავშირებით, როგორც ექსპერტთა, ისე პოლიტიკოსთა მხრიდანაც არაერთი განცხადება გაკეთდა და თითქმის ყველამ ერთხმად აღნიშნა, რომ ამ ნაბიჯით საქართველო საფრთხის წინაშე კი არ დგება, არამედ კიდევ უფრო იმყარებს თავის პოზიციას საერთაშორისო პოლიტიკურ ასპარეზზე. თქვენი აზრით, რეალურად რა საფრთხეს შეიცავს საქართველოსთვის ამ ტყვეების მიღება?**

— მე არ ვიცი, ასეთ განცხადებებს ვინ აკეთებს, მაგრამ რომელი ქვეყნის ტყვეები თუ პატიმრები რომელ ქვეყანაში განთავსდება, ამას საერთაშორისო პოლიტიკურ ასპარეზზე არავითარი მნიშვნელობა არ აქვს. მეტიც, ეს საერთოდ არ არის საერთაშორისო ურთიერთობების თემა. ამდენად, მოსაზრება, რომ პატიმრების ჩამოყვანით ჩვენი პოზიციები მყარდება, რეალობას სრულიად მოკლებულია და იმ ადამიანებს, ექსპერტებს, რომლებიც ამას ამბობენ, ვურჩევ, ცოტა აზრზე მოვიდნენ.

რაც შეეხება საფრთხეს, ის, რომ შეერთებული შტატები, ობამას ადმინისტრაცია დღიდან ხელისუფლებაში მოსვლისა ყველანაირად ცდილობს, თავის ტერიტორიაზე არ იყოს არც ერთი ტერორისტი პატიმარი, უკვე ერთმნიშვნელოვნად ცხადყოფს, რაოდენ დიდი საფრთხის შემცველია მათი მიღება ნებისმიერი ქვეყნისთვის. ეს საფრთხე, თავის დროზე, ამერიკამ თვითონ შეუქმნა თავის თავს. დღეს კი თავიდან იცილებს და, ბუნებრივია, ამისთვის თავის სატელიტ ქვეყნებს იყენებს.

გაუგებარია, ჩვენ რა გვიხარია, რატომ გვგონია, რომ, თუ სხვა ქვეყნის, ამ შემთხვევაში, შეერთებული შტატების საფრთხეს ჩვენს თავზე ავიღებთ, თუ ამერიკას თავისი პრობლემების მოგვარებაში ჩვენი ინტერესების უგულებელყოფის ხარჯზე დავეხმარებით, ამით მსოფლიოს თვალში ავმაღლდებით? ან რატომ გვგონია, რომ ტერორისტების განთავსება ჩვენს ტერიტორიაზე ჩვენთვის საფრთხეს არ წარმოადგენს? თუკი თვითონ ამერიკა, მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი სახელმწიფო, თავს ბოლომდე დაცულად არ გრძნობს, თუკი ავღანეთში, ინგლისში თავს ვერ არიდებენ ტერორიზმის საფრთხეს, ჩვენ როგორ აღმოვჩნდით ასეთი ყოჩაღები?! თუ, როგორც ქუჩაში ამბობენ ხოლმე ბიჭები, „ტრიპაჩები“ ვართ?..

დარწმუნებული ვარ, ეს ყველაფერი იმისთვის კეთდება, რომ აქ მუდმივად დაძაბულობა, ქაოსი იყოს, რათა ჩვენმა საზოგადოებამ მუდმივად იგრძნოს საფრთხე და ვერ მოიცალოს სხვა უფრო მნიშვნელოვანი საკითხებისთვის...

## ომი, რომელიც იყო 2008 წლის აგვისტოში, არ ყოფილა რუსეთ-საქართველოს ომი, ეს იყო ომი რუსეთსა და შეერთებულ შტატებს შორის, რომელიც მიმდინარეობდა ჩვენს ტერიტორიაზე...

**— ეს ვის შეიძლება აწყობდეს — ჩვენს ხელისუფლებას თუ შეერთებულ შტატებს?**

— რა თქმა უნდა, ჩვენს ხელისუფლებას. მაშინ, როცა საზოგადოებაში ანტისახელისუფლო განწყობა დღითიდღე იზრდება, როცა ოპოზიციის დიდი ნაწილი რუსეთთან ურთიერთობის დარეგულირების გზებს ეძებს და მოსახლეობაც ამას ეთანხმება, სააკაშვილსა და მის გარემოცვას ერთადერთი გზა რჩება — ხალხის ყურადღება როგორმე სხვა თემაზე გადაიტანონ...

**— ამასწინათ დავით დარჩიაშვილმა განაცხადა, პატიმრების ჩამოყვანით ჩვენ ვაჩვენეთ, რომ საქართველოსაც შეუძლია, დახმარება გაუწიოს თავის პარტნიორებსო...**

— დავით დარჩიაშვილი უსაფრთხოების საკითხების სპეციალისტია და მას კარგად უნდა ესმოდეს, რომ ჩვენთვის გაცილებით უფრო საამაყო იქნება, თუ ჩვენთან ამერიკელი ბიზნესმენები ჩამოვლენ და რამე ინვესტიცირებას გააკეთებენ. თუ ჩამოვა ხალხი, რომელსაც ნამდვილად ადამიანური ურთიერთობა სჭირდება და არა საკუთარი პრობლემების ჩვენთვის გადმობარება... საქართველოს არ ჰყავს მოსაკლავი შვილები. ჩვენ ყოველთვის გვქონდა ძალიან რთული დემოგრაფიული მდგომარეობა და დღეს, როცა ამ თვალსაზრისით ქვეყანაში განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაა, უნდა ვცხვდებოდეთ, რომ ტერორიზმის საფრთხის წინაშე დადგომა ჩვენთვის კატასტროფის ტოლფასია. მეტსაც გეტყვით, ჩვენ არც ავღანეთის ომში უნდა ვმონაწილეობდეთ. ეს უსამართლო ომია და ჩვენგან ეს არანაირ დახმარებად არ ჩაითვლება... უახლოეს ათ წელიწადში დადგება დრო, როცა ამ ომს დაგმობენ, თუმცა ევროპა და მთლიანად მსოფლიოს უდიდესი ნაწილი დღესაც გმობს. ასევე, უსამართლო და დასაგმობია ომი, რომელსაც შეერთებული შტატები აწარმოებს ერაყთან. ჩვენ კი ვამაყობთ, რომ ამ ომში ვმონაწილეობთ... თუ ეს საამაყოა, მაშინ რას ვერჩით იმ ქართველებს, რომლებიც რუსეთის არმიაში მოღვაწეობდნენ? ეს ეხება იგივე პეტრე ბაგრატიონსა და სხვებსაც, ახლა ნომერ პირველ ანტიქართველებად რომ აცხადებენ... მე ვსვამ კითხვას, ისინი უფრო აკეთებდნენ ქართულ საქმეს თუ დღეს ამერიკა უფრო აკეთებს? ან რა ვალი დაგვადო ამ ქვეყანამ ისეთი, რომ მის საამებლად ჩვენს ეროვნულ ინტერესებს ფეხქვეშ ვთელავთ?..

**— ისე, ნათქვამია, „ხელი პირს ჰბანსო“. „ნაცები“, ალბათ, კაი მსუყე დივიდენდებს მოელიან „თეთრი სახლის“ „შავი მამასახლისისგან“ გაწეული სამსახურისთვის. თან ნუ დაგვავიწყდება, წინ ადგილობრივი არჩევნებია...**

— პოლიტიკაში ყველაფერს თავისი ფასი აქვს... სააკაშვილის ხელისუფლებისთვის მთავარი დივიდენდი ის მხარდაჭერაა, რომელსაც მას ამერიკის წინა პრეზიდენტის ადმინისტრაცია უწევდა და ნაწილობრივ ამჟამინდელიც უწევს. არ ვგულისხმობ მხოლოდ ფინანსურ მხარდაჭერას, თუმცა თქვენ არჩევნები ახსენეთ და ამ შემთხვევაში ყველაზე მთავარი სწორედ ფინანსებია. ამის გარდა არსებობს მხარდაჭერის სხვა ფორმებიც. მაგალითად, არჩევნების შედეგის ლეგიტიმაცია. ანუ ეს რას ნიშნავს — თუნდაც მომავალი არჩევნები ტოტალურად რომ გაყალბდეს, თუნდაც, რომ ამ გაყალბების მასშტაბი იყოს ყვე- ▶

## მოკლედ



## ვინ უშველის საბერძნეთს?

**ბრიუსელში ევროკავშირის სამიტზე საბერძნეთის გადარჩენის საკითხი დიდი ტანჯვა-უბედურებით განიხილებოდა.** მიდგომა დაახლოებით ისეთი იყო, როგორიც ბირთვული იარაღის მიმართ — თუ არის, კარგია, მაგრამ უფრო კარგი იქნება, თუ არასდროს არავინ გამოიყენებს — უნდა დავეხმაროთ, მაგრამ არა მე და არა ახლა.

გერმანია და ჰოლანდია ისევ იმ აზრზე არიან, რომ საბერძნეთი მეზობლებში ხელგაწვდილ სიარულს უნდა მოეშვას და ფული ოკეანის გაღმა ითხოვოს.



## ნატოში ნაწილ-ნაწილ

**ბრიუსელში პრეზიდენტ სააკაშვილთან შეხვედრისას ნატოს მდივანმა რასმუსენმა პირობა დადო, რომ აუცილებლად გვესტუმრებოდა, მაგრამ ნატოში როდის მიგვიღებს, ამაზე არაფერი უთქვამს.** სამაგიეროდ, გვითხრა, რომ ნატოს კარი ჩვენთვის კვლავაც ღიაა. სააკაშვილმაც პატიოსნად იხადა მადლობები ამ ჯერ კიდევ ღია კარისთვის.

მერე, ალბათ, იფიქრა, ეს კარი თუ ღიაა, რატომ ვერ უნდა შევიდეო და იქვე იპოვა გამოსავალი — ოსეთისა და აფხაზეთის გარეშეც შეიძლება ნატოში შესვლაო.




## „Daimler AG“-ი მახეში გაება

**„მაიბახებისა“ და „მერსედესების“ მწარმოებელი გერმანული ავტოკონცერნი „Daimler AG“-ი სახელმწიფო კონტრაქტების სანაცვლოდ სხვადასხვა ქვეყნის ჩინოვნიკებს ქრთამს აძლევდა.** ვაშინგტონის სასამართლოში შესულ სარჩელში წერია, რომ 1998-დან 2008-წლამდე ქრთამი 22 ქვეყნის ოფიციალურმა პირებმა აიღეს.

შედეგად, „Daimler AG“-ის შემოსავალი, სულ მცირე, 50 მილიონი დოლარით გაიზარდა. ახლა კი სასამართლოსგან თავის დასაძვრენად 185 მილიონის გადახდა მოუწევს.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

◀ლაზე დიდი, რაც კი ოდესმე საქართველოში ყოფილა, თუ შეერთებული შტატები ამაზე თვალს დახუჭავს და იტყვის, იცით რა, დარღვევები იყო, მაგრამ საერთო ჯამში არჩევნები მაინც ობიექტურად ჩატარდაო, ჩათვალეთ, რომ სააკაშვილს ხმას ვერავინ აუწევს. ეს ასეც იქნება და სწორედ ეს არის ის დივიდენდი, რასაც „ნაციონალური მოძრაობა“ „თეთრი სახლისგან“ მიიღებს.

...ჰანტინგტონი ამბობს, იქ, სადაც მოსახლეობა სოციალურად დაუცველია, დემოკრატიაზე ლაპარაკი ზედმეტია. ეს ჩვენმა ხელისუფლებამაც კარგად იცის და მისმა უმთავრესმა პარტნიორმა — შეერთებულმა შტატებმაც, მაგრამ მათ, უბრალოდ, არ აინტერესებთ აქ დემოკრატიის განვითარება. მათი ერთადერთი ამოცანაა, საქართველოს ჰყავდეს ისეთი ხელისუფალი, რომელიც უსიტყვოდ შეასრულებს მათ მითითებებს, თუნდაც ყველაზე სახიფათოს და ჩვენს ეროვნულ ინტერესებთან აბსოლუტურად შეუთავსებელს. ყველაზე ცუდი კი ის არის, რომ, ადრე თუ გვიან, ეს ყველაფერი თავის ადეკვატურ შედეგს მოიტანს და დამთავრდება თუ არა ერაყის, ავღანეთის ომი, საქართველო საერთაშორისო მასშტაბით გაიკიცხება იმ ყველაფრის გამო, რასაც დღეს სააკაშვილის ხელისუფლება აკეთებს.

**— ჩვენი მეზობელი სახელმწიფოებისთვის რამდენად მისაღებია ტერორისტი პატიმრების საქართველოში ჩამოყვანა? პირველ რიგში, ეს ეხება თურქეთს, რომელმაც ახლახან ელჩი გამოიწვია ვაშინგტონიდან იმის გამო, რომ „თეთრი სახლი“ სომხების გენოციდის აღიარების მომხრეა, და აზერბაიჯანსაც, რომელსაც ყარაბაღის კონფლიქტის მოსაგვარებლად ჰაერივით სჭირდება რეგიონში სტაბილურობა?**

— არც ერთი ქვეყნისთვის ეს მისაღები არ არის და ამაში უმარტივესი ლოგიკაა — არავის არ სჭირდება თავის ტერიტორიაზე ბომბი... თურქეთი „ნატოს“ წევრი ქვეყანაა და, შესაბამისად, ამერიკის ყველაზე ახლო პარტნიორი ამ რეგიონში, მაგრამ ლაპარაკიც არ ყოფილა იმაზე, რომ პატიმრები იქაც განთავსებულიყო. რატომ? იმიტომ, რომ ოფიციალური ანკარა ყველა საერთაშორისო შეხვედრაზე მკაფიოდ აფიქსირებს თავის პოზიციას, რაც მდგომარეობს იმაში, რომ მისთვის უმთავრესი მისი ეროვნული ინტერესებია. ჩვენ ერთი სული გვქონდა, როდის მივიღებდით პატიმრებს. არიქა, ვინმემ არ დაგვასწროსო, სასწრაფოდ ჩამოვარბენინეთ... ყველაფერში ასე ვართ, — ჩვენ ყველაზე ადრე დავანებეთ თავი საკავშირო ჩემპიონატს ფეხბურთში, ყველაზე პირველები გამოვეხმაურეთ იმ სისულელეებს, რაც ბოლო ათ წელიწადში საერთაშორისო ასპარეზზე მოხდა. ერთი სიტყვით ყველას ყველაფერს ვასწრებთ, მაგრამ შედეგებით ვართ ყოველთვის ბოლო.

ჩვენ პირველებმა გამოვუცხადეთ ბოიკოტი რუსეთს და დავიწყეთ მასთან ულტიმატუმებით ლაპარაკი. მაჩვენეთ, მსოფლიოს ისტორიაში დამარცხებული ერთი ქვეყანა, რომელიც ულტიმატუმებს უყენებდეს გამარჯვებულს და თანაც ეს გამარჯვებული ქვეყანა ყველაფერს აკეთებდეს იმისთვის, რომ მოგვარდეს ურთიერთობა. ჩვენს საზოგადოებას უნდა ესმოდეს, რომ ის ომი, რომელიც იყო 2008 წლის აგვისტოში, არ ყოფილა რუსეთ-საქართველოს ომი, ეს იყო ომი რუსეთსა და შეერთებულ შტატებს შორის, რომელიც მიმდინარეობდა ჩვენს ტერიტორიაზე...

**— თქვენი აზრით, რა შეიძლება მოხდეს ყველაზე უარეს შემთხვევაში, ანუ არსებობს თუ არა ტერორისტული აქტების საფრთხე?**

— ეს საფრთხე რომ არსებობს, სწორედ ამიტომ მოიცილა ამერიკამ ეს ადამიანები, ანუ მარტივად რომ ვთქვათ, საფრთხე არსებობს კი არა, ყოველ წუთს უნდა ველოდეთ ტერორისტულ აქტებს; მე არ ვაჭარბებ, ეს ფაქტია — ტერორისტმა სააკაშვილმა ქვეყანაში ტერორისტები დააბუდა და აწი თქვენ თვითონ წარმოიდგინეთ, როგორ შეიძლება განვითარდეს მოვლენები...

ისე, გარკვეულწილად ჩვენი საზოგადოებაც უამრავ შეცდომას უშვებს. ყველაზე დიდი შეცდომა კი ის არის, რომ ხშირად ისეთ დროს ვყვირით, როცა საყვირალი არ არის, ხოლო როცა გულზე მჯიღს უნდა ვიცემდეთ, გასუსულები ვზივართ. აი, დიდწილად ამანაც განაპირობა ხელისუფლების არაადეკვატურობა, თვითნებობა, რომელსაც უფსკრულისკენ მიჰყავს ქვეყანა და რომელიც, ვინმემ თუ არ შეაჩერა, საბოლოოდ გააცამტვერებს საქართველოს...

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**





# როცა რევოლვერში ყველა ტყვია დევს...

**29 მარტს, დილის 7 საათსა და 45 წუთზე მოსკოვის მეტროს სადგური „ლუბიანკა“ ძლიერმა აფეთქებამ შეაზანზარა — ბომბი სამგზავრო მატარებლის ვაგონში აფეთქდა. დაახლოებით ერთი საათის შემდეგ იგივე განმეორდა სადგურ „კულტურის პარკშიც“. დაიღუპა 39 და დაიჭრა ასამდე ადამიანი, მათგან 26 მძიმედაა.**



აფეთქებების ექომ რამდენიმე წუთში მთელ დედამიწას შემოურბინა, ასეულობით მილიონი ადამიანი დაამწუხრა და ააფორიაქა.

რუსეთის ხელისუფლებამ დაღუპულთა პატივსაცემად 30 მარტი ქვეყნის მასშტაბით გლოვის დღედ გამოაცხადა.

ოპერატიულად გავრცელდა ინფორმაცია, რომ რუსეთის სამართალდამცავმა და სპეციალურმა სამსახურებმა უკვე დაადგინეს ტერაქტის შემსრულებლები — ორი „კავკასიური გარეგნობის“ პირი, სავარაუდოდ, ჩეჩნური წარმოშობის ე. წ. შაჰიდი (**არაბ. ბრძოლაში დაცემული, წამებული, მსხვერპლი**).

ტერორი, ანუ პოლიტიკური მოწინააღმდეგის დაშინება ძალადობის გზით სათავეს უხსოვარ წარსულში იღებს. თუმცა კარგად ორგანიზებული ტერორისტული ორგანიზაციის შექმნის „პატივი“ სამართლიანად ეკუთვნის „მთიელ პაპას“ (горный старец), დღესაც ათასი ლეგენდის ბურუსში გახვეულ **ჰასან იბნ საბაჰს**, ოდესღაც ალამუთის ციხეთა კასკადის მრისხანე მბრძანებელს, თავზეხელაღებული ფიდაების (**არაბ. თავგანწირული, საკუთარი თავის მსხვერპლად მიმტანი; პარტიზანი**) მთელი ლეგიონების შემქმნელსა და წინამძღოლს.

„მთიელი პაპის“, ჰასან იბნ საბაჰის მიმდევრები საკუთარ თავს ასასინებს უწოდებდნენ. განათლებული მსოფლიო მათ დღესაც ამ სახელით იცნობს. მეთერთმეტე საუკუნის მიწურულს, შიიტური ისლამის ისმაილიტურ მიმდინარეობაში დოგმატურ საკითხებზე (რასაც, ბუნებრივია, საფუძვლად პოლიტიკური უთანხმოება ედო) წარმოიშვა მწვავე დაპირისპირება, რასაც ახალი ისმაილიტური მიმდინარეობის, ასასინების შექმნა მოჰყვა.

ტრადიციულად, ტერმინ „ასასინის“ წარმოშობას ჰაშიშს (**არაბ. ნაზი, მსხვრევადი, სურნელოვანი, მხიარული...**) და ჰაშიშის მწეველს უკავშირებენ, რაც, ჩემი აზრით, მთლად ზუსტი განმარტება არ უნდა იყოს. მართალია, არაბულ ენაში არის ზმნა „ჰაშშა“ (იყო მხიარული, იცინოდა), მაგრამ, ამავე დროს, **არის ზმნა „ასსასა“ (დააფუძნა, ფუნდამენტი ჩაუყარა) და მისგან წარმოშობილი არსებითი სახელი „ასასიუნ“, რაც დამფუძნებელს, ფუნდამენტალისტს, მეთვალყურეს, დარაჯს, დამცველს ნიშნავს.**

ტერმინი „ასასი“ ქართულ ენაშიცაა დღემდე შემონახული და ღამის დარაჯის, ყარაულის, მეთვალყურის აღსანიშნავად გამოიყენება.

**სწორედ ამიტომ მიმაჩნია, რომ თანამედროვე მსოფლიოში ტერორისტის სინონიმად ქცეული ასასინი ჰაშიშს და სიცილ-კისკისს კი არა, ისლამურ (ისმაილიტურ) ფუნდამენტალიზმს, სარწმუნოებისთვის უყოყმანოდ თავგანწირვის ურყევ რწმენას უნდა უკავშირდებოდეს.**

აქედან გამომდინარე, მოსალოდნელი იყო, რომ ისლამისტი ტერორისტების საუკუნეთა განმავლობაში ჩამოყალიბებული ხელწერის გამოცნობა არც რუსულ სპეცსამსახურებს გაუჭირდებოდათ და დანაშაულის კვალის ძიებას დეკლარირებულად ქრისტიანი ვანო მერაბიშვილის კაბინეტში არ დაიწყებდნენ. ასეც მოხდა.

ტერორის, უდანაშაულო ადამიანების ბარბაროსული ხოცვა-ჟლეტის გზით რაიმე პოლიტიკური წარმატების მოპოვება რომ წარმოუდგენელია, ეს მსოფლიო ისტორიამ ბევრჯერ დაამტკიცა — ყოველი ასეთი ქმედება თითქმის მყისიერად იწვევს შესაბამის უკუქმედებას, რომელიც, როგორც წესი, თავისი სისასტიკით ტერორისტების ქმედებებს აჭარბებს კიდეც. ხოლო, თუ საქმე რუსეთს შეეხება, მაშინ კონტრზომების მასშტაბების პროგნოზირება, პრაქტიკულად, შეუძლებელია. ეს ნიშნავს, რომ უახლოეს მომავალში სულაც არ არის გამორიცხული სადამსჯელო-შურისმაძიებლური ოპერაცია ჩრდილოეთ კავკასიაში; რუსეთში მცხოვრები კავკასიელების შევიწროება; საქართველოს ხელისუფლების დადანაშაულება ანტირუსული ტერორიზმის ხელშეწყობაში და სხვა მრავალი.

ეს პროცესი უკვე დაიწყო და ამის დასტურია პრეზიდენტ მედვედევისა და პრემიერ პუტინის მრისხანე ოფიციალური განცხადებები.

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების ერთიათად გამწვავებას ხელს უწყობს სახელმწიფოთა მეთაურებს შორის არსებული პიროვნული დაპირისპირება და ევროპის ქვეყნებში ქართული მაფიოზური დაჯგუფებების წინააღმდეგ მიმდინარე მასობრივი ოპერაციები, რასაც საქართველოს სპეცსამსახურებთან მჭიდრო თანამშრომლობის სუნი ასდის.

კრემლსა და ავლაბარს შორის უაზრო პიროვნული დაპირისპირება რომ არა, ღმერთო მაპატიე და, ძალიან აზრიანად შეიძლებოდა შექმნილი ვითარების გამოყენება არსებული არანორმალური ურთიერთობების ნორმალურ დიპლომატიურ კალაპოტში მოსაქცევად.

ახლა ამაზე ლაპარაკი ზედმეტია — საქართველოს ხელისუფლებამ ისიც კი ვერ მოახერხა, კრემლის პატრონებისთვის სრულფასოვანი სამძიმარი გამოეცხადებინა და ტერორიზმთან ბრძოლაში თანამშრომლობა შეეთავაზებინა!

ვითარება საქართველოს სახელმწიფოებრიობისთვის უაღრესად საშიშია. რუსეთი არც ჩრდილოეთ და არც სამხრეთ კავკასიაში პოზიციების დათმობას, ჯერჯერობით მაინც, არ აპირებს — ამ ტერიტორიების დასაპყრობად და შესანარჩუნებლად მას ზღვა სისხლი დაუღვრია და, ნუგზარ წიკლაურსა და ეკა ხერხეულიძეს რომ ჰგონიათ, ისე იოლად ვერ შეელევა.

ახლა ის დროა, სააკაშვილის ხელისუფლება „აგრესორსა და ოკუპანტზე“ გაუთავებელ ლაპარაკს მოეშვას, საკუთარ თავს აჯობოს, ვინმე ავტორიტეტული შუამავალი გამონახოს და პუტინ-მედვედევის რუსეთს თანამშრომლობა შესთავაზოს; ოღონდ, გულწრფელი თანამშრომლობა.

ზღაპრული რუსული დათვი ახლა დაჭრილია, შეურაცხყოფილია და მასთან თამაში იმ „რუსულ რულეტკას“ წააგავს, როცა რევოლვერში ყველა ტყვია დევს.

**თეიმურაზ ქორიძე**

## მოკლედ



## ბომბები მკერდში

**თვითმკვლელმა ტერორისტებმა მოიფიქრეს ეს თუ ბრიტანული დაზვერვის ფანტაზიის ნაყოფია, ჯერ უცნობია, მაგრამ მზვერავები ირწმუნებიან, რომ ქალები ბომბებს თავიანთ სილიკონის მკერდში ჩამალავენ.**

ეს „ალ-ქაიდას“ ექიმებს ბრიტანეთის კლინიკებში უსწავლიათ და უკვე დაბრუნებულან თავიანთ მშობლიურ ქვეყნებში. ახლა ბრიტანეთის დაზვერვას ახალი დეტექტორების გამოგონება მოუწევს, ამჟამად არსებულით კანქვეშ „ჩამონტაჟებულ“ 140-გრამიან ბომბებს ვერ აღმოაჩენენ.



## ჩვენ ნატოს ვჭირდებით!

**ევროპელი ექსპერტები თვლიან, რომ, სანამ საქართველო აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთზე პრეტენზიებს გამოთქვამს, ნატოს ვერ ეღირსება, რადგან ნატოში შესვლის ერთ-ერთი უმთავრესი კრიტერიუმი სხვა ქვეყანასთან ტერიტორიული პრეტენზიების არარსებობაა.**

სამაგიეროდ, ჩვენმა სახელმწიფო მინისტრმა გიორგი ბარამიძემ „დაასაბუთა“, რომ ნატოს უფრო სჭირდება საქართველო, ვიდრე საქართველოს — ნატო. ამიტომ ნატოს მოუწევს კრიტერიუმების შეცვლა...

31 მარტი — 6 აპრილი, 2010 წელი. №12 (55)
www.geworld.net

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

# საქართველო თუ ზომბილენდი?



**ჩვენ გარშემო უამრავი უხილავი არსება ცხოვრობს. მსუბუქი ნაბიჯებით მიუყვებიან ისინი თბილისის ქუჩებს და ჩვენს პრობლემურ ყოფას მოკრძალებული ღიმილით შესცქერიან. მათ შესახებ მხოლოდ ის არის ცნობილი, რომ ისინი მიხეილ სააკაშვილს კანონიერ პრეზიდენტად, ხოლო „ნაციონალურ მოძრაობას“ უალტერნატივო მმართველ პარტიად თვლიან.**

**ჩვენ, მომაკვდავნი, მათ უხილავ სამყაროში ვერ შევაღწევთ და მათი ყოფიერების აუტანელ სიმსუბუქეს ვერასდროს ჩავწვდებით. ყოველივე ეს არც მისტიციზმია და არც მარაზმი; უბრალოდ, პირველი შთაბეჭდილებებია საარჩევნო სიების მონიტორინგის წინასწარი შედეგების გაცნობის შემდეგ. „მკვდარი სულები“, როგორც ჩანს, გეომეტრიული პროგრესიით მრავლდებიან და, ალბათ, ქვეყანა მალე ამ ზომბებს დარჩებათ, რადგან რეალური ადამიანების საკმაოდ დიდი ნაწილი სააკაშვილის საქართველოდან, მარტივად რომ ვთქვათ, გარბის.**

გასულ კვირას გაეროს ლტოლვილთა უმაღლესმა კომისარიატმა საინტერესო მოხსენება **„განვითარებულ ქვეყნებში თავშესაფრის ძებნის ტენდენციები, 2009“** გამოაქვეყნა.

**საქართველოდან თავშესაფრის მაძიებელთა რაოდენობა 2008 წელთან შედარებით 102 პროცენტით გაიზარდა. ეს გაცილებით მეტია მავრიტანიის (+57%), ზიმბაბვეს (+54%) და ავღანეთის (+45%) მაჩვენებლებზე, სომხეთსა (+43%) და აზერბაიჯანზე (+36%) რომ არაფერი ვთქვათ. თავშესაფრის მიღებაზე შეტანილი განაცხადების საერთო რაოდენობის მიხედვით კი საქართველო მეათე ადგილზეა, იგი პაკისტანსა და ერითრეას შორის მოექცა. ალბათ, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ტოპათეულში, გნებავთ ოცეულში, მოხვედრილი ქვეყნების მოსახლეობა (მაგ. ჩინეთი, ირანი, ნიგერია და ა.შ.) ჩვენსას ბევრად აღემატება.**

ცხადია, ამ ანგარიშში ასახული მონაცემები მხოლოდ წვეთია, არალეგალების უზარმაზარ ზღვაში, რომელთა ზუსტი აღრიცხვა თანამედროვე სტატისტიკის შესაძლებლობებს აშკარად აღემატება. ზოგი ქვეყანას ტურისტული (ან მსგავსი) ვიზის მიღების შემდეგ ტოვებს, ზოგიც საზღვრის უკანონო გადალახვაზე მიდის.

**„დღის 11 საათზე, სასაზღვრო პოსტ „ონოკოვციის“ მონაკვეთზე, სახელმწიფო საზღვრიდან 50 მეტრში, ძაღლის დახმარებით დააკავეს საქართველოს სამი მოქალაქე“, „უდაბნოში, ეგვიპტე-ისრაელის საზღვართან საქართველოს 14 (ეს ერთ ჯერზე, მეორეზე კიდევ 8) მოქალაქე დააკავეს“, „დასახლებულ პუნქტ სვისლოჩის რაიონში თოვლში დააკავეს საქართველოს სამი მოქალაქე, რომლებიც მესაზღვრეებს თეთრი („მასკიროვოჩნი“) ხალათების ქვეშ ემალებოდნენ“,**

— ეს ცნობები სხვადასხვა ქვეყნის მესაზღვრეების ყოველდღიურ ცხოვრებაში ჩვეულებრივი ამბავია.

**ბელორუსიის ტყეებში (65 წლიანი პაუზის შემდეგ) კვლავ ძაღლების ყეფა, გამაფრთხილებელი გასროლები და ჯარისკაცების მხიარული გინება ისმის. ქართველები კი გარბიან, შემდეგ იმალებიან, შემდეგ ისევ გარბიან... პატარა სილუეტები ევრაზიის უკიდეგანო დათოვლილ რუკაზე.**

საქმე, ალბათ, არა მხოლოდ ეკონომიკური სიდუხჭირისგან გაქცევას ეხება. აი რას წერენ პოლონეთში, „ბიალო პოდლიასის უცხოელთა ცენტრში“ გამოკეტილი საქართველოს მოქალაქეები:

**„ამერიკული ფული იხარჯება რეჟიმზე და არა — ხალხზე. სააკაშვილმა და მისმა რეჟიმმა უბრალო ქართველები ომში ჩაითრია. ჩვენ ეს არ გვინდა. ჩვენ არ გვინდა ომი. ჩვენ იძულებულნი ვართ, ვიწვალოთ და ვითმინოთ. სააკაშვილი არბევს მშვიდობიან საპროტესტო დემონსტრაციებზე გასულ ხალხს, პოლიცია იჭერს და სცემს. განა ეს დემოკრატიაა, განა ამას გვპირდებოდნენ 2004 წელს? ჩვენ გვინდა, ვიცხოვროთ და ვიმუშაოთ, ჩვენი შვილები მშვიდობიან გარემოში გავზარდოთ“ (50-ზე მეტი ხელმოწერა; „ბრესტის კურიერი“).**

რეალური ადამიანები საქართველოს ტოვებენ, ხოლო მათ ადგილს, საარჩევნო სიების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, „მკვდარი სულები“, აჩრდილები, ჰაიტელი კოლმეურნეები რომ იტყვიან, ჩვეულებრივი ზომბები იკავებენ. ისინი, ალბათ, სადღაც ახლოს არიან და მოკრძალებული ღიმილით ელოდებიან იმ მომენტს, როდესაც ჩვენც წავალთ, და ეს ბედკრული ქვეყანა მათ დარჩებათ.

**დიმიტრი მონიავა**

## ამატირებელი ქრონიკა

# მოკლა თუ არა გიორგი არველაძემ ილია ეპიტაშვილი?!

**13 მარტს ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში ჟურნალისტებად წოდებული სააკაშვილის დამქაში ვირ-ეშმაკების მიერ გიორგი არველაძის რეჟისორობით დადგმულმა „იმიტირებულმა ქრონიკამ“ ერთი ადამიანის სიცოცხლე უკვე შეიწირა. უკვე-მეთქი იმიტომ ვამბობ, რომ, როგორც კი ეს ოცწუთიანი „ნაციონალური უზნეობა“ დაიწყო, უამრავ ადამიანს სასწრაფო სამედიცინო დახმარება დასჭირდა და ზოგი მათგანის მდგომარეობა დღემდე სავალალოა. როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, გორის რაიონის სოფელ ზემო ხვითის მკვიდრმა, 44 წლის ილია ეპიტაშვილმა ინსულტი სწორედ „მოდელირებული ქრონიკის“ დამზაფრავი სიუჟეტის ნახვის შემდეგ მიიღო.**

როგორც ილია ეპიტაშვილის ახლობლები ყვებიან, აღნიშნულ სიუჟეტს იგი უკიდურესად გაუღიზიანებია, გაბრაზებულს ტელევიზორი გამოურთავს და ლანძღა-გინებით დაწოლილა. რამდენიმე წუთის შემდეგ მან თავი შეუძლოდ იგრძნო, მოგვიანებით კი დედამ საწოლში უგონო მდგომარეობაში ნახა.

სასწრაფო დახმარების მანქანით გორის საავადმყოფოში გადაყვანილი ეპიტაშვილის მდგომარეობა სამწუხაროდ, გაუარესდა და, მედიკოსთა მცდელობის მიუხედავად, ორი დღის შემდეგ გარდაიცვალა.

გასაკვირი, ალბათ, არც არაფერია იმაში, რომ სახელისუფლო არხებმა — „რუსთავი 2“-მა და „საზოგადოებრივმა მაუწყებელმა“ — ეს ამბავი საგულდაგულოდ დამალეს, ხოლო რაც შეეხება „იმედს“, არველაძის კანტორა (ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით), რომელიც ქართველი ხალხის გამანადგურებელ საშუალებად იქცა, „ბუნებრივია“, ვერ აღიარებდა, რომ მკვლელობა ჩაიდინა. არადა, ეს მართლაც, მკვლელობაა, რომლის „თვითმხილველიც“, არც მეტი, არც ნაკლები, მთელი საქართველოა...

პირადად მე ეს ტრაგიკული ამბავი სრულიად შემთხვევით შევიტყვე. ამ რამდენიმე დღის წინ „სრულიად საქართველოს ხსნის ეროვნული ფრონტის“ ოფისში ვიყავი. ილია ეპიტაშვილი ამ ორგანიზაციის შიდა ქართლის ფილიალის ხელმძღვანელი იყო და სწორედ მისმა ერთ-ერთმა თანამებრძოლმა მიამბო ყველაფერი. მეც, რა თქმა უნდა, დავინტერესდი, ვთხოვე, დაკრძალვაზე თქვენთან ერთად მეც წამოვალ და, თუ წინააღმდეგი არ იქნებიან, გარდაცვლილის ოჯახის წევრებს გავესაუბრები-მეთქი. ისიც დამთანხმდა, ოღონდ იმ პირობით, რომ ჯერ ეპიტაშვილის ოჯახის წევრებს შეუთანხმდებოდა. მაგრამ ეპიტაშვილის ოჯახმა და ახლობლებმა ამ თემაზე საუბარი არ ისურვეს, მიზეზი, როგორც გავიგე, ერთადერთი იყო — დაშინებულები არიან და ურჩევნიათ, არ ილაპარაკონო.

მოკლედ, როგორც გითხარით, **„ნაცებმა“ ეს ამბავი საგულდაგულოდ გაასაიდუმლოეს, დამალეს და ყველაფერი გააკეთეს (არც მუქარას მოერიდნენ), რათა ფართო საზოგადოებას არ გაეგო იმ სასტიკი მკვლელობის შესახებ, რომელიც 13 მარტს ტელეკომპანია „იმედმა“, უფრო ზუსტად, გიორგი არველაძემ მიხეილ სააკაშვილის პირადი დაკვეთით ჩაიდინა.**

დღეს ეპიტაშვილის ოჯახს პირში წყალი აქვს ჩაგუბებული. იმ ტრაგედიის შემდეგ, რაც თავს დაატყდა „ნაცების“ ავტორიტარული რეჟიმის პირობებში. იმის საშუალებაც არ აქვთ, გამოვიდნენ და საჯაროდ განაცხადონ, რომ მათი ოჯახის წევრი სააკაშვილის აღვირახსნილობას შეეწირა. გარდაცვლილს მაინც არაფერი ეშველება, მაგრამ ამით შვილმკვდარი, გაუბედურებული დედა გულს მაინც მოიოხებდა...

არ ვიცი, იქნებ მეც დიდ შეცდომას ვუშვებ, ამ ამბავს რომ გიყვებით, რადგან ამით, შეიძლება, ეპიტაშვილების ოჯახს საფრთხეში ვაგდებ. ამ ხალხს უბედურება ისედაც არ აკლია და, სიმართლე გითხრათ, ერთხანს ისიც ვიფიქრე, იქნებ, ჯობდეს, ამ ამბავს საერთოდ შევეშვა-მეთქი, მაგრამ... **დიახ, ხალხმა უნდა იცოდეს, რომ სააკაშვილის რეჟიმმა მორიგი მკვლელობა ჩაიდინა, რომ ეს დაუსრულებელი პროცესია და შემდეგი ნებისმიერი ჩვენგანი შეიძლება იყოს...**

ილია ეპიტაშვილი გასულ კვირას, სამშაბათს დაკრძალეს. მეორე დღეს მის თანამებრძოლს, „სრულიად საქართველოს ხსნის ეროვნულ ფრონტში“ შემავალი „პოლიტიკური გაერთიანება — ახალი სიტყვის“ პრესსამსახურის უფროსს, **მანანა სალღიანს** დავუკავშირდი და ვთხოვე, დეტალურად ეამბნა მომხდარის შესახებ:

**„ილია ეპიტაშვილი გორის რაიონის სოფელ ზემო ხვითში ცხოვრობდა. ეს არის კონფლიქტის ზონის მოსაზღვრე სოფელი, სადაც დღესაც უკიდურესად დაძაბული მდგომარეობაა და მოსახლეობა მუდმივ საფრთხეშია. აგვისტოს ომის დროს ეპიტაშვილების ოჯახი, ისევე, როგორც მთელი სოფელი, აყრილები იყვნენ და თბილისში იმყოფებოდნენ. მათ უშუალოდ თავიანთ თავზე გამოსცადეს ის უბედურება, რაც მაშინ ქვეყანას თავს დაატყდა.**

**13 მარტს „იმედის“ ეთერში გასულმა „მოდელირებულმა ქრონიკამ“ ილია ეპიტაშვილზე საშინლად იმოქმედა. ამ სიუჟეტმა მთელი საქართველო შეძრა, მაგრამ, როცა უშუალოდ კონფლიქტის ზონასთან იმყოფები და იცი, რომ საცეცხლე წერტილში ხარ, სხვა საკითხია. მით უმეტეს, ეს პიროვნება, საერთო მდგომარეობით, ჯანმრთელი არ იყო, თუმცა ამ მომენტში სასიკვდილო ნამდვილად არაფერი სჭირდა...**

მე არაფერს ვამტკიცებ, **მაგრამ ერთი რამ ფაქტია — ილია ეპიტაშვილი გარდაიცვალა და, რომ არა „იმედის“ ჟურნალისტების მიერ მომზადებული შემზარავი სიუჟეტი, რომელმაც, კაცმა არ იცის, კიდევ რამდენი ადამიანის სიცოცხლეს შეუქმნა საფრთხე, იგი დღეს ცოცხალი იქნებოდა.**

**რაც ყველაზე სამწუხარო და შემაშფოთებელია, მისი ოჯახი დღეს ხმას ვერ იღებს, ვერ ლაპარაკობენ, რადგან ეშინიათ, უარესი არ დაემართოთ. მეტიც, მათთან ამ თემაზე საუბარი რომ დააპირო, შეიძლება უარყონ კიდეც. ყოველ შემთხვევაში, საჯაროდ მაინც არ ისაუბრებენ“.**

სასამართლოში ჩივილს რომ აზრი არ აქვს, ყველამ კარგად ვიცით. პროკურატურა ამათია, მოსამართლეები ამათია — მიდი და იჩივლე, რამდენიც გინდა... **ამ მოდელირებულ ქვეყანაში ხომ კანონს ერთადერთი სახელი აქვს — „ნაცმოძრაობა“, ხოლო როცა საქმე „რიგით მოკვდავთა“ უფლებების დაცვას ეხება, ყველამ ვიცით, სააკაშვილის მიერ ათასგზის გაუპატიურებულ ჩვენს კონსტიტუციას რა ძალაც აქვს...**

მანანა სალღიანთან საუბრის შემდეგ ადამიანის უფლებათა დამცველ გელა ნიკოლაიშვილს დავუკავშირდით იმის გასარკვევად, თუ რა სახის სამართლებრივი პასუხისმგებლობა შეიძლება დაეკისროს გიორგი არველაძეს, ეკა წამალაშვილსა და თითოეულ ჟურნალისტს, რომლებიც 13 მარტს „მოდელირებული ქრონიკის“ მომზადებაში მონაწილეობდნენ.

**გელა ნიკოლეიშვილი: „გიორგი არველაძესა და „იმედის“ წარმომადგენლობას წინასწარ განზრახული მკვლელობის მუხლით პასუხისმგებლობა, რა თქმა უნდა, ვერ დაეკისრებათ, მაგრამ ისეთი შემთხვევებისთვის, როცა ხდება მკვლელობა, მაგრამ თვითონ მიზეზის გამომწვევ პირს ეს წინასწარ არ ჰქონდა განზრახული, კოდექსში არსებობს ასეთი მუხლი — „სიცოცხლის მოსპობა გაუფრთხილებლობით“ (მუხლი მე-16), რაც გულისხმობს ორიდან ოთხ წლამდე თავისუფლების აღკვეთას, ხოლო თუ მსხვერპლი ერთზე მეტი ადამიანია, ასეთ შემთხვევაში — სამიდან ხუთ წლამდე.**

**სისხლის სამართლის კოდექსში არის, აგრეთვე, ასეთი მუხლი — „სიცოცხლისთვის საშიშ მდგომარეობაში ჩაყენება“ (მუხლი 127-ე), რაც, ასევე, შეიძლება მიესადაგოს ამ კონკრეტულ შემთხვევას, ვინაიდან სწორედ სიცოცხლისთვის საშიშ მდგომარეობაში ჩაყენება იყო ის პანიკა, რაც „იმედის“ სიუჟეტმა გამოიწვია და რასაც ეპიტაშვილი შეეწირა.**

**თუ დადასტურდა, რომ გიორგი არველაძისა და ეკა წამალაშვილის სატელეფონო საუბარი, რომელიც მოვისმინეთ, არის რეალური, ნამდვილი (ამის დადგენა ძალიან ადვილია), აშკარად გამოიკვეთება, რომ ამ სიუჟეტის მომზადება პირდაპირ პრეზიდენტის დაკვეთა იყო და ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, დადგება სააკაშვილის პასუხისმგებლობის საკითხიც. ოღონდ უნდა იჩივლოს დაზარალებულის უფლებამონაცვლემ — მისი ოჯახის წევრებმა ან ნათესავებმა. მას შემდეგ, რაც შიდასასამართლო ინსტანციები სრულად ამოიწურება (თუ ეს მოხდება), მათ ასევე შეუძლიათ, იჩივლონ საერთაშორისო სასამართლოში და მოითხოვონ დამნაშავე პირების დასჯა“...**

როგორც ვხედავთ, საქმე გვაქვს სისხლის სამართლის მე-16 და 127-ე მუხლების უხეშად დამრღვევ, ერთი სიტყვით — მკვლელ გიორგი არველაძესა და მიხეილ სააკაშვილთან, რომელთა დასჯა, მთელი თავიანთი მომსახურე პერსონალით, თითოეული ჩვენგანისთვის ღირსების საკითხია, ხოლო დაუსჯელობა ამავე ღირსებას კიდევ ერთხელ ფეხქვეშ გაგვითელავს.

**ჯაბა ჟვანია**

# სად უნდა აიღოთ იპოთეკური სესხი და როდის აყვავდება ციყვების ბიზნესი

**საქართველოს მოდელირებული სიმაღლეების დაპყრობა მავნე ჩვევად ექცა, 13 მარტის „ტელეიმედის“ „ქრონიკა“ ავადმყოფური წარმოსახვის „დიდი ნაყოფი“ იყო, თორემ შედარებით მცირე დოზებით მოდელირებას, ბოლო ათი წლის მანძილზე, დღეში სამჯერ სუფრის კოვზით გვაჭმევენ და ჩვენც უპრეტენზიოდ მივირთმევთ. არადა, მხოლოდ ახლა მივხვდით, რომ ჩვენი მოდელირებული პრეზიდენტი ვირტუალურ საქართველოში ცხოვრობს, ვირტუალურში კი ყველაფრის პოვნა შეიძლება; მაგალითად, საქართველოს შეუქცევადი განვითარების დამადასტურებელი ფაქტებისა, რომლის მცირე ნაწილსაც დღეს წარმოგიდგენთ.**

საქართველოში ერთი სოფელი არსებობს სახელად სასირეთი, სოფელს და მის მცხოვრებთ რას ვერჩით (ბოდიშსაც ვუხდით, შესაძლო ცუდ კონტექსტში წარმოდგენისთვის), თუმცა, თუ ლოგიკურ-ასოციაციურ კავშირებს მივმართავთ, **წესით, ამ სოფლის სახელი დღევანდელ „სრულიად საქართველოს“ უნდა ერქვას – აშკარად მეტად შინაარსიანი და არსებული სტადიის გამომხატველი იქნებოდა.**




**არამოდელირებულ სინამდვილეში ეს აბრა საქართველოს პარლამენტს, მთავრობის კანცელარიას და სხვა მსგავს ობიექტებსაც დამსახურებულად დაამშვენებდა და საზოგადოებასაც ზუსტ ინფორმაციას მიაწვდიდა – თუ ვისთან აქვთ საქმე და ვის ხელშია მათი ბედი, თუმცა შიგადაშიგ ამ ობიექტებიდან ადგილი აქვს გარკვეულ პერსონათა გაქცევას ან განდევნას.** კლასიკურ მაგალითად პარლამენტის ექსსპიკერი **ნინო ბურჯანაძე** და ექსპრემიერი **ზურაბ ნოღაიდელიც** გამოდგებიან, რომლებიც წასვლის დღიდან ისევ უკან დაბრუნებას და ხელახლა „გაჩითვისთვის“ თავს იგიჟებენ. ახლა ის დროა, მოდელირებული სასირეთის მესვეურებმა ერთ-ერთ ოფისზე გაკრული აბრა აახიონ და ე.წ. პარლამენტ-კანცელარიაზე მიაკრან.




ამ განცხადების წაკითხვის შემდეგ დაფიქრდებიან მაინც, უღირთ თუ არა თბილ-რბილი სავარძლების დატოვება, თუმცა კახური გამოთქმის არ იყოს, ვირი გინდ ღობის გარეთ დააბი და გინდ ღობის შიგნით – მაინც ვირად დარჩებაო.

**ჯერ-ჯერობით ღობის შიგნით მყოფნი გვარწმუნებენ, რომ საქართველო ყვავის, ჩვენს ფირუზივით მდინარეებში ოქროს თევზები დაცურავენ და ხეებიც ოქროს ვაშლებს ტყუპ-ტყუპად ისხავენ.**

მსოფლიო ეკონომიკა კრიზისმა დააქცია, ევროპა განდგურდა, ამერიკა დაემხო, საქართველომ კი მრეწველობა, ბიზნესგარემო და ეკონომიკური მაჩვენებლები ზუსტად ახლა გააუმჯობესა, ახლა მთალად ფოლადსაც ვერ ვასხავთ, მაგრამ კერძო ბიზნესში ხომ ჩავდეთ მილიარდიანი ინვესტიციები და შედეგმაც არ დააყოვნა, მაგალითად, აღორძინდა ციყვების ნახვის ბიზნესი – რასაც ინტერნეტში განთავსებული ეს აბრაც მოწმობს:




ახლა ამ ციყვს რამდენი თხილი და კაკალი სჭირდება? ამით კაკლის ბიზნესის სტიმულირებაც ხდება და ქვეყნის ეკონომიკაც უფრო დაჩქარებული ტემპით განაგრძობს ფურჩქვნას.

მაგრამ, როგორც იტყვიან, ვარდი უეკლოდ ვის მოუკრეფია! შიგადაშიგ პრობლემებზეც გვიწევს საუბარი, განსაკუთრებით აქტუალური თემა – გაცემული კრედიტების ამოღებაა, რასაც სხვანაირად მოსახლეობისა და ბიზნეს სექტორის გადახდისუუნარობაც ჰქვია. უკანასკნელმა ფაქტებმა ცხადყო, რომ ეს პრობლემა ტერეზასა და „თიბისი ბანკს“ ერთნაირი სიმძაფრით აწუხებს, ტერეზებმა იპოვეს გამოსავალი.



**ზუსტად იგივე გამოსავალი იპოვა „თიბისი ბანკმაც“, თუმცა ზოგიერთს არ სჯერა, უფრო მეტიც, „ზოგიერთისთვის“ დაჯერება-არდაჯერება ერთი „ჩორტია“, ვალს მაინც ვერ იხდიან.** კაი, ბატონო, ვალს ვერ იხდი გასაგებია, მაგრამ მთლად გამორჩენაზეც ნუ იქნები, ერთ-ერთმა ბანკმა საჭიროდ ჩათვალა და თავის კლიენტებს მეორე თხოვნა-გაფრთხილებით მიმართა.




გაგიჟდება ადამიანი, აყვავებული და გაფურჩქნული ეკონომიკის პატრონებს ეს გაფრთხილება უნდა გვჭირდებოდეს? თუმცა, ილიკოსი არ იყოს, **„რას გაუგებ, ჩემო ოლღა, სიყვარულს?“** მაგალითად, ზოგს კალმების მოწყვეტა უყვარს და ზოგს – ჯიხურის კარის. ეს აბრაც **„გაფურჩქნული“** ქვეყნის შვილებისთვის არის გაკრული, იმ ქვეყნის, სადაც კრიმინალი დავამარცხეთ და პოლიციური რეჟიმი დავამყარეთ. მაგრამ, როგორც იტყვიან, სიფრთხილეს თავი არ სტკივა. **სამაგიეროდ, თავი სტკივა ამ აბრის ავტორს, რომელმაც სხვა უკეთესი მეთოდი ვერ იპოვა საკუთარი ბიზნესის დასაცავად.**




ბიზნესზე საუბრისას გვერდს ვერ ავუვლით და არც უნდა ავუაროთ სამშენებლო ბიზნესს, რომელიც ერთი წლის წინ ისე განვითარდა და ისე გადააშენა ყველაფერი, რომ საქართველოს ერთ სულ მოსახლეზე საშუალოდ 10 ახალი ბინა მოდის. **პრობლემა იმაშია, რომ ამ ბინებს აღარავინ ყიდულობს, აღარც ბანკები იძლევიან კრედიტებს და დარჩა თბილისის „ნედაძელანი“ მშენებლობების სიმბოლოდ. სამაგიეროდ, იპოთეკურ სესხებს იძლევნიან მეორადი ტანსაცმლის „ბუტკები“; ეს ძირითად ბიზნესთან (ძონძების გაყიდვასთან) შეთავსებული მეორადი ბიზნესია.**




მართალია – მსგავსი რამის ნახვა მხოლოდ საქართველოში შეიძლება. ამიტომაც იქცა ეს ქვეყანა ტურიზმის სამოთხედ. თქვენ გგონიათ, უცხოელები საქართველოში მაინცდამაინც მცხეთისა და თუშეთის სანახავად ჩამოდიან? **არა, ბატონებო, როგორც თავის დროზე ოქროს საწმისი მოგვპარეს, დღეს ასევე ცდილობენ წარმატების საიდუმლოს მოპარვას და იმ სიმაღლეებზე აცოცებას, რომელსაც ჩვენმა ხელისუფლებამ ბოლო წლების მანძილზე ყველა სფეროში, განსაკუთრებით კი ეკონომიკისა და ბიზნესის განვითარებაში მიაღწია.**

ჩვენც (ქართველები) ჭკუას ვერ ვსწავლობთ და უცხოელ სტუმრებს გულღიად ვხვდებით. მეორადი ტანსაცმლის ჯიხურიდან იპოთეკური სესხის გაცემის საიდუმლოს რომ ვაზიარებთ, შემდეგ მეორე ანალოგიურ ობიექტში – მეორე საიდუმლოს – ამჯერად სულიერების საზიარებლად მიგვყავს. ა, ბატონო, ფაქტი!



**ერთ ასეთ ჯიხურსა თუ ქოხში სასამართლოც რომ გაგვეხსნა, ხომ მთლად დავწინაურდებოდით მსოფლიო რეიტინგში. თუმცა ესეც იქნება, შემოიტანენ ახალ ფუთებს ევროპიდან, გაჩნდება კიდევ ერთი-ორი ახალი „სექენდ ჰენდის“ ჯიხური და რომელიმეში სასამართლოსაც გახსნიან. სულსწრაფებს კი შევახსენებთ, რომი ერთ დღეში არ აშენებულა!**

ერთ დღეში არც ის კორპუსები აშენებულა, ერთ წუთში რომ ინგრევა – ქარის დაქროლვაზე ანდა ისე – უქაროდ. ექსპერტები ამბობენ, რომ უხარისხოდ აშენებენ და თანაც იმდენად, რომ მიწისძვრას აღარ უცდიან და სულ თავისით იშლებიანო. ბოლო 2 თვის განმავლობაში ახალი მშენებლობების „თავისით“ დანგრევის 4 ფაქტი დაფიქსირდა. ამას მსხვერპლიც მოჰყვა, მაგრამ რეზონანსი არ მოჰყოლია, სასწრაფოდ მიაჩუმათეს, როგორც შეეძლოთ. „ნაცებთან“ დაახლოებულმა მშენებლობის მესვეურებმა განაცხადეს, რომ კედელი დაწყევლილი იყო და ვერც აშენდება, სანამ ზურაბს არ ჩავაყოლებთ შიგო. ამ იდეამ ხელისუფლების დიდი მოწონება და ზურაბ ნოღაიდელის შეშფოთება გამოიწვია – ისედაც კედელი ვარ და შემაყარეთ, თუ გინდათ, ცერცვი, ჩაშენება რა საჭიროაო.

**ზურაბის ჩაშენების მეთოდი უფრო დიდი კედლის მშენებლობისთვის შემოინახეს, ექსპერტებმა კი საქართველოს მშენებლებს ურჩიეს, იქნებ წერა-კითხვა გესწავლათ და ინსტრუქცია წაგეკითხათ, როგორ და რა მეთოდით არის მიზანშეწონილი უსაფრთხო მშენებლობის წარმოება. რას ეყრდნობოდა ჩვენი ექსერტების ეს შენიშვნა, არ ვიცი – პირდაპირ საკვირველია, სად ნახეს ამათი გაუნათლებლობა, ბინებს რომ ვერ აშენებენ, გასაგებია, მაგრამ წერა-კითხვა რომ მშვენივრად იციან, ამ აბრიდანაც თვალსაჩინოდ ჩანს.**




უკანასკნელი ინფორმაციით, სამშენებლო კომპანიების მესვეურები მერიის მიერ გახსნილ უფასო სასწავლო კურსებზე სიარულს თაკილობენ. არადა, ხომ ისწავლიდნენ კომპიუტერს და უცხო ენას (მშობლიურს ხომ აბულბულებენ პირდაპირ), მაგალითად: **კომპიუტერის სწავლება რამდენიმე მათგნმა პირდაპირი მნიშვნელობით გაიგო და ასწავლა კიდეც – მოკლედ, მარტივად და ლაკონურად:**




**ჰოდა ვისწავლეთ კომპიუტერი, ისეთ ქართულზე ვლაპარაკობთ, უცხო ენას რომ ჰგავს, მაშასადამე, უცხო ენაც, ასე თუ ისე, ვიცით. მხოლოდ ერთი პრობლემაღა დგას ჩვენი აყვავებული ქვეყნის შვილების წინაშე – ახლა სად წავიდეთ და სად დავაბანდოთ ჩვენი ცოდნა და გამოცდილება. სამწუხაროდ, ვირტუალური სამყარო და სოციალური ქსელები საიმედოს ვერაფერს „მოდელირებენ“**




წასასვლელი აღარსად არის, მალე ეს აბრა ამჟამინდელი მმართველების თავზეც აენთება და საინტერესოა, რა გასაძრომს ან შესაძრომს მოძებნიან ჩვენი „ამყვავებლები“. მთავარია, ეს აბრა მანამდე ჩამოვკიდოთ მთავარ „ნაცებს“, სანამ მთლიანად საქართველოს ჩამოჰკიდებენ, თორემ მერე მიდი და ამტკიცე, კომპიუტერი და უცხო ენა ვიციო. **ასეთი არამოდელირებული საქართველოს ვირტუალური რეალობა, რომლის მსგავსსაც სოციალურ ქსელებზე თუ არასოციალურ საიტებზე კიდევ უფრო უხვად იპოვით.**

**ნინო ბერიძე**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

# ხელისუფლებამ პატიმრების საწამებელი საეჭვმოწყობილობა ჩეხეთში შეიძინა

## საქართველო წამების იარაღის იმპორტიორია



**წამება ყოველთვის ტყვეთა და პატიმართა ხვედრი იყო. თანამედროვე ცივილიზაცია კი აღიარებს ადამიანის უფლებების უზენაესობას, მიუხედავად მათი მდგომარეობისა. ყველა საერთაშორისო ქარტიასა თუ დეკლარაციაში, რომელიც თავისუფლებაშეზღუდულ ადამიანებს ეხება, წამება სასტიკად აკრძალულია. თუმცა საქართველო, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ ვერ გათავისუფლდა საბჭოური მენტალიტეტისგან. სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ჯერ კიდევ იყენებენ წამების მეთოდებს.**

ქვეყნის პირველი პირის გამოსვლებს თუ ვერწმუნებით, საქართველო ძალიან მალე დემოკრატიის ახალ მექად გადაიქცევა. უცნაური კი ის არის, რომ დემოკრატიულ ქვეყანაში კვლავ აქტუალურია წამების იარაღები. ამას მოწმობს საერთაშორისო ორგანიზაციის **„ამნესტი ინტერნეიშენალის“** (საყოველთაო ამინისტია) კვლევებიც. ამ კვლევების თანახმად, 2009 წლამდე საქრთველოს ხელისუფლება წამების იარაღის შესყიდვას აწარმოებდა. 2006 წელს ჩეხეთმა გასცა ლიცენზია, რომ 2009 წლამდე ბორკილები და ელექტროშოკები მიეყიდა ექვსი ქვეყნისთვის, რომელთაგან ერთი საქართველოა. მაშინ, როდესაც აკრძალულია ნარკოტიკული ნივთიერებების მოხმარება და, შესაბამისად, მისი ქვეყანაში შემოტანა და რეალიზაცია, ლოგიკურად, იმ შემთხვევაში, თუ აკრძალულია ადამიანთა წამება, აკრძალული უნდა იყოს წამების იარაღების შემოტანაც. მაგრამ, როგორც ჩანს, ამ შემთხვევაში ხელისუფლების ინტერესები კანონზე მაღლა დგას. არ არის გამორიცხული, რომ ეს ფულის გათეთრების ერთ-ერთი საშუალებაც იყოს, რადგან იმპორტირებული იარაღის გარეშეც ადვილი შესაძლებელია პატიმრების წამება, რაც, როგორც ამ სტრუქტურასთან დაახლოებული პირები აცხადებენ, არც თუ ისე ცუდად გამოსდით.

**შალვა ხაჭაპურიძე**, ადვოკატი: **„ელექტროშოკს რომ იყენებენ, ვიცი, ასევე — ხელბორკილებს, რომლებიც ჩვეულებრივისგან განსხვავდება, კერძოდ კი, რომ მოქაჩავ, ხელებს ჭრის. ჩეხეთის მიერ გაყიდული წამების იარაღები ზღვაში წვეთია საქართველოსთვის. ვანო მერაბიშვილია ადამიანთა წამების მეთოდების შემოქმედი. ეს სისტემა ისეთი დახვეწილი აქვთ, რომ, მგონი, იქით შეუძლია საქართველოს წამების იარაღების ექსპორტი. ეს ყველაფერი ხდება იმ ფონზე, როდესაც გუანტანამოდან ჩამოყვანილ ტერორისტებს ბინები დაუქირავეს, თავისუფლად შეუძლიათ ქვეყანაში გადაადგილება, არ არის გამორიცხული, მეტროში ნაღმი ააფეთქონ. ქართველ პატიმრებს კი არაადამიანურად ექცევიან. ხელისუფლება წამების იარაღების გარეშეც მშვენივრად ახერხებს ადამიანთა წამებას, ამ ყველაფერში მათ ხელს უწყობს ახალი სახალხო დამცველიც, რომელსაც რამდენიმე წამების დამადასტურებელი ფაქტის გამო მივმართე. პასუხად კი მივიღე, რომ ამ ადამიანების მიმართ წამებას ადგილი არ ჰქონია.**

**პირდაპირ ვაცხადებ, რომ დღევანდელი სახალხო დამცველი პირადად არის დანაშაულებრივი რეჟიმის მონაწილე. რამდენიმე დღის წინ ციხის რესპუბლიკური საავადმყოფოდან გამოვიდა ინფორმაცია, რომ ირაკლი ხოხიაშვილს არა მარტო აწამებენ, არამედ ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ ეს ადამიანი თვითმკვლელობამდე მიიყვანონ. ამასთან დაკავშირებით საჩივარიც შევიტანე პროკურატურაში, რომ აღიძრას სისხლის სამართლის საქმე. ციხის რესპუბლიკური საავადმყოფოს უფროსის მოადგილე არაადამიანურად ექცევა პატიმრებს. სხვების თვალწინ ურტყამს მათ, ქაჩავს ბორკილებით, რის შედეგადაც პატიმრებს სისხლი მოსდით და ამას აყურებინებს ყველას.“**

**სიტუაციაში უკეთ გასარკვევად სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მეშვიდე საპყრობილის ყოფილ თანამშრომელს დავუკავშირდით, რომელმაც, გასაგები მიზეზების გამო, ვინაობის გამხელა არ ისურვა:**

— გააჩნია, წამებას რას ეძახით. თუ თვლით, რომ წამება პატიმრის მუშტებით და წიხლებით ცემით გონის დაკარგვამდე მიყვანა, თავზე ცელოფანის პარკის ჩამოცმა და უჰაერობისგან მამლის კუჭივით გალურჯებაა, ასევე ფერდებში ცემა, რომელიც სხეულზე არანაირ ძალადობრივ კვალს არ ტოვებს, მაშინ, ჩათვალეთ, რომ წარმოდგენა არ გქონიათ, რა მეთოდები და ხერხები გამოიყენება პატიმრისგან სასურველი ჩვენების ან აღიარების მისაღებად.

**— რაც ჩამოთვალეთ, ძალიან შემზარავია. პატიმარზე ზეწოლის როგორი მეთოდებია თქვენთვის ცნობილი?**

— რომ გითხრათ, ვინმე მიწამებია-მეთქი, ტყუილი იქნება, თუმცა ძალიან ხშირად შევსწრებივარ გამხეცებული გამომძიებლისა თუ „ჩეკაში“ დაგეშილი არანორმალური ფსიქიკის მქონე ადამიანთა ჯგუფის მიერ პატიმრის სიკვდილის პირას მიყვანას. როგორც გითხარით, გაუთავებელი ცემა-ტყეპა ამ სისტემაში წამებად არ ითვლება. ეს ჩვეულებრივ პროცედურადაა ქცეული. ვიდრე პა- ▶

# მართლმსაჯულება ქართულად: მოკალი, გადაიხადე, გათავისუფლდი

**საპროცესო შეთანხმება, რომელმაც საქართველოს ბიუჯეტს მილიონები მოუტანა და რომელიც მოქალაქეებისთვის ათასგვარი დანაშაულის „შეტენვის“ გამო პოლიციელთა წამახალისებელი გარემოება გახდა, თანდათან უფრო მანკიერ სახეს იღებს.**



რევოლუციის ეს მონაპოვარი თავიდან ციხეების განტვირთვასა და ბიუჯეტიდან დატაცებული თანხის ბიუჯეტშივე დაბრუნებას ისახავდა მიზნად, თუმცა დღეს უკვე არსებობს პრეცედენტი, რომ ციხეს ისეთ მძიმე დანაშაულში მხილებულმა პირმაც კი დააღწია თავი, როგორიც გაუპატიურებაა. გ.ჩ.-მ ამისთვის 50 000 ლარი გადაიხადა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ, თუ თქვენ ფინანსურ მდგომარეობას არ უჩივით, ნებისმიერი დანაშაული შეგიძლიათ ჩაიდინოთ და ეს ფულით გამოისყიდოთ. ხოლო თქვენ, ვისაც ფული არ გაქვთ, ერთი ბოთლი ლუდის მოპარვისთვის ხუთ წლამდე მოგიწევთ საზოგადოებისგან იზოლირებულად ყოფნა; არა იმიტომ, რომ საზოგადოებისთვის მოძალადეზე საშიში ხართ, არამედ იმიტომ, რომ დღეს პროკურორი წყვეტს ვისი დანაშაული რა ღირს, შემდეგ კი ყველაფერს ფინანსური მდგომარეობა განსაზღვრავს.

„საერთაშორისო გამჭირვალობა — საქართველოს“ მიერ ცოტა ხნის წინათ გამოქვეყნებულ ანგარიშში მოყვანილი სტატისტიკური მაჩვენებლები სწორედ იმაზე მიუთითებს, რომ ეს ტენდენცია უკვე დანაშაულებრივ სახეს იღებს. საპროცესო შეთანხმება, ანუ შეთანხმება პროკურორსა და დაცვის მხარეს შორის იმაზე, რომ, თუ ბრალდებული ბრალს აღიარებს, მას ჩადენილი დანაშაული შეუმცირდება ან მის მიმართ ნაკლები სანქცია იქნება გამოყენებული, საქართველოს სამართლებრივ სისტემაში 2004 წელს შემოვიდა, დღეს სულ უფრო ხშირად გამოიყენება. თავდაპირველად მას მხოლოდ კორუფციული შემთხვევების დროს მიმართავდნენ, ბოლო პერიოდში კი თითქმის ყველა სახის სისხლის სამართლის დანაშაულებისას, ნათქვამია ანგარიშში. რასაც ამ ანგარიშშივე მოყვანილი სტატისტიკური მონაცემებიც ცხადყოფს: 2005 წელს 7 358 დანაშაული მოხდა, საპროცესო შეთანხმება 932 საქმეზე გაფორმდა. მოგეხსენებათ, ამ 932-იდან უმრავლესობა შევარდნაძის ჩინოვნიკების საქმე იყო, რომლებსაც ბიუჯეტიდან დატაცებული თანხები დააბრუნებინეს. 2006 წელს 13 602 დანაშაული მოხდა, საპროცესო შეთანხმება 3 791 საქმეზე გაფორმდა. ზრდის ეს ტენდეცია უკვე იმაზე მიუთითებს, რომ სამართალდამცავებმა „საპროცესო შეთანხმება კარგად დააგემოვნეს“, რაც შემდეგ წლებში კიდევ უფრო წარმატებულად გაგრძელდა. 2007 წელს აღრიცხულ 17 526 დანაშაულიდან საპროცესო, წინა წელთან შედარებით, ორჯერ მეტ — 8 432 საქმეზე გაფორმდა, ხოლო 2008 წელს, მიუხედავად იმისა, რომ წინა წელთან შედარებით მხოლოდ 113 დანაშაულით მეტი დაფიქსირდა (17 639), საპროცესო შეთანხმების რაოდენობამ თითქმის 1000-ით მოიმატა (9 207), ხოლო 2009 წლის იანვრიდან აგვისტოს ჩათვლით პერიოდში რეკორდი მოიხსნა — აღრიცხული 9 459 დანაშაულიდან საპროცესო შეთანხმება 5 380 საქმეზე გაფორმდა.

ეს სტატისტიკური მონაცემები იმაზე მიუთითებს, რომ „საპროცესო შეთანხმება“ არა მარტო იმ თვალსაზრისით ხდება საშიში, რომ პროკურორები მსჯავრდებულს მიზანმიმართულად ხდიან იძულებულს, თავისუფლების სანაცვლოდ დადგენილი თანხის გადახდას დათანხმდეს, სწორედ ამის გამო, არაერთი მსუბუქი დანაშაულისთვის ბრალდებული პირი ოჯახებით თავშესაფრის გარეშე დარჩა, რაც საქართველოში არსებულ სოციალურ ფონს კიდევ უფრო ამძაფრებს, არამედ იმ თვალსაზრისით უფრო და უფრო საშიში ხდება, რომ სოლიდური თანხების სანაცვლოდ თავისუფლებას ის პირები ყიდულობენ, რომლებიც მართლაც საშიშნი არიან საზოგადოებისთვის და მათი იზოლაცია სწორედ საზოგადოების უსაფრთხოების მიზნით აუცილებელია, ციხე კი იმ ადამაიანებით ივსება, რომლებმაც თავისუფლების ყიდვა ვერ შეძლეს.

„საპროცესო შეთანხმებას, როგორც თავისუფლების ნაღდი ანგარიშსწორებით ყიდვის საშუალებას, რაც, როგორც ჩანს, ქართული მართლმსაჯულების სისტემაში საკმაოდ გავრცელებული პრაქტიკაა, ბევრი ოპონენტი ჰყავს. თუ 2004-2005 წლებში ამ სისტემით უფრო ხშირად კორუმპირებული თანამდებობის პირები თუ ოლიგარქები სარგებლობდნენ, შემდეგ მიდგომა უფრო დემოკრატიული გახდა და ის ყველაზე გავრცელდა — ხულიგნობაში ეჭვმიტანილით დაწყებული, მკვლელობაში ეჭვმიტანილით დამთავრებული. იურისტების თქმით, იყო ისეთი შემთხვევები, როცა პროკურორები მცირე დანაშაულებზე 100 000-მდე ლარის გადახდას ითხოვდნენ. ხშირად მაშინაც კი, როცა მოთხოვნილი თანხა გაცილებით ნაკლები იყო, ბევრს მისი გადახდის შესაძლებლობაც არ ჰქონდა. ამის შედეგად ვიღებთ ვითარებას, რომელსაც საპროცესო შეთანხმების კრიტიკოსები ახასიათებენ როგორც „მართლმსაჯულებას მდიდრებისათვის,“ — აღნიშნულია ორგანიზაციის ანგარიშში.

„საერთაშორისო გამჭირვალობა — საქართველოს“ ორგანიზაციამ არა ერთხელ მიმართა საქართველოს მთავრობას ღია წერილით, რომელშიც ერთ-ერთი რეკომენდაცია საპროცესო შეთანხმების სრული სიის საჯაროობა იყო. თუმცა, რა თანხებს იხდიან ბრალდებულები საპროცესო შეთანხმების გაფორმებისას, დღემდე გასაიდუმლოებულია.

„საერთაშორისო გამჭირვალობა – საქრთველოს“ ანგარიშის მიხედვით, 2009 წლის პირველი რვა თვის განმავლობაში, საპროცესო შეთანხმებიდან ხაზინაში 32 760 994 ლარი შევიდა. „საპროცესო შეთანხმებების გაფორმება წლის ბოლომდე იმავე ტემპით რომ გაგრძელებულიყო, წლის ბოლოსთვის ხაზინა კიდევ 50 მილიონ ლარს მიიღებდა. ჯამში ეს თანხა საქართველოს 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის დაახლოებით 1% და ცხრა სამინისტროსა და პარლამენტის ბიუჯეტზე მეტი იქნებოდა,“ — ნათქვამია ანგარიშში.

შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ 2004 წლიდან დღემდე საპროცესო შეთანხმებით, ასობით მილიონი ლარია გადახდილი. აღნიშნული თანხები, ძირითადად, ორ ფონდში აკუმულირდებოდა — „არმიის გავითარების ფონდში“ (როგორც კავკასიის ჟურნალისტთა საგამოძიებო ცენტრმა მოიკვლია, თავდაცვის ყოფილი მინისტრის — ირაკლი ოქრუაშვილის მიერ იყო შექმნილი) და „პოლიციის განვითარების ფონდში“ (შს მინისტრ ვანო მერაბიშვილის მიერ იყო შექმნილი). მართალია, ხელისუფ- ▶

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

ტიმარი გამომძიებლამდე მიაღწევს, უკვე კარგად დამუშავებული და გემრიელად ნაცემია. გამომძიებლის ფანტაზიაზეა დამოკიდებული, რამდენად სწრაფად მიიღებს სასურველ ჩვენებას. მაგალითისთვის, „ზარმაცი გამომძიებელი“, რომელსაც ცემა ეზარება, ოჯახის წევრების შეურაცხყოფით ემუქრება.

**— პრაქტიკაში თუ შეგხვედრიათ ქარხნული წესით დამზადებული წამების იარაღი?**

— ქარხნული წესით რაღა არის, მაინცდამაინც „Made in Japan“ უნდა ეწეროს? ამ სისტემაში წამების იარაღად ყველაფერი გამოიყენება — დაწყებული უბრალო სანთებელიდან, რომლითაც პატიმარს სხეულის სხვადასხვა ნაწილს უწვავენ, დამთავრებული „პოლის ჯოხით“. არაერთი სკანდალი მომხდარა უბრალო ბოთლის გამო, რომელიც ძალიან ხშირად გამოიყენებოდა. რა ქარხნული წარმოების იარაღი უნდა ფეხებზე სველი პირსახოცის შემოხვევას და ზედ უბრალოდ დენის სადენების მიდებას.

**— კონკრეტულად ვის ევალება პატიმართა დამუშავება?**

— ესენი არიან „ბულტერიერის ჯიშის ძაღლები“, რომლებსაც ნერვიული სისტემა საერთოდ ანულირებული აქვთ. მათ ტკივილის შეგრძნება არ გააჩნიათ და ვერც სხვის ტკივილს აღიქვამენ. ესენი გამომძიებლებსა და მაღალჩინოსნებთან დაახლოებული და ნდობით აღჭურვილი პირები არიან, რომლებიც, თვითონაც რომ აღმოჩნდნენ ბოთლზე ან ფეხებზე სველ პირსახოცშემოხვეულნი, მაინც არ იტყვიან, ვისი ბრძანებით მოქმედებენ.

ესაუბრა
**ნანა ლაღაძიშვილი**

ლების წარმომადგენლები უარყოფდნენ საპროცესო შეთანხმების თანხების აღნიშნულ ფონდებში ჩარიცხვას და ამტკიცებდნენ, რომ ეს ფონდები საზღვარგარეთ მცხოვრები ბიზნესმენების შემოწირულობებით ივსებოდა, მიუხედავად ამისა, არაერთხელ გახმაურდა, რომ ბრალდებულებს თანხები სწორედ ამ ანგარიშებზე შეჰქონდათ.

საპროცესო შეთანხმების „სტავკა“ 5000 ლარიდან იწყება, ჯერჯერობით საზოგადოებისთვის ცნობილი „გადახდებიდან“ შევარდნაძის სიძის, გია ჯოხთაბერიძის მიერ თავისუფლების სანაცვლოდ გადახდილი 15 მილიონი ჯერაც რეკორდია და არავის მოუხსნია. როგორც ცნობილია, არანაკლები დაუჯდა თავისუფლება იმდროინდელ რკინიგზის დეპატრამენტის შეფს — კაკო ჩხაიძეს. რევოლუციური ეიფორიისა და რეპრესიების შემდეგ, ამ რეპრესიების მესაჭის, მაშინდელი შს მინისტრის, ირაკლი ოქრუაშვილის დაკავებამდე მრავალმილიონიანი შენატანები სახელმწიფო ბიუჯეტს რამდენიმე წელს აღარ ჰქონია, თუმცა ნარკოტიკული დანაშაულისთვის, ქურდობისთვის, ყაჩაღობისა და სხვა დანაშაულებისთვის ბიუჯეტში არცთუ მცირე თანხები აკუმულირდებოდა. მეტიც, ერთხანს იმასაც ამბობდნენ, სამართალდამცავებს საპროცესო შეთანხმებიდან სახელმწიფო პროცენტს აძლევს, რაც სერიოზული წამახალისებელი გარემოებაა დანაშაულის „შესატენად“ თუ კრიმინალის პატიმრობიდან გასათავისუფლებლად.

**სოფო გელაშვილი**

# დემოკრატიის შუქურა თუ უვიცობის პროჟექტორი?

**მცირე ხნის წინ გაჭირვებულთა მეოხი, ურჩხულის (შევარდნაძის) დამმარცხებელი, სწორუპოვარი მიშიკო კიდევ ერთხელ გამოგვიცხადეს დემოკრატიის შუქურად, სიკეთის დამცველად და, საერთოდ, სამყაროში დღემდე არსებული ყველანაირი ცოდნისა და სიკეთის ბურჯად.**

როგორი სიურპრიზი გაუკეთა 13 მარტს ამ „შუქურამ“ თავის ხალხს (ვინც ჯერ კიდევ ცოცხალია), ყველამ ვნახეთ და ვინც ბენზინგასამართ სადგურამდე ვერ მივასწარით რუსული აგრესიისგან გასაქცევად, სახლებში მივიღეთ მიკრო თუ მაკრო ინფარქტები.

**საინტერესო სხვა რამაა. გაუნათლებელია და ორი წიგნი არ აქვს წაკითხულიო, ჩვენში რომ იციან ხოლმე თქმა, სააკაშვილზე ვერ იტყვი. განათლებაც მიღებული აქვს, არცთუ უკანასკნელი ოჯახიდანაც არის და ჭკვიან ხალხსაც საკმაოდ შეხვედრია (რომ არ უსმენს, ეს სხვა საკითხია). მაგრამ პერიოდულად ისეთ რაღაცებს როშავს, ვერანაირ ახსნას რომ ვერ მოუძებნი, გარდა...**

**„ქართველები იმდენად მაგარი ხალხი ვართ, პომპეუსმაც კი ვერ აიღო თბილისიო“,** – გამოგვიცხადა ერთხელ ჰეროდოტეს უნიჭო შთამომავალმა. ვინც უცებ ვერ გაერკვა სიტუციაში – პომპეუსის დროს თბილისის ადგილას გაუვალი ტყე იყო, ხოხობი რამდენიმე საუკუნის მერე მოფრინდა.

**„ჯერ კიდევ ჩვენი დიდი მეფეები – ვახტანგ გორგასალი, თამარი და დავითი – ოცნებობდნენ ევროპასა და ნატოში ინტეგრაციაზეო“.** ამას უკვე დიაგნოზი ჰქვია. უბედური **ვახტანგ გორგასალი, ადვილი წარმოსადგენია, როგორ იჯდა დამწუხრებული სახით – შენგენის ვიზა არ მომცეს ამ უნამუსოებმაო...**

ვინმემ თუ იცოდით, რამდენი წელი ატარა მოსემ ებრაელები უდაბნოში, ჩათვალეთ, რომ არაფერი გცოდნიათ – **ისტორიულად და საყოველთაოდ ცნობილ ვადას – 40 წელს სააკაშვილმა 15 წელი ჩამოაჭრა** (ამნისტია) და გვამცნო : **25 წელი ატარებდა, არც მეტი, არც ნაკლებიო.** ევროსაბჭოს გენერალურ ასამბლეაზე გამოსვლისას კი ამაყად თავაწეულმა განაცხადა – **თურქეთი საქართველოს ისტორიული მეგობარი და პარტნიორიაო.** ქართველებს ვინ ჩივის, ამის გაგონებისას თურქეთის დელეგაციის წევრებმაც კი სირცხვილით თავი ჩაღუნეს. გაგიკვირდეთ ამის მერე, თუ კაცს გრიგოლ ორბელიანი და შოთა რუსთაველი ერთმანეთში ერევა...

ისე, ადამიანი ასე გავდეს ინტელექტით (თუ უინტელექტობით) თავის პატრონსა და დამსმელს, იშვიათი მოსაძებნია. ჯორჯ დაბლ იუზეა საუბარი, რომლის უწიგნურობაზე თავად ამერიკაშიც კი ლეგენდები დადის და არცთუ მთლად დალაგებული ფსიქიკის პატრონის რეპუტაცია აქვს. არა, „ჩვენი, რა თქმა უნდა, ყველას სჯობია“, მაგრამ მაინც... ისინი გამონათქვამებშიც კი გვანან ერთმანეთს. **თუ სააკაშვილმა თურქებს დასდო ბრალი ჩვენს ისტორიულ მეგობრობაში, ბუში იაპონიას გადასწვდა – უკვე საუკუნე-ნახევარია, ამერიკასა და იაპონიას ერთმანეთში ისეთი მეგობრობა და ძმობა აქვთ, აქამდე რომ არავის ჰქონიაო,** — წამოაყრანტალა ჯორჯმა. **როგორც ჩანს, ჰიროსიმასა და ნაგასაკის თავზე ატომურ ბომბებს „ცისფერი მთების“ გივი აგდებდა...**

2002 წელს ბრაზილიაში გაკვირვებულმა ბუშმა მთელი გულწრფელობით ჰკითხა ამ ქვეყნის პრეზიდენტს – **„უი, თქვენც გყავთ ზანგები?“** ცოტა ხანში კი კედელზე გაკრული ამ ქვეყნის რუკა დაინახა და აღტაცებულმა შესძახა – **„უყურე რამხელა ყოფილა ბრაზილია?!“**

**„მე ამასწინათ შევხვდი რუსეთის პრეზიდენტს. სლოვაკეთში, თუ სლოვენიაში. არ მახსოვს, ზუსტად რა ჰქვია იმ ქვეყანას,“** – მომაკვდინებელი გულწრფელობით განაცხადა ერთხელ ბუშმა. კიდევ ერთი „შედევრი“ კანადის პრემიერ-მინისტრ ჟან კრეტიენთან ერთად გამართულ პრესკონფერენციაზე დაფიქსირდა. ერთ-ერთი ჟურნალისტის კითხვას ბუშმა ასეთი პასუხი გასცა – **„მე არ გიპასუხებთ არც ინგლისურ, არც ფრანგულ და არც მექსიკურ ენაზე!“** მექსიკური ენა რომელიღააო, საგონებელში ჩავარდნენ ლინგვისტები.....

სხვათაშორის, გეოგრაფიას ვინ ჩივის, შეიძლება წარმოუდგენლადაც მოგეჩვენოთ, მაგრამ ძირძველმა ამერიკელმა, პრეზიდენტობამდე ამ ქვეყნის იქეთ ლამის ფეხი რომ არ გაედგა – ბუშმა, არ იცის... **ინგლისური!**

2001 წლის 11 იანვარს, ბუშს გამოსვლა ჰქონდა ამერიკის დაწყებითი სკოლების მომავლის შესახებ.

## „ერაყი რომც არ არსებობდეს, მე იქ მაინც შევიჭრებოდი“, — განაცხადა ბუშმა და... შეიჭრა

უმარტივეს წინადადებაში მან ორი შეცდომა დაუშვა – „Rarely is the questioned asked: Is our children learning?“ რაც დაახლოებით ასე შეიძლება ითარგმნოს : **„იშვიათად დასმული შეკითხვა – სწავლობს თუ არა ჩვენი შვილები ?“**

შემდეგ – კიდევ უკეთესი: „If you teach you child to read, he or her would be able to pass a literacy test“ ანუ, ბუშიდან თუ ვთარგმნით: **„თუ თქვენ ასწავლით თქვენს ბავშვს კითხვას, ის შეძლებს, ჩააბაროს წერა-კითხვის ტესტი“...**




„დემოკრატიის შუქურა“ და მისი „რუბილნიკი“ არველაძე სტუმრად ნათლია ჯორჯთან „თეთრ სახლში“

ამის შემდეგ არც ბუშის მიერ წამოწეულ ერთ-ერთ ლოზუნგში შეგეპარება ეჭვი – **„ჩვენ გვეყოლება ყველაზე განათლებული ამერიკელები მსოფლიოში!“ ერთხელ კი ისიც თქვა, – წიგნებში ერთ–ერთი ყველაზე კარგი რამ ის არის, რომ ხანდახან მათში ნახატები გვხვდებაო.**

სამართლიანობა მოითხოვს, აღინიშნოს, რომ თანამედროვე მეტყველება გაცილებით მდიდარი იქნებოდა „ბუშიზმებით“, ყოველი მისი საჯარო გამოსვლა მის თანაშემწეებს რომ მაქსიმალურად არ გაეფილტრათ და სუფლიორის საშუალებით მისთვის გამოსვლის პარალელურად სიტყვების ტრანსკრიპციები არ მიეშველებინათ. გაეროს საიტის თანამშრომელთა დაუდევრობით (ან შეიძლება დაუდევრობა არაფერ შუაშია) ინტერნეტში მოხვდა ბუშის გამოსვლის ტექსტი გაეროს გენერალური ასამბლეის 62-ე სესიაზე, რომელშიც ტრანსკრიპციით იყო მოცემული სიტყვები – **„მავრიტანია“, „ყირგიზეთი“, „ზიმბაბვე“ და „რობერტ მუგაბე“.** როგორც ჩანს, ბუშის თანაშემწეები დარწმუნებული იყვნენ, რომ ნორმალურად დაწერილ ამ სიტყვებს მათი პატრონი უბრალოდ ვერ წაიკითხავდა.

ცალკე საუბრის თემაა ექს-პრეზიდენტის ურთიერთობა ღმერთთან. **„ჩემი საშუალებით ღმერთი ლაპარაკობს“,** – მოკლედ მოჭრა 2004 წელს ბუშმა. „თემა“ მან ერთ-ერთი შემდგომი გამოსვლისას განავრცო – **„ღმერთმა მითხრა, რომ თავს დავსხმოდი „ალ-ქაიდას“ და მეც დავესხი. ასევე, წინასწარ მომცა მან ინსტრუქცია, თავს დავსხმოდი სადამს, რაც მე, ასევე, გავაკეთე“.** ერთი-ორჯერ კი ბუშმა თავისი თავისა და ღმერთის შესახებ ისე ისაუბრა, კარგად შეხმატკბილებული დუეტი გეგონებოდათ: **„ღმერთს თქვენ უყვარხართ. თქვენ მეც მიყვარხართ. თქვენ შეგიძლიათ, ჩვენი — ორივეს იმედი გქონდეთ“...**

და ბოლოს, რამდენიმე ფრაზა, რომელთა კლასიფიცირება ძალიან ძნელია. ეს არის სუფთა, შეურყვნელი ბუში, რომლის ფრაზები უბრალოდ უნდა იკითხო და სიამოვნება მიიღო:

**„მე ვიცი, როგორ გიჭირთ თქვენ საკუთარ ოჯახში საჭმლის შეტანა“.**

**„საჭირო იქნება გარკვეული დრო, რათა აღვადგინოთ ქაოსი“.**

**„დაიმახსოვრეთ – უნდა დაზარალდნენ ფრინველები და არა — მონადირენი“.**

**„ჩვენ უნდა გავაცნობიეროთ, რომ ღარიბი ადამიანები ყოველთვის მკვლელები არ არიან“.**

**„დადგა დრო, როცა ადამიანთა მოდგმა მზის სისტემაში უნდა გავიდეს“. (უკაცრავად, აბა ახლა სად ვართ? – ავტ.)**

**„ერაყი რომც არ არსებობდეს, მე იქ მაინც შევიჭრებოდი“.**

**„მე ვიცი, რომ ადამიანებსა და თევზებს შეუძლიათ მშვიდობიანი თანაცხოვრება“.**

**„ჩვენი მტრები საზრიანი და მოხერხებულნი არიან. ჩვენც ასევე ვართ. ისინი გამუდმებით ფიქრობენ ახალ-ახალ საშუალებებზე, რათა ჩვენს ქვეყანასა და ხალხს ზიანი მიაყენონ. ჩვენც ასევე ვართ“....**

ერთხელ ბუშმა ამერიკის სადაზვერვო სამსახურების მუშაობაზე ილაპარაკა და დაახლოებით ასეთი გამოთქმა იხმარა, – **ჩვენ ძაან მაგარი დაზვერვა გვყავსო.** მეორე დღეს ჯეი ლენოს შოუში კომენტარმა არ დააყოვნა, – **ეს პრეზიდენტის გამოსვლა იყო თუ კეტჩუპის რეკლამაო?**

გვირგვინი კი იმ ისტორიას ადგას თავზე, რომელიც ბუშისა და ინგლისის დედოფლის შეხვედრისას მოხდა. 2007 წელს ბუშმა თეთრ სახლში ელისაბედ II მიიღო. **„ამერიკელი ხალხი ბედნიერია და გესალმებათ, თქვენო უდიდებულესობავ, იმ ქვეყანაში, რომელსაც თქვენ ძალიან კარგად იცნობთ. გინდა – არ გინდა, თქვენ ამერიკის 10 პრეზიდენტთან ერთად გისადილიათ (უნდა მოახერხო, რომ ქალს ეს უთხრა...). თქვენ მონაწილეობდით ჩვენი ქვეყნის საიუბილეო ღონისძიებაში, რომელიც გაიმართა 17...** და აი, აქ კი უკვე ბუშს სიტყვა პირზე შეახმა, დაინახა რა დედოფლის გაოგნებული სახე. და იქვე გადაასწორა – 1976 წელსო.

მოგვიანებით ბუშმა ამ სიტუაციის შესახებ თქვა: **„მან მე ისე შემომხედა, როგორც მხოლოდ დედას შეუძლია, ბავშვს შეხედოს“...**

**სალვადორ დვალი**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# ვინ დაქოქა ტანკი?!

**ერთხელ ჩვენი დროის გამოჩენილმა მუსიკოსმა ვლადიმერ სპივაკოვმა რუს და ქართველ ხალხს შორის კულტურულ, ისტორიულ, უბრალოდ, ადამიანურ ურთიერთობებზე ურღვევი კავშირის შესახებ ლაპარაკისას, თავისი ტალანტის თაყვანისმცემლის — ერთი ხანდაზმული ქართველის სიტყვები გაიხსენა: „ჩემო კარგო, ჩვენ ძმები ვართ, სახელებიც ერთნაირი გვაქვს: აი, შენ რუსულად ვლადიმერი გქვია, ქართულად კი — ლადო!“**



„ვლადიმერი — ლადო, ივანე — ვანო, გენადი — გენო, ანტონი — ტატო“ — ამის ჩამოთვლა უსასრულოდ შეიძლება... დღითიდღე, რაც მეტად ცდილობენ, რუსეთს დაგვაშორონ, მით უფრო ნათელი ხდება, რამდენად ახლობლები ვართ!

არ ვილაპარაკებ ერთმორწმუნეობასა და მამულზე, რომელსაც ერთად ვიცავდით. ამის მაგალითებს წარსულში რა გამოლევს, ისინი ყველასთვის ცნობილია. დღესაც კი, მიუხედავად რუსულ-ქართული ურთიერთობების უპრეცედენტოდ ტრაგიკული მდგომარეობისა, საერთო მაინც ბევრი გვაქვს.

მაგალითად, ახლახან შევეცადე, ანალოგი მომეძებნა ოდინდელი რუსული კითხვებისათვის: **„ვინ არის დამნაშავე?“** და **„რა ვიღონოთ?“ („Что делать?“ „Кто виноват?“)** და წარმოიდგინეთ, მაშინვე მივაგენი, თუმცა ერთობ სატირულად კი ჟღერს:

**„ვინ არის დამნაშავე?“** დღეს საქართველოში ჟღერს, როგორც **„ვინ დაქოქა ტანკი?“**

**„ვინ დაქოქა ტანკი?“** — ეკითხებოდა განრისხებული პრეზიდენტი **სააკაშვილი** 2009 წლის 6 მაისს მუხროვანის ბაზაზე მომხდარი „ამბოხის“ მონაწილე სამხედროებს. **დამნაშავეთა ძებნა, მათი არარსებობის შემთხვევაშიც კი, ჩვენში ტრადიციად იქცა — „დაბალი ღობე“ ხომ უნდა ვიპოვოთ, რათა ყველა წარუმატებლობა მას გადავაბრალოთ?!** სავსებით გამართლებული და არაერთგზის ნაცადი პიარ-ტრიუკია, თუნდაც სააკაშვილის წინამორბედის — **შევარდნაძის** მიერ!

**ვინ დაქოქა ტანკი** 1989 წლის 9 აპრილს თბილისში და დაარბია მიტინგი რუსთაველის პროსპექტზე? 1992 წლის 6 იანვარს კი იმავე პროსპექტიდან გააძევეს პრეზიდენტი გამსახურდია?

**ვინ დაქოქა ტანკი** 1992 წლის 14 აგვისტოს სოხუმში და ძმათამკვლელი ომი დაიწყო? ხოლო 1993 წლის 4 ნოემბერს — ფოთში, როცა ეს ომი შეაჩერა?

**ვინ დაქოქა ტანკი** 2001 და 2009 წლების მაისში მუხროვანში და „სამხედრო ამბოხი“ დაიწყო?

*(სამწუხაროდ, შემსრულებლებზე —* ***გენერალ-პოლკოვნიკ როდიონოვსა და ადმირალ ბალტინზე, გვარდიის გენერალ კიტოვანზე, პოლკოვნიკ ოთანაძეზე, კრიალაშვილსა და მაიორ ამირიძეზე*** — შორს არ გვიშვებენ, შემკვეთთა ვინაობა კი უწინდებურად გასაიდუმლოებულია...)

**„რა ვიღონოთ?“** — აქ კი უმალ კლასიკური **„რა ვჭამოთ?“** მახსენდება.

**„რა ვჭამოთ — ჩიხირთმა თუ ბოზბაში?“** — მთელი დღეების განმავლობაში ბჭობენ თავადი ლუარსაბ თათქარიძე და მისი მეუღლე დარეჯანი ილია ჭავჭავაძის გენიალურ მოთხრობაში „კაცია-ადამიანი?!“, რომელიც მე-19 საუკუნის შუახანებშია დაწერილი და სადაც გამოაშკარავებულია სულიერებას მოკლებულ ქართველ ფეოდალ-მემამულეთა ობივატელური არსებობა.

**ახლა კი დღევანდელ საქართველოს გადახედეთ — არაფერს გეუბნებათ ყოველ ფეხის ნაბიჯზე გაჩენილი რესტორნები, ღამის კლუბები და ბარები ქარხნების, ფაბრიკების არარსებობისა და უმუშევრობის პირობებში?!** ამასთან, მათი რაოდენობა ყოველდღიურად იზრდება, რაც გასაკვირი არაა — საქართველოში ეს ერთ-ერთი ყველაზე მომგებიანი ბიზნესია! მაგრამ განა საქართველოს მოსახლეობის უმრავლეობას შეუძლია საკუთარ თავს ამ დაწესებულებებში სტუმრობის ფუფუნების უფლება მისცეს? განა მასწავლებლის, ექიმის, მუშის ხელფასი, პენსია ან ლტოლვილის შემწეობა იძლევა ამის საშუალებას თვეში ერთხელ მაინც?! **მაშ, რით განსხვავდება მათ მუდმივ კლიენტთა — ხელისუფალთა, მათი შვილებისა და ახლობლების — მენტალიტეტი ჭავჭავაძის მიერ აღწერილი ფეოდალ-მემამულეების მენტალიტეტისგან?!**

აი, ასეთი ანალოგიები დამებადა. დაე, მკითხველმა მაპატიოს ჩემი ცრემლიანი იუმორი...

**და სხვა როგორი იუმორის გამოწვევა შეუძლიათ ჩვენს პოლიტიკოსებს, რომლებიც უწინ ვერავითარ კავშირს ვერ ხედავდნენ საქართველოსა და რუსეთს შორის და „მთელი გზა“ გვიჩიჩინებდნენ, რომ ჩვენ, ქართველები, თურმე უძველესი ევროპელები ვყოფილვართ და რომ აშშ ის სამი ასოა, რომლითაც ქართული ანბანი იწყება. დღეს კი უცებ „გონება გაუნათდათ“?!**

აი, ორი მაგალითი არცთუ შორეული წარსულიდან:

### *მაგალითი №1*

2008 წლის 9 თებერვალი, ფრაგმენტი საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის — **ნინო ბურჯანაძის** ინტერვიუდან (სპეციალურად РИА „Новости“- სთვის“).

***კითხვა:***

— საქართველო-რუსეთის სახელმწიფო ურთიერთობები ბოლო წლებში უარესდება. თქვენი აზრით, რაშია დამნაშავე რუსეთი და რაში — საქართველო?

**ნ.ბ.:** — ყველაზე დიდი პრობლემა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის პრობლემაა, რომელიც „საჯილდაო ქვას“ წარმოადგენს რუსულ-ქართულ ურთიერთობებში... სანამ რუსეთი რეალური შუამდგომლის პოზიტიურ როლს არ ითამაშებს, რაიმე ძვრაზე ლაპარაკი ძალიან ძნელია... რუსეთი ცდილობს კოსოვოს ინციდენტის გამოყენებას და მას აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სიტუაციას ადარებს: *„თუკი ეს შეიძლება კოსოვოსთვის, რატომ არ შეიძლება აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთისთვის?!“* — რუსეთის გარკვეულ წრეებში თავი არ შეიკავეს აფხაზური და სამხრეთოსური კარტის „გათამაშებისგან“, თუმცა რუსეთის მხარეს ჩინებულად ესმის კოსოვოსა და აფხაზეთ\სამხრეთ ოსეთს შორის განსხვავება, ასევე ის, თუ რა უარყოფითი შედეგების მოტანა შეუძლია ამას თავად რუსეთისათვის, იქ ჯაჭვური რეაქციის გამოწვევით. **საქართველო აუცილებლად გახდება ნატოს წევრი, რადგან მიგვაჩნია, რომ ეს ორგანიზაცია წევრი-ქვეყნების არა მარტო უსაფრთხოებას, არამედ მათ დემოკრატიულ განვითარებას უწყობს ხელს: ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში შედიან ქვეყნები, რომლებიც განვითარების დემოკრატიულ პრინციპებს სცემენ პატივს!**

***კითხვა:***

— 2001 წლის ნოემბერში, როცა პირველად აგირჩიეს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარედ, სხდომის დასრულებისას თქვენ ბლიცინტერვიუში შემდეგი სიტყვები წარმოთქვით: „რუსეთი და საქართველო აუცილებლად უნდა მეგობრობდნენ, მე ვიცნობ და ძალიან მიყვარს მოსკოვი!“ შეგიძლიათ ეს ფრაზა დღესაც გაიმეოროთ? დღესაც გიყვართ მოსკოვი?

**ნ.ბ.:** — დიახ, რუსეთისა და საქართველოს მეგობრობის შესახებ იმავე სიტყვების გამეორება შემიძლია. სიამოვნებით შევუწყობ ხელს ჩვენი ურთიერთობების დარეგულირებას — ეს არა მარტო ემოციურად, არამედ პრაგმატულადაც ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნისა და რუსეთისთვის... ძალიან მიყვარდა და უწინ დიდი სიხარულით ჩამოვდიოდი მოსკოვში, თუმცა **არც ისე დიდი ხნის წინათ, როცა მოსკოვის ქუჩებში მივაბიჯებდი, შეგრძნება მქონდა, თითქოს მტრის სახელმწიფოში ვიმყოფებოდი!** ეს შეგრძნება ძალიან მტკივნეული იყო — ამის შესახებ ერთ რუს პოლიტიკოსსაც ვუთხარი (სამწუხაროდ, ერთ-ერთს იმ მცირეთაგან, ვინც გულწრფელად ცდილობს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებში გარკვევას)... მოდი, ასე ვთქვათ: მტრები არ ვართ, მაგრამ არც მეგობრები ვართ! **მაგრამ რუსეთში, მოსკოვში თავს კომფორტულად ვერ ვიგრძნობ მანამ, სანამ ჩემი ქვეყნისთვის ურთულესი საკითხები არ გადაიჭრება, სანამ რუსეთი, რომელსაც შეეძლო, ხელი შეეწყო აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის პრობლემის დარეგულირებისთვის, არაფერს, ან და პირიქით — საპირისპიროს აკეთებს... მინდა** ▶

## მოკლედ



### ჩინეთი მილიარდებს არიგებს

**ჩინეთის სახელმწიფო მეთაურის მოადგილე სი ცზინპინი ბელორუსის პრეზიდენტ ალექსანდრე ლუკაშენკოს შეხვდა და შეღავათიანი პირობებით მილიარდიან კრედიტს დაჰპირდა.** გარდა ამისა, 8,8 მილიარდ დოლარს უსასყიდლოდ აძლევს და 3,4 მილიარდი დოლარის კონტრაქტებს უფორმებს. მანამდე მილიარდიანი კრედიტი ერგო მოლდავეთს, რუსულ კომპანიებს კი ნავთობის მიწოდების გარანტიის სანაცვლოდ 30 მილიარდი მისცა. ბელორუსში ჩინეთის მთავარ ინტერესს სამხედრო სფეროში თანამშრომლობა წარმოადგენს.



### გადავრჩით

**1990-91 წ.წ. უზენაესი საბჭოს დეპუტატები, როგორც იქნა, აღშფოთდნენ;** იმ ოპოზიციონერთა შესაჩერებლად, რომლებიც კრემლთან „აშკარად და დაუფარავად“ შეუდგნენ დიალოგს, რითაც „საქართველოს სახელმწიფოებრიობას სერიოზულ საფრთხეს უქმნიან როგორც ახლო, ისე შორეულ პერსპექტივაში“, მედეა თუშმალიშვილმა, რევაზ ბოჭორიშვილმა, ვიქტორ დომუხოვსკიმ, დოდონა კიზირიამ, ირაკლი ხიზანიშვილმა, ჩარლზ ჩხოტუამ, მაია სიმონიამ და რენო სირაძემ დაარსეს პოლიტიკური გაერთიანება „ქარტია 2010“. ასე რომ, გადავრჩით.




### „ნაბუკომ“ ჭირი მოგვჭამა

**ჩვენი ეკონომიკის აყვავებისა და გაფურჩქვნის უდიდესმა იმედმა, რომელიც, კარგა ხანია, სულს ღაფავს, საბოლოოდ მოგვჭამა ჭირი.** ენერგეტიკის საკითხების ევროკომისარმა გიუნტერ ოტინგერმა გვახარა, რომ „ნაბუკო“ ექსპლოატაციაში დაგეგმილზე ოთხი წლით გვიან შევა. „ექსპლოატაციაში შესვლა“ იმ მშენებლობის დასრულებას ნიშნავს, წელსაც რომ ვერ იწყებენ, თორემ ამ მილში გაზი ვინ უნდა გაუშვას, ეგეც მხოლოდ ღმერთმა უწყის. არც ღირს თავის მტვრევად, ოთხ წელიწადში ან ვირი მოკვდება, ან ვირის პატრონი.



### ცოტას რუსებსაც ვაჭმევთო

**სოფლის მეურნეობის მინისტრი ბაკურ კვეზერელი იმერელ ფერმერებს შეხვდა და დაჰპირდა, თუ სავაჭრო ურთიერთობას აღვადგენთ, მწვანილს რუსულ ბაზარზეც გაგაყიდინებთო.** თურმე რუსეთს ამის სურვილი და მოთხოვნილება კი აქვს, მაგრამ ჩვენთვის რუსული ბაზარი რა დიდი ბედენაა, ერთ-ერთი თუ იქნება, კიდევ ჰო, ერთადერთობას და ძირითადობას კი ნამდვილად ვერ დავპირდებით. და საერთოდაც, ჯერ ევროპა უნდა გამოვაძღოთ მწვანილით და მერე, თუ რამე გადაგვრჩა, ცოტას რუსეთსაც ვაჭმევთ.



### ნატო თალიბებს გადაეფარა

**რუსეთმა ავღანეთში ოპიუმის ყაყაჩოს შხამქიმიკატების საშუალებით განადგურების წინადადება წამოაყენა, მაგრამ ნატომ ბრძანა — არაო.** მოტივი მომაკვდინებელია: ნატოს ოფიციალურმა წარმომადგენელმა ჯეიმს აპატურაიმ თქვა, „თალიბანს“ ოპიუმის იმხელა მარაგი აქვს, ეს მოსავალი გინდ მიეცი და გინდ წაართვი, არ დაეტყობაო. ჰოდა, ისე გამოუვიდა — ბარემ მივცეთ, ავღანელებს მაინც არ მოვიმდურებთ, ამით ჭამენ პურსო. მერე რუსეთს მიუბრუნდა — ნარკოტიკებს ჩვენ მივხედავთ და თქვენ თალიბებთან ბრძოლაში დაგვეხმარეთო.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

იმედი ვიქონიო, რომ რუსეთში არჩევნების შემდეგ, რომლებსაც სპეციფიკური ხასიათი აქვს, ხელისუფლების შემცვლის შემდეგ შესაძლებელი იქნება კურსის შეცვლა, მით უმეტეს, რომ ჩვენმა პრეზიდენტმა თავად წამოაყენა წინადადება, აქტიურად და რეალურად ვიმუშაოთ ჩვენი ურთიერთობების გაუმჯობესებაზე.

**საინტერესოა, როგორ გრძნობდა თავს ქალბატონი ბურჯანაძე მოსკოვში ამასწინანდელი ვიზიტისას — როგორც კვლავ მტრის სახელმწიფოში?! კომფორტულად გრძნობდა თავს პრემიერ-მინისტრ პუტინთან შეხვედრისას — იმ მთავრობის მეთაურთან, რომელიც 2 წლის წინათ დესტრუქციულ მოქმედებებში დაადანაშაულა და რომლის წასვლასაც, პრეზიდენტ სააკაშვილთან ერთად, რუსეთთან ურთიერთობის გაუმჯობესების იმედს უკავშირებდა? საქართველო აუცილებლად გახდება ნატოს წევრი! — დღესაც ასე ფიქრობთ, ქალბატონო ნინო?**

*მაგალითი №2*

2008 წლის 18 მარტი, ფრაგმენტი „ხალხის პარტიის“ თავმჯდომარე **კობა დავითაშვილის** ინტერვიუდან (სპეციალურად РИА „Новости“-სთვის“).

***კითხვა:***

— ხომ არ ფიქრობთ, რომ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებში არსებული ნეგატივის მთავარი მიზეზი სწორედ ამ არ აღიარებელი რესპუბლიკებისადმი განსხვავებულ მიდგომაშია?

**კ.დ.:** — ეს არა მარტო პოლიტიკის, არამედ მენტალიტეტის სფეროსაც ეხება: ქართველების ცნობიერებაში აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი საქართველოს განუყოფელი ნაწილია, რომლის ტერიტორიულ მთლიანობასაც, სხვათაშორის, ყოველთვის ოფიციალურად აღიარებს რუსეთიც. სინამდვილეში კი სხვაგვარად ხდება: საკმარისია ითქვას, რომ რუსეთის დუმაში არა ერთხელ განიხილეს რუსეთის ფედერაციისთვის აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მიერთების საკითხი... **მიუხედავად იმისა, რომ სააკაშვილის აშკარა ოპონენტი ვარ, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების გაუარესებაში მარტო მას ვერ დავადანაშაულებ. აი, ნახავთ, სააკაშვილი სულ მალე აღარ იქნება ხელისუფლებაში, მაგრამ პრობლემა უწინდებურად იარსებებს!..** რუსეთმა უნდა შეასრულოს ის სამშვიდობო როლი, რომელიც ოფიციალურად იტვირთა მსოფლიო თანამეგობრობის წინაშე... თუ რუსეთი რეალურად მოისურვებს ამ კონფლიქტების გადაჭრას, მაშინ საქართველოს სახით ის მეგობარს შეიძენს.

***კითხვა:***

— როგორ წარმოგიდგენიათ ეს მეგობრობა იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს ნატოში გაწევრება და ამ ორგანიზაციის წევრობით თავისი ტერიტორიული ერთიანობის პრობლემის გადაჭრა სურს?

**კ.დ.:** — ვფიქრობ, რუსეთი თვითონ უბიძგებს საქართველოს ნატოსკენ: როცა რუსი პოლიტიკოსები ტელევიზიის მეშვეობით ხმამაღლა აცხადებენ, რომ კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარების შემდეგ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარებისა და რუსეთისთვის მის მისაერთებლად საჭირო ყველა აუცილებელ პროცედურას დაიწყებენ, საქართველოს უფლება აქვს, უფრო ძლიერი მფარველები მოძებნოს, რათა თავი დაიცვას შესაძლო აგრესიისგან.

***კითხვა:***

— დავუშვათ, რუსეთმა თავისი პოლიტიკა შეცვალა არ აღიარებელი რესპუბლიკების მიმართ. ასეთ შემთხვევაში გამოუცხადებს თუ არა საქართველო მსოფლიო თანამეგობრობას, რომ უარს ამბობს ნატოზე და, ვთქვათ, ნეიტრალური სახელმწიფო ხდება?

**კ.დ.:** — ნეიტრალიტეტის პოლიტიკაზე გადასასვლელად წლები კი არა, ათწლეულებია საჭირო... **დღეს საქართველოს მხრიდან ასეთი კომპრომისი — ნატოში შესვლაზე უარის თქმა შეუძლებელია.** ერთმანეთი არ უნდა მოვატყუოთ: ეს ხომ ქართველი ხალხის გადაწყვეტილებაა, რადგან ნატოში შესვლას რეფერენდუმზე ხმა მისცა მოსახლეობის 2/3-ზე მეტმა.

ახლა კი — ამონარიდი ბატონი **დავითაშვილის** ინტერვიუდან, რომელიც მან საინფორმაციო სააგენტო „GHN“-ს მისცა 2010 წლის 26 იანვარს: ***„აუცილებლობის შემთხვევაში საქართველო მზადაა, ნეიტრალიტეტი შეინარჩუნოს... ჩვენ ნატოზე მიჯაჭვული არ ვართ. იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა აღდგება, ნეიტრალიტეტზე თანახმა ვართ“.***

**და ეს ყველაფერი უნდა „ვჭამოთ“, ბატონებო?! არა, გმადლობთ, ამას ისევ ჩიხირთმა თუ ბოზბაში სჯობს!... რა თქმა უნდა, „ნავერტელე“-ც შეიძლება: გონების განათება და გამოსწორება არასდროს არის გვიან.** მაგრამ დასაწყისისთვის, დაე, საჯაროდ მოინანიონ და **დედა დაიფიცონ**, როგორც ეს მათმა მეგობარმა — ცნობილმა პირფერმა და ფარისეველმა **ეროსი კიწმარიშვილმა** მოიმოქმედა! მაშინ შეიძლება დავიჯეროთ კიდეც...

**არჩილ იმერელი**



# ტიტებიც ტირიან

**ათი წლის წინათ ჯორჯ სოროსი მსოფლიოს გასაგონად ტრაბახობდა თავისი მილიარდებით ნაყიდი „ვარდების რევოლუციის“ გამარჯვებით საქართველოში და აღმოსავლეთისკენ მიმართავდა „დემოკრატიული მსოფლიოს“ შესაქმნელ „ფერთა გამას“, რომელიც, კაცმა რომ თქვას, ხელმოცარულთა ერთფეროვნებად ჩამოყალიბდა ბოლოს.**
**აბა, სხვა რა გამოდნებოდა პრიმიტიული სცენარის ტირაჟირებული უნიჭობიდან?! ნაყიდი რევოლუცია.**



უნიჭობა ბევრი აგვიტანია, ამაზეც არ მოვიკლავდით თავს, ქვეყანა რომ არ აეწეწა და არ აერია.

თითქოს, რა საერთო უნდა ჰქონდეს საქართველოს „ვარდების რევოლუციას“ ყირგიზეთის „ტიტების რევოლუციასთან“?!

ანალიტიკოსების დასკვნებს თუ ვენდობით, ორივე გადატრიალების მომზადების, რეალიზაციის პროცესი და, განსაკუთრებით, შედეგები ერთ თარგზეა გამოჭრილი.

ორივე ეს „რევოლუცია“ იმთავითვე გაპიარებული იქნა, როგორც ჭეშმარიტი დემოკრატიისკენ და ნანატრი თავისუფლებისკენ გადადგმული გადამწყვეტი ნაბიჯი, ხალხის ბედნიერი და შეძლებული ცხოვრების გზის დასაწყისი.

საქართველოში რაც მივიღეთ, ჩვენი მკითხველისთვის კარგადაა ცნობილი, რადგან თითოეული ჩვენგანის ცხოვრებაზეა გადავლილი.

ერთი ასეთი შემოთავაზება მაქვს: ამ პრობლემაში უკეთ გასარკვევად ჩვენს მკითხველს ვიწვევ თანაავტორად. უცხოელი ექსპერტების დასკვნებსა და ციტატებს საგაზეთო პუბლიკაციებიდან მე მოგაწვდით, ქართული პარალელები ერთობლივად მივუსადაგოთ.

პირველი თემა: **აწმყო და წარსული.**

პოლიტოლოგები მიიჩნევენ, რომ „ტიტების რევოლუციის“ შედეგად მოსული პრეზიდენტის — ყურმანბეგ ბაკიევის მმართველობამ „ავტორიტარულობის ხარისხით, უფრო მარტივად რომ ვთქვათ, სისასტიკით, გადააჭარბა ასკარ აკაევის რეჟიმს, რომელიც ამ რევოლუციამ დაამხო... **ქვეყანაში მოქმედებენ ერთგვარი „სიკვდილის ესკადრონები“** („ზონდერბრიგადები“? — **ა.ს.**), **რომლებიც ფარულად და, ამასთან, აშკარა ცინიზმით უსწორდებიან და გზიდან იცილებენ მოწინააღმდეგეებს, ბიზნესკონკურენტებს, ჟურნალისტებს, ოპოზიციონერებს და ჩვეულებრივ უკმაყოფილო ადამიანებს“.**

ხომ ამჩნევთ გარკვეულ პარალელებს? აგაშენათ ღმერთმა! ბარემ იმასაც გეტყვით, თუ დამეთანხმებით, რომ არსებულის ყოფილთან შედარებაშიც გვაქვს რაღაც საერთო ყირგიზებთან, რომლებიც, ჩვენი არ იყოს, იმედგაცრუებულნი შეხვდნენ „ტიტების“ მეხუთე წლისთავს.

ხოლო თუ ამ წინადადებასაც წაიკითხავთ — სისასტიკით და ნეგატიურობით **„ახლანდელმა რეჟიმმა გადააჭარბა წინამორბედს“** — ჭეშმარიტად ქართული აზროვნების ორბიტაზე იგრძნობთ თავს. და ეს შთაბეჭდილება რომ განგიმტკიცდეთ, კიდევ ერთ ციტატას მოგაშველებთ: **„ასკარ აკაევის რეჟიმის ავტორიტარიზმისა და კორუმპირებულობის მიუხედავად, იგი ყველაზე უფრო ლიბერალური იყო ცენტრალურ აზიაში“.**

ისევე, როგორც შევარდნაძის პერიოდის საქართველო — სამხრეთ კავკასიაში.

საქართველოში და მის კვალზე ყირგიზეთში ხელისუფლების რეაქცია ოპოზიციონერების გამოსვლებზე, მაშინაც კი, როცა ამ გამოსვლებს შემოეცალათ ხავერდოვნება, არ იყო ზედმეტად სასტიკი. პრეზიდენტმა აკაევმა, ისევე, როგორც მანამდე ედუარდ შევარდნაძემ, სისხლისღვრით ძალაუფლების შენარჩუნებას თანამდებობის მშვიდობიანად დატოვება ამჯობინა. თუმცა გადადგომაში იყო განსხვავება — აკაევის პრეზიდენტობიდან წასვლა გაქცევასავით იყო, ერთგვარად ისტერიკულიც — ეძებეს და ვერსად ჰპოვეს. მოსკოვს შეაფარა თავი.

შევარდნაძე ყველას დასანახად „სახლში წავიდა“.

შემდეგ: **კრიმინალური თემა.**

„დღეს უკვე ცნობილია, — წერენ უცხოელი ავტორები, — რომ **იმ პერიოდში პოლიტიკაში ენერგიულად ჩაებნენ კრიმინალური ელემენტები“.** ასახელებენ ქურდული სამყაროს ავტორიტეტებს ბაიამან ერკინბაევს, ჟირგალბეკ სურაბალდიევსა და რისპეკ აკმატბაევს, რომლებიც შემდეგ დეპუტატებიც კი გახდნენ.

ამგვარი „გზიდან გადახვევები“ არც საქართველოში მომხდარი სახელმწიფო გადატრიალებისთვის იყო უცხო. წვრილფეხობას თავი რომ დავანებოთ, მარტო **ტარიელ ონიანის** დასახელება იქნება საკმარისი იმის დასამტკიცებლად, რომ ჰაერზე არ ვლაპარაკობ.

ტარიელ ონიანი მოსკოვში გასამართლდება, ყირგიზი ფიგურანტები კი — აქ დასახელებულები — დაილუპნენ გაურკვეველ, მაგრამ აშკარად „დაკვეთილ“ სიტუაციაში.

ამან და კიდევ ბევრმა სხვა ნიუნსმა აიძულა „ტიტების რევოლუციის“ ერთ-ერთი ლიდერი, ექსგენპროკურორი, ექსდეპუტატი და მოქმედი ოპოზიციონერი **აზიმბეკ ბექნაზაროვი** განეცხადებინა: **„დღეს მრცხვენია, ვთქვა, რომ რევოლუციონერები ვართ.** 24 მარტი, რასაკვირველია, იყო სახალხო რევოლუცია, მაგრამ სამი დღის შემდეგ ყველაფერი სრულიად არარევოლუციური გზით განვითარდა“.

დღეს საქართველოშიც სულ უფრო ხმამაღლა ლაპარაკობენ არა რევოლუციაზე, არამედ ნოემბრის სახელმწიფო გადატრიალებაზე.

**ამ გადატრიალების სათავეში „ტრიუმვირატი“ იდგა — ნინო ბურჯანაძე, მიხეილ სააკაშვილი, ზურაბ ჟვანია.** მსგავსი „კავშირი გულთა შორის“ იყო ყირგიზეთშიც — **როზა ოთუნბაევა, აზიმბეკ ბექნაზაროვი, ბაიამან ერკინბაევი**. სამივენი ერთ პერიოდში ბაკიევის თანამოაზრენი და თანამებრძოლნი. **მათგან ორი სახელმწიფოს მართვის სადავეებს ჩამოაცილეს და ისინიც ოპოზიციაში გადაბარგდნენ, ხოლო მესამე — ბაიამან ერკინბაევი 2005 წლის 22 სექტემბერს მოკლეს.**

ყველაფერი ისე მოხდა, როგორც საქართველოში, მხოლოდ ნიუანსური განსხვავებით.

თქვენ, რა თქმა უნდა, **გაიხსენეთ ზურაბ ჟვანიას გარდაცვალება**, რისი მიზეზიც დღემდე დაუდგენელია. ან — არ გვეუბნებიან.

საქართველოში, ისევე, როგორც ყირგიზეთში, სულ უფრო ხშირად სისხლის სამართლებრივ დანაშაულში ბრალს სდებენ იმ პოლიტიკოსებსა და საზოგადო მოღვაწეებს, ვინც არ იზიარებს ხელისუფლების პოზიციას, საკუთარი შეხედულება აქვს მთელ რიგ საკვანძო საკითხებზე. ფრიად რეზონანსული იყო „ტიტების რევოლუციის“ გმირის, ბაკიევის უახლოესი თანამებრძოლისა და **თავდაცვის ყოფილი მინისტრის ისმაილ ისაკოვის საქმე, რომელიც ოპოზიციაში გადავიდა. მას ბრალად დასდეს სახსრების მითვისება, სამხედრო ტექნიკის განიავება და ა.შ. და 2010 წლის 10 იანვარს 8 წლით პატიმრობა მიუსაჯეს.**

**პარალელი — ოქრუაშვილის ისტორია საქართველოში.** მცირე განსხვავებით, მაგრამ პრინციპულად ერთი ერთზეა გამეორებული.

ყირგიზეთში გაიმართა რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები, სადაც გამარჯვება (71 მანდატი 90-დან) მოიპოვა პრეზიდენტის პარტიამ.

როგორც საქართველოში.

საერთაშორისო უფლებადამცავი ორგანიზაციები და ჟურნალისტთა გაერთიანებები, მათ შორის, Human Rights Watch, Freedom House და ჟურნალისტთა დაცვის კომიტეტი (Committee to Protect journalists) აღნიშნავდნენ, რომ წინა რეჟიმის დაშლის შემდეგ უფრო სასტიკი რეჟიმი ჩამოყალიბდა ყირგიზეთში. იგივე Human Rights Watch-ი შარშანდელ მოხსენებაში ზუსტად ამასვე წერდა საქართველოში არსებულ მდგომარეობაზე.

ხაზგასასმელია, რომ ყირგიზეთის, ისევე, როგორც საქართველოს მასმედია, მეზობელი ქვეყნების მასმედიებისგან ტრადიციულად უფრო მეტი თავისუფლებით გამოირჩეოდა.

მართალია, საქართველოში, ყირგიზეთის მსგავსად, ჯერ არ დაუპატიმრებიათ ჟურნალისტები, როგორც ეს ბიშკეკში მოხდა 15 მარტს (**დააპატიმრეს გაზეთ „ფორუმის“ მთელი ტირაჟი და ამ გამოცემის 6 ჟურნალისტი**), მაგრამ 2 ქართველი ჟურნალისტი — **ვახტანგ კომახიძე და ბონდო ქურდაძე სულ ახლახან იძულებული გახდნენ, თავშესაფარი საზღვარგარეთ ეძებათ.**

საქართველოში და ყირგიზეთშიც (2008 წლის აგვისტოში) **შესწორებები შეიტანეს პოლიტიკური მანიფესტაციების გამართვის წესებში მათი გამკაცრების მიზნით. ჩვენთანაც იგივე გაკეთდა შარშან.**

საქართველოში, ისევე, როგორც ყირგიზეთში, საპრეზიდენტო არჩევნების დროს ოპოზიციამ ვერ შეძლო გაერთიანება — ერთიანი ლიდერის წამოყენება და მისი გამარჯვებისთვის დარაზმვა.

ამით ბაკიევმა, ისევე, როგორც სააკაშვილმა შეძლო შთაბეჭდილების შექმნა, რომ იგი აკონტროლებს სიტუაციას და არავითარი საპროტესტო მიტინგების შიში არ აქვს.

დაუმატეთ ამას მოარული ხმები, რომ ისევე, როგორც ბაკიევის, მიხეილ სააკაშვილის რეალურ შემცვლელსაც დასავლეთი (უწინარესად, — აშშ) ვერავის ხედავს და დაიხატება ორი მსგავსი სურათი, რომლებიც, ანალიტიკოსების აზრით, ობიექტურად ასახავს რეგრესის რეალობას ორ, ერთმანეთისგან დაშორებულ და განსხვავებულ ქვეყანაში, რომელთაც ერთნაირად გადაუარა ფერადი „რევოლუციების“ სამუმმა: არც ვარდები გაიფურჩქნა საქართველოში, ვერც ტიტებმა იხეირა ყირგიზეთის მზის ქვეშ.

ვარდები ფურცლებისგან გაიძარცვა, ტიტები ტირიან შავი ცრემლებით.

კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ სოროსის ექსპერიმენტის „ფერადოვნება“ მხოლოდ შხამიან ნაყოფს ისხამს.

**არმაზ სანებლიძე**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ზურაბ გაგნიძე: ნინო ბურჯანაძე ოპოზიციაში ყველაზე მეტად კომპრომეტირებულია

**საქართველოში პოლიტიკური კრიზისია, თუმცა ქვეყნის ხელისუფლება ამას არ იმჩნევს და ადგილობრივი არჩევნებისთვის ემზადება, ოპოზიციონერთა შორის კი არიან ისეთი რადიკალებიც, რომლებიც ჯერ კიდევ გუშინ ხელისუფლების სათავეებთან იდგნენ. მთავარია, გვახსოვდეს თითოეული მათგანის ნამოღვაწარ-ნამოქმედარი — „ძველიც“ და „ახალიც“, რათა შეჯერების შედეგად განვსაზღვროთ — ვის უნდა დავუჯეროთ, ვენდოთ და გავყვეთ. „დემოკრატიული მოძრაობა — ერთიანი საქართველოს“ ლიდერი ნინო ბურჯანაძე თვითმმართველობის არჩევნებში არ მონაწილეობს, რადგან ეს არჩევნები საკუთარი შესაძლებლობების „სწორად და ტოლად“ არ მიაჩნია. ქალბატონ ნინოს პოლიტიმიჯზე გვესაუბრება ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის დოქტორი, პროფესორი ზურაბ გაგნიძე.**



— ვერ გეტყვი, რომ ნინო ბურჯანაძე თანამედროვე პოლიტიკის ორიგინალური სახეა, ყველაზე საშინელი წყლული, რომელიც პოლიტფიგურებში დროულადაა ამოსაკვეთი, მრწამსისა და პოზიციის ხშირი ცვალებადობაა. ქვეყანაში მარტო პოლიტიკური, ეკონომიკური და სახელმწიფოებრივი კრიზისი კი არა, პიროვნების კრიზისიცაა. ნინო ბურჯანაძეს პოლიტიკაში მხოლოდ პატივმოყვარეობა ამოძრავებს. ამის გამო იდგა თვეობით რუსთაველზე გამართულ საპროტესტო ტრიბუნაზე მოჩვენებითი ტრიუმფალურობით შემართული და გვტყორცნიდა ლოზუნგებს: „ჩვენ 9 აპრილით დავამთავრებთ ხელისუფლებას!“, ან „მოვალთ და აღარ წავალთ რუსთაველიდან!“. ასე რიხიანად აპირებდა ქალბატონი ნინო იმ ხელისუფლების დანგრევას, რომელსაც თავისი პასიურობითა და გულგრილობით წლობით აშენებდა და ამართლებდა. მისი ოპოზიციონერობა და გაბედული კრიტიკა ადრინდელ მის გამოსვლებს ყურსშეჩვეული აუდიტორიისთვის უჩვეულოდ და დაუჯერებლად ჟღერდა.

თავისი მოღვაწეობის წლები ქალბატონმა ნინომ თვალების კოსმოპოლიტურ სრესას შეალია. მისი პოლიტიკა სუფთა ეპიგონურ ხასიათს ატარებდა და თვითმიზნურ ინტერესებს ემსახურებოდა. **ის იყო და არის სხვისი ხელით გამოძერწილი პოლიტიკური თოჯინა, რომელიც ქვეყანას ვერაფერს რგებდა და ვერც ვერაფერს სძენდა.** ნინო ბურჯანაძის არაჯანსაღი ოპოზიციონერობა იქიდანაც ჩანს, რომ უზრუნველყოფილია დაცვით, თანაშემწეებით, მოხვეჭილი მილიონებითა და ქალაქის ცენტრში ოთხსართულიანი ოფისებით. ვეჭვობ, რომ რაღაც ძალას გარკვეულ პერიოდსა და გარკვეული მიზნით სურდა ბურჯანაძის „გათეთრება“. ამავე ძალამ მოახდინა ამ „პოლიტიკური თოჯინის“ გაოპოზიციონერება. ამას ისიც მოწმობს, რომ შარშან რეგიონული ორგანიზაციების შექმნას მხოლოდ ბურჯანაძე ახერხებდა: იგი უალტერნატივო პოლიტიკოსად ჩანდა.

**ბურჯანაძის წამოტივტივებით ამით იმავე ძალამ დრო მოიგო ახალი ლიდერის მოსაძებნად, რომელიც ირაკლი ალასანიას სახით კიდეც იპოვა.** ჩემის აზრით, კარგად გათვალეს და ნაღდი ოპოზიციური ძალები თამაშგარე მდგომარეობაში დატოვეს. ხოლო შემდეგ ალასანიას გაპიარებით ქალბატონი ჩრდილში დატოვეს. ნინო ბურჯანაძე გაგულისდა — ულტრარადიკალურ პოზიციაზე გადავიდა. მისი „ჩამოლაბორანტებით“ პრეზიდენტმა ისარგებლა და განწბილებულ ქალბატონს 1 ლარად ნაჩუქარი აგარაკი ჩამოართვა, თანაც ათასი ცილი დასწამა. აგარაკის ჩამორთმევა ფულის პათოლოგიურად მოყვარული „პოლიტიკის დედოფლისათვის“ უდიდესი ზარალი იყო. **ეს აგარაკი ხომ პირველ აუქციონზე 11.494.249 აშშ დოლარად შეფასდა, ხოლო მეორეზე — 5,7 მლნ აშშ დოლარად. თავისთავად ჩნდება კითხვა: რის სანაცვლოდ მიიღო ამგვარი საჩუქარი ნინო ბურჯანაძემ?.. ამგვარი გაცვლა ხომ პირველი არ არის პრეზიდენტსა და ბურჯანაძეს შორის?!**

2004 წელს პარლამენტმა ბურჯანაძის თავმჯდომარეობით პრეზიდენტ სააკაშვილს უფლებამოსილება გაუზარდა და პრეზიდენტს პარლამენტის დათხოვნის უფლება უბოძა. ისტორია ამ „გარიგების“ მოტივებსა და დეტალებს თავის წიაღში ინახავს, მაგრამ ცხადზე უცხადესია, რომ საკანონმდებლო ორგანოს დეგრადირებით დემოკრატმა ბურჯანაძემ დემოკრატია დამარხა. სანაცვლოდ ვარდოსანმა ხელისუფლებამ ანზორ ბურჯანაძეს — ნინოს მამას 11 მლნ ჩამოაწერა. ამ მილიონებისთვის ანზორ ბურჯანაძე თავის დროზე საქართველოს ბაღლინჯოიან პურს აჭმევდა. შედეგს ჩვენი მოსახლეობა ჯანმრთელობის გაუარესებით დღესაც იმკის. „მეწისქვილის ქალიშვილი“ კი ჯერ „ნინო ანზოროვნად“ იქცა, მოგვიანებით — „ლედი ნინოდ“: ბრილიანტებში ჩამჯდარი, ყელზე ოკეანის მარგალიტებით დამშვენებული ჟურნალ „ვოგის“ ფურცლებიდან გვეკეკლუცებოდა და მარგარეტ ტეტჩერს ეტოლებოდა. ამ დროს ბადრი ბიწაძის უწყებაში დიდძალი ფული კეთდებოდა, რათა ამ ფულს ნინოსთვის პოლიტსარბიელზე მწვანე შუქი აენთო. ნინო ბურჯანაძე ყველა იმ დანაშაულის თანამოაზრე და მონაწილეა, რომლებიც მისი პარლამენტის თავმჯდომარეობის ჟამს ქვეყანაში ხდებოდა. ამიტომ ბუნებრივია ის უნდობლობა, რომლითაც საზოგადოებამ მის ოპოზიციონერობას უპასუხა.

**— ბატონო ზურაბ, ბურჯანაძე თავს არ იმართლებს და პასუხისმგებლობას არ გაურბის...**

— ამ პრიმაპოლიტიკოსს ნამუსი გარეცხილი აქვს. ის აღიარებს, რომ მასში სკეპტიციზმმა 1967 წლის 7 ნოემბრის შემდეგ დაისადგურა. მაგრამ ხომ ფაქტია, რომ 7 ნოემბრის შემდეგაც, კარგა ხანს, დარჩა თანამდებობაზე და უტიფრად განაცხადა: „გამოვიდეს ვინმე და პირისპირ მითხრას, თუნდაც ერთი ფაქტი, რომელზეც რეაგირება იყო საჭირო და მე ადეკვატურად არ მოვიქეცი, არ ვიჩხუბე და არ ვიკამათე“. ჰოი, საოცრებავ, ჩემი პოლიტიკისადმი დიდი ინტერესის მიუხედავად, არ მახსოვს მისი მწვავე რეაქცია რაიმე პრობლემის გამო. ერთ-ერთ თავის ინტერვიუში ამბობს: „ჩემი გავლენა პარლამენტში მინიმალური იყო, ისღა დამრჩენოდა დახურულ კარს მიღმა მებრძოლა, მაშინ საზოგადოების მხრიდან მხარდაჭერა არ მქონდა“. ახლა რატომ ფიქრობს, რომ აქვს?! გეკითხებით, თუ მისი გავლენა პარლამენტში მინიმალური იყო, რატომ არ დაწერა განცხადება და არ წამოვიდა? მინიმალური გავლენით იქ ხომ ვერაფერს ცვლიდა, პირიქით — ხელს უწყობდა გაყალბებებსა და ქვეყნის ნგრევას. მაშინ წამოვიდა, როდესაც პარტიულ სიაში 20 ადგილი არ მისცეს, ანუ — პირადი მიზეზით. თავს უნიჭოდ იმართლებს: „სულ ვეუბნებოდი პრეზიდენტს, მაგრამ პარლამენტი ფეხებზე ეკიდაო“. ამაში კი თავის ბრალეულობას ვერ ხედავს...

**— ბატონო ზურაბ, ხშირად საუბრობენ ნინო ბურჯანაძის საპრეზიდენტო ამბიციებზე.**

— ბურჯანაძე ამ ამბიციას არ მალავს: „მე მომხრე ვარ არჩევნების, ვიბრძვი ამისთვის, მაგრამ, უპირველესად, საპრეზიდენტო არჩევნებისთვის“. უფრო მეტსაც ამბობს: „მაქვს ამბიცია, რომ შემიძლია ამ ქვეყანას ბევრი კარგი გავუკეთო და ქვეყნის კრიზისიდან გამოსაყვანად სერიოზულად ვიმოქმედო“. აქამდე ეს არაფრით დაუმტკიცებია, თუმცა პრეზიდენტობის პრეტენზია ვარდების რევოლუციის დროსაც ჰქონდა. ის ამბობს: „რომ მიმეღო გადაწყვეტილება და კენჭი მეყარა პრეზიდენტად, მინიმუმ მეორე ტური იქნებოდა, პირველივე ტურშიც იქნებოდა გამარჯვების შანსი“. ნინო ბურჯანაძე პოლიტიკური სუროგატია, ვერასოდეს ასრულებდა და ვერც შეასრულებს დაკისრებულ მოვალეობებს. მისი სვლები და სიტყვები სავსეა ურთიერთგამომრიცხავი აზრებითა და ფაქტებით; გამუდმებით ნიღბავს შეხედულებებს, ერიდება დასკვნების გაკეთებას, უჭირს კომპეტენტური აზრის შემუშავება, რასაც ემატება მისი ლექსიკური მარაგის სიმწირე, ენობრივი ლაფსუსები.

**პოლიტოლოგთა შეფასებით, როგორც „ვარდების რევოლუციის“ ჟამს, ამერიკა და რუსეთი კვლავ შეთანხმდნენ საქართველოში ხელისუფლების შეცვლაზე. ავანტიურისტი პოლიტიკოსები ცდილობენ რუსეთთან დაახლოებას. მათ რიგებშია ბურჯანაძეც. მათ პირადი მიზნები ამოძრავებთ. ქალბატონი ნინო რუსეთს საკუთარ შესაძლებლობებს სთავაზობს რუსული მიზნებისთვის. გუშინდელი პროდასავლური ორიენტაციის „ლედი ნინო“ დღეს რუსეთის კართან დგას.**

ორიოდე თვის წინათ იგი აცხადებდა: **„ჩვენ, საქართველოს დემოკრატებს, შეერთებული შტატების, ჩვენი მეგობრებისა და მოკავშირეების დახმარება გვჭირდება, რათა საქართველოში დემოკრატიის „გადატვირთვის ღილაკის ამოქმედება შევძლოთ“.** დღეს კი დემოკრატიული ღილაკის ამოქმედების იმედი მისთვის რუსეთია. მან იცის, რომ საქართველოს პრეზიდენტად რუსეთისთვის მისაღები ფიგურა შეირჩევა და არ უნდა, შანსი ხელიდან გაუშვას. იქ არის, „საიდანაც ქარი ქრის“. დახურულ კარს მიღმა მებრძოლი ქალბატონი ოპოზიციაში ყველაზე მეტად კომპრომეტირებულია, რომელსაც ზურგს მხოლოდ დიდი ფული და პიარი უმაგრებს.

ბურჯანაძის გაპრეზიდენტება ქვეყნისთვის კატასტროფა იქნება.

ესაუბრა
**ლალი შაშიაშვილი**

## მოკლედ



### ვანო თქვენთანაა

**„მივმართავთ მიხეილ სააკაშვილსა და ვანო მერაბიშვილს, დაგვიცავით გათავხედებული მაფიური კლანებისგან,** თუ არა და — ვაღიაროთ, რომ ჩვენ ვცხოვრობთ არადემოკრატიულ ქვეყანაში, სადაც ყველაფერს მაფიები განაგებენ“. საზოგადოებრივი აქცია **„პროტესტი საწვავის ქართულ ფასებს“** ასე აპროტესტებს აქციის ერთ-ერთ ორგანიზატორზე თავდასხმას. ამათ ჯერ არ გაუგიათ, რომ მერაბიშვილი ისედაც ყველაფერს ხედავს და, უკვე რომ „იცავს“, იმიტომაც გადარჩნენ, თორემ მაფია ხომ არ ააცილებდა?



### ახალი მეთოდი — დაუცველთათვის

**1 ივნისიდან სოციალურად დაუცველი მოსახლეობის შეფასების კრიტერიუმების ახალ მეთოდზე გადავდივართ.** იმისათვის, რომ მოქალაქე საკუთარმა სახელმწიფომ სოციალურად დაუცველად აღიაროს, დეკლარაციაში აღარ იქნება ისეთი „მკაცრი“ კრიტერიუმები, როგორიცაა ტელევიზორი, მობილური ტელეფონი, მაცივარი და სარეცხი მანქანა.

ისე, ფარდებზე, კბილის პასტასა და ჯაგრისზე ჯერ არაფერი უთქვამთ, მაგრამ მათი თვალსაჩინოდ გამოფენა მაინც არ ღირს.



### ობამას გვიჩაგრავენ

**აშშ-ის პრეზიდენტმა აპლოდისმენტების ფონზე მოაწერა ხელი ჯანდაცვის რეფორმირების საკუთარ კანონს და ბედნიერმა დაიძინა.** რა იცოდა, რომ მეორე დღეს რესპუბლიკელები უზუსტობას აღმოაჩენდნენ და თავიდან გაუხდებოდა სახვეწარი უკვე ჩასწორებულის დამტკიცება. ესეც თუ დაამტკიცეს, მერე იურისტთა არმიები შეუდგებიან შესწავლას, ეწინააღმდეგება თუ არა კონსტიტუციას იძულებითი დაზღვევა; ეკონომისტები იმსჯელებენ, ბიუჯეტს ხომ არ აზარალებსო...



### სნაიპერი - კონგრესმენებს

**აშშ-ის ჯანდაცვის რეფორმა აშკარად არასასურველ გავლენას ახდენს დემოკრატი კონგრესმენების ჯანმრთელობის მდგომარეობაზე.** ლანძღვა-გინებითა და მუქარით სავსე წერილებს, ისევე, როგორც ოფისების ფანჯრების ლეწვასა და წარმომადგენლობებში სროლებს ჯერაც დაუდგენელი პირები არ ამადლიან. კონგრესვუმენ ლიზა სლოტერს ახლახან აცნობეს, რომ უკვე დაქირავებულია სნაიპერი, რომელიც პარლამენტართა ბავშვებს დახოცავს. კონგრესმენმა მისურის შტატიდან საკუთარი სახლის წინ კუბო აღმოაჩინა.



### ქამარის შემოჭერა ხელისუფლებისთვის

**„2009 წლის ბოლოს ხელისუფლებამ განაცხადა, რომ „ქამრების შემოჭერის“ პოლიტიკის შედეგად მან ბიუჯეტში 350 მლნ ლარის დაზოგვა შეძლო,** თუმცა სინამდვილეში, ჩვენი გათვლებითა და დაანგარიშებით, ეს თანხა ბევრად ნაკლები იყო და მხოლოდ 100 მლნ ლარს შეადგენდა. ამიტომ ხელისუფლებას მუვუწოდებთ, ქამარი უფრო მეტად შემოიჭიროს“. ესეც ოპოზიციაა? ეს რეკომენდაცია ბიუჯეტთან დაკავშირებული საკითხების კვლევის შემდეგ ეკონომიკის საკითხთა ექსპერტმა დავით ნარმანიამ გასცა.

საქართველო

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ნოღაიდელის არეული კომპასი და პოლიტცანცარობა ქართულ ოპოზიციაში



**გარდა იმისა, რომ საქართველოში პოლიტიკური მეტამორფოზები მოდურია, კარგად აპრობირებული მეთოდიცაა. მას შემდეგ, რაც პოლიტიკოსები ხელისუფლებაში საკუთარ შესაძლებლობებს ამოწურავენ, ოპოზიციაში ცდილობენ პოლიტიკურ რეაბილიტაციას; ცდილობენ, რაც შეიძლება უცოდველები გამოჩნდნენ საზოგადოების წინაშე. ამის საუკეთესო მაგალითი შარშანდელი გაზაფხულის საპროტესტო აქციები იყო.**

2009 წლის 9 აპრილის ორგანიზატორი თოთხმეტამდე პოლიტიკური პარტია გვერდიგვერდ დგომასა და ერთმანეთისთვის ძველი ცოდვების მოკითხვას მანამ არ აპირებდა, სანამ სააკაშვილს „სახლში არ გაუშვებდა“. **„ვაპირებთ მანამდე ვიდგეთ ერთად და ერთმანეთის გვერდით, სანამ ვადამდელი არჩევნები არ დაინიშნება, შემდეგ კი გავიხსენებთ იმ კითხვებსა და ბრალდებებს, რაც ერთმანეთისთვის გვაქვს“,** — აცხადებდნენ „რადიკალები“ შარშან გაზაფხულზე, 9 აპრილამდე ხუთი დღით ადრე.

მაგრამ არავის არაფერი მოჰკითხეს, ისე მიუტევეს შეცოდებები, უწინარეს ყოვლისა, ნინო ბურჯანაძესა და ზურაბ ნოღაიდელს.

ზურაბ ნოღაიდელი სხვანაირად აჭიკჭიკდა რუსეთის თემაზე, ეკონომიკურ ჩავარდნასა და ბიზნესტერორზე. არადა, ეს ის ზურაბ ნოღაიდელია, რომლისთვისაც ცოტა ხნის წინათ ნატოში შესვლა პრიორიტეტი იყო, ხოლო რუსეთი დაუძინებელ მტრად ესახებოდა.

რუსეთის ხელისუფლებასთან ესოდენ დაახლოებული ნოღაიდელისთვის პროდასავლური კურსი მომხიბვლელი აღარ არის. მისთვის უფრო საინტერესო პრორუსული კურსით სვლაა და თვლის, რომ საქართველოს ნატოში გაწევრიანება ქვეყანას სასიკეთოს არაფერს მოუტანს.

ადრე კი ნოღაიდელის დამოკიდებულება ამგვარი იყო: **„საქართველოს მთავრობამ ინტენსიურად უნდა იმუშაოს ნატოსთან დიალოგის ფარგლებში რეფორმების გასატარებლად. საქართველო, რაც შეიძლება მალე, უნდა გახდეს ნატოს წევრი, რაც საშუალებასაც მოგვცემს და გარანტიებსაც უსაფრთხო გარემოში საცხოვრებლად“.**

ახლა კი თავად ნოღაიდელის განცხადებებს გადავხედოთ და ვნახოთ, რამდენად ესადაგება მისი პოზიცია დღევანდელ რეალობას.

2009 წელს ზურაბ ნოღაიდელმა განაცხადა: **„ჩვენ ხელისუფლებაში მოსვლის პირველივე დღიდან ყოველგვარი წინაპირობების გარეშე დავიწყებთ რუსეთთან მოლაპარაკებებს. ბუნებრივია, ეს სახელმწიფოს ინტერესების ხარჯზე არ მოხდება. თავი არავის უნდა მოატყუებინო, ჩვენი პოლიტიკა შეურაცხყოფის მიყენება და ქედის მოხრა არ იქნება. დასათმობი აღარაფერი გვაქვს.“**

ნოღაიდელმა რუსეთთან მოლაპარაკება მანამდე დაიწყო, ვიდრე მთავრობაში დაბრუნდებოდა, რადგან მიხვდა, რომ მისი ხელისუფლებაში მოსვლა დაყოვნდებოდა. მეორეც, განაცხადა, რომ სააკაშვილის ხელისუფლებას აუცილებლად დაამხობდა, თუნდაც ამისთვის რუსული ტანკების გამოყენება დასჭირვებოდა. ეს არის, როგორც ჩანს, უკომპრომისო მოლაპარაკების გამართვა ქვეყნის ინტერესების სასარგებლოდ, როცა მისი მოსკოვური ვიზიტები მხოლოდ ერთ მიზანს — სააკაშვილის რეჟიმის შეცვლას ემსახურება.

ხელისუფლების ჩინოვნიკების მისამართით ხშირად ისმის ყოფილი პრემიერის ბრალდებები, რომ ისინი სახელმწიფოს ფულს პარავენ და საკუთარ სახელისუფლო გავლენას თავიანთი ბიზნესინტერესების სასარგებლოდ იყენებენ. მათ სათავეში, როგორც ცნობილია, ზურაბ ნოღაიდელი უდგას.

ყველამ კარგად იცის ისიც, თუ როგორ აგროვებდა ფულს ნოღაიდელი სახაზინო ვალდებულებების გაყიდვით და ამაში როგორ უწყობდა ხელს მას „ეროვნული ბანკი“. შევარდნაძის მთავრობის ფინანსთა მინისტრობიდან მოყოლებული, ზურაბ ნოღაიდელი საფინანსო სისტემაში ყოველთვის სერიოზულ ბერკეტებს ფლობდა და დღეს არავის უკვირს, საიდან აქვს ფული. ნოღაიდელი წილში ეჯდა „ენერგოპრო-ჯორჯიას“ და თითოეული მოქალაქისგან გაღებული ფული (ელექტროენერგიის საფასურის სახით) მის ჯიბეში მიედინებოდა. ზურაბ ნოღაიდელის ქონება 75 მილიონი დოლარია, რაც ნოღაიდელმა პრემიერ-მინისტრობის დროს დააგროვა.

ექსპრემიერი ხშირად აკრიტიკებს ხელისუფლებას ძალადობისათვის. არადა, ყველას კარგად ახსოვს, თავად როგორ გადაუხადა მადლობა ვანო მერაბიშვილს რუსთაველის გამზირზე შეკრებილი მომიტინგეების დარბევისათვის, სადაც სპორტსმენები და ოპოზიციის წარმომადგენლები ჭიდაობის ფედერაციის ვიცე–პრეზიდენტისა და ძიუდოისტის დაკავებას აპროტესტებდნენ.

**ზურაბ ნოღაიდელი: „ყველა, ვინც კანონს დაარღვევს, პასუხი უნდა აგოს. მნიშვნელობა არ აქვს, იქნება ეს პოლიტიკოსი, სპოსტსმენი თუ ა.შ. არ შეიძლება ხელისუფლებასთან ულტიმატუმების ენით საუბარი. ჩვენ გადაწყვეტილებას შანტაჟის ქვეშ არ მივიღებთ“.**

საზოგადოებას ახსოვს ისიც, მთავრობის კანცელარიის მეთერთმეტე სართულიდან როგორი დაცინვით უპასუხებდა ნოღაიდელი პარლამენტის შენობის წინ შეკრებილ გარემოვაჭრეებს, რომლებიც სალარო აპარატების დადგმას აპროტესტებდნენ.

**„გადაწყვეტილება მიღებულია და ის არ შეიცვლება. ის ფიქსირებული გადასახადები, რომლებსაც მოვაჭრეები მანამდე იხდიდნენ, ბიუჯეტამდე ვერ აღწევდა. ბაზრობებზე სიტუაცია სალარო აპარატების მეშვეობით უნდა შეიცვალოს“,** — აცხადებდა ნოღაიდელი.

შარშანდელი საპროტესტო აქციების დროს ყოფილი პრემიერი ქუჩის ოპოზიციის მიმართ ხელისუფლების გულგრილ დამოკიდებულებას აკრიტიკებდა და ამას აკეთებდა იმ განცხადების ფონზე, რომელიც მისი პრემიერ-მინისტრობისდროინდელ პოზიციას ეწინააღმდეგებოდა: **„ეს არაა ის მთავრობა, რომელთანაც ქუჩის საპროტესტო აქციების გზით ლაპარაკია შესაძლებელი“.**

დღეს რუსეთის სახელისუფლო ძალებთან სრულ ჰარმონიაში მყოფი ნოღაიდელი რამდენიმე წლის წინათ გვიმტკიცებდა: **„ქართული მინერალური წყლის „ბორჯომის“ იმპორტის აკრძალვა რუსეთის მიერ მიღებული პოლიტიკური გადაწყვეტილება იყო. მათი ეს ნაბიჯი „ეკონომიკური ემბარგოა“. ჩვენ უფრო აქტიურად უნდა ვიმუშავოთ სხვა ბაზრებზე ადგილის დასაკავებლად“.**

ყოფილი პრემიერი ხელისუფლების მხრიდან ჟურნალისტებზე ზემოქმედების ფაქტებზეც საუბრობს და განმარტავს, რომ მმართველი გუნდი დღეს ნაციონალურ არხს მართავს და რომ ჟურნალისტები ცენზურის ქვეშ იმყოფებიან. მაშინ, როცა ტელეკომპანია „რუსთავი 2“ ჟურნალისტმა ეკა ხოფერიამ პროტესტის გამო დატოვა, ნოღაიდელმა ამ თემის გარკვევაზე თავიც კი არ აიტკივა და განაცხადა, რომ ჟურნალისტსა და დამოუკიდებელ ტელევიაზიას შორის ურთიერთობა მხოლოდ მათი გადასაწყვეტია.

დღეს რადიკალურად კურსშეცვლილი ნოღაიდელი რუსეთში გავლენიან პოლიტიკურ ძალებთან შეხვედრას შეხვედრაზე მართავს; გვარწმუნებს, რომ სწორედ რუსეთის დახმარებით შეიძლება ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა.

არადა, ცოტა ხნის წინათ „სამხრეთ ოსეთის“ ტერიტორიაზე განთავსებულ რუს სამშვიდოებებს ნოღაიდელი თავხედებს უწოდებდა: **„ცხინვალის რეგიონში რუსი სამშვიდობოების როტაცია „თავხედური“ საქციელია. ამით რუსეთმა იმის დემონსტრირება მოახდინა, რომ საქართველოსთან დადებული შეთანხმებები არ აინტერესებს“.**

ზურაბ ნოღაიდელის მისამართით სულ უფრო ხშირად ისმის მმართველი გუნდის წევრთა ბრალდებები, რომ მოღალატეა და ქვეყნის სახელმწიფოებრიობისთვის საფრთხეს წარმოადგენს.

ნოღაიდელი გაკვირვებულია ამგვარი კომენტარებით და ამბობს, რომ მისი საქციელით საქართველოს ზიანს არ აყენებს. თავის დროზე კი, როდესაც ამ ხელისუფლების ნაწილი იყო, თავად არ იშურებდა ამგვარ კომენტარებს მათთვის, ვისი პოლიტიკაც მიშასთვის მიუღებელი იყო.

**„ემზარ კვიციანი არის ჩვეულებრივი „კრიმინალი“, რომელიც განიარაღებული და დაპატიმრებული იქნება მის მხარდამჭერ სხვა „ბანდიტებთან“ ერთად. არავის მივცემთ უფლებას, ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრიობას საფრთხე შეუქმნას“,** — ბრძანებდა მთავრობის თავკაცი.

ამგვარი განცხადებების ავტორს რატომ უკვირს დღეს ხელისუფლების კრიტიკული და უარყოფითი დამოკიდებულება მის მიმართ?

თავის დროზე ზურაბ ნოღაიდელისთვის არჩევნების გვერდის ავლით ხელისუფლებაში პოლიტიკური ძალის მოსვლა მიუღებელი იყო: **„პოლიტიკოსებმა მოსახლეობის მანდატი შეიძლება მხოლოდ არჩევნების გზით მოიპოვონ. ოპოზიცია საპროტესტო აქციების გზით ზეწოლას ახდენს ხელისუფლებაზე. ასეთი მექანიზმებით საქართველოში ვერაფერი გადაწყდება და არც გადაწყდება“.** დღეს კი ექსპრემიერს განსხვავებული დამოკიდებულება აქვს.

პოლიტიკოსები საზოგადოების გულის მოგებას თავიანთი პრინციპულობისა და მყარი პოზიციის ხარჯზე ახერხებენ. ბოლო ორ წელიწადში კი პოზიციის ასეთი რადიკალური ცვლა რამდენად გამართლებული და მომგებიანი იქნება ნოღაიდელისთვის, მალე გამოჩნდება.

**შორენა გოგოლაძე**

## მოკლედ



### მოვითხოვთ არჩევნების გაყალბებას

**„ალიანსი საქართველოსთვის“ თანათავმჯდომარემ დავით გამყრელიძემ განაცხადა, არჩევნების გაყალბების შემთხვევაში შეიძლება დღის წესრიგში ვადამდელი საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების დანიშვნის მოთხოვნა დადგეს.** მართალია, ძნელი გასახსენებელია, ბოლოს როდის გამართლდა გამყრელიძის პოლიტპროგნოზები, მაგრამ ასევე ძნელი სავარაუდოა, რომ სააკაშვილი თვითმმართველობის გეგმიურ-დროული არჩევნების გაყალბების შემდეგ ასე ადვილად შეელიოს პრეზიდენტის სავარძელს.



### ეკა პოლიტიკურად აგვამაღლებს

**ეკა ბესელიას ადვოკატობაში ყველაზე კარგად ხომ პოლიტიკოსობა გამოუვიდა და ახლა პოლიტიკაში, როგორც ჩანს, ყველაზე მეტად ახალ-ახალი ორგანიზაციების დაფუძნება მოსწონს.** ჯერ მოძრაობა „სოლიდარობა უკანონო პატიმრებს“ შექმნა, ახლა პოლიტიკურ პარტიას აფუძნებს. რა ქნას, შეწუხდა „დღევანდელ ქართულ პოლიტიკაში, განსაკუთრებით კი ოპოზიციურ სპექტრში, ახალი პოლიტიკური სტანდარტების დიდი დეფიციტით“. ჰოდა, ახლა ჩვენი პოლიტიკა ახალ სტანდარტებზე ამაღლდება.




### ვის წველიან რძის მწარმოებლები

**თურმე „სანტეს“, „ეკოფუდს“, „ამალთეას“ და მისთანებს ცოცხალი ძროხა თვალითაც არ უნახავთ, მათ მოწველაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.** როგორც სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახურის უფროსმა მაია მეტრეველმა საგანგებოდ განაცხადა, რძის პროდუქტების ბაზარზე ნატურალური პროდუქცია მხოლოდ „ვიმბილდანს“ და „ქობულეთურს“ აქვს. დანარჩენებს კი არ უნდოდათ რძე და კარაქი და ახალონ ახლა თავი სანქციებს.




### შეუქცევადი «მაკდონალდიზაცია»

**საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრმა ზურაბ პოლოლიკაშვილმა ქუთაისში, ჭავჭავაძის გამზირზე „მაკდონალდსის“ მშენებლობა დაათვალიერა და დასძინა, რომ „ქვეყნის მეორე ქალაქის განვითარება შეუქცევადი პროცესია“.** „მაკდონალდსი“ რომ განვითარების, თანაც „შეუქცევადის“ პირველი და უტყუარი ნიშანია, აქამდეც ვიცოდით, მაგრამ მინისტრი რომ იტყვის, მაინც სულ სხვაა. თავის დროზე თბილისის „შეუქცევადი განვითარებაც“ ხომ სწორედ „მაკდონალდსის“ ობიექტებით დაიწყო.




### დავეწიეთ და გავუსწარით ევროპას

შემცირებული გადასახადების, ქონებისა და ბიზნესის რეგისტრაციის მინიმალური ღირებულების, ელექტროენერგიის საშუალო ფასის, ქალაქში განხორციელებული მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტებისა და კიდევ ბევრი ჩვენთვის უხილავი წარმატების გამო „Financial Times“-ის რეიტინგში თბილისმა ბიზნესის წარმოების ეკონომიურობით ევროპაში მეოთხე ადგილი დაიკავა.

ასე თვალნათლივ ვერავინ აგვიხსნიდა, რა დღეში ჩაუგდია ევროპა კრიზისს.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# როცა ადამიანის ვლადიმერ ვახანიას ვერაფერი დაუმტკიცეს,

**15 მარტს ერთი წელიწადი შესრულდა იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის, აკადემიკოს ვლადიმერ ვახანიას უკანონო დაპატიმრებიდან პოლიტიკური მოტივით, რასაც გამოგონილი ბრალდებებით ფარავს საქართველოს ავტორიტეტშერყეული თემიდა.**
**ეს ერთი წელიწადი ვლადიმერ ვახანიას წინააღმდეგ განხორციელებულ ქმედებათა წყება ჯოჯოხეთურ რკალებად წარმოგვიდგება, რომლებიც სახელმწიფო ძალოვანი სტრუქტურების მონდომებითა და მცდელობით მრავლდება, და ამ მოჯადოებული წრეების გარღვევა უუფლებო პოლიტპატიმრის შეზღუდულ შესაძლებლობებს კი არა, ღმერთთან მებრძოლი პრომეთეს — ამირანის ძალებს აღემატება.**
**ამირანიც კი მიაჯაჭვეს კავკასიონს, მაგრამ ხომ გახსოვთ მისი ერთგული ფინია, რომელიც დაუღალავად ლოკავდა უსამართლობის ბორკილებს.**
**მეტი რა შეეძლო?!**
**ლოკავდა და დროთა განმავლობაში ადნობდა და აწვრილებდა. სიმართლე იმ ფინიასავითაა — ბოლოს და ბოლოს გაწყვეტამდე ასუსტებს ბოროტებით ნაწრთობ ბორკილებს.**
**უბედურებაა, რომ ჯერ კიდევ არსებობენ უგნური მჭედლები, რომლებიც დაჰკრავენ გრდემლს და მთელდება ის ჯაჭვი.**
**„მითიური“ სინამდვილეა საქართველოში.**

ვლადიმერ ვახანიას წინააღმდეგ ბრძოლა ფარული თვალთვალის ეტაპიდან უშუალო ზემოქმედების ეტაპზე 2008 წლის 12 ოქტომბერს გადავიდა, როცა თბილისის აეროპორტში კომპიუტერულ ბაზაში შეტანილი გაყალბებული მონაცემების საფუძველზე შსს თანამშრომლებმა იგი დააკავეს და ჩამოართვეს საქართველოსა და რუსეთის ფედერაციის პასპორტები. და, სხვათაშორის, მობილური ტელეფონიც, ალბათ, როგორც „ყველაზე საშიში იარაღი“ (?!).

ნამდვილ იარაღს შემდეგ ჩაუდებენ — ზუგდიდში, ჩხრეკისას. ჩამოსვეს რეისიდან. აღუკვეთეს გადაადგილების კანონიერი უფლება.

ეს იმის ნიშანი იყო, რომ სპეცსამსახურებს მისი ბედი გადაწყვეტილი ჰქონდათ.

იმას, რაც ვახანიას წინააღმდეგ ამ ერთი წლის განმავლობაში ძალოვანებმა მოიმოქმედეს, სამართალმცოდნეების შეფასებით, არის არა მხოლოდ ადამიანის უფლებათა ხელყოფა, არამედ — **პიროვნების ცინიკური შეურაცხყოფა, მისი ღირსების ფეხქვეშ გათელვა.** ეს კეთდებოდა იმ მიზნით, რომ იძულებული გაეხადათ, ეღიარებინა ის, რისი არავითარი ნიშანი ბუნებაში არ არსებობდა: **ვლადიმერ ვახანიას აიძულებდნენ, ეთქვა, რომ იგი რუსეთის აგენტია და საქართველოს წინააღმდეგ ეწევა ძირგამომთხრელ საქმიანობას.**

არადა, მეცნიერი და აღიარებული საზოგადო მოღვაწე საქართველოში ჩამოვიდა, რათა შეძლებისდაგვარად თავისი წვლილი შეეტანა თანამემამულეთა სულიერი განმტკიცების, ეროვნული ერთიანობის, ქვეყნის გამთლიანების, დემოკრატიის გაშლა-გაფართოების საქმეში.

**ეს ერთი.**

**მეორე.** ალბათ, ავადმყოფურმა ფანტაზიამ და ელემენტარულმა არაპროფესიონალიზმმა, პლიუს თავის გამოჩენის სურვილმა უბიძგა მავანთ „შეეკერათ“ საქმე ვახანიასთვის.

**მესამე.** როდის იყო ან ვინმესგან თუ გსმენიათ, რომ რომელიმე პროფესიონალ აგენტს დაკავებისთანავე, აი ასე — აეროპორტში ან კიდევ სადმე სხვაგან, პირი დაელო და დაეწყო ლაპარაკი თავის ჯაშუშურ საქმიანობაზე?

ამის გაკეთება თბილისში მოინდომეს — „პირველად საქართველოში!“

**მეოთხე.** გამორიცხული არ არის, რომ ყველაფრის თავი და თავი პრიმიტიული ქუჩის რეკეტი იყო, გამომძალველობის მცდელობა.

**მეხუთე.** კომპიუტერული ბაზის დამოწმება, სადაც თითქოს ჩაწერილია დაკავების მიზეზი, ვერბალურ მტკიცებას არ გასცდენია — არავის უნახავს, დაცვის მხარისთვის არ წარუდგენიათ. არსებობს კი საერთოდ რაიმე ჩანაწერი?

ალაჰმა უწყის!

იმ უამრავი მასალის მიხედვით, რომლებიც ვახანიას საქმესთან დაკავშირებით გამოქვეყნდა, შეიძლება დავასკვნათ, რომ **ყველა ამ ეჭვს აქვს საკმარისი საფუძველი.**

და კიდევ — შუბლსქელი მაქსიმალიზმი და ცალმხრივობა, რომელიც ეგზალტირებულ ბრბოს ახასიათებს. **უკიდურესობისკენ ტვინგადახრის ტენდენცია, რომელმაც, შეიძლება ითქვას, თავი იჩინა ერთი, ცალკე აღებული პიროვნების წინააღმდეგ მთელი ძალოვანი სტრუქტურის დაპირისპირებაში.**

ბრბოს ინსტიქტი? რატომაც არა!

მეამბოხე და კაცისმკვლელ ბარაბას გათავისუფლების თხოვნით პროკურატორთან ტრადიციისამებრ მისულ იუდეველებს პილატემ იესო ქრისტეს გათავისუფლება შესთავაზა: **„ვინაიდან იცოდა, რომ მღვდელმთავრებმა შურით გადასცეს იგი.**

**მაგრამ მღვდელმთავრებმა აღძრეს ხალხი, რომ ბარაბა გაეთავისუფლებინა მათთვის.**

**ხოლო პილატემ კვლავ უთხრა პასუხად, რაღა ვუყოთ მას, ვისაც თქვენ იუდეველთა მეფეს უწოდებთ?“**

**მათ კვლავ იყვირეს: „ჯვარს აცვი იგი!“**

**ხოლო პილატემ უთხრა მათ: „რა ბოროტება ჩაიდინა?“ მაგრამ ისინი უფრო მეტად აყვირდნენ: „ჯვარს აცვი იგი!“**

**მაშინ პილატემ, რომელსაც სურდა ხალხის დაკმაყოფილება, გაუთავისუფლა მათ ბარაბა, ხოლო იესო გაშოლტვის შემდეგ გადასცა, რათა ჯვარცმულიყო“. *(მარკ. 15, 9-15).***

იუდეველთა სულიერი მამების მიერ აღძრულმა ბრბოს ინსტიქტმა იმძლავრა და გატეხა პროკურატორი, დაჰყვა იგი მასის ნებას.

ვლადიმერ ვახანიას საქმეში ვინ ითამაშა ბიბლიურ წამსისიანებელთა როლი?

სისტემამ? საჭეთმპყრობლებმა?

არ ვიცი.

სამაგიეროდ, დარწმუნებით შემიძლია იმის თქმა, რომ წაიკითხავ ვლადიმერ ვახანიას საქმესთან დაკავშირებულ მასალებს და დარწმუნდები, ამ ორი ათასი წლის განმავლობაში ბევრი არაფერი შეცვლილა ძლიერთა ამა ქვეყნისა დამოკიდებულებაში სამართლიანობის მიმართ: **კონიუნქტურა იყო და რჩება განმსაზღვრელი პირობა საკუთარი მოქალაქეებისადმი სახელმწიფოს დამოკიდებულებაში.**

უსამართლობასთან პირველი კონტაქტი, პირველი პირადი შეხება, როგორც ვთქვით, იურისპრუდენციის დოქტორს თბილისის საერთაშორისო აეროპორტში ჰქონდა, როცა **ვახანიას დამკავებლებმაც შესანიშნავად იცოდნენ, რომ უკანონობას ჩადიოდნენ. მაგრამ ვალდებული იყვნენ, შეესრულებინათ დავალება. ეს ერთი, და, მეორე, ჯერ არავის გაუუქმებია „ტელეფონის უფლება“, რომელიც ტოტალიტარიზმის თანმდევია და, არც თუ იშვიათად, კონსტიტუციაზე უფრო მეტი ძალა აქვს.**

ვლადიმერ ვახანიას დაცვის მხარემ მოიპოვა აუდიოჩანაწერი, რომელიც იმ დღეებში ორ ადამიანს შორის გაიმართა, გაშიფრეს შპს დამოუკიდებელი სასამართლო ექსპერტიზის ცენტრ „ვექტორში“, რომლის ზედაპირული გაცნობაც კი უფლებას გვაძლევს, ვირწმუნოთ ზემოთ თქმულის საფუძვლიანობა.

**ტელეფონით საუბრობენ ირაკლი ფანცხავა და თბილისის აეროპორტის საზღვრის დაცვის ცვლის უფროსი გოლეთიანი.**

მინიმალური ჩარევით — წინადადებების გამართვით შინაარსის დაუმახინჯებლად — ვცადეთ ამ საუბრის რეკონსტრუირება და მივიღეთ საკმაოდ ნათელი სურათი იმისა, თუ როგორც ცდილობენ მოსაუბრენი, გაერკვნენ მომხდარ ფაქტსა და მის გამომწვევ მიზეზებში.

ყურადღება მიაქციეთ — ორივე მოსაუბრე დარწმუნებულია, რომ უკანონობა იქნა ჩადენილი და შემსრულებლებს ამის გამო პასუხს მოსთხოვენ.

მოვუსმინოთ! მიყურადება დღეს საქართველოში პოპულარული მეთოდია:

„— აი, თუ გახსოვს შენ, თორმეტ ოქტომბერს რომ დააკავეს, რაზე?

— ნუ ახლა ჩვენ არ ვიყავით საქმის კურსში.

— საიდან დაგირეკეს, არ იცი?.. ვახანია.

— (*ჩაიცინებს*) გახსოვს ხომ?

— რა ხდება მაგის...

— კომპეტენტურ ორგანოებს სჭირდებოდათ, დაყენებული ჰყავდათ. მოვიდნენ, გაესაუბრნენ და მოხსნეს რეისიდან (ვახანია)... ორმაგი მოქალაქეა და...

**(მიაქციეთ ყურადღება „ჩაცინებას“? ხომ არ ნიშნავს ასეთი რეაქცია იმას, რომ ისინი ხვდებიან (ეგებ, იციან კიდეც), საიდანაც დარეკეს — ვინ მისცა დავალება, მაგრამ პირდაპირ არ ამბობენ და „კომპეტენტურ ორგანოებზე“ ზოგადი მინიშნებით იფარგლებიან? თავის დაზღვევაა ერთგვარი, რადგან პირდაპირობა ამ შემთხვევაში ყულფში თავის გაყოფასავითაა — ერთი გამოკვრა და ვერავინ და ვერაფერი გიშველის).**

— და მიზეზი?

— მიზეზს ვერ გეტყვი, მეც არ ვიცი. მე მიწერია — შეაჩერე... პასპორტები გამოართვეს, მოხსნეს რეისიდან და წაიყვანეს.

— ავთოს ველაპარაკე მე თვითონ.

— ვინ? ვინ? რა სამსახურია?

— (გაურკვეველია).

— Это получается контрразведка.

— Да, что-то в том роде.

— Скорее всего то - внешняя разведка.

— Ну, не знаю.

**(თითქოს მივიდნენ კონკრეტულ ადრესატამდე, მაგრამ — მხოლოდ ლოგიკური დასკვნების საფუძველზე, „პრაქტიკული ვარაუდით“: დანამდვილებით ვერ ამბობენ, რომ საგარეო დაზვერვიდან მოდის ვახანიას დაკავების დავალება. მაგრამ არც გამორიცხავენ ამ ვარიანტს. საუბარი გრძელდება).**

— თუ რამე ინფორმაცია აინტერესებს, დარეკონ, კონფიდენციალურზე, ებრალიძეზე. Пусть с ним общаются.

— Он сам с кем общался? Ни с кем не общался.

— Они ему что-то доказывают, а он во всем отказывает.

**(რა სურთ, რომ დაუმტკიცონ ვლადიმერ ვახანიას? ჩვენს მკითხველს, ალბათ, დაებადება ასეთი შეკითხვა. მოსაუბრეებს ეჭვი ეპარებათ, რომ ვიღაცები შეძლებენ, რამე დაუმტკიცონ მას).**

— Дело в том, что они ничего не докажут никогда в жизни, потому, что трудно искать черную кошку в темной комнате.

— ხო, ნუ ეს კი. თვითონ უთხრა, თავი დამანებეთო, რა. მე ხომ ვიყავი გაყოლილი იქ და მესმოდა (ყველაფერი). Знаешь в чем дело? Они сказали, приказали, я отреагировал.

**(ერთ-ერთი მოსაუბრე უხსნის მეორეს, რომ მას უბრძანეს, დაეკავებინა ვახანია და მანაც „რეაგირება მოახდინა“ ე.ი. დააკავა. მეორე უდასტურებს, რომ პირველს იმედი ჰქონდა, ისინი მოსვლას ვერ მოასწრებენო. ვინ ისინი? ვინც უბრძანა. ასე ჩანს: დამკავებელი, ეტყობა, შეშფოთებულია, იცის, რომ გააკეთებინეს ის, რისი გაკეთების უფლება მას არ ჰქონდა).**

— Я не имею такого права задерживать его, я обязан пропустить его.

— მე მაგი ვუთხარი.

— მერე უკვე ათ წუთში იყო დაჟინებული მოთხოვნა, რომ არავითარ შემთხვევაში არ გაუშვათო.

**(ნაწყვეტ-ნაწყვეტი წინადადებებიდან ირკვევა, რომ მოსაუბრეთა შეშფოთება რეალურია, რადგან მიაჩნიათ, რომ „ის კაცი“ — ვახანია, არ გაჩერდება, ზუსტად აქვს დაფიქსირებული, ვინ, როგორ და რატომ მოექცა ასე უკანონოდ. ამიტომ წინასწარ საჭიროა თადარიგის დაჭერა ამ ამღვრეული წყლიდან მშრალად ამოსასვლელად).**

— სხვა გამოსავალი რომ ვერ ვნახოთ, მაშინ აღსადგენი იქნება: არ ვიყავი, არ ვყოფილვარ აეროპორტში, არ დაგვიკავებია ეგ პიროვნება, არ გაგვიჩერებია.

— პასპორტი არ ჩამოგვირთმევია.

— პასპორტი? რა პასპორტი, ვისა აქვს ეს პასპორტი, სად არის მობილური?..




## კონიუნქტურა იყო და რჩება განმსაზღვრელი პირობა საკუთარი მოქალაქეებისადმი სახელმწიფოს დამოკიდებულებაში.

საქართველო
გზურთ, გაგვიზიარეთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ყველა უფლება ირღვევა



## აი, ასეთია სიცრუის რგოლები სიყალბის იმ ჯაჭვისა, რომლითაც მართალი კაცი კანონის სასჯელს მიაჯაჭვეს. ამ რგოლთაგან სასამართლოს ერთ-ერთის განჩინება რომ გაებედა, «ვახანიას საქმე» საერთოდ არ შედგებოდა.

◀ **(პასპორტების თემას დავუბრუნდებით).**

— არ იციან.

— კაციშვილმა არ იცის.

— მე ვარ აქ იმის მომსწრე და აგერ ეს კაცი. შენ გვითხარი, რომ მე არავითარი უფლება არა მაქვს ამ კაცის დაკავების, ვსიო, მე ვალდებული ვარ გავატარო, მითუმეტეს, იგი არის ორმაგი მოქალაქე, ასე მითხარი... რა უფლება მაქვსო, ასეთი მოქალაქე გავაჩეროო. Дураком надо быть, чтобы в такой напряженной ситуации с Россией проблемы создавать.

— მაგათ აღიარება უნდათ... პირისპირს ედგნენ. მე იქ ვიდექი და გამოვედი.

— თუ მოუწიათ ისე თავის დაცვა და ჩვენ რა ვქნათ, ძმაო, და ჩვენ „პრიჩომ ვოობშე“?

— კი, ბატონო, რას ამბობ, მაშინ მიხედონ თავის...

— შენ შენსას იტყვი, ჩვენ ჩვენს სათქმელს ვიტყვით, ჩვენ აგერ ერთგული ვართ...

— მე რო მოვხსენი რეისიდან და რის გამო მოვხსენი, დავაფიქსირე კომპიუტერში, თუ ვინმემ წაშალა და რაღაცა ქნა, ეგ სხვა მომენტია, ჩემი საქმე არ არის.

— რომ წაშლილიყო?

— რომ წაშლილიყო, მე აქა ვარ, მე მყავს კიდევ ჩემ გარდა სამი კაცი.

— წერილობით არის რაღაცა, რის საფუძველზე მოიხსნა რეისიდან?

— ეგ — არა.

— ეგ არაა?

— არა, არის კიდე რის გამოც მოვხსენი.

— კი მაგრამ ჩვენ ვთქვათ...“

და ბოლოს კვლავ აღშფოთება:

„— რომ გვირეკავთ, გაატარეთ ბაზაში, რა გქონდა, კაცო, რა ფაქტები — „ლიჩნაია ნეპრიატნოსტ“. ახ, ტაკ, ბლიად, „ლიჩნაია ნეპრიატნოსტ“... მაგათ ნებისმიერ გამონათქვამზე ჩვენ ჩვენი პასუხი მომზადებული გვექნება, თუ არ გვექნება, და კიდევ ერთხელ შევათანხმებთ და ეგ იქნება. ჩვენთან არის სიმართლე“.

**საუბარი, რომლის ფრაგმენტები ეს-ესაა წაიკითხეთ თორმეტ წუთსა და ორმოცდახუთ წამს გრძელდება და, შეიძლება ითქვას, ერთგვარ გასაღებს იძლევა ვლადიმერ ვახანიას წინააღმდეგ შეთითხნილი საქმისას. ყოველ შემთხვევაში, ამოსავალი წერტილი მაინც არის. მოსაუბრეთა აზრით, ეს არის პირადი უსიამოვნება ან — მტრული დამოკიდებულება, მაგრამ ამ მომენტს სასამართლომ წაუყრუა.**

**მეორე ასეთი გასაღები „პასპორტების საქმეშია“,** საქართველოსა და რუსეთის მოქალაქეობის დამადასტურებელი პასპორტების „გაქრობაში“, რომლებიც ვლადიმერ ვახანიას აეროპორტში ჩამოართვეს და რომელთა ძებნას ადვოკატი ლალი აფციაური იმთავითვე შეუდგა. მაგრამ ამაოდ, რადგან ის, ვისაც ამ პასპორტების თაობაზე უტყუარი ინფორმაცია უნდა მიეწოდებინა დაცვის მხარისთვის, უნიჭოდ ცდილობს თავი უცოდველ ბატკნად წარმოაჩინოს, ხოლო საკუთარი უწყება თავისი ხელმძღვანელებიანად — ერთ, განზოგადებულ მამა აბრამად.

წაიკითხეთ ადვოკატ ლალი აფციაურის საკონსულო დეპარტამენტის ერთ-ერთ ხელმძღვანელ ჩინოვნიკთან სატელეფონო საუბრის გაშიფრული ჩანაწერი და დარწმუნდებით, როგორ ცდილობს ეს კაცი, ნემსის ყუნწში გაძვრეს, რა ჭირის ოფლი სდის პატივცემულ პირს, რომელსაც ჰქვია ვანო და როგორ ააშკარავებს ტყუილებში გაუწაფავი მოხელე დიდ სახელმწიფოებრივ სიცრუეს.

გთავაზობთ რამდენიმე ჩანაწერს, რომლებიც კლასიკური ნიმუშია არაკომპეტენტურობის, ცინიზმისა და უპასუხისმგებლო დამოკიდებულების. ანეკდოტურ ულოგიკობასაც ვერ დავუკარგავთ...

არადა, ელემენტარული საკითხის გარკვევას ცდილობს ადვოკატი ლალი აფციაური — სადაა, რომელ უწყებაში დევს ვლადიმერ ვახანიასთვის ჩამორთმეული პასპორტები. მეტი არაფერი.

**ჩანაწერი პირველი**

**„მამაკაცის ხმა (1):** — კი, ბატონო, გისმენთ.

**ქალის ხმა (2):** — ბატონო ვანო, თქვენ საკონსულო დეპარტამენტის ხელმძღვანელი პირი ბრძანდებით?

1: — რა გაინტერესებთ ქალბატონო, ჯერ მითხარით.

2: — მე ვლადიმერ ვახანიას პასპორტებთან დაკავშირებით ვრეკავ... სად არის, სად მოვძებნო? დავდივარ, ვეძებ, ვეძებ და ვერ ვპოულობ ვერსად, ხომ ვერ მეტყვით, სად მოვძებნო?

1: — ქალბატონო, მე ეგ პასპორტები არ მქონდა... მე გამომართვეს და მე არ ვიცი.

2: — ვინ გამოგართვათ, ბატონო ვანო? თუ არ შეგაწუხებთ, ძალიან გთხოვთ, იქნებ, დამაკვალიანოთ, სად მოვძებნო? ან ვისგან მიიღეთ თქვენ ეს პასპორტები? ან ვის გადაუგზავნეთ, ალბათ, ეს ოფიციალურად მოხდებოდა ყველაფერი, ხო?

1: — ქალბატონო, მისმინეთ ერთი წუთით, მე გამომართვეს პასპორტები და სად გადააგზავნეს და როგორ გადააგზავნეს, ეს მე უკვე აღარ ვიცი, ეს უკვე ჩემი პრეროგატივა არ არის.

2: — და ვინ გამოგართვათ, ეს რომ მითხრათ, არ შეგიძლიათ?

1: — ოოოო, მე ესეთ მდგომარეობაში უფროსების გარეშე ვერ გეტყვით ვერაფერს. დანარჩენი ახლა მე არ ვიცი.

2: — აბა, რატომ მოიტანეს თქვენამდე, საოცრებაა.

15 — რა გითხრათ, არ ვიცი, ქალბატონო, არ ვიცი, არ ვიცი, რა გითხრათ, მე რაც მომცეს, მე ის...

2: — ბატონო ვანო, კი გაწუხებთ, მაგრამ, რა ვქნა, ვეძებ ამ პასპორტებს და რა უნდა გკითხოთ: გიორგი კალანდარიშვილი...

15 — ვინაა, გიორგი კალანდარიშვილი? არ არის ჩვენი თანამშრომელი. რომელმაც დაურეკა, რა გვარია?

2: — ვახანია.

1: — ხო, ხო, ამ კაცმა, ვინც დაურეკა ჩემი დავალებით, დაურეკა ჩემი თხოვნით.

2: — უნდა გითხრათ, რომ თქვენი თანამშრომელი თუ არის, ძალიან ცუდად მოიქცა. დავუკავშირდი ტელეფონით რვა ცხრა ცხრა ოთხმოცდათორმეტი ნოლი ნოლი ნოლი ნოლი.

1: — კი ბატონო, კი ბატონო.

2: — წინა დღეს მითხრა იგივე, რასაც თქვენ ბრძანებთ ახლა, რომ ეგ პასპორტები იყო ჩვენთან და დავაბრუნეთო და მეორე დღეს ოფიციალურად დავწერე, პასპორტი რომ წამომელო. რომ ვურეკავ, საერთოდ უარყოფს ამ ჩვენ საუბარს და მეორედ კოკოითის საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომლად წარმომიდგება. ყბა ჩამომივარდა.

1: — ვისი? ვისიი?“

ის, რასაც ამის შემდეგ წაიკითხავთ, „სამსახურებრივ ხულიგნობად“ კვალიფიცირდება, თავხედობა, რომელსაც სახელმწიფო სამსახურში მდგარი კაცი კადრულობს.

ვითომ ხუმრობს და თვითონ კი ბითურდება.

**ჩანაწერი მეორე**

**„კოკოითის საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომელს“ ესაუბრება ლალი აფციაური, ადვოკატი.**

**ქალის ხმა (1):** — ოთხმოცდათორმეტი ნოლი ნოლი ნოლი ნოლი.

**მამაკაცის ხმა (2):** — დიახ, ეს ნომერია... არავინ არ იცის ჩემი ნომერი, ორი დღის წინ ვიყიდე.

1: — როდის იყიდეთ თქვენ ეს ნომერი?

2: — ორი დღის წინ ვიყიდეთქო.

1: — მე თქვენ რომ გუშინ გელაპარაკეთ და (გკითხეთ), ხართ თუ არა გიორგი კალანდარიშვილი, თქვენ მითხარით, რომ ვარ, მე წარმოგიდექით და გითხარით რომ ლალი ვარ აფციაური, გირეკავთ ვახანიას პასპორტებზე.

2: — არ გიცნობთ.

1: — ერთი წამით, მე დამამთავრებინეთ საუბარი.

2: — მე თვითონ გადმოგირეკავთ...

1: — არა, დამამთავრებინეთ მე საუბარი რო გელაპარაკებით. თქვენ ხართ საჯარო მოხელე, რომელიც, ბოდიში, კოკოითის მთავრობის წევრი ხართ გიორგი კალანდარიშვილი, რომელი კოკოითი, სად ჩამოვიდე?

2: — გვარი გეშლებათ, გვარი გეშლებათ.

1: — სად ჩამოვიდე მითხარით.

2: — ცხინვალში.

1: — ცხინვალში ხართ თქვენ და ცხინვალში გაქვთ ეს პასპორტები, ვახანიას პასპორტები?

2: — ვახანიას საერთოდ არ ვიცნობ, არც გამიგია და არც მაგის პასპორტები...

1: — გუშინ მე რომ გესაუბრეთ.

2: — თქვენ არ დაგიკონკრეტებიათ ვინ რაა, რა უნდა?

1: — რა არ დამიკონკრეტებია? გვარი და სახელი გითხარით.

2: — არ მახსოვს, არ ვიცი, არა. აღარ დარეკოთ ამ ნომერზე, ქალბატონო.

1: — ეს არ არის საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომლის გიორგი კალანდარიშვილის ნომერი?

2: — არა, ქალბატონო, არააა. შეცდომით რეკავთ.

1: — ვინ ბრძანდებით მითხარით, კოკოითის მთავრობის წევრო?

2: — აი, ჩამობრძანდით და გაგცემთ... ეხლა თქვენ რა რაღაცა სიტყუეს, ცუდ რაღაცას აკეთებთ და არ მინდა რა...

1: — მე ვაკეთებ ცუდ რაღაცას? თქვენ როგორ იქცევით საჯარო მოხელე, თქვენ ხვდებით თქვენ მიცხადებთ, რომ ხართ კოკოითის მთავრობის წევრი და ჩამოვბრძანდე მანდ. ამას მეუბნებით მეე?

2: — იგოეთში ჩამობრძანდით. დაგხვდებით ყველანაირად თქვენს უსაფრთხოებას დავიცავთ. კარგით, ეხლა არ მცალია...

1: — ვაი, უბედურო ჩვენო ქვეყანა, საგარეო საქმეთა სამინისტროში, თქვენნაირი ნაძირალები რო სხედან...“

**ჩანაწერი მესამე**

**კვლავ ლალი აფციაური და ვინმე ზურაბ ლაგვილავა. ტელეფონის ნომერი იგივეა.**

**ქალის ხმა (1):** — გამარჯობათ.

**მამაკაცის ხმა (2):** — გამარჯობათ.

1: — ვის ვესაუბრები, თუ შეიძლება?

2: — ვინ ბრძანდებით?

1: — ვის ვესაუბრები? ნომერი მაქვს და უბრალოდ ვერ მივხვდი, ვისია ეს ნომერი, თუ არ შეგაწუხებთ? (პაუზა).

2: — ზურა ვარ ლაგვილავა.

1: — ზურა ლაგვილავა?

2: — დიახ.

1: — ჰმ, ჰმ... უკაცრავად, ბატონო ზურაბ, თქვენი სამსახური, თუ არ შეგაწუხებთ რა? ლალი ვარ აფციაური.

2: — ლალი აფციაურიი?

1: — დიახ.

2: — არ გიცნობთ მე თქვენ.

1: — თქვენი სამსახური, თუ შეიძლება, რომ მითხრათ... სად მუშაობთ თქვენ?

2: — მე უმუშევარი ვარ, არ ვმუშაობ არსად.

1: — აა, უმუშევარი ხართ?

2: — დიახ.

1: — და თქვენ ეს ნომერი, დიდი ხანია, გაქვთ?

2: — ეს ნომერი მაქვს დაახლოებით ოთხი თვე, არის ხუთი თვე, ზაფხულში, ზაფხულიდან.

1: — ზაფხულიდან გაქვთ?

2: — დიახ.

1: — კარგით, ბოდიშს გიხდით, უკაცრავად.“

**აი, ასეთია სიცრუის რგოლები სიყალბის იმ ჯაჭვისა, რომლითაც მართალი კაცი კანონის სასჯელს მიაჯაჭვეს. ამ რგოლთაგან სასამართლოს ერთ-ერთის გაწყვეტა რომ გაებედა, „ვახანიას საქმე“ საერთოდ არ შედგებოდა.**

**აი, ასე გადაამისამართებენ ადვოკატს — ეუბნებიან რაღაც მოგონილ ტელეფონის ნომრებს, ან, შეიძლება, ნამდვილ ნომრებსაც აძლევენ, მაგრამ შემდეგ ვიღაც უჩინარი რეჟისორი აიქნევს ხელს და არც ნომერია სწორი, ხოლო ის, ვინც ამ ტელეფონზე უპასუხებდა გუშინ, დღეს უკვე „სხვაა“.**

**უმარტივესი მეთოდია: მისამართიდან მისამართზე არბენინებენ, სანამ არ დაიღლება და არ მობეზრდება მატყუარა ჩინოვნიკებთან ურთიერთობა ადვოკატს, რომელიც უსამართლოდ დაპატიმრებული, „მის დაცვის ქვეშ მყოფი“ ადამიანის ტანჯვა-წვალების შემცირებას ცდილობს.**

* * *

**იესო ქრისტე გოლგოთაზე ჯვარს რომ აცვეს, პილატემ წარწერა დაადგა ჯვარს: „იესო ნაზარეველი, იუდეველთა მეფე“.**

**„იუდეველმა მღვდელმთავრებმა უთხრეს პილატეს: ნუ დაწერ „იუდეველთა მეფე“, არამედ, რაც მან თქვა: „მე ვარ იუდეველთა მეფე“.**

**პილატემ უპასუხა: „რაც დავწერე — დავწერე“ *(იოან. 19,22).***

**იქნებ, სხვანაირად უნდა დამეწერა ვლადიმერ ვახანიას ამბავი, მაგრამ „რაც დავწერე — დავწერე“.**

**არმაზ სანებლიძე**

# მაგრამ საპყრობილეში მაინც ჩასვეს!

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# «ბარხატოვანი რევოლუცია» ინგა გრიგოლიას შემოქმედებაში, ანუ «რომელ არხზე მუშაობს ნატაშა როსტოვა»



**ეს ამბავი რამდენიმე წლის წინათ ტელევიზიაში მოხდა. ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა ერთ-ერთ უკვე სტაჟიან წამყვან გოგონას კომპლიმენტი გაუკეთა – „დღეს რა კარგად გამოიყურები, ნატაშა როსტოვას სტილში ხარ“. რამდენიმეწამიანი სამარისებური სიჩუმის შემდეგ წამყვანმა (რომლის თვალები ამასობაში ელექტრომრიცხველივით ტრიალებდა) დასვა მომაკვდინებელი შეკითხვა: „ეგ რომელია, რომელ არხზე მუშაობს, რაღაც ვერ ვიხსენებ...“ საჭიროა კომენტარი?**

ამ ტრაგიკომიკურ შემთხვევასთან სათაურში ხსენებულ ინგას არავითარი კავშირი არ აქვს და ეს „გენიალური“ შეკითხვა სრულიად სხვა წამყვანმა დასვა. გრიგოლიას თავისი „მარგალიტებიც“ ეყოფა – როცა, ჯერ იყო და რობერტ სტურუას ჰკითხა, **„თქვენ და გია ყანჩელს აქამდე თუ გიმუშავიათ ერთად?“,** ერთ-ერთ მომდევნო გადაცემაში კი არც აცია, არც აცხელა, **„საქართველოში 2003 წელს ბარხატოვანი რევოლუცია მოხდაო“,** გვამცნო. რა მნიშვნელობა აქვს, ბარხატოვანს იტყვი თუ ხავერდოვანს?!

საქართველოში, საერთოდ, არაფერს არ აქვს მნიშვნელობა. მთავარია, იყო უტიფარი და ყველაფერს რქებით მიაწვე. თუ ვინმე რაიმეს შეგახსენებს ან წამოგაძახებს, წმინდანის თვალებით შეხედავ კამერას და იტყვი: **„ვინ, მეე? გეშლებათ, გენაცვალე, ეს მე არ ვიყავი!“** და ჩაილაპარაკებ: **– რა უზნეოა ეს ხალხი, მართლაც, ენას ძვალი არ აქვს...**

ასეა თუ ისე, ქართული ჟურნალისტიკის „პრიმადონა“ გრიგოლიამ ჟურნალისტიკაში ხომ აუტეხა კრამიტებს რაკა-რუკი (თანაც არხი არ დაუტოვებია, სახურავი რომ არ აეხადა), ახლა პოლიტიკაში მოვდივარო, გაგვახარა. **თუმცა, სადაც მაგდალინა ანიკაშვილს დაერქვა პოლიტიკოსი, იქ ინგა გრიგოლია ჰენრი კისინჯერის ტოლფასია.** ერთ ჩემს კოლეგას დავესესხები: **– გრიგოლია პოლიტიკაში რომ წავიდა, არ ვიცი, კარგია ეს თუ ცუდი, მაგრამ ჟურნალისტიკიდან რომ წავიდა, ეს ძალიან კარგია.** იმედია, ცოტა ხანი მაინც არავინ დაიკაპიწებს მკლავებს გრიგოლიასავით, არ დაიბერავს ძარღვებს და „თვალებს ამოგთხრი“ გამომეტყველებით არ იტყვის: – აბა, ვინმემ ცუდი თქვას ჟურნალისტებზეო. ისე, რაკი პოლიტიკაში წავიდა, აწი შეუძლია, საკანონმდებლო ინციატივით შევიდეს პარლამენტში და „პროკურორ-ჟურნალისტის“ თანამდებობის შემოღება მოითხოვოს. ანალიტიკა, პრობლემის არსში ჩაწვდომა და რესპონდენტის მოსმენა მაგას მაინც არ აინტერესებდა არასოდეს. სამაგიეროდ, ივანე რუსივით კი ლაპარაკობდა რუსულად...

უკანასკნელი 15-20 წლის მანძილზე ქართულმა ჟურნალისტიკამ განვითარების საკმაოდ ორიგინალური გზა გაიარა. **90-იანი წლების დასაწყისში ჟურნალისტი ლამის კამიკაძესთან იყო გათანაბრებული, რომელსაც ქართული გასამხედროებული პოლიტიკის დანაღმულ ველზე ისე უნდა გაევლო, რომ ეთერში გადასაცემი სიუჟეტის გამო იქით კიტოვანი არ ამომხტარიყო ტანსაცმლიდან, აქეთ კი ჯაბა იოსელიანსა და მის „მხედრიონს“ არ გაეკრა ხელი იარაღზე და სიმართლე შეძლებისდაგვარად მაინც თქმულიყო. თანაც ისე, რომ შევარდნაძესაც მოსწონებოდა. ამას ბევრი ვერ ახერხებდა, მაგრამ, ვინც ახერხებდა, ნამდვილ პროფესიონალად ყალიბდებოდა.**

აფხაზეთის ომმა ქართველებში სამხედრო ჟურნალისტობის ნიჭიც გააღვიძა და არც ერთ ამერიკელ, რუს თუ ბრიტანელ რეპორტიორს არ გამოუტანია ომის ქარ-ცეცხლიდან ისეთი კადრები, როგორსაც საშა იოსელიანი, დათო ბოლქვაძე, გოგა ჭყონია და სხვები იღებდნენ. სამწუხაროდ, ბევრი მათგანი სწორედ პროფესიული მოვალეობის შესრულების დროს მოკლეს. ქართველები ტელეჟურნალისტიკაშიც ნამდვილი გმირები აღმოვჩნდით. ეს რამდენიმე წლის წინათ. **დღეს საკმარისია, პირდაპირ ეთერში გამოაცხადო – „მე მივდივარ ამ არხიდანო“, რომ უკვე გმირი ხდები.**

ყველაზე სამწუხარო ტენდენცია, რომელიც ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ქართული ტელეჟურნალისტიკის სენი გახდა, არის არა იმდენად არაპროფესიონალიზმი (არაპროფესიონალიზმსაც რაღაც იწვევს), არამედ **ამ სფეროში დასაქმებულთა უდიდესი ნაწილის აბსოლუტური უწიგნურობა.** მაგალითისთვის რამდენიმე ნიმუშს მოგახსენებთ. გვარების დასახელებას აზრიც არ აქვს – ჯერ ერთი, უწიგნურობა პირადად მათი ბრალი არაა (ამაზე მათ ოჯახებს უნდა ეზრუნათ თავის დროზე), მეორეც – ეს ამ კონკრეტული ჟურნალისტების პრობლემა არ არის, ეს, ზოგადად, ქართული ჟურნალისტიკის მდგომარეობაა.

ერთ-ერთი ტელეარხის საინფორმაციო გამოშვებაში გადაიცემოდა სიუჟეტი „ოსკარების“ ცერემონიალის თუ კანის კინოფესტივალის მზადების შესახებ. სიუჟეტის შემდეგ წამყვანმა, არხის „სახემ“ ეთერში კომპეტენტური სახით დააბრახუნა: **„ამ ღონისძიებით კინოლოგები ძალიან კმაყოფილი დარჩებიანო...“**

როგორც იტყვიან, ვაი ჩვენს პატრონს უბედურს, **აქამდე რომ კინოლოგია რაღაც ძაღლებთან კავშირში მყოფი ცნება გვეგონა...** თურმე ეს ტერმინი კინოს სპეციალისტობა-მოყვარულობას არ ნიშნავს???

ერთხელ ერთი ჩემი ნაცნობი საკმაოდ პოპულარული ტელეჟურნალისტი გოგონა დამემგზავრა. ეს იმ ბნელ დროს იყო, როცა ცენტრალურ ქუჩებში ჯერ კიდევ „მარშრუტკები“ მოძრაობდნენ. დამშვიდობებისას მძღოლს ფული გავუწოდე და ვუთხარი, ორის აიღეთ-მეთქი. ჩემმა ნაცნობმა ჟურნალისტმა გოგონამ, როგორც წესია, გააპროტესტა ეს ამბავი და ხმამაღლა მომმართა: **„რატომ მპატიჟებ, შენ რა, ფემინისტი ხარ?“**

გაგიხარიათ, სახლში ასვლის შემდეგ მე ლექსიკონებში ვეძებე (ეტყობა, არასწორად ვიცი ამ სიტყვის მნიშვნელობა-მეთქი), მაგრამ თურმე სწორად მცოდნია...

ვინ მოთვლის ჭეშმარიტად „კლასიკურ“ ფრაზებსა თუ გამოთქმებს – **„ივანოვი და სააკაშვილი ისაუბრებენ აჭარის, კერძოდ, აფხაზეთის შესახებ“, „პრეზიდენტმა განახორციელა საბაჟოზე მისვლა“, „ცნობილი ქართველი სოპრანო გიორგი ონიანი“ (მარია კალასისთვის ბარიტონობა რომ დაებრალებინა რომელიმე ჟურნალისტს საბერძნეთში), „სამართალდამცავებმა განაიარაღეს ტყვიამფრქვევი“, „ბოროტმოქმედები მიიმალნენ „აუზის“ ტიპის ავტომანქანით“ (ოღონდ აღარ დაგვიკონკრეტეს, „აუზში“ წყალი ესხა თუ არა), ახლა მკვიდრდება ახალი ტერმინი „რეანომობილი“ (როგორც ჩანს, მისი საფუძველია სიტყვა „რეანომაცია“), ხოლო ერთხელ „ქრისტეს კვარციც“ გვიხსენეს...**

მთავარი პრობლემა ის არაა, რომ ჟურნალისტი ამას ამბობს. გაცილებით მნიშვნელოვანია ის, რომ ასეთი „მარგალიტების“ ავტორები ჩვეულებრივად განაგრძობენ მუშაობას და არავის (პირველ რიგში, მათ ხელმძღვანელობას) არ მოსდის თავში, სამსახურიდან გაათავისუფლოს კი არა, საყვედური მაინც უთხრას (**თუ, რა თქმა უნდა, თავად შეამჩნიეს კაზუსი**). ქართულ ტელეჟურნალისტიკაში განათლებულობაზე, კომპეტენტურობასა და პასუხისმგებლობის გრძნობაზე მეტად, უკვე კარგა ხანია, სენსაციურობა და სკანდალურობა ფასობს. ასეთია ქვედა ფენა (ჟურნალისტები), ამასვე ითხოვს საშუალო ფენა (ხელმძღვანელები) და, როგორც ჩანს, არც მედია-მფლობელებს აინტერესებთ სხვა რამ. მათი ინტერესები და გათვლა საკმაოდ მარტივი გასაშიფრია. მათი ერთადერთი მიზანი რეიტინგია, რეიტინგს კი სენსაცია და სკანდალი ქმნის და არა მშვიდი, კომპეტენტური ანალიზი. სწორედ ამიტომ ვაძლევთ თავს უფლებას, „მაია-ტვაია“ რუსულით ვეკამათოთ უკიდეგანოდ განათლებულ მატვეი განაპოლსკის, რომელიც თავისი ინტელექტისა და ორატორული ნიჭის წყალობით არა თუ ქართველ გოგობიჭებს, თვით ვლადიმერ ლეონტიევსაც კი საკმაოდ ადვილად „ადუმებს“.

ამასწინათ ერთ-ერთმა არხმა გოგი ალექსი-მესხიშვილთან ინტერვიუ გადმოსცა. არა, ყველაფერი წესრიგში იყო – ეკრანიდან ნამდვილად ცნობილი მხატვარი გვესაუბრებოდა, ყველანი ადგილზე იყვნენ – გოგიც, ალექსიც და მესხიშვილიც, ტიტრიც გამოჩნდა, ოღონდ...

**ტიტრში ტირე „გოგისა“ და „ალექსის“ შორის იყო.**

**სალვადორ დვალი**

## მოკლედ




### ბეროუზი გამო-იმედდა

**მას შემდეგ, რაც „ტელეიმედმა“ საკუთარი ფანტაზიები „მოდელირებულ ქრონიკაში“ გადმოაფრქვია, ნახევარ საქართველოს გულები დაუხეთქა და მსოფლიოში, ვისაც არ ეზარებოდა, ყველას სალანძღავ-დასაცინი გაგვხადა, ანალიტიკოსებს და მზვერავებს საქმე შეუმსუბუქდათ — სულ „იმედის“ ფანტაზიებზე აგებენ პროგნოზებს.** აშშ-ის ეროვნული დაზვერვის ანალიტიკური დეპარტამენტის დირექტორმა მეთიუ ბეროუზმაც დააბრეხვა, მართალია, წესიერად არ ვიცი, რა უჩვენა „იმედმა“, მაგრამ ზუსტად ვიცი, რომ ეს ყველაფერი რეალურადაც მოსალოდნელიაო.



### მსოფლიო ნარკორეზერვი

**რუსეთში ნარკოტიკების ბრუნვის კონტროლის სამსახურის ხელმძღვანელის — ვიქტორ ივანოვის განცხადებით, ავღანეთში 12 ათასი ტონა ოპიუმის სახით „მომავალი თაობების რეზერვია“ შექმნილი.** ყოველწლიურად ავღანეთი 800 ტონა ჰეროინს აწარმოებს, მაგრამ მხოლოდ მესამედს ყიდის, მსოფლიოს ამდენი ნარკომანი უბრალოდ არ ჰყავს. ივანოვის თქმით, ავღანეთიდან გატანილი ნარკოტიკების 35% რუსეთში ხვდება. ყოველწლიურად ავღანური ნარკომაფია 65 მილიარდი დოლარის „პოროდუქტს“ ყიდის.



### თურქეთს აშშ ყელში ამოუვიდა

**თურქეთმა აშშ ჯერ გააფრთხილა, არ აღიარო სომხების გენოციდი, თორემ არ დაგინდობო, მერე კი დანაპირების შესრულებაზე გადავიდა და თავდაცვის, ენერგეტიკისა და ვაჭრობის სფეროებში კავშირების გაღრმავება შეწყვიტა.** ამის შემდეგ უარი განაცხადა მსოფლიო სავალუტო ფონდის კრედიტზე, რომლის ერთგული კლიენტიც ლამის ნახევარი საუკუნის განმავლობაში იყო. ამით მან დასავლური ეკონომიკისგან საკუთარ დამოუკიდებლობას გაუსვა ხაზი და ჩრდილოელ და აღმოსავლელ მეზობლებთან ურთიერთობების გაღრმავებას შეუდგა.

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ჰამლეტ ჭიპაშვილი: საქართველოში ინდაურივით გაფხორილი ბრიყვი პოლიტოლოგები მომრავლდნენ

**ჩვენს რეალობაში ძალიან მომრავლდნენ ახალგაზრდა „ექსპერტები“. მათი საუბრიდან ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს 3-4 გაზეთი წაიკითხეს, ერთ-ორ კონფერენციას დაესწრნენ და თავი ექსპერტებად მოაქვთ. დავიჯერო, ასე ადვილია ექსპერტობა? ან, იქნებ, მიმასწავლოთ, თბილისში სად არის „ექსპერტთა ინკუბატორი“, ასე ბარაქიანად რომ ჩეკავს და აფრთიანებს სწავლულებს.**



## დღევანდელი პოლიტოლოგები ყურმოკრულ ჭორებს ეყრდნობიან

მათ ყურადღებით უსმენენ, ზოგჯერ ეთანხმებიან, ზოგჯერ – არა. იმის გამო, რომ შედარებით დალაგებულად მსჯელობენ იმაზე, რაზეც ყველა სხვა დანარჩენი, მედიაამ მათ საზოგადოებრივ მდგომარეობას მარტივი ფორმულირება მოუძებნა – ექსპერტები. ასე ჩამოყალიბდა ქართულ რეალობაში ტერმინი „ექსპერტი“, რომელიც თავის თავში აერთიანებს მეცნიერებს, პროფესორებს, მკვლევარებს, მაგრამ ახლა უკვე მათ რიცხვს ხელოვანები, სპორტსმენები, კულტურის მუშაკები და სხვა პროფესიის ადამიანებიც შეუერთდნენ. რაც მთავარია, ყველა მათგანი პოლიტიკაზე ლაპარაკობს და კიდევ უფრო მთავარი ისაა, რომ მედიაში თანდათან წაიშალა ზღვარი პროფესიონალებსა და დილეტანტებს შორის.

**თუ საზოგადოებაში პროფესიონალების მოსაზრებაზეა მოთხოვნა, დილეტანტებს, და არა მხლოდ მათ, ხელისუფლება აგულიანებს. ხშირად ტელევიზიაში კონკრეტულ ადამიანებს იწვევენ და ტიტრებში მითითებულია: ეკონომიკის ექსპერტი, ამის ექსპერტი, იმის ექსპერტი... საინტერესოა, საიდან იღებენ ეს ადამიანები ამ წოდებებს.**

**მახსოვს, ადრე სულ 4-5 კაცი აწვდიდა საზოგადოებას ექსპერტულ დასკვნებს, ყოველ შემთხვევაში — მასმედიით. საინტერესოა, რატომ აძლევს ერთი და იგივე ადამიანი თავს უფლებას, იყოს ექსპერტი პოლიტიკის, ეკონომიკის, სოციოლოგიის, ეკოლოგიის სხვადასხვა დარგებში?**

ცნობილია, რომ ექსპერტი კონკრეტულ სფეროში, სპეციალური ცოდნის მატარებელ ადამიანს ნიშნავს. ექსპერტად, შესაძლოა, ჩამოყალიბდე შემდეგნაირად (ერთ-ერთი ვარიანტი): უმაღლესი, პროფესიული განათლება, სადოქტორო ხარისხი, დარგში მუშაობის გამოცდილება, მოხსენებები სხვადასხვა ფორუმებზე, პუბლიკაციები, განხორციელებული პროექტები და ა.შ. მხოლოდ დიპლომი არ ნიშნავს დარგის ცოდნას.

ექსპერტს ცოდნა უნდა ჰქონდეს დაგროვილი. აქ ასაკობრივი გადახალისება ნამდვილად არაა საჭირო. პრობლემა არსებულ ექსპერტებში კი არა, საერთოდ მათ ნაკლებობაშია. შედეგად კი, ქვეყანა თოკით ჭაში ჩაკიდებულ ცარიელ ვედროს ჰგავს, რომელიც ამოღებისას კედლებს ეხეთქება.

**საინტერესოა, ექსპერტობა მართლა ასეთი ადვილი მისაღწევია, თუ ამისათვის რაიმე კვალიფიკაციაა საჭირო. ამის გასარკვევად ერთ-ერთ გამოცდილ და სტაჟიან ექსპერტ-პოლიტოლოგს, ჰამლეტ ჭიპაშვილს ვესაუბრეთ.**

**ჰამლეტ ჭიპაშვილი:** — რეგლამენტი, რომელიც დაარეგულირებს, — ვინ შეიძლება იყოს პოლიტოლოგი ან ექსპერტი, ამ ქვეყანას არ გააჩნია. საბჭოთა კავშირის დროს იყვნენ პოლიტიკური მიმომხილველები, რომლებსაც პოლიტბიურო ამტკიცებდა. გარდა ამისა, ექსპერტები დარგების მიხედვით მუშაობდნენ. ცენტრალური კომიტეტი სერიოზულად იხილავდა ამ საკითხს და, დღევანდელისგან განსხვავებით, დიდი მნიშვნელობა ექცეოდა მას.

მთელი პასუხისმგებლობით შემიძლია განვაცხადო, რომ საქართველოში პოლიტოლოგობაზე და ექსერტობაზე საუბარი ზედმეტია. ჯერ ერთი, ამ ექსპერტებს არავითარი საერთაშორისო გამოცდილება არ აქვთ. ისინი ან საერთოდ არ იღებენ მონაწილეობას საერთაშორისო კონფერენციებში, ან ხელისუფლება შეტენის ხოლმე ვინმეს საქართველოს სახელით. **ორი წლის წინათ ანკარაში კონფერენციაზე ვიყავი, საკითხი იყო „კავკასია 2008 წლის აგვისტოს შემდეგ“. ამ კონფერენციაზე ყურადღებას იმიტომ ვამახვილებ, რომ აქ მონაწილეობდნენ პოლიტოლოგები სომხეთიდან, აფხაზეთიდან, სამხრეთ ოსეთიდან, აზერბაიჯანიდან, თურქეთიდან, რუსეთიდან. არც ერთი მათგანი არ ყოფილა თინეიჯერი. ყველა იყო დაღვინებული, სერიოზული ადამიანი. გული დამწყდა, რადგან ყველაზე უსუსურად ქართული მხარე გამოჩნდა. ჩვენი მხრიდან არ ჩამოვთვლი ვინ იყო, თუმცა ეს ექსპერტები ჩვენთან საკმაოდ დიდი ავტორიტეტით სარგებლობენ, *ანკარის კონფერენციაზე თავისი არაკვალიფიციური საუბრითა და ჭიჭყინით თავი მოგვჭრეს.***

**ქვეყანაში, სადაც შეიძლება 24-25 წლის ყმაწვილები მინისტრებად, პარლამენტის წევრებად, ელჩებადაც კი დაინიშნონ (ელჩი 50 წლის ასაკს ქვემოთ არსად არაა), ძნელია ექსპერტების დონეზე ისაუბრო.**

ძნელია, დაარქვა პოლიტოლოგი ან ექსპერტი 23-24 წლის ყმაწვილს, თუნდაც 30 წლის იყოს, რომელსაც მხოლოდ თეორიული ცოდნა აქვს, რადგან კარგ თეორიულ ცოდნას საქართველოში ვერავითარ შემთხვევაში ვერ მიიღებ და, პრაქტიკა თუ არ აქვს გავლილი და თუ თვითონ არ შეჯახებიხარ ცხოვრებას, მხოლოდ თეორიული ცოდნა საკმარისი არაა. ექსპერტი იმას ნიშნავს, რომ საზოგდოებას სიტუაცია თავისი შეხედულებით განუმარტოს და როგორ უნდა გააკეთოს ეს ცხვირმოუხოცავმა ეგრეთ წოდებულმა ექსპერტმა, რომელსაც აბსოლუტურად არანაირი წარმოდგენა არ აქვს ცხოვრებაზე? **ჩვენი ტრაგედია იმაშია, რომ ქვეყანას თინეიჯერული შემართების ახალგაზრდობა მართავს და 50 წელს გადაცილებული ადამიანები გარიყულნი არიან. სრული შთაბეჭდილება იქმნება იმისა, რომ ყმაწვილები, რომლებსაც ხელისუფლება ექსპერტებად მოიხსენიებს, მეტს არაფერს აკეთებენ, გარდა იმისა, რომ ხელისუფლებას აამონ.** ცხადია, ჟურნალისტებიც ცოდავენ, როდესაც ასეთ ექპერტებს აზრს ეკითხებიან. ასეთი ბრიყვი, ინდაურივით გაფხორილი პოლიტოლოგები მაინც ბევრნი არიან საქართველოში. ესენი არიან: ვიღაც სანდრო ბარნოვი, თორნიკე შარაშენიძე, რომლებიც ვერ გაიგებ, რას ლაპარაკობენ. ჩვენდა სამარცხვინოდ, ასეთი ვაიექსპერტები თავისმომჭრელად ბლუკუნებენ. ფაქტობრივად, უაზრობაა, რასაც ისინი საზოგადოებას ეუბნებიან.

როცა პოლიტიკოსი გამოდის და ატყუებს საზოგადოებას, ხალხი გარკვეულ განმარტებას ექსპერტებისგან ელის. ამ დროს კი **ეს ხელისუფლებისგან დაპურებული ექსპერტები, ნაცვლად იმისა, რომ აუხსნან რაში მდგომარეობს ჭეშმარიტება, ფულის გამო ატყუებენ ხალხს. სახეზეა კორუფცია, მოსყიდვა. მოსყიდვა ახალგაზრდულ ასაკში იმას ნიშნავს, რომ ეს პოლიტოლოგი არაფრად არ გამოდგება არც ხვალ, არც ზეგ. ყველანი არიან ხელისუფლების მაამებელნი და მლიქვნელები.**

მე მქონდა ინტერნეტ-ჟურნალი, რომლისთვისაც ცნობილ ექპერტებს ვთხოვდი, სტატიები ეწერათ, თუმცა ვერავინ დავიყოლიე, რადგან წერა არ იციან და ჟურნალისტებთან კითხვა-პასუხის რეჟიმში მუშაობას კმაყოფილდებიან. ანალიტიკური შეფასების უნარი არ გააჩნიათ, ამიტომაც ვერ წერენ. დღემდე ვწერ სტატიებს და ვაქვეყნებ. ჩემი აზრით, ამას ყველა პოლიტოლოგი უნდა აკეთებდეს.

**იმისთვის, რომ ექსპერტობა გაწიო, ზღვა ინფორმაციის ფლობაა საჭირო. ინფორმაცია უმთავრესია, რომ რაიმე თქვა. ნებისმიერი ექსპერტის დილა ინფორმაციების გაცნობით უნდა იწყებოდეს. ინტერნეტიც კარგი საშუალებაა ამისთვის, თუმცა მისგან მხოლოდ ზედაპირული ინფორმაციის მიღებაა შესაძლებელი. არსებობს საკმაოდ მაღალი დონის უცხოური ტელე-არხები, რომლებსაც სისტემატიურად უნდა ეცნობოდეს ყველა, ვისაც ექსპერტობაზე აქვს პრეტენზია.** ჩვენთან უცხოური პრესის სერიოზული დეფიციტი არსებობს. შესაძლებელი არაა, „თაიმსი“ ორიგინალში წაიკითხო. მარტო ქართული პრესის გაცნობა არაა საკმარისი იმისათვის, რომ სერიოზული დასკვნები გააკეთო, რადგან ჩვენი პრესა სავსეა დაუზუსტებელი ინფორმაციებით, ტელევიზიაზე კი საუბარი აღარ მაქვს — იქ შეგნებულად ამახინჯებენ ინფორმაციას, რათა ხელისუფლებას ასიამოვნონ. **დღევანდელი პოლიტოლოგები ყურმოკრულ ჭორებს ეყრდნობიან, სამწუხაროდ.** კანონი ან ცენზურა, რომელიც ექსპერტობის საკითხს არეგულირებს, არც საქართველოში და არც სხვა ქვეყნებში არ შემხვედრია, თუმცა საჭირო კია, რადგან ყველა უნდა ათვითცნობიერებდეს საკუთარ შესაძლებლობებს, სისულელეების ლაპარაკის უფლებას არ უნდა აძლევდეს თავს და მითუმეტეს ექსპერტობაზე არ უნდა აცხადებდეს პრეტენზიას. **წარმოუდგენელია, ისეთ პატარა ქვეანაში, როგორიც საქართველოა, ამდენი ექსპერტი არსებობდეს.**

**თეო ტაბატაძე**
**ლილი მიროტაძე**

## მოკლედ



### ვინ გადაარჩენს პლანეტას?

**აშშ-მა თავი არ დაზოგა გლობალურ დათბობასა და ეკოლოგიურ კატასტროფებზე ლაპარაკში, სამაგიეროდ, საქმე საქმეზე რომ მიდგა, ეს საქმე სხვებს გადაულოცა, ახლა თქვენ მიხედეთო.**

მიხედეს კიდეც. შარშან ჩინეთმა ეკოლოგიურად სუფთა ენერგიის წარმოებაში 34,6 მილიარდი დოლარი დააბანდა, აშშ-მა კი — ლამის ორჯერ ნაკლები (18,6 მილიარდი). სახალხო რესპუბლიკამ შტატებს ეკოლოგიურად სუფთა ენერგიის წარმოების მხრივაც გაუსწრო: შარშან ჩინეთმა 52,2 გიგავატი აწარმოა, აშშ-მა კი — 49,7.



### პენტაგონი ჩაფლავდა

**აშშ-ის თავდაცვის სამინისტროს ოთხწლიანი პროგნოზისა და 20 მაღალჩინოსანი სამხედროს, მზვერავისა და დიპლომატის გამოკითხვის შემდეგ სტრატეგიული კონცეფციის ცენტრის ექსპერტებმა დაასკვნეს:**

პენტაგონი ახალ რისკებთან ადაპტირებას ვერ ასწრებს. „ახალ რისკებში“ იგულისხმებიან სომალელი მეკობრეები, მექსიკელი ნარკომოვაჭრეები და ისლამისტი ტერორისტები, რომლებმაც აშშ-ის მთავარი საფრთხის კვალიფიკაცია „დაიმსახურეს“ და რომლებთან გამკლავების უნარიც პენტაგონს არ აქვს.



### იაპონელები კოღოებით აგვცრიან

**იაპონელ ბიოლოგებს ყელში ამოუვიდათ ათასგვარი ინფექციის გადამტანი კოღოების ეს ბოროტი „ცელქობა“ და იფიქრეს, თუ ასე გულით უნდათ რამის გადატან-გადმოტანა, ბარემ ამ ინფექციების საწინააღმდეგო ვაქცინა ჩამოატარონო.**

მათ გამოიყვანეს კოღოები, რომელთა ნერწყვი უკვე შეიცავს ცილავაქცინას. როდესაც კოღოების მუტაციის პროცესი დასრულდება, ცხადია, მათ არ ექნებათ ფუნქცია გვკითხონ, ხომ არა ვართ ამა თუ იმ სახის ვაქცინაციის წინააღმდეგნი და არც აღრიცხვას აწარმოებენ, ვინ რამდენჯერ „აცრეს“.



### ბუნტი გაუფრთხილებლად

**პროგრამა „კარდაკარის“ რამდენიმე თანამშრომელმა მოძრაობა „სამართლიანი საქართველოსთვის“ ნაძალადევის ოფისში კუთვნილი ხელფასი მოითხოვა.**

მოძრაობის ლიდერმა **ზურაბ ნოღაიდელმა** ამის პასუხად განაცხადა, რომ მერაბიშვილის შემოგზავნილები ამოქმედდნენ და ამას ასე მალე არ ველოდიო. რა მოხდებოდა, რომ დაერეკა მერაბიშვილს წინასწარ ნოღაიდელისთვის და გაეფრთხილებინა, ხვალ ვაპირებ ჩემი აგენტების აბუნტებას, შენს ოფისში მოვლენ და ხელფასს მოგთხოვენო. მოულოდნელი მაინც არ იქნებოდა ამ კაცისთვის.



### პარლამენტს გვიორპალატიანებენ

**სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარემ ავთანდილ დემეტრაშვილმა გადაწყვიტა, რომ საქართველოს ორპალატიანი პარლამენტი სჭირდება და კომისიის უახლოეს სხდომაზე ამ ინიციატივას წარადგენს.**

მართალია, იდეის გასვლის იმედი ნაკლებად აქვს, მაგრამ წარდგენაში ეს ხელს სულაც არ უშლის. საერთაშორისო საზოგადოება საკონსტიტუციო რეფორმას ელის და, რადგან ჩვენს ხელისუფლებას რეალური რეფორმა არ ეპიტნავება, იმას მაინც იტყვის ეს ხალხი, ვეცადეთ და არ გამოგვივიდაო.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

# «მოვალეთა რეესტრი» 200 ათასამდე მოქალაქეს ღია ცის ქვეშ დატოვებს

**დღეისათვის ბანკების მიერ კრედიტ-ინფოში 200 ათასამდე მომხმარებელია შეყვანილი. ახლადშექმნილ მოვალეთა რეესტრი კი იზრუნებს, რომ სასამართლო გადაწყვეტილებიდან 7 დღის ვადაში თქვენ, 200 ათას საქართველოს მოქალაქეს, ყველაფერი დაგიყადაღონ (4 კვირის სამყოფი საკვების, საწვავი და სანათი საშუალებების გარდა) და იძულებით აუქციონზე გაგიყიდონ.**

## გაქვთ კრედიტი? — გონს მოსვლას ვერ მოასწრებთ, ისე გაგიყიდიან ქონებას!




ამის შესახებ ცოტა ხნის წინ აღსრულების ეროვნულმა ბიურომ საზოგადოებას ძვირადღირებული სასტუმრო „რადისონიდან“ აცნობა. პრეზენტაციაზე, რომელსაც იუსტიციის მინისტრის მოადგილე ჯაბა ებანოიძე და აღსრულების ბიუროს ახალი ხელმძღვანელი ბაჩანა შენგელია ესწრებოდნენ, განმარტეს, რომ **„მოვალეთა რეესტრი“ იმ მონაცემთა ერთობლიობაა, სადაც დარეგისტრირებულია ყველა ის კერძო სამართლის ფიზიკური და იურიდიული პირი, რომელთა მიმართაც იძულებითი აღსრულება ამა წლის 1 იანვრიდან დაიწყო. მოვალეთა რეესტრში მოხვედრის შემდეგ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს ეზღუდება მის საკუთრებაში არსებული მოძრავი ან უძრავი ქონების განკარგვის უფლება.“**

აღსრულების ბიუროს საიტზე, თამაზ ქორქიას საკუთრებაზე გამოცხადებული იძულებითი აუქციონი კი იმ 200 ათასამდე საქართველოს მოქალაქეს ემუქრება, რომლებიც ბანკებს კრედიტ-ინფოში ჰყავთ შეყვანილი:

**„საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებელი, ლევან მღებრიშვილი აცხადებს პირველ იძულებით საჯარო აუქციონს თამაზ ქორქიას საკუთრებაში რიცხულ მოძრავ ქონებაზე. ქონება შეფასებულია შსს საქართველოს დამოუკიდებელი ექსპერტიზის ცენტრის ექსპერტის – თ. შავიძის მიერ.**

1. მაცივარი „ნორდი“ შეფასებულია 60 ლარად. „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 71-ე მუხლის 1 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის მიხედვით, ქონების საწყისი ღირებულებაა ექსპერტის მიერ დადგენილი ფასის 50%, რაც 30 ლარს შეადგენს.

2. ტელევიზორი „სამსუნგი“ შეფასებულია 75 ლარად. „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 71-ე მუხლის 1 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის მიხედვით, ქონების საწყისი ღირებულებაა ექსპერტის მიერ დადგენილი ფასის 50%, რაც შეადგენს 37.50 ლარს.

3. საწერი მაგიდა უჯრებით, შეფასებულია 40 ლარად. „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 71-ე მუხლის 1 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის მიხედვით, ქონების საწყისი ღირებულებაა ექსპერტის მიერ დადგენილი ფასის 50%, რაც შეადგენს 20 ლარს.

4. ვიდეო მაგნიტოფონი „ელჯი“, შეფასებულია 50 ლარად. „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 71-ე მუხლის 1 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის მიხედვით, ქონების საწყისი ღირებულებაა ექსპერტის მიერ დადგენილი ფასის 50%, რაც შეადგენს 25 ლარს.

5. ტელევიზორი „ელჯი“, შეფასებულია 60 ლარად. „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 71-ე მუხლის 1 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის მიხედვით, ქონების საწყისი ღირებულებაა ექსპერტის მიერ დადგენილი ფასის 50%, რაც შეადგენს 30 ლარს.

6. სავარძელი, შეფასებულია 55 ლარად. „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 71-ე მუხლის 1 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის მიხედვით, ქონების საწყისი ღირებულებაა ექსპერტის მიერ დადგენილი ფასის 50%, რაც შეადგენს 27.50 ლარს.

## თემურ მღებრიშვილის სპეცრაზმის ნაცვლად — აღმასრულებლების არმია

7. საწერი მაგიდა 4-უჯრიანი, შეფასებულია 50 ლარად. „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 71-ე მუხლის 1 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის მიხედვით, ქონების საწყისი ღირებულებაა ექსპერტის მიერ დადგენილი ფასის 50%, რაც შეადგენს 25 ლარს.

8. „ტრილიაჟი“, შეფასებულია 55 ლარად. „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 71-ე მუხლის 1 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის მიხედვით, ქონების საწყისი ღირებულებაა ექსპერტის მიერ დადგენილი ფასის 50%, რაც შეადგენს 27.50 ლარს.

ეს განცხადება ერთ-ერთია იმ უამრავთაგან, რომლითაც მოქალაქეებს არა მარტო საყოფაცხოვრებო ნივთებს, არამედ სახლებს თუ სხვა მოძრავ და უძრავ ქონებას უყიდიან. მაგალითად, ასე გამოიყურება მოქ. ნელი მამნიაშვილის ქონების იძულებითი აუქციონის გამოცხადების შესახებ განცხადება: **„მიწის ნაკვეთი და მასზედ განთავსებული ხის შენობა-ნაგებობა. საცხოვრებელ სახლში განთავსებულია ორი ოთახი, რომლის იატაკი ხისაა. საცხოვრებელი სახლი არის ავარიულ მდგომარეობაში. ჭერზე შეინიშნება სისველის კვალი. ნაკვეთი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისაა.**

**ქონება შეფასებულია სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლოს ექსპერტიზის ბიუროს“-ს მიერ 9500 ლარად. „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 71-ე მუხლის 1 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, გამოტანილი ქონების ფასია ექსპერტის მიერ დადგენილი ფასის 50%, რაც შეადგენს 4700 ლარს“.**

აღსრულების ბიუროს საიტზე გამოფენილი განცხადებები ისეთი სისწრაფით იცვლება, რომ შესაძლოა აზრზე მოსვლაც ვერ მოასწროთ, რომ თქვენი ქონება სწორედ ამ საიტზე გამოგიფინონ და შემდეგ ასევე გონზე მოსვლამდე გამოგიცხადონ, რომ თქვენი ქონება უკვე გაყიდულია. ამის თქმის საფუძველს კი ისევ სააღსრულებო ბიუროს მიერ გავრცელებული ინფორმაცია იძლევა, რომელიც სიხარულით გვატყობინებს: **„აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ სახელმწიფო ბიუჯეტში გადარიცხული თანხები ყოველთვიურად იზრდება. 2010 წლის თებერვალში იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ სახელმწიფო ბიუჯეტში გადაირიცხა 3 866 884, 95 ლარი, რაც წინა თვესთან შედარებით მილიონ ლარზე მეტია. საკმაოდ დიდი სხვაობაა, ასევე, წინა წლის თებერვალში ბიუჯეტში გადარიცხულ თანხებს შორის. შეგახსენებთ, რომ 2009 წლის თებერვალში ბიუჯეტში გადარიცხულმა თანხამ მხოლოდ 758 202,72 ლარი შეადგინა. გაიზარდა აღსრულებულ საქმეთა მაჩვენებელიც. 2010 წლის თებერვალში აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ აღსრულდა 3 110 სააღსრულებო წარმოება, რაც ბევრად აღემატება წინა თვეში აღსრულებულ საქმეთა რაოდენობას. იანვარში აღსრულებულ საქმეთა რაოდენობა შეადგენდა 2 569 სააღსრულებო წარმოებას.“**

ამ ციფრებით უკვე შეიძლება ნათელი წარმოდგენა შეიქმნას, თუ რა მდგომარეობაა ქვეყანაში. ყბადაღებული კრიზისის შემდეგ ბანკების „შავ სიაში“, სამსახურის დაკარგვის გამო, ისეთი ადამიანებიც მოხვდნენ, რომლებიც სესხს კეთილსინდისიერად იხდიდნენ. კატასტროფულმა ჯარიმებმა კი, რომლებიც სესხს ყოველ დაგვიანებულ დღეზე ერიცხება, ძალიან ბევრი გადახდისუუნარო გახადა. თავდაპირველად ბანკებმა ამ თანხების ამოსაღებად სახელდახელოდ შექმნილ კერძო ფირმებს მიმართეს, სადაც შევარდნაძისდროინდელი სპეცრაზმის უფროსი თემურ მღებრიშვილი და მისნაირები მუშაობენ. თუ რა მეთოდებით ახდენდნენ ისინი კრედიტორებისგან ფულის ამოღებას, ალბათ, ძნელი წარმოსადგენი არაა.

ამჯერად დაშინება, შანტაჟი თუ მუქარა საჭირო აღარ არის. სახელმწიფომ ბანკების დასახმარებლად თავად შექმნა ინსტიტუტი, რომელიც ასიათასობით ქართველს ღია ცის ქვეშ ტოვებს. დღეს თუ ხვალ ელოდეთ, მღებრიშვილის ნაცვლად, აღმასრულებლები მოგაკითხავენ!

## მოკლედ



### მერს 30 მაისს ავირჩევთ

**ადგილობრივი თვითმმართველობისა და თბილისის მერის არჩევნები 30 მაისს გაიმართება.** დედაქალაქის საკრებულოს 37-წევრიანი შემადგენლობა 50-მდე გაიზრდება (25 მაჟორიტარი და 25 პროპორციული წესით არჩეული დეპუტატი). თუ აქამდე სავალდებულო იყო, რომ საკრებულოს წევრობის მსურველს კენჭისყრაში მონაწილეობისათვის საქართველოში 10 წელი მაინც უნდა ეცხოვრა, ახლა ეს ვადა 5 წლამდე შემცირდა. არჩევნები არ ჩატარდება ერედვის, თიღვის, ქურთის, აჟარისა და ახალგორის მუნიციპალიტეტებში.



### ვნერგავთ პორტაბელობას

**კავშირგაბმულობისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი ღრმა ძილიდან ნელ-ნელა იწყებს გამოფხიზლებას და საქართველოში ნომრის პორტაბელურობის დანერგვას გვპირდება.** ეს იმას ნიშნავს, რომ, როგორც მთელ ცივილიზებულ მსოფლიოში, ჩვენთანაც შესაძლებელი გახდება, შევინარჩუნოთ ფიქსირებული ან მობილური ტელეფონის ნომერი ოპერატორის ან სერვისის შეცვლის შემთხვევაშიც. ამას კი ნუმერაციის ახალ სისტემაზე გადასვლა მიაბეს და ჯიბეზე ხელის გაკვრა კომპანიებს დაავალეს.



### გადაგვნომრეს

**ვინაიდან არსებული ნუმერაციის სისტემა ამოწურვადია, ჩვენ კი ამოუწურავი გვჭირდება, გადავდივართ ახალ, ეროვნულ ნუმერაციაზე.**

თბილისის ექვსნიშნა სატელეფონო ნომრებს წინ 2-იანი დაემატება და შვიდნიშნა გახდება.

რეგიონების სატელეფონო ნომრები ექვსნიშნაზე გადავა. საერთაშორისო ოპერატორების ამჟამად მოქმედ 8-იანს 10-იანი ჩაენაცვლება, მობილური ოპერატორების კოდებში კი 8-იანს 5-იანი შეცვლის.

პოლიციის ეროვნული ნომერი 122 გახდება, სასწრაფოსი — 133, სახანძროსი კი — 111.

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ომგამოვლილი ჯარისკაცი ციხეში წამებით მოკლეს

**ქართული ჯარი, დიდი ხანია, ყურადღების ცენტრშია, ხელისუფლება მაქსიმალურად ცდილობს, წარმოაჩინოს, რომ ჯარში სამსახური პრივილეგირებულია; განსაკუთრებით კი ომის შემდეგ ცოცხალ თუ გარდაცვლილ გმირებს მუდმივად მიაგებს პატივს, მაგრამ ქართველი ჯარისკაცების ტრაგედია ისაა, რომ ომის გმირთა ნაწილი რუსული ტყვიით, ხოლო ნაწილი — ქართველების მიერ გაწირულნი განისვენებენ მშობლიურ მიწაში, და, რაც უნდა სამწუხარო იყოს, ასეთი ფაქტები მრავლადაა.**



ცხინვალის მისადგომებთან ბრძოლას გადაურჩა, ომიდან ცოცხალი დაბრუნდა, მაგრამ ომის შემდეგ ქართულ ციხეში მოხვედრილი 30 წლის **ნადიმ ცეცხლაძე** ოჯახის წევრებმა 17 მარტს იქიდან გამოასვენეს. **ცეცხლაძეს სხეულზე ჩაქცევები აქვს, ექიმები ამტკიცებენ, რომ ეს ერთ თვეში გაჩენილი ნაწოლებია. მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა ერთ დღეში შეიცვალა, 11 თებერვალს ცეცხლაძე მამამ მოინახულა, 20-წუთიან პაემანზე მას ჯამრთელობის შესახებ არაფერი უთქვამს და არც მამას შეუნიშნავს რამე საეჭვო. მეორე დღეს იგი ციხის საავადმყოფოში ტუბერკულოზის დიაგნოზით უგონო მდგომარეობაში შეიყვანეს.**

მეჯვრისხევში მცხოვრები ნადიმ ცეცხლაძე ბათუმის სამხედრო ბატალიონში ერთი წელი მსახურობდა, იგი ძმასთან ერთად იბრძოდა ცხინვალში. **ომის დამთავრებიდან ერთი თვის შემდეგ მშობიარე მეუღლის სანახავად წასვლა მისთვის საბედისწერო აღმოჩნდა.** ბატალიონის უფროსმა გათავისუფლებაზე უარი უთხრა, ცეცხლაძემ თვითნებურად დატოვა ბატალიონი და თან თბილისში ან გორში გადმოსვლაზე დაიწყო ზრუნვა, რადგან ავადმყოფი მამისა და მეუღლის სანახავად ბათუმიდან სიარული ფაქტობრივად შეუძლებელი იყო. **პროცესი დროში გაიწელა, ნადიმ ცეცხლაძე კონტრაქტის დარღვევაში დაადანაშაულეს და ექვსწლიანი პატიმრობა მიუსაჯეს.**

ნადიმ ცეცხლაძის მეუღლე **ეკატერინე თაბუკაშვილი:** „მისი ჯარიდან წამოსვლა ემთხვევა ჩემს მშობიარობას. ნადიმმა ნაწილი დატოვა 16 სექტემბერს, ანუ იმ დღეს, როცა მე საავადმყოფოში ვიწექი, 20-ში საკეისრო კვეთით შეგვეძინა ბავშვი. ნადიმი ცდილობდა თბილისში ან გორში გადმოსვლას, რომ ოჯახთან ახლოს ყოფილიყო, მაგრამ რატომღაც ვერ მოხერხდა და კონტრაქტის დარღვევა გამოუვიდა. როცა ნადიმი ნაწილში გამოცხადდა სასამართლო უკვე ჩატარებული იყო, 6 წელი მიუსაჯეს. **ჩვენ გადავიხადეთ გირაოს თანხა — 5000 ლარი, რის საფუძველზეც არასაპატიმრო ღონისძიება უნდა შეერჩიათ, თუმცა ნადიმი მაინც ციხეში დატოვეს და არც გირაოს თანხა დაუბრუნებიათ.** ასევე შეწყალებაზე გვქონდა წარდგენილი ყველანაირი საბუთი, რომ მე ავადმყოფი ვარ, ახლაც ამბულატორიულ მკურნალობას გავდივარ, მამამისიც ავადაა, მცირეწლოვანი შვილი გვყავს... იმედი გვქონდა, რომ სააღდგომოდ გამოუშვებდნენ.

**— როგორ და როდის მოხვდა ციხის საავადმყოფოში თქვენი მეუღლე?**

— 10 თებერვალს მამამ ნახა. საკუთარი ფეხით გამოვიდა პაემანზე. გლდანის ციხის საავადმყოფოს მიერ გაცემულ ცნობაში წერია, რომ 11-ში უკვე უგონო მდგომარეობაში შეიყვანეს. Eეს ჩვენ 22-ში გავიგეთ, შემთხვევით, რადგან მამამისი ჩავიდა თბილისში. რომ არ ჩავსულიყავით, ამის შესახებ, როგორც გამოდის, საერთოდ ვერ გავიგებდით. **როცა პირველად ვნახეთ ასეთ მდგომარეობაში, იმდენად მძიმედ იყო, სხეულზე არც დავკვირვებივარ, ვერაფერი ვიკითხე, შოკში ჩავვარდი. მეორედ ნახვისას, პირველი, რაც თვალში მომხვდა, ის იყო,** რომ იწვა აბსოლუტურად შიშველი და ეფარა სველი გადასაფარებელი.

**— ნაწოლები, როგორც ვიცი, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ შეიძლება გაჩნდეს მწოლიარე ავადმყოფის სხეულზე, თქვენი მეუღლე რამდენ ხანს იწვა?**

— გლდანის ციხის საავადმყოფოს მიერ გაცემული ცნობის მიხედვით, ის იწვა 11 თებერვლიდან 4 მარტამდე. ისინი ამტკიცებენ, რომ ნაწოლებია და არ ვიცი, რა ვთქვა. **ჩემი დედამთილი 4 თვე მყავდა ლოგინად ჩავარდნილი და ასეთი ნაწოლები ნამდვილად არ ჰქონდა.** ჩვენ ვეკითხებოდით ნადიმს, რა მოხდა, რით შეიძლებოდა გვეშველა, მაგრამ წარსულზე ის საერთოდ არ საუბრობდა. ისედაც ძლივს გვაგებინებდა სიტყვებს. არ ვიცი, რა ვთქვა წამებაზე, მაგრამ ერთი რამ ცხადია, ის, რაც ჩემი თვალით ვნახე, პირობები, რომელშიც ის იმყოფებოდა, არ შეესაბამებოდა არანაირ სტანდარტებს. **წამლებს შეიძლება კარგს ასმევდნენ, მაგრამ როგორ შეიძლება ტუბერკულოზიანი და მენინგიტიანი ავადმყოფი სველ საწოლში იწვეს?** თუ არ შეუძლიათ მოუარონ ავადმყოფს მაშინ უნდა გააგებინონ ოჯახს.

**— რას ეტყვით იმ ჯარისკაცების მშობლებსა და მეუღლეებს, რომლებიც დღეს ჯარში მსახურობენ ან აპირებენ წასვლას, შეიძლებოდა სახელმწიფო ასე მოქცეოდა ჯარისკაცს, მეომარს?**

— არ ვიცი, რა ვთქვა....მას არ ჩაუდენია ისეთი დანაშაული, რომლისთვისაც ასე უნდა მოქცეოდნენ, მას ჯარი არ მიუტოვებია, ისევ ითხოვდა ჯარში დაბრუნებას, იქიდან არ გამოქცეულა. სახლში ჰყავდა მცირეწლოვანი ბავშვი, ავადმყოფი მამა და მეუღლე, ბათუმიდან ჩამოსვლას ვერ ახერხებდა, ამიტომ უნდოდა თბილისში ან გორში გადმოსვლა. ეს არ იყო ისეთი დანაშაული, რომლისთვისაც 6 წელი უნდა მიესაჯათ და სიცოცხლე მოესწრაფათ.



## ნანა კაკაბაძე:
## ნადიმ ცეცხლაძე ოჯახმა ციხეში 10 თებერვალს ნახა; ის იყო ჯანმრთელი, ჩვეულებრივად საუბრობდა, ხოლო მეორე დღეს წელს ქვევით მოწყვეტილი, უგონო მდგომარეობაში, უნებლიე შარდვით, სრულიად უკონტაქტო გადაიყვანეს ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში.

**ამ ტრაგიკულ ისტორიაში კიდევ მრავალი აღმაშფოთებელი დეტალია. თუნდაც ის, რომ ნადიმ ცეცხლაძის ოჯახის წევრებს დღემდე არ დაბრუნებიათ გირაოს თანხა, 5000 ლარი, რომელიც მათ ცეცხლაძის პატიმრობიდან გასათავისუფლებლად გადაიხადეს, თუმცა ცეცხლაძე პატიმრობაში მაინც დატოვეს, რაც თავისთავად ითვალისწინებდა გირაოს თანხის უკან დაბრუნებას.**

**ადამიანის უფლებათა დამცველი ნანა კაკაბაძე:** — ნადიმ ცეცხლაძეს ერთი წლის წინ, როგორც ყველა ჯარისკაცს, გავლილი ჰქონდა სამხედრო სამედიცინო კომისია. ის 2008 წლის აგვისტოში იბრძოდა ცხინვალის მისადგომებთან, ანუ ამ პერიოდისთვის ჯანმრთელი იყო. 6 თვის წინათ დააპატიმრეს. არც ერთ საავადმყოფოში მისი გვარი არ ფიგურირებს და, შესაბამისად, არც აღრიცხვაზეა სადმე.

**დადასტურებული ფაქტია ისიც, რომ ეს პიროვნება ოჯახმა ციხეში 10 თებერვალს ნახა და რომ ის იყო ჯანმრთელი, საუბრობდა, მეორე დღეს კი წელს ქვევით მოწყვეტილი, უგონო მდგომარეობაში, უნებლიე შარდვით, სრულიად უკონტაქტო ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში აღმოჩნდა.**

ერთ დღეში ტუბერკულოზის ასეთი ფორმა ავადმყოფს ვერ ჩამოუყალიბდებოდა, თუ მანამდე არ ჰქონდა ფილტვებში ტუბერკულოზის კერა. ეს იწვევს ეჭვს. მაგრამ საეჭვო იმაში არაფერია, რომ ამ პიროვნებას ციხეში სასტიკად ეპყრობოდნენ, აწამებდნენ და ღირსებას ულახავდნენ — ის იწვა სველ საწოლში, რეზინის ლეიბზე, შიშველი, იყო მოუვლელი და მშიერი. **საშინელი ცინიზმია, როცა ნადიმ ცეცხლაძე გარდაცვალების შემდეგ გაათავისუფლეს ციხიდან.** 18-ში დაიბარეს ოჯახის წევრები, რომ ხელი მოეწერათ ნადიმ ცეცხლაძის გათავისუფლებაზე, მაგრამ პატიმარმა 18-მდე ვერ მიაღწია. გარდაცვალების დღეს შევიტყვეთ, რომ იგი გათავისუფლებული ყოფილა 16 მარტს.

**— ქალბატონო ნანა, სახელმწიფო ეწევა სერიოზულ პიარკამპანიას, რომ ქართველი ჯარისკაცები პრივილეგირებულ მდგომარეობაში იმყოფებიან. ასეთი ფაქტები როგორ მოქმედებს საზოგადოებაზე?**

— პიარკამპანია ერთია და რეალობა — მეორე. საზოგადოებამ იცის ბათუმელი ჯარისკაცის — შავაძის ისტორია, რომელიც ჩაცხრილეს და მერე ტყეში დააგდეს. საშინლად მოექცნენ ნადიმ ცეცხლაძეს... რა პიარკამპანია უშველის ქართულ ჯარს? ეს ის ფაქტებია, რომლებიც ჩვენთვის გახდა ცნობილი და გავახმაურეთ, თორემ ვინ იცის, კიდევ რამდენი ფაქტია გაუხმაურებელი!

## საშინელი ცინიზმია, ნადიმ ცეცხლაძე გარდაცვალების შემდეგ რომ გაათავისუფლეს.

# ნაკურთხი წყლის გამო პატიმარი სასტიკად სცემეს

**„7 ნოემბრის“ წევრ გიორგი ალხაზიშვილს ნაკურთხი წყლის გამო ციხის ადმინისტრაციის თანამშრომლები ფიზიკურად გაუსწორდნენ. ეს პირველი შემთხვევა არ არის, როცა ციხეში გიორგი ალხაზიშვილს სასტიკად სცემეს.**



ქალბატონი მინისტრის განცხადების მიუხედავად, ქართულ ციხეებში სიტუაცია არ იცვლება. როგორც ადამიანის უფლებათა დამცველები ამბობენ, პენიტენციალურ სისტემაში კვლავ ბაჩო ახალაიას ხელი იგრძნობა — იქ არც ადმინისტრაცია შეცვლილა და არც — ციხის პერსონალი. ქალბატონი მინისტრი კი მხოლოდ ფასადია, რომელსაც ხელისუფლება საერთაშორისო იმიჯისთვის იყენებს.

**დაჩი ცაგურია,** მოძრაობა „7 ნოემბრის“ წევრი: — გიორგი ალხაზიშვილი არის პოლიტიკური პატიმარი, იგი ციხეში იმიტომ ზის, რომ არ დაადო ხელი ლევან გოგიჩაიშვილს, რასაც მისგან მოითხოვდნენ, არ დააბრალა მას ათასგვარი საზიზღრობა, რის შემდეგაც შეუთითხნეს ხულიგნობის ბრალდება, რისთვისაც დღეს სასჯელს გლდანის ციხეში იხდის.

ციხეებში სერიოზული პრობლემებია, რამაც გიორგისთან მიმართებაშიც არა ერთხელ იჩინა თავი. გიორგიმ რამდენჯერმე გააპროტესტა პატიმრების ცემა, რის გამოც მას სასტიკად გაუსწორდნენ. ახლა ციხეში შემოიღეს დასჯის ახალი მეთოდი, თუ საკანში ზის რვა პატიმარი და ერთ-ერთ მათგანზე გაბრაზდებიან, ციხის თანამშრომლები დანარჩენ შვიდს სცემენ და ეუბნებიან, რომ ეს ხდება იმ მერვე პატიმრის გამო, რაც, რა თქმა უნდა, გარკვეულ უხერხულობას ქმნის.

**მე, თქვენი გაზეთის მეშვეობით, მივმართავ ციხის ადმინისტრაციას, მიიღონ ყველა ზომა, რათა ერთხელ და სამუდამოდ დასრულდეს ციხეებში ადამიანების წამება, თორემ ეს ძალიან ცუდად დაუბრუნდებათ მათ. მინისტრს, რომელიც ახალი დანიშნულია, ჯერ, როგორც ეტყობა, წარმოდგენაც არ აქვს, რისი მინისტრია. როცა ეს ლამაზი ქალბატონი დაინიშნა, შეიქმნა ილუზია, რომ რაღაცას შეცვლიდა, მაგრამ, როგორც ირკვევა, მას არაფრის შეცვლა არ უნდა და ციხეებში ძველებურად ძალიან ცუდი მდგომარეობაა.**

**— რაც შეეხება ინციდენტს, რომელიც ახლახან მოხდა: ამჯერად რისთვის სცემეს გიორგი ალხაზიშვილი?**

— გიორგის საკანში ჰქონდა მოძღვრის მიტანილი ნაკუთხი წყალი. **როცა მისი საკნის გაჩხრეკას აპირებდნენ, მან უთხრა ციხის თანამშრომლებს, რომ ეს იყო მამაოს მიტანილი ნაკუთხი წყალი, რომელსაც სხეულზე წასასმელად იყენებდა, რადგან კანი ჰქონდა აქერცლილი, რაც, სავარაუდოდ, ავიტამინოზით უნდა იყოს გამოწვეული (მოგეხსენებათ, იქ არ მკურნალობენ და არც ოჯახს აძლევენ მალამოს შეტანის უფლებას). ამის მიუხედავად, ნაკუთხი წყალი ციხის თანამშრომლებს დემონსტრაციულად გადაუქცევიათ, რაზეც გიორგი შეკამათებია. ამის გამო სასტიკად უცემიათ და სიტყვიერი შეურაცხყოფაც მიუყენებიათ.**

იცოდეს ციხის ადმინისტრაციამ, რომ შეურაცხყოფას ჩვენ არავის ვაპატიებთ. ამიტომ მივმართავთ მათ, რომ დაასრულონ ადამიანების წამება ციხეებში. ამაზე საუბარი XXI საუკუნეში სირცხვილია, წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენ გადამჭრელ ზომებს მივმართავთ!

**— რა დაზიანებები აქვს მიღებული ცემის შედეგად ალხაზიშვილს და რა განცხადება გაკეთდა ამასთან დაკავშირებით?**

— სასჯელაღსრულების დეპარტამენტს ამაზე არანაირი განცხადება არ გაუკეთებია. ვიცით მხოლოდ ის, რომ ცემის შემდეგ გიორგი ცუდად გახდა, ჰქონდა გულისრევისა და თავბრუსხვევის შეგრძნება, ანუ ტვინის შერყევის სიმპომები; როდესაც ის ადვოკატმა ნახა, ექიმს ელოდებოდა.

გვერდები მოამზადა **სოფო გელაშვილმა**

31 მარტი — 6 აპრილი, 2010 წელი. №12 (55)
www.geworld.net

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი დასავლეთში დემოკრატიული ღირებულებებისათვის მებრძოლ რაინდად მიაჩნიათ, საქართველოში კი მას დიქტატორად ნათლავენ, რომლის მიზნებისკენ მიმავალი გზა ხშირად გვამებითაა მოფენილი. გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“ ახალ რუბრიკაში „დიქტატორები“ მსოფლიოს ყველა ცნობილ დიქტატორს წარმოგიდგენთ. პარალელების გავლება და შესაბამისი დასკვნების გამოტანა კი თქვენთვის მოგვინდვია...

# ბელადი ფრანკო და უღრუბლო ცა ესპანეთის თავზე

## «ერთი კაუდილიო, ერთი სახელმწიფო, ერთი ხალხი!»



**1936 წლის 18 ივლისს ქალაქ სეუტის (იმხანად ესპანეთის მაროკო) რადიოსადგურმა გადმოსცა კოდური ფრაზა: „ესპანეთის თავზე უღრუბლო ცაა“, რომელიც ესპანეთში სახელმწიფო გადატრიალების სიგნალი იყო. კანონიერი რესპუბლიკური მთავრობის წინააღმდეგ შეთქმულებას სათავეში ჩაუდგა ესპანეთის არმიის გენერალი ფრანსისკო ფრანკო. 1936 წლის 23 ივლისს ქალაქ ბურგოსში მან თავის მომხრეთაგან მთავრობა ჩამოაყალიბა, რაც ესპანეთში სამოქალაქო ომის ფაქტობრივ დასაწყისად იქცა.**

მანამდე, **1931 წელს, თითქმის უსისხლო რევოლუციის შედეგად ესპანეთში მონარქია დაემხო და ძალაუფლება რესპუბლიკური ძალების ხელში გადავიდა**. ფრანკო იმ პერიოდში პოლიტიკაში არ ერეოდა — 1928 წლიდან ის სარაგოსას სამხედრო აკდემიის ხელმძღვანელი იყო. რესპუბლიკელთა მმართველობის პირველი ორი წლის განმავლობაში ხელისუფლების სათავეში, ძირითადად, მემარცხენე პარტიები იდგნენ. გატარდა არაპოპულარული ანტიკლერიკალური რეფორმები, კათოლიციზმი სახელმწიფო რელიგია აღარ იყო, იეზუიტთა ორდენი აიკრძალა, მონასტრები დაინგრა. მიმდინარეობდა საზოგადოების სწრაფი პოლიტიზებისა და რადიკალიზების პროცესი. აჯანყებებსა და თავდასხმებს თან ახლდა დაბომბვები და სისხლიანი ანგარიშსწორებები სოფლებში, რასაც „ანარქისტთა იბერიული ფედერაცია“ ახორციელებდა, რომლის მიერ წამოყენებულმა „თავისუფალი კომუნიზმის“ ლოზუნგმა ხელისუფლების შეცვლას შეუწყო ხელი. შედეგად, ქვეყანაში აქტიურად დაიწყო ჩამოყალიბება მრავალრიცხოვანმა ნახევრად სამხედრო ორგანიზაციებმა. 1934 წელს ასტურიაში იფეთქა მეშახტეთა აჯანყებამ, რომლებსაც სათავეში ანარქისტები და სოციალისტები ედგნენ. ამბოხის ჩახშობაში ფრანკოც მონაწილეობდა. მალე ის მაროკოში მთავარსარდლად იქცა, თუმცა რამდენიმე თვეში მადრიდში დაბრუნდა და დიდი გენერალური შტაბის უფროსის პოსტი ჩაიბარა.

1936 წლის თებერვალში არჩევნებში გამარჯვება მოიპოვა სახალხო ფრონტის პარტიამ, რომელშიც გაერთიანებული იყვნენ სოციალისტები, კომუნისტები, ანარქისტები და მემარცხენე ლიბერალური პარტიები. სახალხო ფრონტის მომხრეებმა გაათავისუფლეს პოლიტპატიმრები და ეკლესიათა და მონასტერთა მიწების კონფისკაცია მოახდინეს. ესპანეთი იმ დროისათვის მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაში აღმოჩნდა, 11 მილიონი ესპანელიდან 8 მილიონი სიღარიბის ზღვარს მიღმა ცხოვრობდა, ნაციის ნახევარზე მეტიც წერა-კითხვის უცოდინარი იყო. ამიტომ მემარცხენეთა ლოზუნგები დიდი პოპულარობით სარგებლობდა.

1936 წლის 1 მაისს სახალხო ფრონტმა სამხედრო ალლუმით აღნიშნა: კოლონების თავზე ფრიალებდა წითელი დროშები, ირხეოდა ტრანსპარანტები მარქსის, ლენინისა და სტალინის გამოსახულებებით. დემონსტრანტები „ინტერნაციონალს“ მღეროდნენ.

სამოქალაქო ომი 1939 წელს მარტში დასრულდა, გენერალ ფრანკოს დიქტატურის დამყარებითა და მეამბოხე-ფრანკისტების გამარჯვებით, რომლებსაც მხარს უჭერდნენ ნაცისტური გერმანია და ფაშისტური იტალია. გამარჯვების აღსანიშნავად გამართულ აღლუმზე, ფაშისტური სალმის მიცემით ფრანკომ განაცხადა: „ესპანეთში სამუდამოდ დავასამარეთ ენციკლოპედისტთა იდეები!“

**სამოქალაქო ომმა ესპანეთში (1936-1939 წ.წ.) მილიონი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. 1939 წელს, რესპუბლიკის დაცემის შემდეგ, სამხედრო ხუნტამ ფრანსისკო ფრანკო ესპანეთის სახელმწიფოს უცვლელ კაუდილიოდ (ბელადად) გამოაცხადა. ამასთან, მან დაიკავა ესპანეთის ფალანგის ბელადის, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარისა და შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის პოსტი.**

ფრანსისკო პაულინო ერმენეხილდო ტეოდულო ფრანკო-ი-ბაგამონდე 1892 წლის 4 დეკემბერს გალისიის პროვინციაში, ელ-ფეროლში დაიბადა. 1907 წელს ჩააბარა ტოლედოს სამხედრო აკადემიაში, რომლის დასრულების შემდეგაც ჩაირიცხა გარნიზონში, მაგრამ 1911 წელს ესპანეთის მაროკოს ჯარებში გადაინაცვლა. 1924 წელს ბრიგადის გენერლის წოდება მიიღო, ხოლო 1927 წელს პრიმო დე რივერის მთავრობამ ფრანკო სარაგოსაში სამხედრო აკადემიის ხელმძღვანელად დანიშნა. 1931 წელს, როცა მეფე ალფონს XIII-ე გადაასახლეს და ესპანეთში რესპუბლიკური წყობა დამყარდა, ფრანკო ჯერ ბალეარის კუნძულებზე, შემდეგ კი მაროკოში გაემგზავრა, იქიდან კანარის კუნძულებზე გააგზავნეს. როგორც კი სამხედრო პუტჩის გარდუვალობა ნათელი შეიქნა, ფრანკო ტეტუანში გაფრინდა, სადაც ესპანეთის ტერიტორიაზე გადასასროლად უცხოური ლეგიონებისა და მაროკოს ჯარების მომზადება დაიწყო. 1936 წლის 17 ივლისს სხვა გენერლებთან ერთად ფრანკო ესპანეთში ჩავიდა და ჯანყი მოაწყო, რომელიც სამოქალაქო ომში გადაიზარდა.

სახალხო ფრონტის მთავრობის წინააღმდეგ სამხედრო შეთქმულების ერთ-ერთი თვალსაჩინო ორგანიზატორი გახლდათ გენერალი ემილიო მოლა, რომელიც 1933 წლიდან გენერალურ შტაბში მუშაობდა. თანამოაზრენი მას პატივისცემის ნიშნად „დირექტორს“ ეძახდნენ. **სწორედ მოლას ეკუთვნის ტერმინი „მეხუთე კოლონა.“ მადრიდზე იერიშისას, 1936 წლის ოქტომბრის დასაწყისში, ესპანეთის დედაქალაქის მოსახლეობისადმი მიმართვისას მოლამ განაცხადა, რომ მის განკარგულებაში მყოფი არმიის ოთხი კოლონის გარდა, მეხუთე კოლონაც ჰყავდა მადრიდში, რომელიც გადამწყვეტ მომენტში მოწინააღმდეგეს ზურგიდან დაარტყამდა. „მეხუთე კოლონა“ პანიკას თესავდა, საბოტაჟსა და დივერსიებს მიმართავდა, ჯაშუშობდა. ის გენერალ ფრანკოს აგენტურა იყო. მოგვიანებით ამ ტერმინმა გადატანითი მნიშვნელობა შეიძინა და ნიშნავდა მტრის ნებისმიერ საიდუმლო აგენტებს (დივერსანტებს, მესაბოტაჟეებს, ჯაშუშებს, პროვოკატორებს, ტერორისტებს, გავლენის აგენტებს). მეორე მსოფლიო ომის დროს (1941-45 წ.წ.) „მეხუთე კოლონას“ უწოდებდნენ ნაცისტურ აგენტურას სხვადასხვა ქვეყანაში, რომლებიც გერმანულ ჯარებს ამ ქვეყნების დაპყრობაში ეხმარებოდა.**

ფრანკოს დიქტატურა დიდი ხნის განმავლობაში საზოგადოების სხვადასხვა ფენის აღშფოთებას იწვევდა. მან შემოიღო ნაცისტური დევიზი: „ერთი კაუდილიო (ბელადი), ერთი სახელმწიფო, ერთი ხალხი“ და „რომაული მისალმება“ — წინ და მაღლა გაშლილხელისგულიანი ხელის აწევა. ერთადერთ ნებადართულ პარტიედ ფალანგა იქცა, თუმცა, ეს ყველაფერი დუჩესა და ფიურერის დასამშვიდებლად კეთდებოდა. ფრანკო, მათგან განსხვავებით, ქრისტიანი-კათოლიკე იყო და ამის გამო, მოკლე ხანში მათ შორის განხეთქილებაც კი ჩამოვარდა. მეორე მსოფლიო ომის დროს ესპანეთი არამეომარ სახელმწიფოთა რიცხვში მოხვდა, თუმცა სიმპათიებს აშკარად გამოხატავდა ნაცისტური ბლოკის ქვეყნებისადმი. მოკავშირეთა რეაქციამ კი ასახვა ჰპოვა გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუციაში, რომელიც ესპანეთის დიპლომატიური იზოლაციისკენ მოუწოდებდა. ეკონომიკურმა ბლოკადამ და საერთაშორისო იზოლაციამ ფრანკოს რეჟიმის რეფორმირებისკენ უბიძგა — 1947 წლის 26 ივლისს მან ხელი მოაწერა „კანონს სახელმწიფოს მეთაურის პოსტის მემკვიდრეობით გადაცემის შესახებ,“ რომლის მიხედვითაც ესპანეთი მონარქიად გამოცხადდა, თუმცა სამეფო მეფის გარეშე აღმოჩნდა: **სახელმწიფოს მეთაურად უწინდებურად ფრანკო რჩებოდა, რომელიც მარტოდენ ღვთისა და ისტორიის წინაშე პასუხისმგებელად აცხადებდა თავს.** მხოლოდ 1969 წლის 23 ივლისს დანიშნა ფრანკომ, ხოლო კორტესებმა კი დაამტკიცეს, პრინცი ხუან კარლოს დე ბურბონი (ხუან კარლოს I), ალფონს XIII-ის შვილიშვილი, ესპანეთის მომავალ მეფედ.

1950-1960-იანი წლების განმავლობაში დასავლეთის ქვეყნებთან ურთიერთობებიც ნელ-ნელა გაუმჯობესდა. **აშშ-მა ესპანეთში რამდენიმე სამხედრო ბაზა ააგო და მნიშვნელოვანი ეკონომიკური დახმარებაც აღმოუჩინა, რითაც ფრანკოს რეჟიმის სტაბილურობა უზრუნველყო**. 1955 წელს ესპანეთი გაეროში მიიღეს.

1950-იანი წლების დასაწყისში ცივი ომის გაჩაღების შემდეგ ესპანეთის დიპლომატიური აღიარება დაიწყო. უკვე ომის მიმდინარეობისას ფრანკომ შეზღუდა ფალანგის გავლენა, ხოლო ომის შემდეგ პარტია, ძირითადად, სოციალური საკითხებით იყო დაკავებული. **მას ნაციონალური მოძრაობა ეწოდა**.

1960-იანი წლების დასაწყისში თანდათან დაიწყო ქვეყნის მოდერნიზება: ფრანკომ ტექნოკრატებს ეკონომიკის კონტროლის უფლება მისცა; 1959 წელს ესპანეთმა „ეკონომიკური სტაბილიზაციის გეგმაც“ მიიღო, გზა ფართოდ გაეხსნა უცხოური კაპიტალის შემოდინებას.

პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთა (კომუნისტები, სოციალისტები, ანარქისტები, რესპუბლიკელები და სეპარატისტები) მიმართ რეპრესიები ფრანკოს სიკვდილამდე გაგრძელდა. გარდაცვალებამდე ორი თვით ადრე ფრანკომ ხელი მოაწერა ხუთი პატიმარი-ტერორისტის სასიკვდილო განაჩენს, რომელთა შეწყალებასაც ესპანეთის კაუდილიოს ბევრი ქვეყნის ხელისუფლება სთხოვდა. მიუხედავად ამისა, პატიმრები დახვრიტეს.

1973 წელს ფრანკომ მთავრობის მეთაურის პოსტი დატოვა და ის ნეოფრანკისტ ადმირალს ლუის კერერო ბლანკოს გადასცა, რომელიც იმავე წელს ეტას ტერორისტებმა მოკლეს. პოსტიდან წასვლის შემდეგ კაუდილიო მკურნალობდა, რადგან პარკინსონის დაავადებით იტანჯებოდა და 1975 წლის 20 ნოემბერს გარდაიცვალა.

**ფრანკოს მმართველობის პერიოდში პოლიტიკური მოტივით ციხეში მილიონზე მეტი ადამიანი გაამწესეს, რომელთაგან უმეტესობა სიკვდილით დასაჯეს.**

მოამზადა
ნანა ჩარკვიანმა


ჰიტლერი და ფრანკო


ფრანკო ქალიშვილთან ერთად


ფრანკო და მუსოლინი, 1941 წელი


ფრანკო, 1973 წელი

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# გუანტანამოს ჯოჯოხეთური საკნიდან — ვარდებით მოფენილ რუსთაველის გამზირამდე

**23 მარტს საქართველოში გუანტანამოს ციხის 3 პატიმარი ჩამოიყვანეს. ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის დეპარტამენტის ინფორმაცით, ამერიკასა და საქართველოს შორის პატიმრების ექსტრადაციის შესახებ მოლაპარაკება შარშან გაიმართა.**
**აშშ სახელმწიფო მდივნის თანაშემწე პიტერ ქროულმა მადლობა გადაუხადა საქართველოს ხელისუფლებას გუანტანამოს ციხის დახურვაში გაწეული დახმარებისთვის. ამ კაცის გულითადი მადლობა რომ არა, ალბათ, ვერც გავიგებდით პატიმრების გადმოყვანის ფაქტს.**



ეგ არაფერი. ყველაზე უარესი ის არის, რომ პატიმრები შემოჰყავთ არა ციხეებში, არამედ თავისუფალი მოქალაქის სტატუსით საქართველოში საცხოვრებლად.

ყოფილი ტყვეების ვინაობას, მათივე უსაფრთხოების მიზნით, არც ჩვენი შსს ასახელებს, არც — აშშ-ის იუსტიციის სამინისტრო. მხოლოდ იმას გვიცხადებენ, რომ ისინი ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების მოქალაქეები არიან და საქართველოს მეურვეობისა და კონტროლის ქვეშ იქნებიან. შეგახსენებთ, რომ გუანტანამოს სამხედრო ბაზა აშშ–მა კუბისგან 1903 წელს იქირავა; ციხე კი განსაკუთრებით საშიში დამნაშავეებისთვის 2002 წელს, ჯორჯ ბუშის ადმინისტრაციის დროს დაარსდა, რაც 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტს უკავშირდება.

2002 წლიდან 2006 წლამდე 750-ზე მეტი უცხოელი დააპატიმრეს, ისინი ამერიკელმა მეომრებმა, ძირითადად, ავღანეთსა და ერაყში განხორციელებული ოპერაციების დროს დაატყვევეს. ამერიკელი მეომრების თქმით, ყველა მათგანი ,,ალ-ქაიდას" ან თალიბანის მხარეს იბრძოდა.

გუანტანამოს ციხე მსოფლიოში ცნობილი იყო პატიმართა გახმაურებული წამების ფაქტებით. ორგანიზაცია „საერთაშორისო ამნისტიის", სხვა სამართალდამცველებისა და, აგრეთვე, ყოფილი პატიმრების ჩვენებით, გუანტანამოში გამოიყენებოდა აშშ პრეზიდენტისა და ხელისუფლების მიერ სანქცირებული წამების მეთოდები, მათ შორის, დახრჩობის იმიტაცია, ძილის აკრძალვა, მაღალ ხმაზე ჩართული მუსიკით ზემოქმედება. დაკითხვისა და წამების ყველაზე სასტიკი პრაქტიკა იყო დახრჩობის მეთოდი, ანუ ე.წ. წყლის ჩასხმა, რომელიც სამ ექვმიტანილზე გამოიყენეს, თუმცა 2003 წლის შემდეგ აღარ გაუმეორებიათ. მიუხედავად ყველაფრისა, პენტაგონის წარმომადგენლებს ამგვარი დამოკიდებულება არაადამიანურად არ მიაჩნიათ.

ბარაკ ობამა ამერიკელებს წინასაარჩევნოდ დაჰპირდა, რომ 2010 წლის 21 იანვრამდე გუანტანამოს ციხეს გააუქმებდა და, მიუხედავად კონგრესის წინააღმდეგობისა, პირობა მაინც შეასრულა. ობამას თქმით, ტერორიზმში ექვმიტანილთა ციხის არსებობამ მსოფლიოში ამერიკის მორალურ ავტორიტეტს ზიანი მიაყენა.

2009 წელს, მაშინ, როცა ვაშინგტონმა გუანტანამოს ციხის გაუქმებისთვის აქტიური მუშაობა დაიწყო, თეთრმა სახლმა საპატიმროს „რეორგანიზება" გადაწყვიტა. ერთ-ერთი მოსაზრებით, ციხის ნაწილი უნდა განთავსებულიყო საქართველოში. ვაშინგტომა მაშინ დაბლოკა ეს ინიციატივა და ამის მიზეზად საქართველოს სასჯელაღსრულების სისტემის გაუმართაობა დაასახელა.

თუმცა ამერიკის ადმინისტრაციას ციხის დახურვით პრობლემა ექმნება. მას არ სურს, ჩაიყვანოს ყოფილი პატიმრები აშშ-ში, ეძებს გზებს, პატიმრები ევროპაში გაანაწილოს, მაგრამ იქ სერიოზულ წინააღმდეგობას აწყდება და, როგორც ჩანს, იძულებულია, საქართველოს სასჯელაღსრულების სისტემის გაუმართაობაზე თვალი დახუჭოს.

ამ გადაწყვეტილებით კი მხოლოდ პატიმრები იხეირებენ. ჯოჯოხეთურ გუანტანამოში გატარებული წლების შემდეგ, საქართველო მათთვის ნამდვილად ხუთვარსკვლავიანი კურორტი იქნება, მითუმეტეს, რომ სამივე თავისუფლად იცხოვრებს და ერთადერთი შეზღუდვა ქვეყნის ტერიტორიის დატოვებასთან დაკავშირებით ექნებათ.

გუანტანამოს პატიმრების ექსტრადიციამ უკვე გამოიწვია საზოგადოების ვნებათაღელვა. ამ ფაქტთან დაკავშირებით საინტერესო სტატია გამოქვეყნდა **„ფრანცე პრესსში"**. პუბლიკაციაში ნათქვამია, რომ პატიმრების საქართველოში გადმოყვანა რეგიონში ტერორისტული თავდასხმების საფრთხეს გაზრდის.

„მაშინ, როცა საქართველო ტერიტორიულად ახლოსაა აზიის ქვეყნებთან, სადაც ძლიერია ტერორისტული ორგანიზაციები, გუანტანამოს პატიმრების ექსტრადიცია ქვეყანას ტერორისტების სამიზნედ აქცევს", — ეს არის ამონარიდი „ფრანცე პრესის" სტატიიდან.

ექსპერტი **ნიკა ჩიტიძე** მიიჩნევს, რომ „ამას, შესაძლოა, გარკვეული უარყოფითი დამოკიდებულება მოჰყვეს ზოგიერთი ტერორისტული ორგანიზაციის მხრიდან".

ევროპელი ანალიტიკოსების აზრით, საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ყველანაირად ცდილობს, აშშ–ის ახალი ადმინისტრაციის მხარდაჭერის მოპოვებას, ისევე, როგორც ავღანეთში ქართველი ჯარისკაცების რაოდენობის გაზრდა, გუანტანამოს პატიმრების მიღებაც ამის დამადასტურებელია.

კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორი **ლინკოლნ მიტჩელი** თვლის, რომ გუანტანამოს პატიმრების მიღების გადაწყვეტილება სააკაშვილისთვის ერთგვარი შანსია, რათა დაამტკიცოს განსაკუთრებული დამოკიდებულება თეთრ სახლთან, რაც უაღრესად აუცილებელია ქვეყნის შიგნით მისი შერყეული იმიჯის ასამაღლებლად.

საქართველოს ხელისუფლების ამ ნაბიჯმა რუსებიც ააღელვა. მოსკოვის პოლიტიკური და სამხედრო ანალიზის ინსტიტუტის ექსპერტის — **ალექსანდრ ხრამჩიხინის** აზრით, გუანტანამოს პატიმრების მიღების თანხმობით, სააკაშვილს იმედი აქვს, რომ აიძულებს ამერიკელებს, გააძლიერონ მათი ამხედრო არსებობა საქართველოში. მაგრამ ექსპერტი არც მეორე ვარიანტს გამორიცხავს: თბილისმა შეიძლება გადაწყვიტოს ტერორისტებთან თანამშრომლობა და ისინი სამხრეთ ოსეთში, აფხაზეთსა და ჩრდილოეთ კავკასიაში დივერსიების მოსაწყობად გამოიყენოს.

საქართველოს უშიშროების მესვეურნი ასე არ ფიქრობენ. საქართველო პატიმრების მიღებას თურმე იმის გამო დათანხმდა, რომ აშშ-ს დაეხმაროს და საკუთარი თავი ვაშინგტონის „სტრატეგიულ პარტნიორად" წარმოაჩინოს. ხელისუფლება პატიმრების ჩამოყვანაში საფრთხეს ვერ ხედავს.

დეპუტატ **დავით დარჩიაშვილის** შეფასებით, გუანტანამოს საპყრობილიდან საქართველოში პატიმრების ჩამოყვანა ქართულ-ამერიკული ურთიერთობის სიმტკიცის კიდევ ერთი დასტურია(?!). მისგან განსხვავებით, დეპუტატი **ჯონდი ბაღათურია** გუანტანამოს ციხიდან პატიმრების ჩამოყვანაში საფრთხეს ხედავს.

,,ხელისუფლებამ ამ სამი პატიმრის საქართველოში ჩამოყვანით კიდევ ერთხელ მოიწონა თავი ამერიკის წინაშე. იმის თქმა, რომ საქართველო ეხმარება ამერიკას, ირონიაა და მეტი არაფერი. პატიმრების საქართველოში ჩამოყვანა საფრთხეს იმათთვის არ წარმოადგენს, ვინც ესკორტით დადის, ხოლო იმ მოქალაქეებისთვის, ვინც მეტროთი გადადგილდება, ეს საშიშია", – განაცხადა ბაღათურიამ.

**ლეიბორისტები** კი ფიქრობენ, რომ საქართველოს მოსახლეობის საფრთხის წინაშე დაყენების ხარჯზე, სააკაშვილი ცდილობს, აღიდგინოს დამსხვრეული საერთაშორისო რეპუტაცია, გული მოულბოს ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციასა და მის პრეზიდენტს, რათა რამენაირად მასთან შეხვედრას ეღირსოს.

**ალექსანდრე აკობია**

**P.S. ნუთუ ხელისუფლება იმ საფრთხეებზე არ დაფიქრებულა, რაც შეიძლება ამ პატიმრების გადმოყვანას მოჰყვეს?! არავისთვისაა საიდუმლო, რომ გუანტანამოს ციხის ბინადართაგან უმრავლესობა სხვადასხვა ტერორისტული დაჯგუფების წევრია და, აქედან გამომდინარე, საქართველო კიდევ ერთხელ მოხვდება საერთაშორისო ტერორისტული ორგანიზაციების თვალთახედვის არეში. ამან, შესაძლოა, მნიშვნელოვნად გაზარდოს ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე ტერორისტული აქტების განხორციელების ალბათობა.**

# ობამას გუნდის ორმაგი თამაში

**წინა კვირას რუსეთში აშშ-ის სახელმწიფო მდივანი ჰილარი კლინტონი ჩავიდა, რომელსაც მიმდინარე წლის 12 აპრილამდე რუსეთსა და აშშ-ს შორის სტრატეგიული შემტევი შეიარაღების ახალ შეთანხმებაზე ხელმოწერა უნდა უზრუნველეყო. ცნობილია, რომ აპრილის შუა რიცხვებში ბირთვული განიარაღების საკითხებისადმი მიძღვნილი სამიტი გაიმართება (მსოფლიო ბირთვული იარაღის გარეშე ხომ ობამას საყვარელი იდეაა). ჰოდა, ამ თარიღამდე თავისი ძალისხმევის წარმატებულობის პრაქტიკული დადასტურების მოლოდინშია.**

ალბათ, სწორედ ამითაა გამოწვეული აშშ-ის სურვილი, ნებისმიერი გზით მიაღწიოს დოკუმენტის ხელმოწერას, რომელიც ჯერ კიდევ მზად არაა. ობამამ აქამდე (არადა, უკვე ერთი წელი გავიდა, რაც ის ხელისუფლების სათავეშია) ზედმიწევნით მცირე საგარეო პოლიტიკურ წარმატებებს მიაღწია. ამერიკის პრეზიდენტი ხელისუფლებაში სწორი შეხედულებებით მოვიდა და კაცობრიობისთვის ერთობ მისაღებ და რეალისტურ თემებზე ლაპარაკობს, მაგრამ სრულებით არ ძალუძს მათი ცხოვრებაში განხორციელება.

საგულისხმოა, რომ საგარეო პოლიტიკაში ობამას მუდამ თან სდევს მარცხი. გავიხსენოთ თუნდაც მისი მცდელობა, როგორმე მკვდარი წერტილიდან დაეძრა ახლოაღმოსავლური პროცესი. ქაიროში შარშან წარმოთქმული სიტყვის გარდა, მას აქტივში არაფერი მოეპოვება. უფრო მეტიც, მისი ახლოაღმოსავლური ინიციატივა ჩავარდა. **ობამას უმნიშვნელოვანესი იდეა იმის შესახებ, რომ პალესტინასა და ისრაელს შორის მოლაპარაკებების აღსადგენად თელ-ავივმა ოკუპირებულ ტერიტორიებზე (განსაკუთრებით, აღმოსავლეთ იერუსალიმში) ახალი დასახლებების მშენებლობა უნდა შეწყვიტოს, ისრაელის პრემიერის ნეთანიაჰუს მიერ მხოლოდ უგულებელყოფილი კი არა, დემონსტრაციულად იგნორირებული იქნა.** მან თავიდანვე განაცხადა, რომ ისრაელი არ შეწყვეტს დასახლებების მშენებლობას, ხოლო ისრაელში აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტის — ჯო ბაიდენის ამასწინანდელი ვიზიტისას, ნათანიაჰუმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ტელ-ავივი 1600 ახალ სახლს ააგებს აღმოსავლეთ იერუსალიმის ტერიტორიაზე. ეს ობამასთვის გაწნილი მეორე სილა იყო.

## სანქციები — ომისკენ მიმავალი გზა

**გარდა ამისა, აშშ-ის პრეზიდენტს რეალური პროგრესისთვის არ მიუღწევია ავღანეთშიც. ლაპარაკი იმაზე, რომ ის ჯარებს 2011 წლისთვის გაიყვანს, ასევე უსაფუძვლოა; ყოველ შემთხვევაში, მისის გარემოცვა აცხადებს, რომ ეს საორიენტაციო თარიღია და საუბარია მარტოდენ პროცესის დაწყებაზე, რომელმაც შესაძლოა მრავალი წელი გასტანოს.**

ობამას სურვილი, რაც შეიძლება მალე გადაჭრას შუა აღმოსავლეთის კრიზისი, შესაძლოა, სულაც ვერ განხორციელდეს. ერაყში ობამა იმავე მდგომარეობაშია, რომელშიც ჯორჯ ბუში იმყოფებოდა და ყველა ადასტურებს, რომ, თუ აქედან ამერიკული ჯარების გაყვანა დაიწყება, ერაყი უთუოდ დაუბრუნდება კვაზისამოქალაქო ომის მდგომარეობას.

ობამას, ასევე, ამოძრავებდა ირანთან დიალოგის იდეა მის ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებით. იდეის არსით, რაც შეიძლება მეტი მოტივი უნდა მიეცათ ირანისთვის, რაც ბირთვული იარაღის შექმნაზე უარს ათქმევინებდა. ეს დიალოგი, რა თქმა უნდა, არ მიმდინარეობს. პირიქით, საუბარია ირანისთვის „მკაცრი სანქციების" დაწესებაზე. არადა, ცნობილია, რომ სანქციები ომისკენ მიმავალი გზაა. აქ ისევ ერაყის სიტუაცია მეორდება, როცა დასაწყისში მძლავრი რიტორიკული არტმომზადება მიმდინარეობდა, შემდეგ დაწესდა სანქციები და საომარი მოქმედებების დაწყებამაც არ დააყოვნა. ასე რომ, **ირანის პრობლემის სამხედრო სცენარით გადაჭრაზე აშშ-ში სულ უფრო ხშირად ლაპარაკობენ, აღარაფერი რომ არ ვთქვათ ისრაელის მიერ გადაკრულ ქარაგმებზე, ირანის ბირთვულ ობიექტებზე შეტევას განვახორციელებო.**

ხელისუფლების სათავეში მოსულ ობამას ჩინეთთან განსაკუთრებული ურთიერთობების დამყარება სურდა და პეკინშიც ჩავიდა ე. წ. დიდი ორიანის შექმნის წინადადებით, როცა დედამიწის ეკონომიკურ, ფინანსურ და გეოპოლიტიკურ პრობლემებზე მთავარი პასუხისმგებლები აშშ და ჩინეთი იქნებოდნენ. ჩინელებმა ობამას აგრძნობინეს, რომ სრულებითაც არ სურდათ ამ პასუხისმგებლობის განაწილება აშშ-თან. ხოლო **ამერიკის მისწრაფებამ, ტაივანისთვის 6.5 მლრდ დოლარის ღირებულების იარაღი მიეყიდა, ვაშინგტონსა და პეკინს შორის პოლიტიკური კრიზისი წარმოქმნა.**

ამგვარად, ყველგან, შესაძლოა მხოლოდ რუსეთის მიმართულების გამოკლებით, ობამას პოლიტიკის მარცხს ვხედავთ. ამიტომ მისთვის აგრერიგად მნიშვნელოვანია სტრატეგიული შემტევი შეიარაღების შეთანხმებაზე ხელმოწერის მიღება. მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ ამ საკითხში დათმობა მხოლოდ იმიტომ, რომ ობამას მოვეწონოთ, ნამდვილად არ ღირს. ამასთან, უნდა მოვითხოვოთ, რომ ამ საკითხში ჩვენი მოთხოვნები გაითვალისწინონ.

ამგვარი მიდგომის კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი მიზეზი ისაა, რომ აშშ-ს ორი საგარეო პოლიტიკა აქვს, რომელთაგან ერთზე ობამა ლაპარაკობს, ხოლო მეორეს რეალურად ახორციელებენ აშშ-ის თავდაცვის სამინისტრო, სახელმწიფო დეპარტამენტი და აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტი ჯო ბაიდენი.

გასაკვირი არ იქნება, ობამას გუნდის უმრავლესობა ორმაგ თამაშს ეწეოდეს, რადგან უზარმაზარი სხვაობაა ობამას ნათქვამსა და ამ ხალხის ქმედებას შორის. ამგვარად, ვერ ვიქნებით დარწმუნებული იმაში, რომ ობამა აშშ-ის ნამდვილი საგარეო პოლიტიკური იდეის მატარებელია. შთაბეჭდილება რჩება, რომ ეს იდეა მისი ქვეშევრდომებისაა და იმ საგარეო პოლიტიკას ახორციელებენ, რომელსაც თავად ობამა ოფიციალურად უგულებელყოფს.

**ალექსეი პუშკოვი,**
**რფ-ის საგარეო საქმეთა სამინისტროს დიპაკადემიის აქტუალური საერთაშორისო პრობლემების ინსტიტუტის დირექტორი.**

31 მარტი — 6 აპრილი, 2010 წელი. №12 (55)
www.geworld.net

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# მამა გიორგი სხირტლაძე: აღდგომა ქრისტეს მესიობის მთავარი არგუმენტია

**4 აპრილს მართლმადიდებელი სამყარო აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს ზეიმობს. უფალ იესოს მკვდრეთით აღდგომას დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის, რადგან ამით ქრისტემ საყოველთაო აღდგომას დაუდო საფუძველი და უეჭველ ჰყო მისი ნამდვილობა. „ქრისტე აღსდგა მკვდრეთით და იქმნა დასაბამ შესვენებულთა.“ თუმცა აღდგომამდე იყო უფლის ჯვარცმა, ვნება და დაფვლა. როგორც საღმრთო წერილი გვასწავლის, იესო ქრისტე მოკვდა ჩვენთვის, მართალი ცრუთათვის. უფლის ჯვარცმისა და აღდგომის ზნეობრივ მნიშვნელობაზე იოანე ღვთისმეტყველის სახელობის ტაძრის დეკანოზი, მღვდელი გიორგი სხირტლაძე გვესაუბრება.**

— ვნების შვიდეულზე ძალიან ბევრი რამის თქმა შეიძლება. ის დაკავშირებულია ტანჯვასთან, იმასთან, რასაც უფლის ვნება ჰქვია და ფაქტიურად იესოს ცხოვრების ბოლო კვირაა. დიდ მარხვაში ეს დღეები განსაკუთრებულად აღინიშნება. ამ დროს იუდას მიერ ქრისტეს გაყიდვის, საიდუმლო სერობის, უფლის ტანჯვის, ვნებების, ჯვარცმისა და დაფვლის გახსენება და მარხვის გამკაცრება ხდება. ვნების შვიდეულის ყველა დღე **დიდად** არის წოდებული: **დიდი ორშაბათი, დიდი სამშაბათი** და ა.შ. შაბათის ჩათვლით. ამავე დროს ეწოდება ვნების ორშაბათი, ვნების სამშაბათი და ა.შ. მართლმადიდებლები ორშაბათს, სამშაბათს და ოთხშაბათს პირველშეწირულთა წირვას, ხოლო დიდ ხუთშაბათსა და დიდ შაბათს ბასილი დიდის წირვას აღასრულებენ. პარასკევი დღე წითელ პარასკევად იწოდება და ლიტურგია არ აღესრულება.

ქრონოლოგიას რომ მივყვეთ, **დიდ ორშაბათს** ძველი აღთქმის პატრიარქი იოსები იხსენიება, როგორც წინა სახე ქრისტესი, რომელიც იტანჯა (ის ეგვიპტეში იყო გაყიდული). ასევე, იხსენება ქრისტეს მიერ უნაყოფო ხის დაწყევლა. ის სიმბოლიზირებს იმ სულს, რომელსაც სულიერი ნაყოფის (ჭეშმარიტი სინანული, პატიება, ლოცვა და ა.შ.) გამოღება არ ხელეწიფება.

**დიდ სამშაბათს** იხსენიება: იესოს მიერ ფარისევლებისა და მწიგნობრების მხილება, ასევე იგავნი — კეისარის მიმართ ხარკის გაცემაზე, მკვდრეთით აღდგომისა და საშინელი სამსჯავროს, ათი ქალწულისა და ტალანტების შესახებ, რომლებიც მან იერუსალიმის ტაძარში წარმოთქვა.

**დიდ ოთხშაბათს** ქრისტიანები მწუხარებით იგონებენ იუდას მიერ მაცხოვრის გაყიდვის საშინელ დანაშაულს (იუდა ისკარიოტელი ერთ-ერთი მოციქულთაგანი იყო და ის მღვდელმთავრებსა და მწიგნობრებს 30 ვერცხლად მოურიგდა ქრისტეს გაყიდვის თაობაზე). ასევე ამ დღეს ხდება გახსენება იმ ცოდვილი ქალბატონისა, რომელმაც ცრემლებით დაასველა ქრისტეს ფეხები და შემდეგ ძვირფასი მირონითა და ძვირფასი ზეთით გაწმინდა. დანარჩენი მირონი კი ქრისტეს დამარხვის რიტუალისთვის შეინახა.

**დიდ ხუთშაბათს** ყველასთვის საოცარი ზიარების საიდუმლო აღესრულება. ეს არის წმიდა ევქარისტიის დაწესების დღე, როდესაც ქრისტემ საიდუმლო სერობაზე განტეხა პური თავისი წმიდა ხელებით, მისცა მოწაფეებს და უთხრა: **„მიიღეთ და სჭამეთ, ესე არის ხორცი ჩემი თქვენთვის განტეხილი მისატევებელად ცოდვათა“.** მან, ასევე, აკურთხა ღვინო, მისცა მოწაფეებს და უთხრა: **„მიიღეთ და სვით ამისგან ყოველთა, ესე არის სისხლი ჩემი თქვენთვის დათხეული მისატევებელად ცოდვათა“.** სერობის შემდეგ ქრისტეს მიერ მოწაფეთა ფეხების განბანვა აღესრულება. ნებაყოფლობით თავის დამდაბლებას ბერძნულად პარუსია ქვია, ანუ ეს არის ის დღე, როდესაც ქრისტემ აჩვენა, რომ, ვისაც სურს, პირველი იყოს, მან უნდა დაიმდაბლოს თავი. ვინც აღიმაღლებს თავს, ის დამდაბლდება, ხოლო ვინც დაიმდაბლებს, ის ამაღლდება. დიდ ხუთშაბათს, ასევე, იხსენებენ გეთსემანიის ბაღში ლოცვას და უკვე იუდას მიერ უფლის გაყიდვა ძალაში, ქმედებაში შედის.

**წითელ პარასკევს** არის ყოველგავარი იურიდიული ნორმებით დარღვეული სამსჯავრო, სასამართლო ქრისტესი, მისი ჯვარცმა და დაფვლა. მზის ჩასვლასთან ერთად აღდგომამდე ზოგი საჭმელსაც აღარ იღებს, თუმცა ეს არ არის აუცილებელი, ეს უფრო ბერული კანონია.

**დიდ შაბათს** ქრისტე უკვე დაკრძალულია სამარხში და მისი სულის ჯოჯოხეთში ჩასვლის გახსენება ხდება. ჯოჯოხეთში ცოდვილთა სულებისთვის სასუფევლის შესახებ ქადაგება და იქიდან სულების ამოყვანა. შაბათ ღამეს იერუსალიმში გარდამოდის წმიდა ცეცხლი და მოდის აღდგომის კვირა, რომელიც მართლმადიდებელი საქრისტიანოსთვის ყველაზე დიდი დღესასწაულია.

**— ვნების შვიდეულს მოსდევს აღდგომა უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესი. მამა გიორგი, რას გვეტყვით ქრისტეს აღდგომის მნიშვნელობაზე?**

—ქრისტეს მკვდრეთით აღდგომა მოულოდნელად მოცემული სასწაული არ იყო. **აღდგომის საიდუმლო ნაწინასწარმეტყველები იყო ძველ აღთქმაში და კაცობრიობა ქრისტეს განკაცებასა და მესიის მოსვლას ელოდა. უფლის განკაცებამდე მესიის მოსვლისათვის კაცობრიობის შემზადება ხდებოდა. მოვიდა მესია და სახარებაში თავისი აღდგომის შესახებ იქადაგა.** იგი ქადაგებდა იმას, რაც ძველ აღთქმაში უკვე იქნა ნაწინასწარმეტყველები,



ანუ ის, რაც აღდგომის საიდუმლოს შესახებ ძველ აღთქმაში ცხადად თუ დაფარულად ეწერა, აღსრულდა.

აღდგომა ქრისტეს მესიობის, ქრისტეს საუფლო მსახურების, მისი, როგორც ღვთის ძის, როგორც ჭეშმარიტი ღმერთის დამადასტურებელი ყველაზე პირველი და მთავარი არგუმენტია. ეს არის ის არგუმენტი, რომელიც არც ერთ რელიგიას არ აქვს. თქვენ იცით, რომ **არავინ არც ერთ სარწმუნოებაში არც ჯვარს ცმულა და, მით უმეტეს, არც მკვდრეთით აღმდგარა და ამაღლებულა. მხოლოდ და მხოლოდ ქრისტე, როგორც ჭეშმარიტი ძე ღვთისა. ქრისტე აღსდგა მკვდრეთით და ჩვენ მეორედ მოსვლის წინა სახე მოგვცა. ამიტომ ეს უდიდესი ქრისტიანული დღესასწაულია; საეკლესიო, საღვთისმსახურო წლის ყველაზე მნიშვნელოვანი დღე.** აღდგომა მოძრავი დღესასწაულია, მაგრამ ეს უკვე სხვა თემაა.

**— ძველი აღთქმის წინასწარმეტყველები მესიის მოსვლის შესახებ ქადაგებდნენ, ხდებოდა ებრაელი ერის შემზადება ქრისტეს განკაცებისთვის და მათ ქრისტე, როგორც მესია, რატომ არ მიიღეს?**

— უამრავ ადამიანს, რომელიც იმ დროს ცოცხალი იყო, მათ, ვინც ქრისტეს იცნობდა, თვით მოციქულებსაც კი უფლის ბოლომდე შეცნობა გაუჭირდათ. უნდა ითქვას, რომ ღმერთი შემეცნებადი, მაგრამ ბოლომდე შეუცნობადია. ღმერთმა წყვდიადი დასდო საფარველად თვისად, როგორც ფსალმუნებშია ნათქვამი.

უფლის ბოლომდე შეცნობას დიონისე არეოპაგელი მოსე წინასწარმეტყველის სინას მთაზე ზეაღსვლას ადარებს, სადაც მან ღმერთი იხილა და ათი მცნება მიიღო. იცით თქვენ, რომ მოსემ სინას მთაზე ზურგი იხილა ღვთისა და ამასაც კი ვერ გაუძლო და კლდეს მოეფარა. როგორც წმიდა მამები ამბობენ, კლდე ქრისტეს კაცობრიული ბუნებაა, მაგრამ ქრისტეს კაცობრიულ ბუნებას მოფარებულ ადამიანთათვისაც კი ღვთის შეცნობა ასევე მიუწვდომელი დარჩა.

ქრისტე ცხადი მსახურების დროს (სამ წერლიწად-ნახევარი იგი ხალხში ქადაგებდა) თავისი მესიობის შესახებ აშკარად მეტყველებდა; ამბობდა, რომ იგი არის ის, რაზეც ძველი აღთქმა და წინასწარმეტყველები წინასწარმეტყველებდნენ და რომ ნატანჯი, ნაწამები, შეურაცხყოფილი, ნაგვემი, ნაფურთხები, ნაგინები, მასხრად აგდებული და მკრეხელურად დამცირებული უნდა იქნეს, მაგრამ შემდეგ უნდა აღსდგეს (ქრისტე, რომელიც სრული კაცი იყო, როგორც სრული ღმერთი აღსდგა).

რა თქმა უნდა, ამის ფონზე წინასწარმეტყველებები მრავალმა გაიგო, მაგრამ ბევრმა, ვინც სულიერი ჭვრეტითა და სულიერი ინტუიციით არ გამოირჩეოდნენ, ვერ დაინახეს და ვერ იცნეს უფალი. მრავალი მათგანი, რომლებმაც ამ საშინელი დანაშაულის რეალიზირება მოახდინეს, როგორც ბნელეთისა და წყვდიადის მოციქულები, როგორც ქრისტეს ნათელის, ანუ ცათა სასუფევლის მოწინააღმდეგენი, აშკარად შეგნებულად ებრძოდნენ მას. აქ უფლის გაუცნობიერებელ არმიღებაზე არ არის ლაპარაკი. ფარისევლების, მწიგნობრებისა და მღვდელმთავრების მხრიდან აშკარად გაცნობიერებულ ბოროტებასთან, ასე ვთქვათ, სიკეთისადმი ბრძოლასთან და ღვთის წინააღმდეგ შეგნებულ დანაშაულთან გვაქვს საქმე.

ამიტომაც სახარებისეული ღვთაებრივი დრამა ჩვენ ისე უნდა გავიგოთ, რომ ნათელი რომელიც ჩვენ შორის მოვიდა, ერმა ვერ იცნო, რადგან ხალხმა ნათელი და კეთილი საქმეების ნაცვლად ბნელი შეიყვარა. ადამიანთა დაცემულმა ნებამ, ბუნებამ, სამწუხაროდ, ქრისტესმიერი ნათელი არ მიიღო.

**— მამა გიორგი, რა შეიცვალა ბზობის მერე, ის ხალხი ვინც უფალს ადიდებდა მისივე ბრალმდებელი გახდა?**

— შეიძლება ყველა ის ადამიანი, რომელიც იერუსალიმში მიმავალ ქრისტეს ტანსაცმელსა და რტოებს უფენდა და ადიდებდა მას, როგორც ჭეშმარიტ ღვთის ძეს, არ იყო იქ, ვინც ყვიროდა: „ჯვარს აცუო“, მაგრამ მათი ნაწილი ამ საშინელ ღვთის საწინააღმდეგო ქმედებაში, რა თქმა უნდა, მონაწილეობდა. ეს, როგორც აღვნიშნეთ, ადამიანთა მიერ ბნელეთის შეყვარებაა. როგორც წმიდა მამები ამბობენ, ბოროტება არსებობს მაშინ, როცა მას სჩადიან.

**ადამიანები ქრისტეს საოცარი განკაცებისა და ვნების საიდუმლოს ვერ იგებენ. მეკითხებიან, ღმერთს, რომელმაც სამყარო შექმნა, განა არ შეეძლო, კაცობრიობა ერთი სიტყვით, ყოველგვარი ვნების, ჯვარცმის, აღდგომისა და სისხლიანი მსხვერპლის გარეშე გამოეხსნა? წმიდა მამები ამბობენ, ამას კი ნუ იკითხავ, არამედ შეეცადე, ჯერ განიცადო ის, რაც მოხდაო.** ამასთან, როცა ადამიანი დაეცა და მადლი დაუბრუნებლად დაკარგა, მხოლოდ ყოვლისმომცველ, ყოვლისშემძლე არსების მიერ გაღებულ ყოვლისმომცველ მსხვერპლს შეეძლო მადლის დაბრუნება.

ქრისტეს შემდეგ ჩვენ მადლს ისევ ვიბრუნებთ. მონათლული, მართლმადიდებელი ადამიანი როგორც კი კარგავს მადლს, საღვთო საიდუმლოებით ისევე იბრუნებს. ეს ქრისტეს აღსრულებული მსხვერპლის შემდეგ არის და როდესაც ამბობენ, რომ ქრისტე რატომ ეცვა ჯვარს, ყოვლისშემძლე ღმერთს ხომ შეეძლო გამოეხსნა ყოველი, ჩვენ ვამბობთ, რომ, რადგან ადამი დაეცა, ყოვლისმომცველმა არსებამ თავისი ყოვლადმოწყალე განგებულებით გაიღო ყოვლისმომცველი მსხვერპლი. ეს მსხვერპლი არის ზუსტად ის, რასაც ვამბობთ, მაგრამ ბევრმა ეს ვერ ან არ გაიგო.

— **როგორია აღდგომის ზნეობრივი მნიშვნელობა?**

— უპირველესად, ქრისტეს აღდგომა ეს არის ის, რასაც ადამიანის ჭეშმარიტი დანიშნულების განხორციელება ჰქვია. ქრისტემ სრული ადამიანი, სრული კაცი იტვირთა (დედამიწაზე მოვიდა განკაცებული უფალი — სული, სამშვალი და სხეული ცოდვის გარეშე) და ეს იმისთვის გააკეთა, რომ სრული ადამიანი ყოფილიყო აღდგენილი, რადგან, რაც ნატვირთი არ იქნებოდა, არც აღდგენილი არ იქნებოდა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ადამიანი ეშმაკის მიერ იქნა დაცემული და ასე ვთქვათ, ბოროტს რომ არ ჰქონოდა სათქმელი, რომ შენ მიერ გამოხსნილი ადამიანი ჩემი ცდუნებით დაეცაო, ამ გზით ადამიანი ღვთაებრივი ბუნების თანამონაწილე გახადა. ღვთაებრივი ბუნება შეურწყმელად შეერწყა და განუყოფელად შეუერთდა და არ შეერწყა ადამიანურ ბუნებას (ეს დოგმატია).

**ქრისტემ დაინათესავა ადამიანი და ამიტომ უფლის სახელებში ყველაზე შინაგანი სახელი, ეს ახალი აღთქმის სახელი მამაა. კაცობრიობას ღმერთმა „მამაო ჩვენო“, ანუ საუფლო ლოცვა მოგვცა, რომელშიც ჩვენ მას მამას ვუწოდებთ.** ერთ-ერთი ღვთისმეტყველი ამბობს, ამიტომ შვილმა მორალურად, სულიერად და ეთიკურად იმ სტანდარტების, ცნებების, მოთხოვნების მიხედვით უნდა იცხოვროს, როგორც მამა ზეციერს ეკადრება. „მამაო ჩვენო“-ში ვამბობთ: **„იყავნ ნება შენი ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ქვეყანასა ზედა“.** ეს ნიშნავს იმას, რომ ნება ღვთისა ერთია. „არა მნებავს სიკვდილი ცოდვილისა, არამედ მოქცევა და ცხოვრება მისი“. ხოლო ეს ნება, მეტნაკლებად, გარდატყდება ადამიანის ინდივიდუალურ განგებულებაში, რომელიც ჩვენი ჯვარმტვირთველობაა, ანუ ჩვენი თვისუფალი ნების ღვთის სადიდებლად გამოყენება.

ერთი ღვთისკენ მიმავალ გზაზე მართლმადიდებელი სარწმუნოების წიაღში უამრავი გზა არსებობს და ამის მთავარი ლეიტმოტივი არის ის, რომ ადამიანი, რომელიც თავისი ნების არასწორი გამოყენებით, ცოდვების ჩადენით სულიერი უფსკრულისკენ, დაღუპვისკენ მიაქანებს თავის თავს, ამა თუ იმ განგებულებით (იქნება ეს ზოგჯერ ღვთაებრივი პედაგოგიკის განსაცდელებრივი განგებულებით გამოვლენა, მოწყალება ღვთისა სხვა და სხვა ფორმით, თუ ეს იქნება დაუგეგმავი და გაუთვალისწინებელი შეხვედრები მორწმუნე ადამიანთან, ეკლესიაში მოძღვართან მიყვანა და ა.შ.), ადამიანი მიიყვანოს უფალთან, რათა ადამიანი არ მოკვდეს სულიერად და ხორციელადაც.

ცოდვებს, მეტ-ნაკლებად, ადამიანის ფიზიკური განადგურებაც შეიძლება მოჰყვეს. ცოდვა შედეგს იჩენს ჯერ სულში, შემდეგ სამშვილში, შედეგი კი სხეულში დესტრუქციის სახით ვლინდება, სხვა და სხვა ავადმყოფობით დაწყებული ე. წ. მოულოდნელი, უბედური შემთხვევების სახით დამთავრებული, რომლებიც მოვლენათა ჯაჭვის ჩვენთვის მიუწვდომელი კავშირია. ესა თუ ის შემთხვევა ჩვენთვის ზოგჯერ გაუგებარი ხდება, არა იმიტომ, რომ ეს მოვლენები შემთხვევითია (შემთხვევითობა არ არსებობს), უბრალოდ, ღვთის განგებულებისა და მოვლენათა გადაბმის უცოდინარობასთან გვაქვს საქმე. **„არა მნებავს სიკვდილი ცოდვილისა, არამედ მოქცევა და ცხოვრება მისი,“**— ეს არის ქრისტეს ჯვარცმის, აღდგომისა და ამაღლების ძირითადი მოწოდება ადამიანთათვის. თუ შენ არ გინდა სულიერი სიკვდილი და განადგურება, მაშინ აღმდგარი უფლის, რომელმაც თავისი ღვთის ძეობა აჩვენა და ქრისტეს სამმაგი მსახურება განაცხადა: **საწინასწარმეტყველო, სამღვდელმთავრო და სამეუფეო, ანუ საღმერთო (დაწყებული მკვდართა გაცოცხლებიდან, ქრისტეს მიერ კეთროვნების განკურნებიდან და დამთავრებული თვითონ ქრისტრეს აღდგომით,) მოწოდების მიხედვით უნდა იცხოვრო.**

როგორც აღვნიშნე, არც ერთ სარწმუნოებაში არ არსებობს არც ვინმესთვის ჯვარცმა, არც ვინმესთვის ჯოჯოხეთში ჩასვლა, არც მკვდრეთით აღდგომა და არც ამაღლება, მით უმეტეს — არც ზიარება (ქრისტეს ღვთის სისხლისა და ხორცის მჭამელობა), რაც განსაკუთრებულად გამოარჩევს მართლმადიდებელ ქრისტიანობას, როგორც ღვთივგამოცხადებულ რელიგიას, შეურყვნელი და გაუმრუდებელი სახით. და ამიტომ ამ მოტივის, არა მნებავს სიკვდილი ცოდვილისა, არამედ მოქცევა და ცხოვრება, მთავარი ფუნდამენტი, მთავარი ავტორიტეტი არის ქრისტეს მიერ აღსრულებული საიდუმლო — დაწყებული მისი განკაცებით, მკვდრეთით აღდგომითა და ამაღლებით დასრულებული. ამიტომ ჩვენ, ჩვენ უნდა განვიწმიდოთ, ცუდი კარგი გახდეს, კარგი — უკეთესი, უკეთესი — საუკეთესო და ა.შ.

მინდა გავიხსენო ეფრემ ასურის ის ლოცვა, რომელიც ამ მარხვაში ყველაზე კარგად გამოხატავს მარხვის მთავარ გასაღებს და რომელსაც ასე ხშირად ვიმეორებთ **„უფალო და მეუფეო ცხოვრებისა ჩემისაო, სულსა უქმობისასა და მიმომწვლილველობისასა, მთავრობის მოყვარეობისასა და ცუდად მეტყველებისასა ნუ მიმცემ მე. ხოლო სული სიწმიდისა, სიმდაბლისა, მოთმინებისა და სიყუარულისა მომმადლე მე მონასა შენსა. ჰე, უფალო და მეუფეო, მომანიჭე განცდა თვისთა ცოდვათა და არა განკითხვად ძმისა ჩემისა, რამეთუ კურთხეულ ხარ შენ უკუნითი უკუნისამდე. ამინ.“** მომეც მე განცდა თვისთა ცოდვათა და არა განკითხვა ძმისა ჩემისა, ანუ მარხვაშიც და ხსნილშიც ჩვენი მთავარი განწყობილება სამ რამეზე ფიქრი უნდა იყოს: უფალზე და მის წმიდა სახელზე (იესო ქრისტეზე, მამაზე და სული წმიდაზე), მოყვასზე და საკუთარ თავზე. მოყვასზე, როგორც საკუთარ თავზე და როგორც მოყვასზე.

თუ ღვთის შემეცნება, ქრისტიანული თვითშემეცნება და ეგოცენტრიზმისგან გათავისუფლება გვინდა, უნდა ვიცოდეთ, რომ ამის ყველაზე კარგი საშუალება არის განცდა თვისთა ცოდვათა.

ესაუბრა
**ნათია ქადაგიშვილი**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

## პირველი სახელოვნებო და სახელობო სკოლა-პანსიონი თბილისში

# მამა მირიან სამხარაძე: სანამ ცოცხლები ვართ, კეთილი საქმეები უნდა ვაკეთოთ და ჩვენი აგური დავდოთ ერის მშენებლობაზე

**ალბათ, ბევრმა არც იცის, რომ თბილისის ერთ-ერთ გარეუბანში საქართველოსთვის უპრეცენდენტო პროექტი ხორციელდება. ლოტკინზე, მუსიკალური სკოლა-ინტერნატის ყოფილ შენობაში, ახლა უკვე საპატრიარქოს წმ. კეთილმსახური მეფე თამარის სახელობის სკოლა-პანსიონში სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს. შენობას რესტავრაცია უტარდება და მისი ძველი იერიდან თითქმის აღარაფერი რჩება. მართალია, სკოლის რესტავრაცია ჯერ არ დასრულებულა, მაგრამ სექტემბრიდან აქ უკვე დაიწყო სწავლა. პირველ ეტაპზე სკოლამ მხოლოდ მეხუთე კლასის ჩათვლით შეძლო მოსწავლეთა მიღება. ყველა მათგანს სპეციალურად შეკერილი ლურჯი ფორმები აცვია. სკოლაში ასევე ფუნქციონირებს ქორეოგრაფიული და სპორტული წრეები. ისწავლება ქორეოგრაფია, ხრიდოლი (ქართული საბრძოლო ხელოვნება), დავიწყებას რომ მიეცა, ისეთ ქართულ საკრავებზე დაკვრაც. ტარდება კონკურსები, სპორტული შეჯიბრებები. სკოლაში გახანგრძლივებული ჯგუფებია და მოსწავლეებს ერთჯერადი კვებითაც უზრუნველყოფენ.**





სამუშაოების დიდი ნაწილი უკვე დამთავრებულია, ხოლო ძველი შენობის რესტავრაცია ახლაც მიმდინარეობს. აქ ისეთი ბავშვები სწავლობენ, რომლებიც განსაკუთრებული ნიჭით არიან დაჯილდოვებულნი. მამა მირიანის თქმით, „თუკი განათლებასთან ერთად უფლის სიყვარული არ იქნება და მას თან ლოცვა არ ახლავს, ასეთი განათლება ბოროტებაა“. ამ ცნებას მიჰყვებიან სწორედ სკოლაში. ყველა კლასს, გაკვეთილების მიმდინარეობის დროს, 10 წუთი აქვს გამოყოფილი იმისათვის, რომ ტაძარი მოილოცონ. მომავალი წლიდან აქ საქართველოს ყველა კუთხიდან 240 ბავშვის ჩამოყვანას გეგმავენ, განსაკუთრებით კი ხელმოკლე ოჯახის შვილების, რომლებსაც მუსიკისა და ხატვის ნიჭი აქვთ. ბავშვები სწავლასთან ერთად აქვე იცხოვრებენ. განსაკუთრებული აქცენტი ქართველ მუსლიმან ბავშვებზე კეთდება. უწმინდესის სურვილია, ამ პანსიონში ფერეიდნიდან, ტაო-კლარჯეთიდან, საინგილოდან ჩემოსულმა ბავშვებმაც ისწავლონ. ცოტა ხნის წინათ სამლოცველოც გაიხსნა და ეკლესიის მშენებლობასაც ჩაეყარა საფუძველი.

სკოლის დირექტორი მამა მირიან სამხარაძეა, რომელსაც ამდაგვარი მუშაობის პრაქტიკა ჯერ კიდევ ხულოში მოღვაწეობის დროს ჰქონდა. მამა მირიანი ხულოში 13 წელი ცხოვრობდა. იქაური მოღვაწეობის შედეგად მამაოს 80-მდე ნათლული ჰყავს. მან წმ. ტბელ აბუსერიძის გიმნაზია და თევდორე აჭარელის სახელობის საბავშვო ბაღი დააარსა; დააფუძნა გაზეთი „სხალთის ზარები“.

მამა მირიანი თბილისში ოჯახით სამი წლის წინ ჩამოვიდა და თავიდან პეტრე-პავლეს ეკლესიაში მოღვაწეობდა. მას სამი შვილი ჰყავს: თამარი, ქეთევანი და გიორგი. მამა მირიანის მეუღლე, ქალბატონი ნანაც, აქტიურად მონაწილეობს სკოლის საქმეებში. ისინი დღეისათვის სკოლის შენობაში ცხოვრობენ. ქალბატონი ნანა საპატრიარქოშიც მუშაობს, ქართველ მუსლიმანთა ურთიერთობის განყოფილების უფროსია და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს კულტურული აღორძინების საერთაშორისო ასოციაცია „არსიანის“ ერთ-ერთი დამფუძნებელიცაა.

**მამა მირიან სამხარაძე: — ეს არის პატრიარქისა და პრეზიდენტის ერთობლივი პროექტი.**

**პატრიარქს სურდა, თბილისში ყოფილიყო სასწავლებელი, სადაც ერთად ისწავლიდნენ თბილისელი და საზღვარგარეთ მცხოვრები ქართველი ბავშვები. სკოლას ანალოგი არ აქვს მთელს საქართველოში. განსაკუთრებული აქცენტი ზემო აჭარაში მცხოვრებ ქართველ მუსლიმან ბავშვებზე კეთდება, რომელთა გარკვეული ნაწილი სასწავლებლად უფრო თურქეთში მიდის. უმჯობესია, ისინი საკუთარ კულტურასა და ხელოვნებას გაეცნონ. თუ სურვილი ექნებათ, სწავლას თბილისის უმაღლეს სასწავლებლებში გააგრძელებენ და ისევ სამშობლოს გამოადგებიან. ანალოგიურ პროექტს ხულოშიც ვახორციელებდით და ხულოში მცხოვრებ ბავშვებს გიმნაზიაში სწავლის პერიოდში წმ. ილია მართლის გიმნაზიის ბავშვებთან ჰქონდათ ურთიერთობა, რამაც უდიდესი შედეგი გამოიღო. როცა ხულოს გიმნაზიაში ბავშვები პირველ კლასში მშობლებს ჩვენთან შემოჰყავდათ, შიშობდნენ, არ მოგვენათლა, მაგრამ ძალით ხომ არ მოვნათლავდით?! როცა ეს ბავშვები მაღალ კლასებში გადავიდნენ, მერე უკვე თვითონ მშობლები გვეხვეწებოდნენ მათ მონათვლას. თვითონვე გადაწყვიტეს, მამა-პაპათა რწმენას დაბრუნებოდნენ. უამრავი ნათესავი და ნათლია ჰყავთ ხულოში მცხოვრებ ბავშვებს თბილისში. არა მარტო ბავშვები, არამედ მათი მშობლები, ბებია-ბაბუებიც კი მოინათლნენ. იცოდა პატრიარქმა, რა შედეგი შეიძლებოდა მოჰყოლოდა ამ პროექტს....

აქ შეისწავლიან დღეს დავიწყებულ ტრადიციულ დარგებს, როგორიცაა: მინანქრის დამუშავება, მჭედლობა, ლითონზე მუშაობა, გობელენი, ქსოვა, ქარგვა, ხის მხატვრული დამუშავება, თექა... ახლა ვცდილობთ, ტექნიკურად მოვამზადოთ ყველაფერი, რაც ამისათვის გვჭირდება. პრეზიდენტიც დაინტერესებულია ამით და კარგია, როცა ეკლესია და ხელისუფლება ერთმანეთის გვერდით დგანან. ურთიერთთანადგომით უდიდესი საქმეების კეთებაა შესაძლებელი.

მომავალი წლისთვის ყველა კლასი გვექნება, მანამდე კი ლტოლვილების საკითხიც მოგვარდება, რომლებიც აქ აგვისტოს ომის შემდეგ ცხოვრობენ. ალბათ, მომავალი წლისთვის მზად ვიქნებით იმისათვის, რომ ჩვენი თანამემამულენი საზღვარგარეთიდანაც მივიღოთ. დაფინანსებას რაც შეეხება, საპატრიარქო გვაფინანსებს. ასევე, კეთილ ადამიანებს რა გამოლევს. სანამ ცოცხლები ვართ, კეთილი საქმეები უნდა ვაკეთოთ ამ ქვეყანაზე და ჩვენი აგური დავდოთ ერის მშენებლობაზე. ეს პროექტი უდიდეს შედეგს გამოიღებს, რომელსაც მალე მთელი საქართველო დაინახავს.

**ლილი მიროტაძე**
**თეო ტაბატაძე**

# ჩინური სათამაშოები ბავშვებში მოწამვლასა და ალერგიას იწვევს

**„რატომ იყო რევოლუციამდელი ბავშვი გონებასუსტი? იმიტომ, რომ მას არ ჰქონდა სათამაშო“, — ყველას ახსოვს სათამაშოების ფაბრიკის დირექტორის ეს პათეტიკური სიტყვები კინოფილმიდან „თოჯინები იცინიან“. ამ ღიმილისმომგვრელ ფრაზაში სიმართლის მარცვალი ნამდვილად არის, რადგან, როგორც ფსიქოლოგები ამბობენ, სათამაშოს და, საერთოდ, თამაშს ბავშვის განვითარებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს.**

დღევანდელი ბავშვების გონებაგახსნილობის (რაც ზოგჯერ უფროსების გაოცებასაც იწვევს) ერთ-ერთი განმაპირობებელი ფაქტორი შესაძლოა სათამაშოების ინდუსტრიის განვითარებაც იყოს, მაგრამ ახლა ბავშვები სულ სხვა საშიშროების წინაშე აღმოჩნდნენ. საფრთხე მათ ჯანმრთელობას დაემუქრა. სათამაშოების შემადგენლობაში არსებულმა ქიმიურმა ნაერთებმა შესაძლოა სერიოზული ზიანი მიაყენოს მათ ჯანმრთელობას. როგორც ამბობენ, ამ მხრივ ყველაზე დიდ საფრთხეს ჩინური წარმოების სათამაშოები წარმოადგენს.

მსოფლიოში ზოგიერთი ჩინური წარმოების საქონლის ხარისხისა და უვნებლობის მიმართ არსებული დამოკიდებულება ობიექტურია. რასაც ადასტურებს არაერთი სკანდალი ჩინურ საქონელთან დაკავშირებით, მათ შორის ბავშვის სათამაშოებთან. ამ უარყოფითი დამოკიდებულების ერთ-ერთ მიზეზად სახელდება სათამაშოებში ჯანმრთელობისთვის საზიანო (მათ შორის აკრძალული) საღებავებისა და მასალების გამოყენება. არადა, ქართულ ბაზარზე დიდი რაოდენობითაა წარმოდგენილი ჩინური სათამაშოები, რაც დაბალი ფასების გამო, ყველასთვის ხელმისაწვდომია.

ბავშვისთვის სულ ერთია, ვისი გამოშვებულია მისი სათამაშო, მას მხოლოდ ის აინტერესებს, როგორ მღერის თოჯინა, როგორ დადის მანქანა... იგი ერთნაირი მონდომებით ფატრავს და ამტვრევს ჩინურ თუ იტალიურ სათამაშოებს და ცნობისმოყვარეობას იკმაყოფილებს. მშობლების უმრავლესობაც ცდილობს, რაც შეიძლება იაფად შეუძინოს პატარებს სასურველი სათამაშოები და ნაკლებად ფიქრობენ მათ მავნებლობაზე. შესაძლოა ფიქრობენ კიდეც, მაგრამ არ აქვთ იმის საშუალება, რომ 45 ლარი გადაიხადონ ასაწყობ კუბიკებში, მაშინ როდესაც 15 ლარად შეუძლიათ მსგავსის ყიდვა. ვიზუალურად ორივე ერთნაირია.

თუ მშობლებს არ აქვთ ფინანსური შესაძლებლობა, ბავშვებს უყიდონ მაღალი ხარისხის სათამაშოები, სახელმწიფოს ნამდვილად აქვს შესაძლებლობა, აარიდოს ბავშვებს ჯანმრთელობისთვის საშიში სათამაშოები. მაშინ, როცა ევროკავშირის მომხმარებელთა უფლებების დაცვის კომისიამ ჩინური საქონელი ჯანმრთელობისთვის ყველაზე მავნე პროდუქციად დაასახელა, საქართველოში ჩინურ საქონელზე, მათ შორის სათამაშოებზე, სახელმწიფოს მხრიდან ხარისხის და უვნებლობის კონტროლი არ ხორციელდება, რადგან ასეთი უფლებამოსილების მქონე სახელმწიფო ორგანოები — სახელმწიფო სანიტარული ინსპექცია და საქსტანდარტი, რამდენიმე წელია, გაუქმებულია და ასეთი უფლებამოსილების მქონე ორგანიზაცია არ არსებობს. არ ხორციელდება ლაბორატორიული ტესტირებაც, რადგან საკმაოდ დიდ თანხებთან არის დაკავშირებული. საქართველოში აკრედიტირებული ლაბორატორიები ხარისხის უვნებლობა-უსაფრთხოების კონტროლს არ ახორციელებენ სხვადასხვა მიზეზის, მათ შორის არაკომერციულობის, გამო.

საბავშვო სათამაშოების მაღაზიების („მეცხრე ცა“, „ბაბილინა“, „ჭიტა“) მენეჯერები აღნიშნავენ, რომ სათამაშოები, ძირითადად, ევროპის სხვადასხვა ქვეყნებიდან შემოაქვთ, თუმცა გაყიდვაში ჩინური სათამაშოებიც აქვთ. მათივე თქმით, ეს სათამაშოები მაღალი ხარისხისაა; და რომ არც სახელმწიფოსა და არც კერძო ორგანიზაციების მხრიდან არანაირი რეკომენდაცია არ მიუღიათ მათი აკრძალვის თაობაზე; ჯანმრთელობისთვის საშიში სათამაშოების ქსელში შეტანა კი მათ ინტერესებშიც არ შედის. მყიდველი ამ პატიოსან სიტყვას უნდა ენდოს, რადგან რომც მოითხოვოს შესაბამისობის სერთიფიკატი, მაინც ვერ მიიღებს, იქედან გამომდინარე, რომ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ხარისხის მონიტორინგი არ ხორციელდება.

კითხვაზე რამდენად მავნებელია ჩინური სათამაშოების შემადგენლობა ბავშვებისთვის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერების ფაკულტეტის ქიმიის დეპარტამენტში პასუხის გაცემა გაუჭირდათ, რადგან, როგორც პროფესორმა **ვაჟა ცხოვრებაშვილმა** განაცხადა, უნივერსიტეტში ასეთ კვლევებს არ ატარებენ: **„ასეთი ანალიზის ჩატარება უნივერსიტეტის ლაბორატორიებში არ ხდება. ჩვენი მოვალეობა არაა ამა თუ იმ საგნის შემცველობის უვნებლობის განსაზღვრა. ამიტომ ამაზე პასუხს ვერ გაგცემთ. სათამაშოების შემცველობას, ხარისხსა და უვნებლობას სპეციალური ორგანოები უნდა იკვლევდნენ, ეს აუცილებელიც არის, მაგრამ, როგორც ვიცი, საქართველოში ეს არ ხდება.“**

თსუ-ს მედიცინის ფაკულტეტის პედიატრიის დეპარტამენტის სრული პროფესორი **რუსუდან ქარსელაძე** კი არ გამორიცხავს, რომ უხარისხო სათამაშომ ბავშვს სერიოზული ზიანი მიაყენოს:

**„ნებისმიერი სათამაშოს ფასი მისი ხარისხის პროპორციულია. ევროპაში ეკოლოგიურად სუფთა სათამაშოები საკმაოდ ძვირია. ბავშვის კონტაქტმა უხარისხო სათამაშოებთან შესაძლოა ეკოპათოლოგიური მოვლენები გამოიწვიოს, ანუ ინტოქსიკაცია, კანის ალერგია, რესპერაციული ალერგია... გააჩნია, რაზეა საუბარი, — საღებავზე თუ შემცველობაზე, რომელიც შეიძლება ლორწოვანი გზით მოხვდეს ბავშვის ორგანიზმში. ამან, შესაძლოა, გამოიწვიოს კუჭნაწლავის დაავადებები. სასუნთქი ორგანოებისთვის სახიფათოა აქროლვადი ნივთიერება, რომელიც განსაკუთრებით დაბალი ხარისხის ბრჭყვიალა სათამაშოებს შეიძლება ახასიათებდეს.**

**ჩემი ვიწრო სპეციალობა არის ალერგოლოგია. ყოველთვის ვეკითხები მშობელს, რა იყო ალერგიის გამწვავების მიზეზი. ამ მიზეზს ყოველთვის ვეძებთ მედიკამენტებში ან საკვებში, მაგრამ ამ ბოლო დროს, აუცილებლად ვსვამ კითხვას, რამე ახალ სათამაშოსთან ხომ არ ჰქონდა ბავშვს კონტაქტი? განსაკუთრებით ვეკითხები ამას, როდესაც ბავშვებს მტვრისმიერი ალერგია აქვთ, რასაც ხშირად იწვევს ფუმფულა, გაბურძგნული სათამაშოები. მედიცინაში ეს კითხვა უკვე დადგა დღის წესრიგში. კონკრეტულად იმის თქმა, რომ ესა თუ ის დაავადება ჩინურმა სათამაშომ გამოიწვია, არ შემიძლია. მედიცინა მტკიცებულებებზე დაყრდნობით, — ასეთია მსოფლიო მედიცინის მიმართულება. ჩვენ კი ამის მტკიცებულებები არ გვაქვს იმიტომ, რომ სათამაშოების უვნებლობის ხარისხის კვლევა არ ხდება. ეს კვლევა საკმაოდ ძვირადღირებულია და, თუ ვინმე არ შეუკვეთავს, ლაბორატორია არ ჩაატარებს...“**

**ნანა ლაღაძიშვილი**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# ბოლნისი — IV საუკუნე

## ბოლნისის ხევი

**მას შემდეგ, რაც მდინარე ქციის მარცხენა სანაპიროს თრიალეთის საზღვრებამდე ავყევით, უკან უნდა გამოვბრუნდეთ, თორემ ქციის მარჯვენა სანაპირო და მისი შენაკადების შემოგარენი უნახავი დაგვრჩება. თანაც, ქციიდან სამხრეთით ხომ ქვემო ქართლის უძველესი მიწები და ასევე უძველესი, ბრწყინვალე ძეგლებია.**



ბოლნისის სიონი. აღმოსავლეთ ფასადი.



პეროზ ნახპეტი და მისი ჯვარი



დღევანდელი ბოლნისის მიდამოებში ადრე, ძირითადად, სოფელი ყორანთა იყო, XIX საუკუნეში კი დაბა ლუქსემბურგი გაშენდა. 1943 წელს მას ბოლნისი დაერქვა და 25 წლის შემდეგ ქალაქად იქცა. ქალაქის თავზე წამომართულ მთაზე მდგარ ეკლესიას ყორანთის საყდარი ჰქვია. იგი XII საუკუნის ტაძარია და ვახუშტი ბატონიშვილის დროს წმინდა გიორგის სახელობისა ყოფილა. ვახუშტი ამ ეკლესიას ორჯერ ახსენებს, ერთხელ ქვემო ქართლის და მეორედ იმერეთის აღწერისას. მისი თქმით, წმინდა გიორგის ის ჯვარი, რომელიც მთავარმოწამის ბეჭის ძვალს ინახავდა, თავდაპირველად სწორედ ყორანთაში მდგარა. აქედან იგი ჯერ სამცხეში გადაუტანიათ, მერე შიდა ქართლის სოფელ ატოცში და ბოლოს ჩხარში, იმერეთში: **„მდებარეობს მას შინა ბეჭი მთავარმოწამის წმიდის გიორგის, მარადის სასწაულმოქმედი“.**

ყორანთიდან ხელისგულივით მოჩანს ვრცელი მიდამო და მასთან ერთად ფოლადაურის ხეობაც, სადაც ნამდვილი, ისტორიული ქალაქი ბოლნისი იყო გაშენებული.

როგორც ფიქრობენ, ტოპონიმი „ბოლნისი“ სიტყვა „ბოვიდან“ მომდინარეობს, რაც სულხან-საბას განმარტებით **„ილეკროს** (ანუ ლითონის) **პირველად გამოსადნობელს“** ნიშნავს. იგი ამასთანავე დასძენს: **„ბოვი ეს არს, სადა ოქრო, ვერცხლი, ბრპენი, სპილენძი და მისთანანი ითხრების და გამოიდნობის“.** თუ გავითვალისწინებთ, რომ ძველი ბოლნისიდან დასავლეთით, კაზრეთში, სპილენძი და ოქრო მოიპოვება, ხოლო აღმოსავლეთით არსებულ მცირე ხევს 1800 წლამდე სარკინეთი ერქვა, მაშინ დასახელება ბოლნისის „ბოვიდან“ წარმომავლობა ეჭვს აღარ გამოიწვევს. ამასვე ადასტურებს გვიანი შუასაუკუნეების საბუთებში შემორჩენილი ტერმინები „ბოვნელი ეპისკოპოსი“, „ბოვნელი გლეხი“, “ბოვნელთა მიწები” და ა.შ.

სახელწოდება ბოლნისი უძველეს ქართულ საისტორიო თხზულებაში „მოქცევაი ქართლისაის“ კრებულში (VIII-IX სს.) გვხვდება პირველად, მერე კი ლეონტი მროველის „მეფეთა ცხოვრებაშიც“ (XI ს.) მოჩანს. ორსავე შემთხვევაში იგი დაკავშირებულია IV საუკუნის ქრონიკებთან — ტაძრის მშენებლობასთან. მაგრამ არც ერთ ამ თხზულებაში, საუბარი არ არის აქავე დაარსებულ ქალაქზე, რომელსაც ვახუშტი ბატონიშვილი ახსენებს: მდინარე ფოლადაური რომ მაშავერას ერთვის, **„ამას ზედა არს მცირე ქალაქი ბოლნისი“.** როგორც არქეოლოგიურმა კვლევებმა დაადასტურა, ეს მცირე ქალაქიც მაშინ არის აშენებული, როცა ბოლნისის სიონი აიგო. მაგრამ ვის უნდა აეგო ეს ქალაქი და მისი ცნობილი ტაძარი?

ყველა სავარაუდო გზას მივყავართ IV საუკუნის სპარს დიდგვაროვან პეროზთან, რომელიც მირიან მეფემ მოიყვანა და რანის ერისთავად დაადგინა ხუნანიდან ბარდავამდე. ამავე დროს, მირიანმა მას თავისი ქალიშვილი მიათხოვა. აქ ძალიან საინტერესოა ფრაზა, რომლითაც ლეონტი მროველი (უთუოდ ძველ წიგნთაგან გადმოწერით) ხსნის პეროზის ვინაობას **„მოიყვანა სპარსეთით თვისი მისი ნათესავი მეფეთა“** (გამოთქმა „თვისი მისი“ ძალიან ახლობელს, სისხლისმიერს ნიშნავს და ამდენად ფრაზა „ნათესავი თვისი მისი“ უნდა გავიგოთ, როგორც მისი ახლობელი, სისხლისმიერი ნათესავი. ჩვენ გამოთქმა „თვისი“-ს ქვევითაც შევხვდებით). ეს ამბავი ქართლის ოფიციალურ გაქრისტიანებამდე ხდება. რანის ერისთავი მირიანისა და წმ. ნინოს ცხოვრებაშიც არ გაქრისტიანებულა, მაგრამ ამის შემდეგ ტახტზე ადის პეროზის ცოლისძმა, ბაქარ მირიანის ძე, რომელიც, სომეხთა ექსპანსიის შესაჩერებლად, სწორედ პეროზს მოიშველიებს. ბაქარი მას რანის ქვეყანას სამშვილდის ქვეყანაში გაუცვლის და იქ დაადგენს ერისთავად. სამშვილდის ქვეყანა ნამდვილად ჯობს რანს, თანაც ბაქარი დის ქმარს დიდ უფლებებს ანიჭებს სომხებთან დაპირისპირების სანაცვლოდ. ასეთ შემთხვევაში პეროზი გაქრისტიანდება: **„მაშინღა ნათელ-იღო ფეროზ და ერმან მისმან და მოირთეს ძალი ხუასროსაგან და ეწყვნეს სომეხთა ჯავახეთს. სძლიეს და აოტნეს სომეხნი“.** ერთი სიტყვით, ეს პეროზი, ლამის მეფისტოლა კაცია, ქვემო ქართლის და ჯავახეთის ბურჯია. იგი ძირითადად სამშვილდეში ზის, მაგრამ ახალ ციხე-ქალაქებს აშენებს და ქვეყანას აღაშენებს. უეჭველად მისი აშენებულია ციხექალაქი ბოლნისიც, რომელიც ბოლნისის სიონის ახლოს მდებარეობდა. ამ ციხე-ქალაქის ნაშთები, რომელიც სწორედ გვიან ანტიკური ხანით თარიღდება, 1957-62 წლებში აღმოჩნდა. აქედან ჩრდილო-დასავლეთით, დაახლოებით 700-800 მეტრში, „ლამაზ გორად“ ცნობილ ტერიტორიაზე, სხვა ნაგებობებთან ერთად, არქეოლოგებმა მიაკვლიეს მე-8 საუკუნეში გადაკეთებული გაცილებით ძველი ეკლესიის ნაშთებს. დღეს ამ ნაეკლესიართაგან ერთ-ერთი, ბოლნელი ეპისკოპოსის ეფრემის კურთხევით აღდგა და მოქმედი შეიქნა. სწორედ „ლამაზ გორის“ ერთ-ერთი ნაეკლესიარის ნიშში იყო ჩატანებული ორივე მხრიდან გამოქანდაკებული ფილა, რომელიც ამჟამად საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში ინახება. ერთ მხარეს გამოკვეთილია ზუსტად ისეთივე „ძლევის ჯვარი“ (ანუ, როგორც მერე ეწოდა, „ბოლნური ჯვარი“), როგორიც ბოლნისის სიონის კედლებს ამშვენებს (მაგალითად ვარდან ნახპეტის ჯვარი). ფილის მეორე მხარეს გამოსახულია დიდი საერო პიროვნება, რომელსაც სასანური ირანისათვის დამახასიათებელი დიდებულის ვარცხნილობა აქვს და ხელთ ინსიგნიები — სატევარი და ქარქაში უპყრია. შეიძლება ჩაითვალოს, რომ ვარცხნილობაც ერთგვარი ინსიგნიაა. ხელოვნებათმცოდნე ჯუანშერ ამირანაშვილი, მხატვრული ანალიზის საფუძველზე, ასეთ დასკვნამდე მივიდა: სასანურ სახვით ხელოვნებაში მაღალი დონის იერარქიული პიროვნების მარჯვენა პროფილით წარმოსახვა მისი აბსოლუტური დამოუკიდებლობის ნიშანია, მარცხენა პროფილით წარმოსახვა — ვასალობის ნიშანი, ხოლო ანფასით წარმოჩენა — სანახევრო დამოუკიდებლობის. „ლამაზგორის“ პორტრეტი ანფასშია. ჯუანშერ ამირანაშვილმა ივარაუდა, რომ ეს პიროვნება ვარსქენ პიტიახში შეიძლება ყოფილიყო. რამაზ პატარიძის აზრით კი იგი უფრო უფალთ-უფალი პეროზ ნახპეტი და მისი ჯვარია, რამეთუ ვარსქენი ქრისტიანობის მოღალატეა, ხოლო პეროზი, პირიქით — ქრისტიანობის დამცველი. თანაც, მხატვრული ანალიზის საფუძველზე ნაპოვნი ფილა IV საუკუნეს უფრო შეეფერება.



წუღრუღაშენის ტაძარი. დასავლეთ ფასადი.

რამაზ პატარიძემ, გარდა ამისა, ბოლნისის ტაძრის ორი უძველესი წარწერა ჩრდილოეთ ფასადის ორ არქიტრავზე 357 და 392 წლებით დაათარიღა. ტაძარი აუშენებია სწორედ პეროზ უფალთ-უფალს (იგივე ნახპეტს, იგივე პიტიახშს, იგივე ერისთავთ-ერისთავს), მერე დანგრეულა, მაგრამ IV საუკუნის ბოლოს აღუდგენია იმავე პეროზის შთამომავალს — ფარსმანს, რომელიც მცირე ხნით ქართლის ტახტზეც აღზევდა. ეს ორი წარწერა ასე იკითხება:

1) **შეწევნითითა წმიდისა სამებისაითა. უფალთ-უფლისა პეროზ მეფეთა თვისისა ნახპეტობასა** (ე.ი. პეროზის — ქართლის მეფეთა ახლობლის, გნებავთ სიძის — ნახპეტობის დროს. — გ.ქ.) **ხიწყო წმიდისა ამის ეკლესიაისაი და ათხუტმეთ წლისა ჟამეულსა აღხეშენა. ჯუარსა ქრისტეისა ვინა აქა შინა თავყანისხცეს, ღმერთ მან შეიწყალენ და ვინ ამისა ეკლესიაისა მშრომელსა ბოლნელსა ეპისკოპოსსა ხუცლოცოს, იგიცა ღმერთმან შეიწყალენ. ამენ!“**

2) **„შეწევნითა ქრისტეისითა მე ფარსმან ერისთავმან და აზარუხტ შეხუაბთ ესე კარი სალოცველად სულთა ჩუენთათვის“.**

მესამე, აღმოსავლეთ ფასადის წარწერა, გვიანდელი დროით, 532 წლით დაათარიღა რ. პატარიძემ: **„ქრისტე, დავით ეპისკოპოსი კრებულითურთ და ამას ეკლესიასა შინა შენდა მიმართ თავიყანისცემელნი შეიწყალენ და მშრომელთა ამას შინა ეკლესიასა შინა შეხეწიე. ი.ი.“** (ბოლნისის ტაძრის ამ სამი უმთავრესი წარწერის თაობაზე უფრო ვრცლად წაიკითხეთ ჟურნალი „ისტორიული მემკვიდრეობა“ 2010 წ. №2).

ბოლნისის სიონში კიდევ მრავალი ლაპიდარული წარწერაა, ზოგი — ფრაგმენტული და ადრინდელი, ზოგიც — შედარებით სრული და გვიანდელი. ეს გვიანდელი წარწერები X საუკუნით თარიღდება. ისინი ამ ეკლესიის წინამძღვარს ელიას და ბოლნელ ეპისკოპოს თევდორეს ეკუთვნით. მათში ასევე დასახელებულნი არიან დავით და აბულ მამფალები და გურგენ ერისთავი.

* * *

ბოლნისის სიონის მახლობლად ადრეშუასაუკუნეების კიდევ ორი ტაძარია, მაგრამ მათ შესახებ სხვა წერილში ვისაუბრებთ, ახლა კი სიონიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით 2 კილომეტრში, მდინარე ფოლადაურის მეორე ნაპირზე მდგარ სულ სხვა ეპოქის, სახელდობრ XIII საუკუნის ბრწყინვალე ხუროთმოძღვრულ ნიმუშს — წუღრუღაშენის წმინდა გიორგის ჯვარ-გუმბათოვან საყდარს შევავლოთ თვალი. წუღრუღაშენის ტერიტორიას ადრე გუნბადი რქმევია (სხვათაშორის, ასეთივე დასახელების ადგილს — გუნბადს, ვხვდებით ზესტაფონის რაიონშიც და იქაც ჯვარგუმბათოვანი ტაძარი დგას, ოღონდ უფრო მცირე და უფრო ადრინდელიც, X-XI საუკუნეებისა).

წუღრუღაშენიდან ხელისგულივით მოჩანს ფოლადაურის ხეობა, სადაც 1234 წელს უკანასკნელად მოიქნია კუდი ჯალალ-ედინმა. თავდაპირველი შეტაკება ნაჭარმაგევიდან მოსული ქართული ლაშქრის გამარჯვებით დასრულდა, მაგრამ საბოლოოდ მაინც ხვარაზმელებმა მოიგეს ომი. რუსუდან მეფე ლიხთიმერეთს გადავიდა, ჯალალედინი კი თბილისში შემოვიდა, მაგრამ ეს მისი საბოლოო გამარჯვება იყო. მან თბილისში დიდხანს ველარ დაჰყო, რადგან საქართველოს ამჯერად თათარ-მონღოლები მოადგნენ...

წუღრუღაშენის ტაძარი ლაშა გიორგის მეფობაში აუგიათ და იგი წმინდა გიორგის სახელზე უკურთხებიათ. ამას ადასტურებს სამკაულებით აელვარებული საყდრის დასავლეთ კედლის მოზრდილი წარწერა: **„სახელითა ღმრთისაითა და მეოხებითა წმიდისა ღმრთისმშობლისა, ძლიერებით წმიდისა გიორგის ხუთშაბათის ჯვარისაითა, მეფობასა შინა დიდისა გიორგი მეფეთ-მეფისა, მიწამან მეფობისამ მათისამან, არსენის ძემან ჰასან დავიწყე შენებაი ტაძარსა გუნბადს, მამულსა ჩემსა უწყებითა და გამოცხადებითა ამისვე მთავარმოწამისა მიერ სადიდებლად ღმრთისა“.**

თითქმის იგივე შინაარსის წარწერა ყოფილა სამხრეთ შესასვლელის არქიტრავზე, რომელიც დღეს სანახევროდაც აღარ იკითხება.

წუღრუღაშენის ეკლესია, რომელიც ამ ეპოქის ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი ჩინებული ნიმუშია, უწინარესად გუმბათის მაღალი ყელით და მასზე შესრულებული ჩუქურთმების დიდი სიღრმით გამოირჩევა.

ქვემო ქართლში არსებულ არცთუ ისე მრავალ გუმბათიან ტაძართა შორის (მანგლისი, ბეთანია, ახტალა, ჰუჯაბი, ფიტარეთი, წუღრუღაშენი) წუღრუღაშენი ყველაზე მეტ სიახლოვეს ფიტარეთის ტაძართან იჩენს, მაგრამ იგი მაინც ძალზე თავისთავადი და მეტყველია. ეს ეკლესია არც თუ ისე დიდი ხანია დანგრევას გადაარჩენს რესტავრატორებმა. დღეს იგი მოქმედი საყდარია.

**გელა ქოქიაშვილი**

**ავტორის ფოტოები**



ყორანთა. აღმოსავლეთ ფასადი.

საქართველო
გსურთ, გაგვიზიარეთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# დასავლეთ საქართველო XVIII საუკუნის 70-80-იან წლებში

დასასრული. დასაწყისი იხ. №11

**XVIII ს. მეორე ნახევრის დასავლეთ საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ სამთავროები, რომელთა არსებობაც თავისებურ დაღს ასვამდა დასავლეთ საქართველოს საგარეო და საშინაო ცხოვრებას. თითქმის შეუწყვეტლივ მიმდინარეობდა ომი დასავლეთ საქართველოს გაერთიანებისათვის მებრძოლ იმერეთის მეფესა და სეპარატისტ მთავრებს შორის. მთავარია თავგამოდებული ბრძოლა „სახელმწიფოს" შენარჩუნებისათვის ობიექტურად ეხმარებოდა თურქ დამპყრობლებს დასუსტებული ქვეყნის დამონების საქმეში. ქვეყნის გაერთიანებისათვის მებრძოლი მეფის წინააღმდეგ მთავართა და მსხვილ ფეოდალთა კავშირი ხშირად შეკრულა, საგარეო მტრის წინააღმდეგ ერთიანი გამოსვლა კი მთავრებს არც უცდიათ.**



საქართველო XVIII საუკუნეში

მიუხედავად ამისა, XVIII ს. მეორე ნახევრის დასავლეთ საქართველოში პროგრესულ და რეაქციულ ძალთა ჭიდილი ძირითადად პროგრესული ბანაკის გამარჯვების ნიშნით მიმდინარეობდა. მეფის ხელისუფლებას ამ ბრძოლაში საგრძნობლად უწყობდა ხელს ეკლესია, რომელიც ქრისტიანულ სარწმუნოებას იცავდა და მაჰმადიანობას უპირისპირდებოდა. დასავლეთ საქართველოს ეკლესიის უზენაესი საჭეთმპყრობელი — იმერეთის კათალიკოსი მეფის გვერდით იმყოფებოდა და რელიგიური თუ წმინდა ეკონომიკური მოსაზრებებით მეფის მხარეზე იყო. მიუხედავად იმისა, რომ მთავრები XVIII ს. 70-იან წლებამდე (და ზოგ შემთხვევაში შემდეგაც) თავს სულთნის ვასალებად აღიარებდნენ, ამ ვასალობას მეტად თავისებური ფორმა ჰქონდა: არც ერთი მთავარი, გარდა აფხაზეთის მთავრისა, არ გამაჰმადიანებულა. სულთანი იძულებული ხდებოდა, ქართველთაგან აღებული ხარკით დაკმაყოფილებულიყო და ამ სამთავროთა ინკორპორაციაზე უარი ეთქვა.

სეპარატისტ მთავართა პოლიტიკურ კურსზე XVIII ს. მეორე ნახევარში მნიშვნელოვანი გავლენა იქონია იმან, რომ მთელ ამ პერიოდში, განსაკუთრებით კი, 60-იანი წლებიდან, გაძლიერდა თანამშრომლობა „ზემო" და „ქვემო" ივერიას, „დიდ საქართველოსა" და „მცირე საქართველოს" შორის. ეს თანამშრომლობა კიდევ უფრო გააძლიერა ამიერკავკასიაში ახალი ძალის — რუსეთის იმპერიის გამოჩენამ. ხელსაყრელი იყო საგარეო ვითარებაც: თურქეთის იმპერია მწვავე კრიზისს განიცდიდა და შავი ზღვის აუზში ჰეგემონიას კარგავდა. დასავლეთ საქართველოს მთავრებს შორის უძლიერესი იყო სამეგრელოს მთავარი. დადიანი სამეგრელოსთან ერთად ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთსაც ფლობდა. მისივე ვასალი იყო სამურზაყანოს მფლობელი შარვაშიძე.

დადიანს იმ დროს 6-8 ათასი მოლაშქრის გამოყვანა შეეძლო. თანამედროვის მოწმობით, დადიანი XVIII ს. 80-იან წლებში ისეთი თვითმპყრობელი არ იყო, როგორც იმერეთის მეფე სოლომონ პირველი: სამთავროს ცალკეულ ნაწილებს ბატონიშვილები ფლობდნენ და როცა დადიანს ჯარის შეყრა უნდოდა, იგი იძულებული ხდებოდა, ბატონიშვილებისა და თავადებისათვის თხოვნით მიემართა. მიუხედავად ამისა, დადიანი ფეოდალთა ურთიერთმტრობით სარგებლობდა და სამთავროს საერთო საქმეებს განაგებდა. გურიის მთავარი, მართალია, ენერგიულად იბრძოდა ოსმალო დამპყრობლების წინააღმდეგ, მაგრამ მან იმერეთის მეფესთან ურთიერთობა ვერ მოაგვარა, ხელმწიფობისთვის ბრძოლაზე ხელი არ აიღო, ამას კი სამთავროს მოსახლეობისათვის დიდი ზიანი მოჰქონდა. სვანეთი ამ დროსაც საქართველოს ცენტრალურ რაიონებთან შედარებით ნაკლებად დაკავშირებული და უფრო კარჩაკეტილი მხარე იყო. სვანურ თემებსა და საგვარეულოებს შორის გაუთავებელი შუღლი და მტრობა სუფევდა. საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში სვანეთის მოსახლეობის უმეტესი ნაწილის მონაწილეობა მეტად სუსტი იყო. ასეთი ვითარების შედეგს წარმოადგენდა სვანეთის ეკონომიკური და კულტურული დაქვეითებაც. მთელი XVIII საუკუნის განმავლობაში მთავრები ორმაგ პოლიტიკას აწარმოებდნენ. პოლიტიკური სიტუაციის მიხედვით, ისინი ხან სულთნის ხელმწიფობას ცნობდნენ, ხან — იმერეთის მეფისას.

კაცია დადიანი, რომელიც უფრთხოდა სოლომონ პირველის გაძლიერებას, 1752 წელს მხარში ედგა ტახტისათვის მებრძოლ მამუკა ბატონიშვილს. სოლომონი იძულებული გახდა, ძლიერი მთავრისათვის ანგარიში გაეწია. იგი პირველ ცოლს — შარვაშიძის ასულს — გაეყარა და კაცია დადიანის და მარიამი შეირთო. ამან სამეგრელოს სამთავრო იმერეთს დაუახლოვა, თუმცა დადიანი მეფეზე დამოკიდებული არ გაუხდია; 1757 წელს ხრესილის ომში დადიანი მეფის გვერდით იდგა, მაგრამ, როგორც კი 1765 წელს დადიანმა ერეკლე II და — ელისაბედი ცოლად შეირთო და ძლიერი მფარველი გაიჩინა, კვლავ განუდგა მეფეს. ამას დაერთო სოლომონ I მიერ დადიანის ბიძების — რაჭის ერისთავ როსტომისა და ბესარიონ კათალიკოსის დასჯა. დადიანმა ბესარიონ კათალიკოსს თავშესაფარი მისცა, იგი სამეგრელოს კათალიკოსად გამოაცხადა და ამით იმერეთის მეფეს აშკარად დაუპირისპირდა. რუსეთ-თურქეთის 1768-1774 წლების ომის დროს რუსეთის მთავრობა, გარკვეული პოლიტიკური მიზნით, სამთავროებს იმერეთის მეფისგან დამოუკიდებელ სამფლობელოებად ცნობდა და მათთან უშუალო დიპლომატიურ კავშირს ამყარებდა. იმერეთის ელჩი რუსეთში ბევრს ცდილობდა, რომ რუსეთის მთავრობისათვის ასეთი ნაბიჯის გადადმაზე ხელი აეღებინებინა.

რუსეთის ჯარის იმერეთში ყოფნის დროს დადიანმა ტოტლებენს დამხმარე რაზმი გაუგზავნა თავისი ძმების სარდლობით, მასვე გაუგზავნა თურქთა მიერ მიტოვებული ანაკლიისა და რუხის ციხეების გასაღებები და ზარბაზნები. მან ქვემო ფოთისკენ თურქთა დამხმარე რაზმის წამოსვლაც აცნობა ტოტლებენს, მაგრამ თურქთა წინააღმდეგ მთელი ძალითა და მონდომებით არ გამოსულა. როგორც ჩანს, დადიანს ტოტლებენის წარმატების იმედი არ ჰქონდა და თურქეთის მტრად მოკიდებას ერიდებოდა. ამ დროს იმერეთ-სამეგრელოს მორიგებას დიდად შეუშალა ხელი ტოტლებენმა, რომელმაც ერთმანეთს წაჰკიდა მეფე-მთავრები. საქართველოდან რუსთა გასვლისთანავე დადიანმა გააძლიერა სოლომონისადმი მტრობა. მან ლეჩხუმს ქვემოთ მდებარე იმერეთის რამდენიმე სოფელი და ციხე დაიკავა, ხოლო 1773 წ. მაისში მეფის ხელში მყოფი რაჭა მოარბია.

იმავე წელს დადიანმა უარი თქვა, შეერთებოდა ერეკლე მეორესა და სოლომონის სამეგობრო ხელშეკრულებას. დადიანსა და მეფეს შორის მორიგება მხოლოდ 1776 წელს მოხდა. სოლომონის მოთხოვნით დადიანმა აკრძალა ტყვის ყიდვა და ხელი აიღო იმერეთის კათალიკოსისადმი ურჩობაზე. ამ დროიდან, ვიდრე სოლომონ I სიკვდილამდე, სამეგრელოს სამთავრო მჭიდროდ იყო დაკავშირებული იმერეთის მეფესთან. ხანგრძლივი ბრძოლა დასჭირდა იმერეთის მეფეს გურიის მთავრის დასამორჩილებლადაც. 1756 წელს მამია IV გურიელი სოლომონმა „ღალატის" გამო გურიიდან გააძევა. მამია თავის ბიძასთან — ნიკოლოზ შემოქმედელთან ერთად რაჭას გადავიდა, იქიდან შემოქმედელი ერეკლე მეორეს აახლა და დახმარება სთხოვა. გურიელმა კვლავ დაიბრუნა ხელისუფლება, მაგრამ ახლა უკვე იძულებული გახდა, სოლომონ პირველის მორჩილი ყოფილიყო. 1765 წ. გურიაში ჯარით შემოსულმა ახალციხის ფაშა ჰასანმა მამია განდევნა და მთავრად მისი ძმა გიორგი დასვა. ამის შემდეგ, 1771 წ. იანვრამდე, მამია IV სოლომონ პირველის კარზე იმყოფებოდა.

ტოტლებენის ჯარის იქ ყოფნის დროს გურიის მთავარმა გიორგი V რუსებთან ურთიერთობა გააბა, მაგრამ თურქეთის სიახლოვის გამო მეტად ფრთხილად მოქმედებდა. გურიელი მხოლოდ მას შემდეგ დადგა აშკარად რუსთა მხარეზე, როცა რუსთა ჯარმა 1771 წ. 3 იანვარს ფოთის მახლობლად თურქთა ლაშქარი დაამარცხა. უკანდახეული თურქები გურულებმა ერთიანად ამოჟლიტეს, ხოლო თურქთა მოკავშირე ლეკთა ბელადის თავი გიორგი გურიელმა ტოტლებენს გაუგზავნა. იმავე თვეში სოლომონი გურიაში შევიდა და კვლავ მამია IV გაამთავრა. ამის შემდეგ სოლომონის სიკვდილამდე გურია იმერეთის მეფის მორჩილებიდან არ გამოსულა. 1776 წელს კვლავ გამთავრებულმა გიორგი V საეკლესიო საქმეები მოაწესრიგა და ტყვის ყიდვა აკრძალა.

სოლომონის გარდაცვალების შემდეგ (1784) მთავრებმა თავი აიშვეს და ისევ გააჩაღეს ურთიერთმტრობა. ამით თურქებმა ისარგებლეს და ქვეყანას შემოუტიეს. გახშირდა ჩრდილოეთიდან თავდასხმები სამეგრელოზე, სამხრეთიდან — გურიის სამთავროზე. თურქეთი მოხერხებულად იყენებდა გამაჰმადიანებულ ქართველ ფეოდალთა განდიდების სურვილებს და ერთიმეორეს უსევდა მათ ან საქართველოს სხვა მხარეებზე ალაშქრებდა. თურქეთის მიერ წაქეზებული ჭანი ფეოდალები სულთანს ურჩ აჭარას უმორჩილებდნენ, აჯანყებულ ჭანებს აჭარელი ფეოდალები არბევდნენ, ქობულეთის მხარის თურქთაგან დაპყრობაში კი მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს თვით ქვემო გურიისა და აჭარის გამაჰმადიანებულმა ფეოდალებმა. ასეთი იყო დასავლეთ საქართველოს მთავართა და სხვა ფეოდალთა როლი საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში.




გამოვიდა სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალის
«ისტორიული მემკვიდრეობა»
მეხუთე ნომერი

ჟურნალი დღევანდელობის აქტუალურ საკითხებსაც ეხმიანება და ქვეყნის ახლო თუ შორეულ წარსულსაც ვრცლად მიმოიხილავს. პრობლემები, რომლებზეც „ისტორიული მემკვიდრეობის" ფურცლებზე მსჯელობენ, უთუოდ მიიქცევს მკითხველთა ყურადღებას, რადგან „ისტორიული მემკვიდრეობა" საქართველოს წარსულსა და აწმყოს ობიექტურად ასახავს.

ჟურნალის რედაქტორია თემურ ქორიძე.



არასამთავრობო ორგანიზაციამ — „ისტორიული მემკვიდრეობა" — გამოსცა ისტორიული დოკუმენტების კრებულთა სერია, რომელიც XVII-XIX საუკუნეების საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანეს მოვლენებს ეხება. კრებულები გამიზნულია მკითხველთა ფართო წრისათვის, რამეთუ პოლიტიკური კონიუნქტურის გარეშე, მხოლოდ ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობით ასახავს წარსულ სინამდვილეს. თუკი გავითვალისწინებთ ისტორიული ფაქტებით მანიპულირების მზარდ და საშიშ ტენდენციას, გამოცემა ფრიად დროული და აქტუალურია. მსურველებს კრებულების შეძენა შეუძლიათ წიგნის მაღაზიებში. დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ: 38-41-97.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

## როგორი ფილმები მოსწონთ მცენარეებს?



**ნიუ-იორკელმა მხატვარმა ჯონათან კიტსმა მცენარეებისათვის განკუთვნილი დოკუმენტური ფილმი გადაიღო. ფილმის სახელწოდებაა „უცნაური ცა“, მისი მთავარი, მეორეხარისხოვანი და ეპიზოდური როლების შემსრულებელი კი იტალიის ცაა.** ამ „მსახიობს“ რეჟისორი ორი თვის განმავლობაში იღებდა და შედეგად 6-წუთიანი ფილმი მიიღო. მერე ლონდონისა და ნიუ-იორკის გალერეებში კედლებზე ვიდეოეკრანები დაამონტაჟა, წინ ქოთნის ყვავილები დაუწყო და გამოაცხადა, ეს მცენარეები ჩემს ფილმს უყურებენო. „უცნაური ცა“ შეუძლიათ „არასრულწლოვანმა“ მცენარეებმაც ნახონ, მაგრამ კიტსის პირველი მცდელობა მხოლოდ „ზრდასრულთათვის“ იყო განკუთვნილი. მაშინ მან თავისი ერთგული აუდიტორიისათვის პირველი პორნოგრაფიული ფილმი გადაიღო, რომელშიც ფუტკრების მიერ მცენარეთა დამტვერვის პროცესი ყოველგვარი ცენზურის გარეშე იყო ასახული.

## რა დილემის წინაშე დგანან ძაღლის პატრონები?



**ნიუ-ჯერსიში კანონმდებლებს საქმე მიეცათ — მას შემდეგ, რაც პატარა ქალაქ პისკატაუეის მერიამ ძაღლების ყეფით შეწუხებული მოსახლეობის უამრავი საჩივარი მოაგროვა, გადაწყდა, პრობლემა ცალკეულ შემთხვევებში კი არა, ერთბაშად და ყველასათვის მოეგვარებინათ.** ჰოდა, არც აციეს, არც აცხელეს და მიიღეს კანონი, რომლის მიხედვითაც ადამიანის ოთხფეხა მეგობრებს ხმამაღლა ყეფა აეკრძალათ. ახლა დილემის წინაშე ძაღლების მეპატრონეები დგანან — ვერაფრით გაუგიათ, როგორ შეაგნებინონ თავიანთ საყვარელ ცხოველებს, რომ სულ თუ არ დამუნჯდებიან, ცოტა ხმადაბლა მაინც იყეფონ. არადა მოუწევთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ყველა დაყეფებაზე 40-დან 600-დოლარამდე ჯარიმას გადაიხდიან. თავიდან ძაღლებს მოგუდულად მხოლოდ ღამ-ღამობით უნდა ეყეფათ, შემდეგ კი კანონი გამკაცრდა და ამჯერად ხმის შეზღუდვა 24-საათიან რეჟიმში მოქმედებს.

## ყველაზე მაგარი ბებო



**76 წლის საკინატ ხანაპიევას თავიც კი არასდროს სტკენია.** ცხოვრებაში არასდროს არანაირი წამალი არ დაულევია, ექიმთან არასდროს ყოფილა და არც ერთი საავადმყოფოს მისამართი არ იცის. სამაგიეროდ, მშვენივრად ერკვევა სპორტულ აღჭურვილობებში და თავშესაქცევად, ძირითადად, მძიმეწონიან გირებს იყენებს. სხვა გასართობებიც აქვს; მაგალითად, 50-კილოგრამიანი ტვირთით ლურსმნებზე შედგომა ან მეტალის ჯოხების ხელზე გადახვევა. ბებომ თვითონაც არ იცოდა, რომ, როგორც მსოფლიოში ყველაზე ძლიერი, გინესის რეკორდების წიგნში მოხვდა. ვიდრე ქალაქის მერია რამეს მოიფიქრებდა, საკინატმა სულ რამდენიმე საათში დაღუნა მეტალის კუთხედები და თავისი ქალაქის სახელწოდება **კიზილიურტი** „დაწერა“. ახლა მისი „ნამუშევარი“ ქალაქის შესასვლელს ამშვენებს. სპორტული რეკორდების გარდა, მას აქვს თავისი ცხოვრების უმთავრესი რეკორდი, რომლითაც გულწრფელად ამაყობს — 8 შვილი.

# ობამამ აშშ-ის ვალი 2 ტრილიონით გაზარდა

**ფინანსთა სამინისტროს უკანასკნელმა ანგარიშმა აჩვენა, რომ ობამას გაპრეზიდენტებიდან ამ დრომდე აშშ-ის სახელმწიფო ვალი 2 ტრილიონი დოლარით გაიზარდა.**



ახლა შტატებს სულ 12,6-მილიარდიანი ვალი აქვს, როდესაც ბატონი ობამა ქვეყნის მმართველობას შეუდგა, ეს მაჩვენებელი 10,6 ტრილიონს უტოლდებოდა.

**რეკორდი ჯერჯერობით მაინც ჯორჯ ბუშ უმცროსს ეკუთვნის, მან თავისი მმართველობის მანძილზე სახელმწიფო ვალი 4,9 ტრილიონი დოლარით გაზარდა; მაგრამ, მეორეს მხრივ, ვალის ორი ტრილიონით გაზრდისათვის დაახლოებით ოთხი წელი დასჭირდა, ობამას იგივე შედეგის მისაღწევად ზუსტად 421 დღე ეყო.**

ობამას ადმინისტრაცია ჩვეულებისამებრ ადანაშაულებს ბუშისას, მათგან მივიღეთ მემკვიდრეობით გადახარჯული ბიუჯეტი, მათგან დაიწყო რეკორდული გადახარჯვები და ვალების ზრდა, შემდეგ კი ეს ყველაფერი ახალ პრეზიდენტს უბრალოდ ზღურბლზე მოუყარესო.

„თანამდებობაზე მოსვლისთანავე შევეჯახე უდიდეს დეფიციტს, რაც ორი ომის ხარჯის გადაუხდელობით, გადასახადების ორჯერ შემცირებითა და წამლების რეცეპტით გაცემის ძვირადღირებული პროგრამით იყო განპირობებული“, — განაცხადა ობამამ კორპორატიული ხელმძღვანელების საქმიან კონფერენციაზე. „როდესაც ჩვენ მუშაობას შევუდექით, 1,3 ტრილიონი დოლარის დეფიციტი გვქონდა, მომავალი ათწლეულის განმავლობაში პროგნოზირებული სახელმწიფო ვალის დონე კი 8 ტრილიონ დოლარს შეადგენდა. რეცესიით გამოწვეულმა დანაკარგებმა კიდევ უფრო ღრმა ორმოში ჩაგვფლო. ეკონომიკის მხარდასაჭერად შარშან გადადგმული ნაბიჯებიც ლოგიკურად დაემატა მიმდინარე დეფიციტს და იმ 8-ტრილიონიან ვალთან შედარებით, რომელიც მემკვიდრეობით გვერგო, ერთი ტრილიონი დოლარი შეადგინა“, — უთხრა ობამამ კომპანიების ხელმძღვანელებს.

**2011 წლის ფედერალურ ბიუჯეტში ადმინისტრაციამ გააკეთა პროგნოზი, რომლის მიხედვითაც 2020 წლისათვის საერთო ნაციონალური ვალი 25 ტრილიონ დოლარს მიაღწევს. 2012 წლის დასაწყისში კი სახელმწიფო ვალი საერთო შიდა პროდუქტის 100%-ს გადააჭარბებს.**

ობამა დარწმუნებული იყო, რომ პოლიტიკოსებს არ შეუძლიათ მკაცრი გადაწყვეტილებების მიღება ყოველწლიური დეფიციტების შესამცირებლად და სახელმწიფო ვალის ზრდის შესანელებლად. ამიტომ ხელი მოაწერა აღმასრულებელ ბრძანებულებას რეფორმირებისა და საგადასახადო პასუხისმგებლობის ნაციონალური კომისიის შექმნის თაობაზე. კომისია ხელისუფლებისთვის შეიმუშავებს რეკომენდაციებს 2015 წლიდან ბიუჯეტის ბალანსის კუთხით, ნაციონალური ვალის საპროცენტო გადასახადების გამორიცხვით. კომისიის შემაჯამებელი ანგარიშისთვის კენჭისყრის უკიდურეს თარიღად ობამამ 1 დეკემბერი დაასახელა.

„CBS NEWS“

# ბარაკის საერთაშორისო კრახი

**როდესაც ვიცე-პრეზიდენტ ჯოზეფ ბაიდენის ვიზიტისას ისრაელის პრემიერ-მინისტრ ბინიამინ ნათანიაჰუს მთავრობამ დასავლეთ სანაპიროზე საცხოვრებელი სახლების მშენებლობის პროექტის თაობაზე განაცხადა, ობამას ადმინისტრაცია დაუყოვნებლივ შეუდგა მის განსჯას. ნათანიაჰუ შეეცადა, მიყენებული ზარალი გაებათილებინა და სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმაც მაშინვე დაიტრაბახა, აშშ-ის მოკავშირის სახალხო კრიტიკამ დადებითი შედეგი გამოიღო და 14-თვიანი წარუმატებლობის შემდეგ ახლო აღმოსავლეთში მოლაპარაკებების განახლების საქმეს დაეხმარაო.**



რამდენიმე დღეში მოსკოვში ვიზიტისას რუსეთის პრემიერ-მინისტრმა ვლადიმერ პუტინმა აშშ-სა და სხვა ქვეყნების მხრიდან ირანის წინააღმდეგ სანქციების დაწესების საქმეში გაუბედავი ქმედების პერიოდში განაცხადა, რომ მოსკოვი თეირანს ბუშერას რეაქტორის ამოქმედებაში დაეხმარება. **კლინტონმა კი არა მხოლოდ თავი შეიკავა სახალხო კრიტიკისაგან, არამედ დათანხმდა იმას, რომ ირანს აქვს „უფლება“ ბუშერაში რეაქტორი აამუშაოს.**

რა უნდა იფიქრონ ამერიკელებმა? როდესაც ამერიკას ზურგს უკან მოულოდნელ დარტყმას აყენებს მოკავშირე, ის მწვავედ რეაგირებს, მაგრამ როდესაც სილას „თანასწორი კონკურენტი“ გააწნავს, მხოლოდ კეთილად ილიმება. როგორ შეაფასებს ობამას დანარჩენი მსოფლიო და რა ფასი ექნება ამ შეფასებებს ამერიკის საგარეო პოლიტიკისათვის მომავალში?



ატომური ელექტროსადგური ქალაქ ბუშერში

სავარაუდო პასუხია, რომ ჩვენს პრეზიდენტს თავისებური პრიორიტეტები აქვს მეგობრებთან და არამეგობრებთან მიმართებაში. მაგრამ ობამას სჯერა, რომ ამგვარი ქმედება მისი ადმინისტრაციის მიუკერძოებლობაზე მიანიშნებს და აძლიერებს მის დიპლომატიურ გავლენას საერთაშორისო კრიზისების ჯაჭვში.

მაგრამ ცდება. თუ სახალხოდ გააკრიტიკებ მოკავშირეებს და თავზე ხელს გადაუსვამ ოპონენტებს, შედეგი საპირისპირო იქნება. **თუ ობამა ჯიუტობას განაგრძობს, მსოფლიოში ჩვენი მდგომარეობა მალე გაუარესდება, რადგან მეგობრები თავდაცვის მიზნით განზე გადგებიან მტრები კი ავანტიურიზმს უმატებენ. თუ ობამა და კლინტონი აშშ-ის ამგვარ ქმედებას გულისხმობენ, როდესაც „ჭკვიან ძალაზე“ საუბრობენ, უნდა დავასკვნათ, რომ მათ ამ ლოზუნგის არც პირველი სიტყვის მნიშვნელობა იციან და არც მეორის.**

უკვე დროა, ვდარდობდეთ ჩვენი ეროვნული უსაფრთხოების პერსპექტივებზე. ისრაელი სუსტ მდგომარეობაში აღმოჩნდა და ობამამ ამით ისარგებლა. ნატო და აშშ-ის მოკავშირეები ამას უყურადღებოდ არ დატოვებენ. რუსეთმა კი ვაშინგტონს ცხვირი აუბზუა და დაუსჯელი დარჩა. ეს შეუმჩნეველი არ დარჩებოდა ჩრდილოეთ კორეას, ირანს, ვენესუელასა და ასე შემდეგ. ასე რომ, ობამას გაპრეზიდენტებიდან ერთი წლის შემდეგ აშშ-ის უსაფრთხოება ნამდვილად უარესადაა „დაცული“. მაგრამ ამით რისკები და საფრთხეები მხოლოდ იწყება. ობამას მმართველობის შემდეგ სამ წელიწადში, გამორიცხული არაა, მდგომარეობა, მხოლოდ დაუცველი კი არა, სახიფათოც იყოს.

**ჯონ ბოლტონი**
აშშ-ის ყოფილი წარმომადგენელი გაეროში

„The Daily Beast“

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ამერიკა აშშ-ის გარეშე

**ახლახან მექსიკის ქალაქ კანკუნაში ლათინოამერიკული ორგანიზაცია „რიოს ჯგუფის“ რიგით 23-ე სამიტი გაიმართა და აშშ-ის გარეშე ახალი რეგიონალური ორგანიზაციის „Comunidad de Estados Latinoamericanos y Caribenos“ (CELAC) — ლათინური ამერიკისა და კარიბის აუზის სახელმწიფოთა კავშირის — ფორმირება გადაწყდა. CELAC-ი რეგიონში მთელ მოვალეობებს საკუთარ თავზე იღებს.**



ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციასთან ურთიერთობა ნამდვილად კონფლიქტური იქნება. ვაშინგტონი ლათინურ ამერიკაში მბრძანებლობას და ყველა სტრატეგიულად მნიშვნელოვან საკითხში თავისთვის სასარგებლო გადაწყვეტილებების თავსმოხვევასაა მიჩვეული; არც აპირებს, რიო-გრანდედან სამხრეთით ქვეყნებში პროცესების კონტროლი ახალ ორგანიზაციას გადააბაროს. აშშ-ის ადმინისტრაციის აზრით, ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაცია იმისთვის უნდა შენარჩუნდეს, რომ მისი გავლით აშშ-მა ძველებურად მართოს სამხრეთი ნახევარსფერო, CELAC-ს კი, თუ ძალიან უნდა, დაიმშვიდოს თავი, რომ ფუნქციონირებს, ოღონდ პერიფერიულად, რაიმე სერიოზულზე პრეტენზიების გარეშე.

მრავალი ლათინოამერიკელი ლიდერი კი სულ სხვაგვარად აღიქვამს ამგვარი „თანაარსებობის“ პერსპექტივებს. პოპულისტები ცალსახად მოითხოვენ, რომ მომავალი კავშირის უკლებლივ ყველა წევრი გამოვიდეს „რეპრესიული“ ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციიდან, რომელსაც აშშ რეგიონში ნებისმიერ „პოტენციურად საშიში“ ოპონენტის ნეიტრალიზებისათვის იყენებს. ის მართლაც არა ერთხელ გადაეფარა აშშ-ის აგრესიულ ქმედებებს; მაგალითად, გვატემალაში (1954), პანამაში (1964,1991) დომინიკანის რესპუბლიკაში (1965), გრენადაში (1985), ჰაიტში (1994) და ასე შემდეგ. მისი დროშით აშშ, ნახევარ საუკუნეზე მეტია, სოციალისტურ კუბას ებრძვის და მის იზოლაციას ცდილობს. ეს პოლიტიკა გამოიყენებოდა ნიკარაგუის, პანამის, ეკვადორის, ბოლივიისა და, განსაკუთრებით, ვენესუელის წინააღმდეგ.




**შეშლილობა, რომლითაც იმპერია მთელ მსოფლიოში ებრძვის საკუთარ „მტრებს“, სულ უფრო მეტად ბრუნდება მის წინააღმდეგ. CELAC-ის შექმნის პერსპექტივა კონტინენტზე თავად აშშ-ს ემუქრება იზოლაციით. იმპერიის დასასრულისწინა წლებში თავხედური დიქტატი სულ უფრო ნაკლებად ამართლებს.**

იმპერია უკვე ემზადება „აქტიური ღონისძიებებისთვის“ CELAC-ის დამფუძნებელი კრების ჩასაშლელად. ვენესუელის ლიდერმა უგო ჩავესმა უკვე გაახმიანა გაფრთხილება, რომ ვაშინგტონი ამ ეპოქალური ინციატივის „საბოტაჟს“ ამზადებს.

მთავარი დარტყმა სწორედ ვენესუელაზე მოდის. გამოიყენებენ ყველა საშუალებას „ჰონდურასული სცენარიდან“ ტერორისტულ აქტებამდე, ოღონდაც ახალი კავშირი „პრობლემად არ იქცეს“.

**ნილ ნიკანდროვი**
**www.imperiya.by**

# ცსს-ს ავღანეთიდან საფრანგეთისა და გერმანიის წასვლის შეეშინდა

**აშშ-ის ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ თანამშრომელთა შორის გაავრცელა დოკუმენტი, რომლის თანახმადაც საფრანგეთსა და გერმანიაში დაუყოვნებლივ უნდა დაიწყოს ავღანეთის სამხედრო ოპერაციის პროპაგანდის კამპანია. ამ ანალიტიკური ცნობის ასლი გამოქვეყნებულია საიტზე „Wikileaks“.**




ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოში 11 სექტემბრის ტერაქტების შემდეგ დაარსებული სპეციალური „წითელი“ განყოფილება „CIA Red Cell“-ის თანამშრომელთა აზრით, ნიდერლანდებში სახელისუფლო კრიზისთან დაკავშირებით შექმნილი მდგომარეობა, შესაძლოა, იმის მიზეზი გახდეს, რომ დასავლეთ ევროპელმა ლიდერებმა მკვეთრად შეიცვალონ დამოკიდებულება ავღანეთში ნატოს სამხედრო ოპერაციის მიმართ.

უწყება შიშობს, რომ გერმანიისა და საფრანგეთის — ავღანეთში საკუთარი ჯარების რიცხოვნების მიხედვით მესამე და მეოთხე ადგილებზე მდგარი სახელმწიფოების ლიდერებმა შიდაპოლიტიკური მდგომარეობის სტაბილიზირებისა და საკუთარი რეიტინგის გასაზრდელად, შესაძლოა, ავღანეთიდან თავიანთი ჯარების ნაწილობრივი ან სრული გაყვანის გადაწყვეტილება მიიღონ.

დოკუმენტში მოყვანილია გამოკითხვათა შედეგები, რომელთა მიხედვით ფრანგებისა და გერმანელების უმეტესობა ავღანეთს თვლის „სხვის“ პრობლემად, რომლის მოგვარებაც მათგან ძალიან დიდ დანახარჯებს მოითხოვს. გარდა ამისა, ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ საკუთარი პარტიის რეიტინგის არასტაბილურობის გამო (ახლახან რეგიონალურ არჩევნებზე ის ოპოზიციურ პარტიასთან ორთაბრძოლაში დამარცხდა) გამორიცხული არაა, რომ საფრანგეთის პრეზიდენტმა ნიკოლა სარკოზიმ ზურგი აქციოს ავღანეთს.



**რაც შეეხება გერმანიას, ბუნდესვერის მიერ კუნდუზაში განხორციელებული ოპერაციის შემდეგ იქ ავღანეთის ომში მონაწილეობისადმი ნეგატიური დამოკიდებულება გამძაფრდა. ამ ინცინდენტის გამო გენერალ-ინსპექტორ ვოლფგანგ შნაიდერანს გადადგომა მოუხდა, ქვეყნის საერთაშორისო იმიჯი კი მნიშვნელოვნად დაზარალდა.**

იმისათვის, რომ ავღანეთის ოპერაციიდან მოკავშირეების ნაწილობრივი ან სრული გასვლა თავიდან აიცილოს, ცსს საფრანგეთსა და გერმანიაში სპეციალური პროპაგანდის დაწყების წინადადებას აყენებს.

საფრანგეთში, სადაც ავღანელი ლტოლვილების ბედი უფრო ადარდებთ, გავრცელდება ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ნატოს მისიაში მონაწილეობის გაგრძელებით საფრანგეთი ხელს უწყობს ავღანეთში მოსახლეობის ცხოვრების დონის გაზრდას; და თუ ხელისუფლება „თალიბანს“ არ დაუბრუნდება, ამ ქვეყნის მოსახლეობის უფლებებიც დაცული იქნება.

რაც შეეხება გერმანიას, ცსს-ს საამისოდაც სპეციალური გეგმა აქვს. იქ აქცენტი გაკეთდება ტრადიციულ გერმანულ ფასეულობებზე — პასუხისმგებლობასა და სტაბილურობისაკენ სწრაფვაზე. ამიტომ გერმანელებს შეახსენებენ, რომ მათი ქვეყანა მუდმივად ასრულებდა ნატოსთვის მიცემულ დაპირებებს და გარდა ამისა, მოუყვებიან, რომ ავღანეთში არასტაბილურობა გაზრდის ტერაქტების ალბათობას და ხელს შეუწყობს ნარკოტრაფიკის ზრდას.

# რატომ იმტვრევენ კისერს პოლიციელები?



**ისრაელის პოლიციაში ყველაზე სწრაფად მორბენალი ქურდბაცაცებისთვის სპეციალური რაზმი შექმნეს. ამ რაზმის წევრებს სამსახურში სასიარულოდ ფეხსაცმელები აღარ დასჭირდებათ, პირდაპირ გორგოლაჭებზე შედგებიან და ისე დაედევნებიან ბოროტმოქმედებს.** აბა, რა ექნათ, მანქანებისა და მოტოციკლეტების გამოყენება თელ-ავივის ფეხით მოსიარულეთა ზონებში აბსოლუტურად არაეფექტური და მოუხერხებელიც აღმოჩნდა. ისრაელის მოსახლეობას ამ მიზეზის ნაკლებად სჯერა, ამბობენ, ბენზინის ეკონომიას აკეთებენ და რაში ედარდებათ ცხვირპირჩალეწილი პოლიციელებიო. არც ეს ვერსიაა შორს ჭეშმარიტებისგან. შვეიცარიაში გორგოლაჭებიანი პოლიციელების რაზმები ჯერ კიდევ ხუთი წლის წინათ გაჩნდა და ხელისუფლება ხარჯების შემცირების გამო აღფრთოვანებას ვერ მალავდა. მაგრამ, ბოროტმოქმედები რის ბოროტმოქმედები არიან, თუ ასეთ პოლიციელს ერთ ხელის კვრას დაამადლიან. ამის შემდეგ კი მათი მოტეხილობები ნამდვილად ბენზინზე ძვირი ჯდება.

# სად წავიდა 25 მილიონი ჩემოდანი?



**2009 წლის განმავლობაში ავიაკომპანიებმა თავიანთი მგზავრების კუთვნილი 25 მილიონზე მეტი ჩემოდანი დაკარგეს, მაგრამ, როგორც საქმის მცოდნეები ირწმუნებიან, ეს არ არის ავიაკომპანიების შესაძლებლობების მაქსიმუმი.**

მაგალითად, შარშან მათ 33 მილიონი ჩანთის დაკარგვა მოახერხეს. 2007 წელს ყოველი ათასი მგზავრიდან ბარგი დაკარგა 18-მა, 2008 წელს — 14-მა, 2009 წელს კი — მხოლოდ 11-მა. მაგრამ სტატისტიკა უკეთესობისკენ იმიტომ კი არ მიდის, რომ ავიაკომპანიები გამოსწორდნენ, არამედ იმიტომ, რომ ყოველწლიურად მათ მგზავრთა რაოდენობა დაახლოებით 2,6%-ით მცირდება. ამ დაკარგული ჩემოდნებიდან პატრონებს გარკვეული დროის შემდეგ დაახლოებით 96% უბრუნდება, დანარჩენი ან უკვალოდ ქრება, ან მათ პატრონებს უწყდებათ მოთმინებისა და ლოდინის ძაფი.



# ვინ გააღვიძებს ძილისგუდებს?



**დანიელმა მეცნიერებმა მსოფლიოში ყველაზე ჭკვიანი და ეკოლოგიურად ყველაზე სუფთა სახლი ააშენეს. ეს სახლი იმდენად ჭკვიანია, რომ მასში მცხოვრები ადამიანების ძალისხმევის გარეშეც სახლი მშვენივრად უმკლავდება ადამიანური ცხოვრების ყოველდღიურობას — ანთებს სინათლეს ოთახებში, რთავს გათბობის სისტემას, აღებს ფანჯრებს და ასე შემდეგ. თუ საჭირო გახდა, სახლი დილით გააღვიძებს პატრონს და ცხელ-ცხელ ყავასაც მიართმევს.** მეცნიერების ეს ახალი მიღწევა კოპენჰაგენის ცენტრში დგას. მის კედლებსა და სახურავზე დამონტაჟებული მზის ელემენტები უფრო მეტ ენერგიას აგროვებენ, ვიდრე სახლის ყველა მობინადრეს შეიძლება დასჭირდეს.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# ოპერაცია «ბერეზინო»

## «ჯადოსნური მოისრის» უკანასკნელი სიმღერა

**თავის მემუარებში ჰიტლერული გერმანიის პოლიტიკური დაზვერვის შეფი ვალტერ შელენბერგი და გერმანიის გენერალურ შტაბთან არსებული „აღმოსავლეთის უცხოური არმიის“ განყოფილების ყოფილი მეთაური, გენერალი რაინჰარდ ჰელენი თავის მემუარებში სიამაყით წერდნენ აგენტ „მაქსზე“, რომელიც მათ წითელი არმიის გენშტაბიდან სტრატეგიულ ინფორმაციას აწვდიდა. ხოლო ცნობილი დივერსანტი, ჰიტლერის ფავორიტი, ეს-ეს-ის შტურბანფიურერი ოტო სკორცენი თავის მემუარებში ყვებოდა წითელი არმიის ზურგში განხორციელებულ წარმატებულ საიდუმლო ოპერაციაზე, სახელწოდებით „ჯადოსნური მოისრე,“ რომელშიც ასევე მონაწილეობდა საიდუმლო გერმანელი აგენტი „მაქსი.“**



ბერეზინო


ჰელმუტ კორნერი და ოტო სკორცენი

არადა, ყველაფერი, რითაც ისინი აგრერიგად ამაყობდნენ — აგენტი მაქსიცა და საიდუმლო ოპერაცია „ჯადოსნური მოისრეც“ — საბჭოთა დაზვერვის მიერ იყო მომზადებული და განხორციელებული. ოღონდ ლუბიანკაზე მაქსს „ჰეინედ“ იცნობდნენ, ხოლო „ჯადოსნური მოისრეს“ კოდური სახელწოდება იყო „ბერეზინო“.

„ჰეინე“ 1929 წელს იშვა. სწორედ მაშინ ლენინგრადის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი ალექსანდრე დემიანოვი სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს ორგანოებმა გადაიბირეს. დემიანოვი ერთობ პერსპექტიული აგენტი გახლდათ საბჭოთა დაზვერვისთვის. მისი დიდი ბაბუა — კუბანის კაზაკების ატამანი, მამა კი პირველი მსოფლიო ომის დროს გმირულად დაღუპული მეფის ოფიცერი იყო; დედა არისტოკრატი ჰყავდა, რომელიც თეთრი ემიგრაციის ერთ-ერთ ხელმძღვანელთან, გენერალ ულაგაისთან მეგობრობდა. მოსკოვში საცხოვრებლად გადასული დემიანოვი „მოსფილმში“ ინჟინრად მოეწყო, სადაც რეჟისორ მიხაილ რომსა და სხვა ცნობილ მსახიობებსა და დრამატურგებს დაუმეგობრდა, იპოდრომისა და მოდური თეატრალური თავყრილობების მუდმივი სტუმარი გახდა. ენკა-ვე-დეს დახმარებით ის ჯიშიანი ცხენის მფლობელად იქცა, რომელიც წარმატებით მონაწილეობდა დოღში. სწორედ მაშინ დაინტერესდნენ მისით გერმანიის საელჩოს დიპლომატები — აბვერის თანამშრომლები.

ომის დაწყებამ დააჩქარა „ჰეინეს“ ჩანერგვა აბვერის სადაზვერვო ქსელში. 1941 წლის ივლისში დაიწყო ოპერაცია სახელწოდებით „მონასტერი“, რომლის მიმდინარეობისასაც პროგერმანული იატაკქვეშა ორგანიზაცია „პრესტოლის“ შექმნის ლეგენდა მუშავდებოდა. დეკემბერში დემიანოვმა ფრონტის ხაზი გადაკვეთა და გერმანელებს ჩაბარდა, განაცხადა, რომ ანტისაბჭოთა ორგანიზაცია „პრესტოლის“ ემისარი იყო. დაიწყეს მისი გულდასმით შემოწმება. აბვერმა დაადასტურა, რომ ომამდე უკვე ჰქონდა მასთან კონტაქტი. „ჰეინე“ — ახლა უკვე გერმანიის აგენტი „მაქსი“ — აბვერის სკოლაში გაგზავნეს, მისი დასრულებისას კი მოსკოვში დაბრუნება და წითელ არმიაში შესაღწევად აგენტურული ქსელის შექმნა დაავალეს.

შინ დაბრუნების შემდეგ დემიანოვმა „წარმატებით“ დაიწყო მუშაობა აბვერისათვის წითელი არმიის გენერალური შტაბის კავშირგაბმულობის ოფიცრად და მისგან დეზინფორმაციის ნაკადმა იწყო დენა. რადიოთამაშის რადიოტექნიკურ უზრუნველყოფას მაიორი უილიამ ჰენრიხის ძე ფიშერი ახორციელებდა, რომელიც შემდეგომში მთელი მსოფლიოსთვის ცნობილი გახდა როგორც საბჭოთა დაზვერვის პოლკოვნიკი აბელ რუდოლფ ივანეს ძე.

„მაქსი“ იმდენად წარმატე-


ოტო სკორცენი და ადოლფ ჰიტლერი

ბულად მუშაობდა აბვერზე, რომ „რკინის ჯვრითა და ხმლით“ დააჯილდოეს. „ჰეინეს“ დეზინფორმაცია, რომელსაც გენშტაბის თანამშრომლები გულდასმით ამზადებდნენ და სადაზვერვო სამმართველო ამტკიცებდა, ბერლინს მნიშვნელოვანი სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღებას აიძულებდა.

**1942 წლის ნოემბერში „ჰეინე-მაქსმა“ გადასცა: „მზადდება წითელი არმიის იერიში რჟევთან.“ გერმანიის სარდლობამ ამ რაიონში თავი მოუყარა დიდი რაოდენობით ჯარს, რომლებმაც საბჭოთა ჯარების შეტევა მოიგერიეს, მაგრამ სტალინგრადთან სტრატეგიული ინიციატივა დაკარგეს. ჰელენის აღიარებით, „მაქსის“ ინფორმაციამ ვერმახტი აიძულა, რამდენჯერმე გადაეწია კურსკთან იერიშის განხორციელების ვადები, რაც, ასევე, ხელსაყრელი იყო წითელი არმიისათვის.**

„მონასტერი“ წარმატებით მუშაობდა. „ჰეინეს“ დახმარებით ათობით გერმანელი ჯაშუში და დივერსანტი გამოააშკარავეს.

1944 წელს „მონასტერმა“ უკვე სტრატეგიული დეზინფორმაციული თამაშის ხასიათი მიიღო. დაიწყო ახალი ოპერაცია, რომელსაც ბელორუსიის უმშვენიერესი მდინარის სახელი „ბერეზინო“ ეწოდა.

1944 წლის ზაფხულის ბოლოს გერმანიის მთავარსარდლობის ბანაკში გამოიძახეს ვერმახტის სპეციალური დივერსიული ქვედანაყოფის — 502-ე ეგერების ბატალიონის მეთაური ო. სკორცენი, რომელსაც გენერალმა იოდლმა აუწყა, რომ დაზვერვის მონაცემებით, ბელორუსიაში, მდინარე ბერეზინოს მიდამოებში, საბჭოთა ჯარების ზურგში იმყოფება 2-ათასკაციანი გერმანული დაჯგუფება, რომლებიც ბობრუისკში არმია „ცენტრის“ განადგურებისას გადარჩა. მას 286-ე დაცვის დივიზიის 36-ე დაცვის პოლკის მეთაური პოდპოლკოვნიკი შერჰორნი ხელმძღვანელობდა. სკორცენის „შერჰორნის ნაწილების“ ალყიდან გამოყვანა დაავალეს. მესამე რაიხის საუკეთესო დივერსანტმა, გერმანელ ჯარისკაცთა გადასარჩენად საკმაოდ გაბედული ოპერაცია — „ჯადოსნური მოისრე“ დაგეგმა. მისი წინადადებით, უნდა გამოეყენებინათ „მუშათა ბატალიონების“ ლეგენდა: „შერჰორნის ნაწილები“ ისე გამოეყვანათ, თითქოს ისინი ფრონტის ხაზზე ფორტიფიკაციური აღჭურვილობების აღდგენაზე მომუშავე გერმანელი ტყვეები იყვნენ.

**აგვისტოში ფრონტის ზურგში გადაისროლეს პარაშუტისტთა პირველი ჯგუფები, რომლებმაც პოდპოლკოვნიკ შერჰორნის ჯარისკაცები იპოვეს. პირველი, ვინც აბვერს ალყაში მოქცეული გერმანელების შესახებ შეატყობინა, აგენტი „მაქსი“ იყო. გერმანიის სარდლობა რატომღაც ფიქრობდა, რომ ბელორუსიის ტყეებში ოფიცერთა და ჯარისკაცთა დიდი ჯგუფები იმყოფებოდნენ, რომლებსაც ფრონტის ხაზის გარღვევა შეეძლოთ, მესამე რაიხის ხელმძღვანელობა კი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა თავისი ჯარისკაცების სიმამაცეს, მით უფრო, თუ ისინი ალყას ან ტყვეობას თავს დააღწევდნენ. გერმანიაში მათზე გაზეთებში წერდნენ, აჯილდოებდნენ და შვებულებებს აძლევდნენ.**

აქ სამხედრო გათვლასაც ჰქონდა ადგილი. საბჭოთა ფრონტის ზურგში მყოფ დიდ სამხედრო ქვედანაყოფს დიდი ზიანის მოტანა შეეძლო საბჭოთა კომუნიკაციებისთვის. ჰიტლერების რწმენა პოლკის არსებობის შესახებ საბჭოთა დაზვერვამ განამტკიცა. დემიანოვმა შეატყობინა აბვერს, რომ ბელორუსიის ტყეებში, ბერეზინოსთან ვერმახტის 2 ათასამდე ოფიცერი და ჯარისკაცი იმყოფებოდა, რომელთა შორის იყვნენ დაჭრილებიცა და ავადმყოფებიც. მათ იარაღი, სურსათ-სანოვაგე და საბრძოლო მასალა სჭირდებოდათ, მიუხედავად ამისა, მაღალი საბრძოლო სულისკვეთებით იყვნენ გამსჭვალულნი. „ბერეზინოს“ ოპერაცია ▶


დემიანოვი, იგივე მაქსი, იგივე ჰეინე


ოტო სკორცენი ბუდაპეშტში


ოტო სკორცენი შემოვლაზე

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

◀ წვრილმანებამდე იყო გათვლილი. პოდპოლკოვნიკი ჰენრიხ შერჰორნი ნამდვილად არსებობდა, მაგრამ ბერლინში ცუდად იცნობდნენ 36-ე დაცვის პოლკს.

გერმანელებმა საკმაოდ სწრაფად უპასუხეს „ჰეინეს“ რადიოგრამას და დაიწყეს ტვირთის მზადება „გმირებისთვის.“ საბჭოთა დაზვერვამ სასწრაფოდ გაამზადა დასაჯდომი მოედნები, შემქნა ცრუ ბანაკი და „სტუმრების“ ლოდინს შეუდგა.

ბანაკში — „შერჰორნის ნაწილები“ გერმანელებს გამოცდილი ოპერატიული მუსაკები ელოდნენ, რომელთა შორისაც იყო მაიორი ფიშერი, მანამდე წარმატებით რომ „მუშაობდა“ გერმანიის კონტრდაზვერვაში და „რკინის ჯვრითაც“ იყო დაჯილდოებული. მან სიკვდილისგან იხსნა მომავალში ცნობილი საბჭოთა მზვერავი კონან მოლოდოი.

პირველმა სტუმრებმა კინაღამ ჩაშალეს საბჭოთა ოპერაცია. პარაშუტისტთა დაკავებისას რადისტი გაიქცა, საბედნიეროდ, გადამცემის გარეშე. ჩეკისტები გამალებით ცდილობდნენ გამოსავლის მოძებნას შექმნილი სიტუაციიდან, რაშიც თავად გერმანელებმა შეუწყვეს ხელი. ოქტომბერში „შერჰორნის ბაზაზე“ ახალი რადისტი — დელნიკოვი გადმოსვეს. ის უმალ დაყაბულდა საბჭოთა დაზვერვასთან მუშაობას, გადასცა შიფრიცა და კავშირის გრაფიკიც. აბვერისთვის კი გადასცა ორი რადიოგრამა ადგილზე მშვიდობიანად ჩასვლისა და შერჰორნისგან მადლობის თაობაზე. მოკლე ხანში ოპერაცია „ბერეზინოს“ რაიონში ჩეკისტების მიერ გადაბირებული შერჰორნი და დემიანოვი-„ჰეინე“ გადაისროლეს. ოპერაცია სწრაფად წარიმართა. 9 ოქტომბერს გადასვეს სკორცენის პირველი აღსაზრდელები, 502-ე ეგერთა ბატალიონის სამხედრო მოსამსახურენი: ეს-ეს-ის უნტერ-ოფიცერი პანდერსი, რიგითები: მურადიანი, ბუშაევი და რადისტი ვედენინი. ამ უკანასკნელმა მიწაზე დაშვებისას დაცხრილა ეგერი-დივერსანტები და საბჭოთა ჯარისკაცებს ჩაბარდა. იმ დროისათვის დაატყვევეს ეგერთა კიდევ ერთი ჯგუფი 502-ე ბატალიონიდან, რომელსაც სათავეში ეს-ეს-ის ფელდფებელი შიფერი ედგა. ამ დივერსანტთა გამოჩენა მხოლოდ ერთ რამეზე მეტყველებდა: ფაშისტები „შერჰორნის ნაწილების“ არსებობას ამოწმებდნენ.

დატყვევებულ პარაშუტისტთაგან მირებული ინფორმაცია სასიხარულოც და შემაშფოთებელიც იყო: ცრუ-ჯგუფის შესახებ თავად ჰიტლერს მოახსენეს და ოპერაციაში თავად ოტო სკორცენი ჩაერთო.

**23 ოქტომბერს „ბაზაზე“ დივერსანტთა კიდევ ერთი ჯგუფი გადაჯდა, რომლებიც წინამორბედებივით წითელი არმიის სამხედრო პირთა დოკუმენტებით იყვნენ აღჭურვილნი. დაკითხვაზე ტყვეებმა განაცხადეს, რომ ჰიტლერის თქმით, ის არ დაიშურებდა ძალებსა და სახსრებს შერჰორნის ნაწილების დასახსნელად.**

გერინგის პირადი განკარგულებით, გერმანელ ჯარისკაცთა ალყიდან გამოსაყვანად რამდენიმე მძიმე სატრანსპორტო თვითმფრინავი გამოიყო.

23 ოქტომბერს „ბაზაზე“ შტაბს-ექიმი ეშე და პილოტი ჰენრიხ ვილდი გადმოსვეს, რომლებმაც შერჰორნს არმია „ცენტრის“ ჯგუფის მეთაურის, გენერალ-პოლკოვნიკ რეინჰარდის დირექტივა გადასცეს. გადმომსხდრებმა თვითმფრინავთა მისაღები მოედანი აირჩიეს.

საცდური იყო ყველა თვითმფრინავის ეკიპაჟიანად ხელში ჩაგდება, მაგრამ ეს წარმატებით დაწყებული ოპერაციის ჩაშლას ნიშნავდა. ამიტომ საბჭოთა დაზვერვის ხელმძღვანელობამ მიიღო გადაწყვეტილება, დაეყოლიებინა გერმანელები, არ გამოეგზავნათ თვითმფრინავები და ამგვარად, გაეგრძელებინათ თამაში. მალე „ბაზიდან“ გაიგზავნა ცნობა: „ალყა გარღვეულია, მივემართებით დასავლეთისკენ.“

„შერჰორნის ნაწილების“ ფრონტისკენ წინსვლის უტყუარობის დასადასტურებლად უმაღლესმა საბჭოთა მთავარსარდლობამ დასტური მისცა შემდეგ ღონისძიებაზე: უნდა შეექმნათ საიდუმლო დოკუმენტებით აღჭურვილი შტაბის მანქანის დაკავების ლეგენდა და მოეხდინათ შერჰორნის ჯარისკაცებისა და წითელი არმიის ნაწილების შეტაკების იმიტაცია ფრონტისკენ მიმავალ მარშრუტზე. გერმანელებმა „ნაწილების“ დასახმარებლად ექვსი პარაშუტისტი-დივერსანტი ჩამოსვეს, რომლებსაც მეგზურობა უნდა გაეწიათ. მათი ხვედრი, ალბათ, ნათელია.

**ოპერაცია „ბერეზინო-ჯადოსნური მოისრე“, ორივე მხარის აზრით, იმდენად წარმატებით მიმდინარეობდა, რომ გერმანელებმა გადაწყვიტეს, შერჰორნისთვის „აბვერჯგუფის“ მეთაური, ობერ-ლეიტენანტი ფონ ბარფელდი გაეგზავნათ. ჩეკისტები კვლავ აღელდნენ, მაგრამ მისმა უდიდებულესობა შემთხვევამ ყველაფერი გამოასწორა — ფონ ბარფელდი თვითმფრინავის დაჯდომისას დაიღუპა. თამაში გრძელდებოდა, „შერჰორნის ნაწილები“ „ბრძოლებით“ ფრონტისკენ მიიწევდნენ. 1945 წლის მარტში ფიურერმა შერჰორნს პოლკოვნიკის წოდება მიანიჭა და გადაწყვიტა, ახალგამომცხვარი პოლკოვნიკისთვის ოტო სკორცენი დამხმარედ გაეგზავნა. ეს უკანასკნელი უეჭველი სიკვდილისგან საბჭოთა-გერმანიის ფრონტზე სიტუაციის გაუარესებამ იხსნა. ბოლო რადიოგრამა „ბაზაზე“ დაზვერვის ოფიცრის, ობერ-ლეიტენანტ რისპერისგან მოვიდა, რომელიც შერჰორნის დაჯგუფების ჯარისკაცებსა და ოფიცრებს სიმამაცისა და სამშობლოს ერთგულებისთვის მადლობას უხდიდა, ამასთან, ნებას რთავდა, გარემოებათა მიხედვით ემოქმედა.**

„ბერეზინოს“ ოპერაციის მიმდინარეობისას 1944 წლის სექტემბრიდან 1945 წლის მაისამდე გერმანელებმა ჩვენს ზურგში 40 თვითმფრინავი და 22 დესანტი გადმოისროლეს, რომელთაგან ყველა დაატყვევეს. შემდგომში ჩვენი დაზვერვა შეეცადა, შერჰორნი ადმირალ რედერის გადასაბირებლად გამოეყენებინა, მაგრამ ეს მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა. **ომის დასრულებისთანავე პოლკოვნიკი და ორი გერმანელი რადისტი რეპატრირებული იქნენ გერმანიაში, დანარჩენი აგენტები-დივერსანტები — გერმანელებიცა და რუსებიც, დახვრიტეს. დემიანოვი მოსკოვში დაბრუნდა.**

# ბრძოლა კავკასიისათვის 1942–1943 წლებში

**გერმანიის ხელმძღვანელობა კავკასიისათვის ბრძოლას უაღრესად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა, რადგან აქ არა მარტო ნავთობის საბადოებისა და უმდიდრესი სასოფლო-სამეურნეო რაიონების ხელში ჩაგდება, არამედ ახლო და შუა აღმოსავლეთში შესაჭრელად პირობების შექმნაც სურდა. თანაც იმედოვნებდა, რომ თურქეთი სსრკ-ის წინააღმდეგ ომში ჩაერთვებოდა, ამიტომ 1942 წლის ზაფხულში ჰიტლერულმა სარდლობამ შეიმუშავა კავკასიის დაპყრობის გეგმა, რომელსაც კოდური სახელწოდება „ედელვაისი“ მიენიჭა.**



სამხედრო დესანტი, შოთა შალამბერიძე (მარჯვნივ)

მოწინააღმდეგის ჩანაფიქრით, დონის როსტოვის სამხრეთ-აღმოსავლეთითა და სამხრეთით ალყაში უნდა მოექციათ და გაენადგურებინათ საბჭოთა ჯარები, შემდეგ, გეგმის მიხედვით, კავკასიის მთავარი ქედი გადაელახათ და დასავლეთით — ტუაფსე და ნოვოროსიისკი, ხოლო — აღმოსავლეთით ბაქო და გროზნი დაეპყროთ. ამ შემოვლითი მანევრის ჩატარებასთან ერთად, განზრახული ჰქონდათ ქედის ცენტრალური ნაწილის გადალახვა ულელტეხილებით და ამიერკავკასიაში გასვლა. ხოლო ამიერკავკასიაში შეჭრით გერმანელები შავი ზღვის ფლოტის პარალიზებასა და შავ ზღვაზე გაბატონებას იმედოვნებდნენ. ასეთი მასშტაბური გეგმების შესასრულებლად 1942 წლის ივლისში შეიქმნა არმია „ა“-ს ჯგუფი, ორი სატანკო, ორი საველე არმიისა და მეოთხე საჰაერო ფლოტის ასევე მე-3 რუმინული და მე-8 იტალიური არმიის შემადგენლობით. მოწინააღმდეგის დაჯგუფებას დაუპირისპირდა სამხრეთის და ჩრდილო-კავკასიის ფრონტების ძალების ნაწილი, 51-ე, 37-ე, მე-12, მე-18 და 56-ე არმიების შემადგენლობით. საბჭოთა ჯარების ამოცანა იყო მტრის შეჩერება, მისი დასუსტება თავდაცვით ბრძოლებში და კონტრშეტევისთვის პირობების მომზადება.

1942 წლის 25 ივლისს გერმანიის ჯარებმა შეტევა განახორციელეს სალის, სტავროპოლისა და კრასნოდარის მიმართულებით. მოწინააღმდეგის ძალებმა სამხრეთის ფრონტის ჯარებს უკანდახევა აიძულეს. ხელმძღვანელობის გასაუმჯობესებლად სამხრეთისა და ჩრდილო-კავკასიის ფრონტების ჯარები ერთიან ჩრდილო-კავკასიურ ფრონტში გააერთიანეს (მეთაური — საბჭოთა კავშირის მარშალი ს. მ. ბუდიონი). ახალი ფრონტის ჯარებს ამოცანად დაუსახეს მოწინააღმდეგის წინსვლის შეჩერება. ამასთან, მაიერკავკასიის ფრონტს (მეთაური — არმიის გენერალი ი. ვ. ტულენევი) ნაბრძანები ჰქონდა, მდინარე თერგზე, ურუხსა და კავკასიის მთავარი ქედის ულელტეხილებზე ეშელონირებული დაცვის მომზადება და გროზნოსა და მახაჩყალას მიმართულებით მრავალზოლიანი დაცვის შექმნა. აქ მოქმედი მე-9 და 44-ე არმიები ამიერკავკასიის ფრონტის ჯარების ჩრდილო კავკასიურ ჯგუფში გაერთიანდა (მეთაური — გენერალ-ლეიტენანტი ი. ი. მასლენიკოვი). იმ პერიოდის მოვლენები საბრძოლო მოქმედებების დინამიურობით ხასიათდებოდა. მოწინააღმდეგე ულელტეხილებისკენ იწევდა. 1942 წლის 1 სექტემბერს ჩრდილო-კავკასიური ფრონტი შავი ზღვის ჯგუფში გაერთიანდა და ამიერკავკასიის ფრონტის ჯარების შემადგენლობაში შევიდა; იქმნებოდა მოხალისეთა და პარტიზანული ფორმირებები, ძლიერდებოდა შეიარაღება და სამხედრო ტექნიკის წარმოება. კავკასიისთვის ბრძოლაში კავკასიის ნაციონალური ფორმირებებიც (12 დივიზია) მონაწილეობდა.

**მოწინააღმდეგის მხრიდან სტრატეგიული იერიშის მიმდინარეობისას მისი ძალისხმევა სტალინგრადის მიმართულებით ინაცვლებდა და 1942 წლის ოქტომბერში „არმია „ა“-ს შემადგენლობაში მხოლოდ გერმანული — პირველი სატანკო და მე-17 საველე არმიები დარჩნენ.**

1942 წლის აგვისტო-დეკემბერში საბჭოთა ჯარები მტკიცე თავდაცვით ბრძოლებს აწარმოებდნენ. ორჯონიკიძის მიმართულებით მათ მოწინააღმდეგე ორჯონიკიძის მისადგომებთან შეაჩერეს, შემდეგ კი თავდაცვაზე გადასვლა აიძულეს. მოწინააღმდეგემ შეძლო კავკასიის მთავარი ქედის ცენტრალური ნაწილისა და თითქმის ყველა ულელტეხილის დაპყრობა, მაგრამ საბჭოთა სარდლობის ღონისძიებათა წყალობით, ამიერკავკასიაში გერმანული ჯარების შეჭრის საფრთხე ლიკვიდირებული იქნა. გერმანელებმა ვერც ტუაფსეს მიმართულებით გადალახეს ულელტეხილი. სასტიკი ბრძოლები აქ დეკემბრის შუა რიცხვებამდე გაგრძელდა. საბჭოთა ჯარებმა კონტრიერიშისთვის მომზადება შეძლეს.

**კავკასიისთვის საიერიშო ბრძოლის პერიოდი 1943 წლის 1 იანვარს დაიწყო. ამიერკავკასიის ფრონტის ჯარების შავი ზღვის დაჯგუფებამ — კრასნოდარსა და ტიხორეცკზე, ხოლო ჯარების ჩრდილოეთმა ჯგუფმა მოზდოკზე, პროხლადნისა და არმავირზე შეტევის ბრძანება მიიღო. ამგვარად, ორი ფრონტის ძალებს ერთობლივი ძალისხმევითა და ავიაციის მხარდაჭერით, ჯერ იზოლაციაში უნდა მოექცია, შემდეგ კი გაენადგურებინა მოწინააღმდეგის მთავარი ძალები ჩრდილოეთ კავკასიაში. თუმცა ამ ჩანაფიქრის განსახორციელებლად სამხრეთის ფრონტს ძალები არ ჰყოფნიდა, ხოლო ამიერკავკასიის ფრონტის ჯარების გადაჯგუფება მოზდოკიდან კრასნოდარის მიმართულებით ურთულეს პირობებში, მთის ძნელად მისადგომ გზებზე მიმდინარეობდა და დროულად ვერ დასრულდა.**

ალყაში მოქცევის თავიდან ასაცილებლად გერმანიის ჯარებმა მოზდოკიდან ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით დაიხიეს. ამიერკავკასიის ფრონტის ჩრდილოეთის ჯგუფმა 24 იანვარს გაათავისუფლა მოზდოკი, მინვოდი, სტავროპოლი და ჩრდილოეთ კავკასიის სხვა ქალაქები. იერიშზე გადასულმა შავი ზღვის ჯგუფმა 29 იანვარს გაათავისუფლა მაიკოპი, შემდეგ კი — კრასნოდარიც. 4 თებერვლის ღამეს შავი ზღვის ფლოტმა ნოვოროსიისკის სამხრეთ-დასავლეთით, მისხაკოს რაიონში საზღვაო დესანტი გადასხა (15 ათასზე მეტი კაცი არტილერიითა და ტანკებით), რომელმაც დაიპყრო მომცრო პლაცდარმი, ისტორიაში „მალაია ზემლიას“ სახელწოდებით რომ შევიდა და ნოვოროსიისკის გათავისუფლებაში უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა. მტერმა თავისი ძალები დონბასის მიმართულებით გადააადგილა, ხოლო მე-17 არმიის გაერთიანებული ძალებით ყუბანის მიდამოებში — „ცისფერ ხაზზე“ თავდაცვაზე გადავიდა. შემდგომი იერიშისას საბჭოთა ჯარები მაისის დასაწყისში ტამანის ნახევარკუნძულთან გავიდნენ, სადაც სასტიკი წინააღმდეგობა შეხვდათ მე-17 არმიის 16 დივიზიისგან, რომელთა რიცხოვნობა 500.000 კაცს შეადგენდა. საბჭოთა ჯარების მცდელობამ, გაერღვიათ „ცისფერი ხაზი,“ შედეგი ვერ გამოიღო. ხოლო ყუბანში უძლიერესი საჰაერო შეტაკება მოხდა, რომელშიც საბჭოთა ავიაციამ გაიმარჯვა — მტრის 1100 თვითმფრინავი გაანადგურა.

**10 სექტემბერს დაიწყო ნოვოროსიისკ-ტამანის ოპერაცია, რომლის შედეგადაც მტრის „ცისფერი ხაზი“ გაირღვა, ხოლო 16 სექტემბერს გადასხმული დესანტით ნოვოროსიისკი გათავისუფლდა. საბჭოთა ჯარებმა 9 ოქტომბერს დამპყრობელთაგან გაწმინდეს ტამანის ნახევარკუნძული — კავკასიის ტერიტორიაზე მტრის უკანასკნელი პლაცდარმი. კავკასიისათვის ბრძოლაში ორივე მხრიდან 580 ათასი ჯარისკაცი და ოფიცერი დაიღუპა, ამათგან 800 ათასი კაცის დანაკლისი საბჭოთა ჯარებმა განიცადეს.**

**სსრკ-ის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის I მაისის განკარგულებით, დაწესდა მედალი „კავკასიის დაცვისათვის,“ რომლითაც დაჯილდოებულია 870 ათასზე მეტი კაცი.**



ბატალიონი „სტანიჩკა“ მალაია ზემლიაზე

გვერდები მოამზადა **ნანა ჩარკვიანმა**

# პირველად თბილისში «კაპრიჩოს» სააღდგომო პასკა



თბილისში გაიხსნა იტალიური საკონდიტრო „კაპრიჩო“, რომელიც ახალი სიტყვაა საკონდიტრო წარმოებაში. პროდუქცია მსოფლიო სტანდარტის ტექნოლოგიებითაა შექმნილი. ეკოლოგიურად სუფთაა და ფასებიც ყველასათვის ხელმისაწვდომია.

Capriccio
The Italian confectioner's shop

**„კაპრიჩო“** (იტალ.) ნიშნავს — **სურვილისამებრ** — ამდენად, ის მართლაც რომ აკმაყოფილებს ყველა ასაკის მომხმარებლის მოთხოვნას.

**სააღდგომოდ „კაპრიჩო“ მომხმარებელს სთავაზობს საუკეთესო ხარისხის გამორჩეულ „პასკას“, რომელშიც ქიშმიშთან ერთად გამოყენებული იქნება მშრალი ხილი (ცუკატები).**

კომპანია, ძირითადად, ორიენტირებულია კრემიან და ფენოვან ნამცხვრებზე, ისეთებზე, როგორიცაა: კრუასანები, როგოლახი, როზენსი, ტორტი და სხვა კრემიანი ნამცხვრები. ეს ნამცხვრები მთელ მსოფლიოში ძალიან პოპულარულია. ახლო მომავალში ასორტიმენტი უფრო გაიზრდება. ამასთან, საკონდიტრო მიიღებს შეკვეთებს ექსკლუზიურ ნამცხვრებზე.

ნებისმიერი სახეობა არის **„ფრეში“**, ანუ ახალი.

**ასჯერ გაგონილს — ერთხელ გასინჯვა სჯობს!**

**კომპანიის დევიზი მისსავე სახელწოდებაშია, რომელიც სურვილისამებრ განგაწყობთ ტკბილი სიამოვნებისათვის.**

კომპანია 2009 წლის დეკემბერში შეიქმნა და მისი დამფუძნებლები არიან ავტორიტეტული კონდიტერები: რეზო დევდარიანი, დავით ჩხენკელი და თემურ ვაშაკიძე, რომელთა გამოცდილება და ცოდნა კომპანიის წარმატების საწინდარია.



ახალი პროდუქტი იყიდება შემდეგ მისამართებზე:
ყაზბეგის გამზირი №32, ვაჟა-ფშაველას პროსპ. №64,
ასევე თბილისის მაღაზიათა ქსელში.
ოფისის ტელ. 39-82-50.

# წმიდა ანდრია პირველწოდებულის სამონასტრო კომპლექსის-სამრეკლო

| | |
|---|---|
| ს.ს „გაერთიანებული ტელეკომი“ | 602602 |
| შპს „ახტელი“ | 700818 |
| შპს „მაგთიკომი“ | 200320 |
| შპს „ჯეოსელი“ | 700305 |
| შპს „ბილაინი“ | 200333 |

ფოთისა და ხობის ეპარქიის განვითარების ფონდის საბანკო რეკვიზიტია:
ს.ს „თი ბი სი ბანკის“ ფოთის ფილიალი
ბანკის კოდი 220101937; ა/ა 63636080100001; ს/კ 215141246

თანხის ჩარიცხვა შეგიძლიათ სწრაფი გადახდის აპარატებით
იხ. მენიუში: სხვადასხვა — ქველმოქმედება —
წმ. ანდრია პირველწოდებულის
სამონასტრო კომპლექსი.

ინფორმაციისთვის მიმართეთ
ფონდის დირექტორს,
დეკანოზ თევდორე ბასილაიას:
ქ. ფოთი, ნ. ნიკოლაძის მოედანი №3,
ტელ.: 8(293) 70736, მობ.: (899)936563,
e-mail: eparqia-f@mail.ru



# მსოფლიოში პირველი რეპროდუქციული ჯანმრთელობის ცენტრი — ი. ჟორდანიას სახელობის ადამიანის რეპროდუქციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი



## გთავაზობთ სამედიცინო დახმარებას

- უნაყოფო წყვილების სრულყოფილ გამოკვლევასა და მკურნალობას უახლესი, თანამედროვე მეთოდებით;
- ჰორმონულ, გენეტიკურ, იმუნოლოგიურ, ექოსკოპიურ, ენდოსკოპიურ გამოკვლევებს;
- სასქესო ინფექციების დადგენას, მათ შორის, დნმ-დიაგნოსტიკით;
- სპერმის კომპიუტერულ ანალიზს;
- ხელოვნურ ინვიტრო განაყოფიერებას; რეპროდუქციული მასალის გაყინულ მდგომარეობაში შენახვას;
- ქალებსა და მამაკაცებში სასქესო ორგანოების ანთებითი დაავადებების სქესობრივი და ენდოკრინული დარღვევების დადგენასა და მკურნალობას, მათ შორის, ენდოსკოპიური მეთოდებით;
- ორივე სქესის მოზარდებში ენდოკრინული და გინეკოლოგიური პათოლოგიების დიაგნოსტიკასა და მკურნალობას;
- სქესობრივი ანომალიების დიაგნოსტიკას, ქირურგიულ კორექციას;
- კლიმაქტერული დარღვევების მკურნალობასა და პროფილაქტიკას;
- ორსულობის თვითნებური შეწყვეტის მიზეზების დადგენას; შობადობის რეგულაციას — მედიკამენტურ კონტრაცეფციას;
- ულტრასონოგრაფიულ, ბიოქიმიურ, ჰორმონულ, ციტოგენეტიკურ გამოკვლევებს.

მისამართი: კოსტავას ქ. 43. ტელ. 93-11-45; 99-61-97; 99-54-77

# უნივერსალური წყალი „ისიდა“



## მათთვის, ვისთვისაც ძვირფასია ჯანმრთელობა

სუფრის წყალი „ისიდა“ აკმაყოფილებს ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის („ჯანმო“) მოთხოვნებს. სერტიფიცირებულია და დღიური ნორმის ოდენობით შეიცავს ადამიანისთვის აუცილებელ და შეუცვლელ მიკროელემენტებს (J, F, Mn, Ca, K, Mg, Na, Zn).

სასმელად გამოსადეგი არც ერთი სხვა წყალი (არც მდინარის, არც ტბის, არც ჭის და არც წყაროსი) არ შეიცავს ჩამოთვლილ მიკროელემენტებს ერთდროულად და საკმარისი რაოდენობით, ამიტომ მათი ყოველდღიური და ხანგრძლივი გამოყენება ორგანიზმში რომელიმე ელემენტის დეფიციტს იწვევს, შესაბამისად, — ფუნქციონალურ დარღვევებს, რასაც ეწოდება მიკროელემენტოზი. მას მიეკუთვნება ენდემური ჩიყვი, კარიესი, ფსორიაზი, პათოლოგიური სიმსუქნე და სხვ.

„ისიდა“ გამიზნულია ოჯახური მოხმარებისთვის, ისხმება ხელის ტუმბოთი აღჭურვილ 20-ლიტრიან ბალონებში.

მსურველებმა დარეკეთ თბილისში: 899-16-30-21.
890-26-15-15 (ოფისი); რუსთავში: 890-11-50-99; 895-91-24-14.

FACT www.fact.ge
ACM Group

pirweli.com.ge
პირველი
საინფორმაციო სააგენტო

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
მთავარი რედაქტორის მოადგილეები:
არმაზ სანებლიძე, ბონდო მძინარაშვილი
ტექნიკური რედაქტორი ლევან ზანგურაშვილი
ვებრედაქტორი გოჩა ხავთასი
რეალიზაციის მენეჯერი დავით ბუაძე, ოფისმენეჯერი თათია ვაშაკიძე,
რეკლამის მენეჯერი ეთერ კასრელიშვილი (899 110 200)
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, ამბროლაურის ქ. №166/5
ტელ.: 38-41-97; e-mail:info@geworld.net

«საქართველო და მსოფლიოს» შემდეგი ნომერი გამოვა 14 აპრილს